ველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

რი – 5 იანვ №53 (679) 1,50 ლარი



გვ. 22

რა ღირდა ახალი წლის ღამეს ნიკა არაბიძის გამოძახება ნახევარი საათით და როგორ აჭამეს მას საკუთარი წვერ-ულვაში გოზინაყის ხათრით

რას აქცევს ყურადღებას ნოე სულაბერიძე ვარსკვლავების შერჩევისას

გვ. 74

გვ. 75

რის მიმართ იყო წლების განმავლობაში ისტერიულად განწყობილი რუსკა მაყაშვილი და როგორ უსრულებდა მას ოცნებებს თოვლის ბაბუა

გვ. 18

რისგან უჭირს თავის შეკავება ნოდიკო ტატიშვილს და ვისთვის არის ის კარგი კავალერი



გვ. 19

რატომ არის ვლად არამოვი „ივან გროზნი“ თოვლის ბაბუა და როგორ დააფრთხო მან ახალ წელს ბავშვები თავისი კავკასიური გარეგნობით



რაზეა შეყვარებული ნინო მუმლაძე და რატომ იყო მისთვის ორსულობა სიურპრიზი

გვ. 23



გვ. 15

როგორ ცხოვრობენ სალომე ჟუღელი და თორნიკე შენგელია ამერიკაში და რა სიურპრიზებით ანებივრებენ ისინი ერთმანეთს



გვ. 79

ვისგან ელოდება „შემოლაწუნებას“ გია ნიკოლაძე და რა კავშირი აქვს მას მარიხუანასთან

# გილოცავთ ახალ წელს!

# 2014

თბილისელები



## იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| სამ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ოთხ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ხუთ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| პარ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| შაბ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| კვ. | 5 | 12 | 19 | 26 | |

## თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 3 | 10 | 17 | 24 |
| სამ. | | 4 | 11 | 18 | 25 |
| ოთხ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ხუთ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| პარ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| შაბ. | 1 | 8 | 15 | 22 | |
| კვ. | 2 | 9 | 16 | 23 | |

## მარტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| სამ. | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ოთხ. | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| ხუთ. | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| პარ. | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| შაბ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |
| კვ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 | |

## აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| სამ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ოთხ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ხუთ. | 3 | 10 | 17 | 24 | |
| პარ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| შაბ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| კვ. | 6 | 13 | 20 | 27 | |

## მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| სამ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ოთხ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხუთ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| პარ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| შაბ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| კვ. | 4 | 11 | 18 | 25 | |

## ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| სამ. | | 3 | 10 | 17 | 24 | |
| ოთხ. | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ხუთ. | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| პარ. | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| შაბ. | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| კვ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |

## ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| სამ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ოთხ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ხუთ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| პარ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| შაბ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| კვ. | 6 | 13 | 20 | 27 | |

## აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 4 | 11 | 18 | 25 |
| სამ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ოთხ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ხუთ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| პარ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| შაბ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| კვ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |

## სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| სამ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ოთხ. | 3 | 10 | 17 | 24 | |
| ხუთ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| პარ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| შაბ. | 6 | 13 | 20 | 27 | |
| კვ. | 7 | 14 | 21 | 28 | |

## ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| სამ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ოთხ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ხუთ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| პარ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| შაბ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| კვ. | 5 | 12 | 19 | 26 | |

## ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 3 | 10 | 17 | 24 |
| სამ. | | 4 | 11 | 18 | 25 |
| ოთხ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ხუთ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| პარ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| შაბ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| კვ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |

## დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| სამ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ოთხ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ხუთ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| პარ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| შაბ. | 6 | 13 | 20 | 27 | |
| კვ. | 7 | 14 | 21 | 28 | |

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რა საჩუქარს უმზადებს კრემლი გალელ ქართველებს და როგორ აპირებს „აღმოსავლეთ“ და „დასავლეთ“ სამეგრელოს შექმნას „ორი ოსეთის“ მსგავსად ............ 6



რა არის საქართველოში ჰაერის ნორმაზე ზემოთ დაბინძურების მთავარი ფაქტორი და რატომ აქვეყნებს გარემოს დაცვის სააგენტო მონაცემებს რამდენიმეთვიანი დაგვიანებით .... 8

როგორ დაინიშნა აწ უფლებადამცველი, მაშინ კი იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური სამსახურის უფროსის, ოთარ კახიძის, მეუღლე შემოსავლების სამსახურში სამმართველოს უფროსად............9



როგორ ინარჩუნებს ძალაუფლებას ვადის გასვლის შემდეგაც ბილ ქლინთონი და როგორ უნდა იქცეოდეს ყოფილი პრეზიდენტი, რომ ძალაუფლება ხელისუფლებაში ყოფნის შემდეგაც არ დაკარგოს ........ 10

რა ურთიერთობა ჰქონდათ დავით ბაგრატიონ-მუხრანელისა და ანა ბაგრატიონის წინაპრებს ............ 12



რა არის „კამელინის“ განსაკუთრებული სამკურნალო თვისებები, რისი დახმარებითაც ადამიანები სხვადასხვა დაავადებისგან იკურნებიან..... 13

რა „მუქარა“ აუსრულა სევდია უგრეხელიძეს გიგი უგულავამ და ვის არ უკეტავდა ის ღამით სახლის კარს ..........14

როგორ ცხოვრობენ სალომე ჯუღელი და თორნიკე შენგელია ამერიკაში და რა სიურპრიზებით ანებივრებენ ისინი ერთმანეთს ............ 15

ადვოკატი გირჩევთ............ 16

ინტიმური საუბრები ............ 17

რისგან უჭირს თავის შეკავება ნოდიკო ტატიშვილს და ვისთვის არის ის კარგი კავალერი ............ 18

რატომ არის ვლად არამოვი „ივან გროზნი“ თოვლის ბაბუა და როგორ დააფრთხო მან ახალ წელს ბავშვები თავისი კავკასიური გარეგნობით ....... 19

როდის ადანაშაულებს ცოლის ღალატში მამაკაცი საკუთარ თავს .... 20

ვინ ეძებს ბიძას ვორონეჟის მხარიდან საქართველოში და რა მიზეზით არ უნახავთ ნათესავებს ერთმანეთი ........ 21

რა ღირდა ახალი წლის ღამეს ნიკა არაბიძის გამოძახება ნახევარი საათით და როგორ აჭამეს მას საკუთარი წვერ-ულვაში გოზინაყის ხათრით ................ 22

რაზეა შეყვარებული ნინო მუმლაძე და რატომ იყო მისთვის ორსულობა სიურპრიზი ............ 23

რა უნდა გაითვალისწინოს ადამიანმა ახალ წელთან შეხვედრისას და რატომ არ უნდა იყოს ის მთელი წლის განმავლობაში რომელიმე ცხოველის იმედად ............ 24



მოძღვარი გვირჩევს.........25

ცნობილი სპორტსმენების ყველაზე სექსუალური მეორე ნახევრები.........26

ჯოზეფ გორდონ-ლევიტი: ჰოლივუდის ახალი თაობის დონჟუანი ვარსკვლავი ......... 27

მსოფლიო მონარქების საყვარელი ავტომობილების ტოპ-ხუთეული ......... 27

2013 წლის ქალი მილიარდერების ტოპ-ხუთეული ............ 27

ექიმის რჩევები ............ 29



რატომ აკრიტიკებენ მეგობრები თემურ ჩხეიძეს და ვის სექსუალურ თეორიებს იზიარებს რეჟისორი ... 30

რა მაგიური დატვირთვა აქვს ახალ წელს და რა უნდა გაითვალისწინოთ ამ ჯადოსნურ ღამეს, რომ მომავალში წარმატებას მიაღწიოთ ............ 32

ტროცკიმ სტალინის მოკვლა ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანს დაავალა.................35

შეკითხვა ასტროლოგს.......36

ალკოჰოლი სხვადასხვაგვარად მოქმედებს ზოდიაქოს სხვადასხვა ნიშნით დაბადებულ ადამიანზე.............36

რისი წყალობით დაეშვა ღრუბლებიდან გიგა კვენეტაძე და რა ხდება რომანტიკოსი რეალისტის პირად ცხოვრებაში ............ 47

32 მილიონის ღირებულების ბრილიანტების გამტაცებელი ქართველი დღემდე „ფებეერის“ ძებნილია............ 48

რა ვერ გაიყო ორმა ქალმა ერთი კაცისგან და როგორ აქცია ქმარმა ყოფილი ცოლი მკვლელად .................. 49



ვეტერინარის რჩევები..........................50

ფლორის სამყაროში.................50

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს......................51

ქურდული ცხოვრება......................64

რა მამაკაცური თვისება არ მოსწონს სოფო სებისკვერაძეს საკუთარ თავში და რატომ დაშორდა ის გიორგი ლიფონავას ............ 70

„პოპულარული კომპოზიტორი“ – ნანა დაუშვილი ............ 71



რა უცნაურ რიტუალს ასრულებდნენ ძველად ქართველები ბედობის დღეს, 2 იანვარს და რა ძღვენი უნდა მიეტანა მეკვლეს ახალი წლის ღამეს ოჯახში ......72

ვინ არის სანტა კლაუსი ............ 73

რას აქცევს ყურადღებას ნოე სულაბერიძე ვარსკვლავების შერჩევისას ............ 74

რის მიმართ იყო წლების განმავლობაში ისტერიულად განწყობილი რუსკა მაყაშვილი და როგორ უსრულებდა მას ოცნებებს თოვლის ბაბუა ............ 75



გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# მადააღძრულები და ქამარშემომსკდრები

იმის გამო, რომ **ცხოვრებაც კარგია და კარგად ცხოვრება – უფრო უკეთესი, კეთილდღეობასა და „ბორჯომის“ სმაზე** (რაც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ცინცხალი „ჯიპების” გამალებული შეძენით გამოიხატება) **ვერც ახლებმა თქვეს უარი**. ან კი **როგორ იტყოდნენ, როდესაც აწ უკვე დაზუსტებით იციან, როგორ და რაში ხარჯავდნენ მათი წინამორბედები ამ ვითომ ქვეყნის ბიუჯეტს.**

მეორე მხრივ, **ახლები ძველებზე,** ჯერ ერთი, **უფრო გამჭვირვალეებიც არიან** (ინფორმაციას გამოითხოვ და მოგეცემა) **და მგრძნობიარეებიც** (მაგალითად, ერთი „ჯიპი” უკან დააბრუნეს, დანარჩენებზე კი ტენდერი გააუქმეს). თუმცა, **იმ სახელფასო ბადეზე, რომელიც წინამორბედებმა დაუტოვეს, უარს ვერ ამბობენ** (იმიტომ რომ, ტკბილია ეს ოხერი კარგად ცხოვრება, მით უფრო, რომ **ხელისუფლებაში მოსვლის შანსი ერთხელ გეძლევა და უნდა დაქიჩმაჩდე, რომ კვლავაც ცალკალოშიანად არ დარჩე).**

როგორც უნდა იყოს, **უმცირესობამ უმრავლესობას ქამრების შემოჭერისკენ მოუწოდა** (იმიტომ რომ, ენას ძვალი არ აქვს – ), ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ **ამ უმცირესობის მიერ** (ცხადია, როდესაც ხელისუფლებაში იყვნენ) **გამოცხადებული „ქამრების შემოჭერის“ ქრონიკა ხელისუფლების წარმომადგენელთა ხელფასებისა და კეთილდღეობის ზრდაში გამოიხატა**, ზედაც, დავამატებთ, რომ **უმადობას არც ახლები უჩივიან**, ამ რჩევასაც თუ გაითვალისწინებენ, მთლად დავიქცევით.

# ასე იწრთობოდა „ნაციონალი“

## ანუ ვინ ვერ სწავლობს საკუთარ შეცდომებზე

ალბათ, იმიტომაც, რომ **„არ გათეთრდების ყორანი,“** ან, იქნებ, იმ მიზეზით, **„შეჩვეულს ნუ გადააჩვევო“,** მიუხედავად მეტად პოეტური სახელისა, **ხალხის რჩეულმა** ქ-ნმა **თაქთაქიშვილმა კოლეგა** ქ-ნ **ბესელიასთან შეკამათებისას ისეთი ტერმინოლოგია გაიხსენა**, რომ, იმ **ამომრჩეველს**, რომელმაც პირველ ოქტომბრებს „ნაციონალები“ გადაირჩია, **სულ სიმწრის ოფლი დაასხმევინა** (კიდევ კარგი, გადავირჩიეთო).



არადა, **ვითარება ერთი შეხედვით მშვიდობიანად გამოიყურებოდა** – ადამიანის უფლებათა კომიტეტი სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებებს იხილავდა, როდესაც ქ-ნმა **თაქთაქიშვილმა** ქ-ნ **ბესელიას**, თავდაპირველად, **ხმის ტონალობა დაუწუნა** (თუმცა, **თუ**, მაგალითად, ქ-ნი **ჩიორას პარტიული ლიდერის ხმის ტონალობას შევუდარებთ**, ქ-ნი **ბესელია იადონივით გალობდა**), მოგვიანებით კი, უფრო შორსაც წავიდა და **გააფრთხილა – თუ ნებით არა, დაგაწევინებთო**.

ჩვენ, ბუნებრივია, **არ ვიცით, რა ბერკეტს ფლობს ქ-ნი თაქთაქიშვილი,** რომ არ მოსწონს, იმის **„დასაწევად“,** თუმცა, აშკარაა, რომ **გამოცდილება მაშინაც კი არ მოვიდა, როცა ის აღარ გჭირდება**. შესაძლოა, იმიტომ, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ფრთიანი გამონათქვამი – **„კუზიანს** („კუზიანში“, ბუნებრივია, ყოფილი ხელისუფალი იგულისხმება) **სამარე** (სკამიდან ჩამოსმა) **გაასწორებსო,“** – უკვე ასე ითარგმნება: **ეგეც ვერ გაასწორებსო**.

# წითელი მონატრება

ვიდრე ჩვენ **აქეთ – ევროკავშირთან ასოცირებას ვაჩქარებთ**, იქით – **ბარაკ ობამა აწერს ხელს ავტორიზაციის აქტს**, რომელიც **საქართველოსთვის სამხედრო დახმარებასა და თანამშრომლობას გულისხმობს**, „გელაპმა“ მორიგი კვლევა ჩაატარა პოსტსაბჭოთა სივრცეში და გამოკითხულებს მეტად მარტივი კითხვა დაუსვა **სსრკ-ს ყოფნა-არყოფნის მიზანშეწონილობის შესახებ.**

სახელდობრ, კითხვა შემდეგნაირი იყო: **საბჭოთა კავშირის დაშლამ თქვენს ქვეყანას ზიანი მიაყენა თუ, პირიქით, ხეირი მოუტანა?** გაირკვა, რომ ამ **ჩვენს სამშობლოში გამოკითხულთა მხოლოდ 37 პროცენტი აფასებს ცალსახად დადებითად სსრკ-ს დაშლას**, **33 პროცენტი კი მას მისტირის.** იმის გათვალისწინებით, რომ ამაზე უარესადაცაა საქმე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, **გულებს, მაინცდამაინც, ნუ დაი-**



# „სწორედ ასეთი მწამს კომუნისტი“

**ხეთქავთ** (სხვათა შორის, **ჩვენზე უკეთესი მაჩვენებლები აქვთ ყაზახეთს**: 45 პროცენტი გახარებულია სსრკ-ს მოშთობით და მხოლოდ 25 პროცენტი მიიჩნევს მის დაშლას ბოროტებად; **აზერბაიჯანს**: მომხრეა 44 პროცენტი, მოწინააღმდეგე – 31; თვით **თურქმენეთში კი 62 პროცენტია კმაყოფილი** სსრკ-ს აღგვით პირისაგან მიწისა).

**საბჭოთა კავშირის დამცველთა პირველი ხუთეული კი შემდეგნაირია**: **სომხეთი** (იქ 66 პროცენტი მისტირის საბჭოეთს), **ყირგიზეთი** (61 პროცენტია მგლოვიარეთა რაოდენობა), **უკრაინა** (56 პროცენტი), **რუსეთი** (55 პროცენტი) **და ტაჯიკეთი** (52 პროცენტი).

ჩვენ **არ ვიცით, რა დარჩენია ჩვენი თანამემამულეების მესამედს სსრკ-ში**, თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **ჩვენს მეზობელ სომხეთში იქ ორ მესამედს დარჩენია**, თავსაც **მხოლოდ ამით თუ დავიმშვიდებთ…**


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47






**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი



ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52

სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53



დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“



ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# საბედისწერო ორმო

## ანუ მე დამიჭირეთ, მე!

შესაძლოა, იმ **გაცვეთილი ჭეშმარიტების გამო, რომ, რასაც დათესავ, იმას მოიმკი** ან, სულაც, **იმიტომ, რომ ერთი დრო არავის შერჩენია**, დედაქალაქის **მერს უფლებამოსილება შეუჩერდა** (სხვათა შორის, იმ სასამართლოს მიერ თავად მერიც რომ დემოკრატიის შუქურის მთავარ მონაპოვრად მიიჩნევდა). იმას გარდა, რომ **თბილისის მესვეურნი პროკურატურის არც ბრალდებას ეთანხმებიან** და **არც სასამართლოს გადაწყვეტილებას,** მაგალითად, თბილისის მერის მოადგილე (ირაკლი აბესაძე) ბრძანებს, რომ, **რაკი თბილისის მერს ზემდგომი ხელმძღვანელი არ ჰყავს, ვინც სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა აღასრულოს, ძვრასაც ვერ უზამენ.**



ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ კიდევ **ერთი შენიშვნა სასამართლოების მიერ მხარეთა თანამონაწილეობის გარეშე საქმის განხილვას უკავშირდება** (და მერე რა, რომ, თავის დროზე, **კანონში ეს ნორმა მათი შექმნილ-ჩაწერილია, ვისაც ის ახლა უკვე აღარ მოსწონს, რაკი თავადაც იწვნია).**

იმაზე უკვე აღარ შევჩერდები, რომ **არც სასამართლო პროცესის ჩატარების დრო მოიწონეს** – ღამის პირველ საათზე ვის გაუგია პროცესის ჩატარებაო (რაც ბადებს ეჭვს, რომ **ღამის პირველ საათზე მხოლოდ ქონების სახელმწიფოსთვის ჩუქება დემოკრატიის მწვერვალი**).

რაკი ეს **უხერხულობა ახლახან შეამჩნიეს**, ამ ჩვენი დედაქალქის მერიის წარმომადგენლებს **პროკურატურაში წერილიც უფრენიათ** (განგვიმარტეთ, **როგორ უნდა მოხდეს სასამართლო განჩინების აღსრულება, მერს ხომ ზემდგომი არ ჰყავსო**), ოღონდ, **ამაოდ** (ორი დღეა, პროკურატურას ჩამიჩუმი არ გაუღია). ბ-ნი აბესაძე იქვე დასძენს, რომ **კანონის ეს ხარვეზი უმალაა გამოსასწორებელი** (ისეთი ბუნდოვანია, ჩამოგვეშლება დემოკრატიაო).

თუმცა, მაგალითად, საიას თავმჯდომარე ბ-ნი **კოჟორიძე განმარტავს**, **რომ უზემდგომობა მერის გადაყენებას ხელს ვერ შეუშლის** (გული გულობდეს, თორემ, ქადა ორი ხელით იჭმევაო), რადგან, **სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა აღსრულდესო**. „როგორც კი კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს განჩინება, მერი გადაყენებულად ითვლება. მიუხედავად იმისა, მოსწონთ თუ არა ეს განჩინება."

ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ კანონის **ბუნდოვანება თავისი ხარვეზებიანად მხოლოდ ახლაღა არ მოეწონათ**, კვლავაც გაცვეთილი ჭეშმარიტების **მოწმენი ვხდებით – სხვისთვის გათხრილი ორმოს შესახებ**, ერთი ისაა, რომ ჩვენთვის, ვინც დაბლა ვართ, ჯერჯერობით ამას შვება არ მოაქვს.

# რათა – 5?!

## მაშ, რამდენი? – 41!

რაკი **საკუთარ თავს ერთადერთად** (ოპოზიციური ძალის ამპლუაში) **მოიაზრებენ**, სავსებით **ცხადია, რომ ყველაზე მეტადაც აქტიურობენ,** განსაკუთრებით, **ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით** (შიგადაშიგ ისე აქტიურად, რომ **შექსპირისეული რიჩარდის ტრაგედია „თხა და გიგოდ" მოგეჩვენება).**

ასეა თუ ისე (ანუ, **რიჩარდზე მჯობიც არ დაილევაო**), „ერთიანმა **ნაციონალურმა მოძრაობამ"** ცენტრალურ ოფისში პარტიის პოლიტსაბჭოს საგანგებო სხდომაც შეკრიბა და **პარტიის სამომავლო გეგმებზეც იმსჯელეს, სხვათა შორის, გრძელვადიანზე.**

მოგეხსენებათ, რომ **პარლამენტის სხდომებს უმცირესობა არ ესწრება** (პროტესტის ნიშნად, **მას შემდეგ, რაც ბ-ნი ჯაჭვლიანი ბ-ნ ბარამიძეს პირდაპირ საკანონმდებლო ორგანოს გულში შეება**), ამიტომაც, **არც მეტი, არც ნაკლები, 5 მოთხოვნა დააყენეს** (თუ შეასრულებთ, სხდომებზე შემოვალთო).

**ისინი ითხოვენ** (დაახლოებით, ამგვარი პათოსით: **„ისინი ჩამოვიდნენ მთიდან"**): **ორი საგამოძიებო კომისიის შექმნას** – ერთს საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარესა და მოსამართლეზე ზეწოლების შესასწავლად, მეორეს კი – გენმდივან ვანო მერაბიშვილის გატაცების გამოსაძიებლად; ამის შემდეგ – **ადამიანის უფლებათა და იურიდიული კომიტეტების ერთობლივი სხდომის ჩატარებას**, რომელზეც დაწვრილებით იმსჯელებენ ვანო მერაბიშვილისა და გიგი უგულავას საქმეებზე; პარლამენტში **სახალხო დამცველსაც იბარებენ და გენერალურ პროკურორსაც.**

ამის პარალელურად, დიპკორპუსთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრების გეგმებიც დასახეს – **დავას გავაგრძელებთ სამართლებრივი მიმართულებითო.**

**უმრავლესობას კოჭებში ეტყობა, რომ უმცირესობის მოთხოვნებს დღის სინათლის ნახვა არ უწერიათ** (ან კი როგორ ეწერება, როდესაც თვითი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უბნობს, მოსამართლეზე რის ზეწოლა, რა ზეწოლაო), **თუმცა, შესაძლოა, საქმე უფრო მარტივადაც იყოს:**

– ***გზაზე მიდის 5 კაცი.***
– რათა 5?
– მაშ, რამდენი?
– 41!

# რეინტეგრაციული საჩუქარი

## სიურპრიზი „გამარჯვებულისთვის"

მართალია, მთელი **ცივილიზებული დასავლური პოლიტელიტისთვის უკვე ცნობილია მისი შინაარსი**, თუმცა, **საქართველოს მოქალაქეები თავიანთ სახლმწიფო ენაზე ევროკომისიის მიერ 2008 წლის ომის შეფასების დოკუმენტს მხოლოდ ახალ, 2014 წელს წაიკითხავენ.**



იმის გათვალისწინებით, რომ, მაგალითად, თავის დროზე, **„თელასსა" და ამერიკულ „ეი ი ეს კოპრორაციას" შორის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების რატიფიცირება ისე მოახდინა** საქართველოს **პარლამენტმა, რომ ქართულ ენაზე ტექსტი ბუნებაში არ არსებობდა**, ეგრეთ წოდებული **ტალიავინის კომისიის დასკვნის ამბავიც სავსებით ბუნებრივად ჯდება ჩვენს ცხოვრებაში.**

ყოველ შემთხვევაში, **რეინტეგრაციის სამინისტრო გვპირდება, რომ თარგმანზე მუშაობენ** და, როდესაც **ჩააკორექტირ-დაადარებენ, დედანს თავიანთ საიტზეც გამოფენენ,** რომ საქართველოს მოქალაქეებს მისი დაწვრილებით და ზუსტად გაცნობის საშუალება ჰქონდეთ.

თუ გავიხსენებთ, რომ **ხსენებული დასკვნა ხსენებულმა ევროკომისიამ 2009 წლის 30 სექტემბერს გამოაქვეყნა** (სხვათა შორის, ოფიციალურად ის არც რუსულადაა თარგმნილი), თანაც, დავამატებთ, რომ **დასკვნის ინტერპრეტაცია განსხვავებული არა მხოლოდ რუს და ქართველ პოლიტიკოსებს**, თვით **ქართულ წიაღში მყოფ პოლიტიკოსებსაც ჰქონდათ**, სავსებით **გასაგებია, რატომ არ იზრუნა წინა ხელისუფლებამ ქართულად მის ოფიციალურად თარგმნაზე.**

ასე რომ, სიურპრიზი **არა მხოლოდ ოდენ სახელმწიფო ენის მცოდნე საქართველოს მოქალაქეებს ელით**, არამედ – **2008-ში „გამარჯვებულებსაც".**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**ენგურს გაღმა ჩვენებური სეპარატისტები ფრიად გააქტიურდნენ: ჯერ იყო და, გალელები „მტარვალი“ ქართველების მიერ ძალით გაქართველებულ აფხაზებად მონათლეს (იმის პარალელურად, რომ გალის რაიონში ქართული სახელწოდებები აფხაზურებით ჩაანაცვლეს); შემდეგ დაამატეს, რომ გული ეთუთქებათ მეგრელების „დისკრიმინაციაზე“ „იმპერიალისტი“ ქართველების მხრიდან; აი, სვანები კი, არც მეტი, არც ნაკლები, უაპელაციოდ აფხაზებად გამოაცხადეს. ცხადია, რომ იდეის ავტორები არა ჩვენებური სეპარატისტები, არამედ, ჩვენი ოკუპანტები ბრძანდებიან. რატომ მიუბრუნდა აწ უკვე რფ რუსეთის იმპერიის პროექტს, რომლის განხორციელება თავის დროზე ვერ მოხერხდა? მოსალოდნელი სეპარატისტული საფრთხეების შესახებ ვახტანგ მაისაია გვესაუბრება.**

# რა საჩუქარს უმზადებს კრემლი გალელ ქართველებს და როგორ აპირებს „აღმოსავლეთ“ და „დასავლეთ“ სამეგრელოს შექმნას „ორი ოსეთის“ მსგავსად

**– რატომ მიუბრუნდა რუსეთი ისევ იმ ძველ გეგმას, რომელსაც ამუშავებდა 200 წლის განმავლობაში და რომელმაც არ გაამართლა? მათ ვერ შეძლეს სვანებისა და მეგრელების ერთიანი ქართული სხეულიდან ჩამოშორება, თუმცა, მაგალითად, აფხაზებთან ეს წარმატებით გამოუვიდათ.**

– მე შემიძლია, დავასახელო იმ კონკრეტული ადამიანის გვარი და სახელი, ვინც ეს გეგმა შეიმუშავა და ახდენს მის რეალიზაციას. ეს არის კრემლის ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა, მას ჩრდილო კავკასიასთან აქვს უშუალო კავშირი. ეს არის ვლადიმირ სურკოვი, დედით ჩეჩენი, რომელსაც პუტინის ადმინისტრაციაში ყოველთვის ებარა კავკასიური პრობლემები. მისი იდეაა ჩრდილოკავკასიური ოლქის მოდელი. რამდენიმე ხნის წინათ მას მნიშვნელოვანი უთანხმოება მოუვიდა პუტინთან, იმ დონეზე, რომ პუტინის გუნდიდანაც კი მოიშორეს, მაგრამ, ამის შემდეგ ერთი თვეც არ იყო გასული, რომ ისევ უკან დააბრუნეს და აღუდგინეს სტატუს კვო. გამიკვირდა მისი დაბრუნება და შედეგმაც არ დააყოვნა – წამოვიდა მეგრული სეპარატიზმის იდეა. სხვათა შორის, სურკოვი ჩასული იყო აფხაზეთში.

**– ცხინვალშიც იყო და მათ უთხრა, თქვენი დიდი ხათრი გვაქვს, მაგრამ, საბაჟო კავშირში ვერ მიგიღებთო.**

– შესაძლოა, სწორედ ამ განცხადების გამო დაეძაბა ურთიერთობა პუტინთან. აფხაზეთში ყოფნისას მოლაპარაკებას აწარმოებდა როგორც სახელისუფლო ძალასთან, ისე ოპოზიციურ კოალიციასთან და ერთგვარი დირექტივები მისცა მათ. სხვათა შორის, მას ეკუთვნის სუვერენული დემოკრატიის იდეა და ახლახან პუტინმა გააჟღერა ახალი იდეოლოგიური კურსი – კონსერვატიული მოდერნიზმი, რაც გულისხმობს ახალი რეგალიების მორგებას იმ ტრადიციული ევრაზიული იდეოლოგიისთვის, რითაც იმართება რუსეთი. მათი ფასეულობებია: დერჟავა, მართლმადიდებლობა და ევრაზიული იდენტობა. ამის საფუძველზე უნდა მოხდეს ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ-სამხედრო მოდერნიზაცია. პუტინის რეჟიმის პირობებში რუსეთი უარს არ ამბობს ცარისტული რუსეთისა და საბჭოთა დროს არსებული იდეოლოგიისგან და ამ კურსს სრული სვლით აგრძელებს.

**– მაგრამ, ისევ იმ მეთოდით, რომელმაც არ გაამართლა გუბერნიებად და მაზრებად დაყოფილ საქართველოში?**

– აქ ჩადებულია ფარული ექსპანსიონიზმი. მეგრული სეპარატიზმის იდეის შემოგდებით რუსეთი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ტერიტორია მოაქციოს საკუთარი გავლენის ქვეშ. შეიძლება, ასეთი ტერმინიც შემოვიღოთ – ლატენტური ექსპანსიონიზმი – რაც შეიძლება, მეტი ტერიტორიების მითვისება. სამეგრელო შემთხვევით არ არის შერჩეული: თუ სამეგრელოს ტერიტორიაზე მოსახლეობის რაღაც ნაწილს ჩააწვეთებენ სეპარატიზმის იდეას, სამეგრელოს დიდ ტერიტორიას, რომელსაც გასასვლელი აქვს ზღვაზე ფოთის პორტის სახით, მოიქცევენ გავლენის ქვეშ.



**სოლისებურად ჭრიან: გულისკენ მოდიან. მეგრელები არიან ყველაზე ტიტულოვანი ეთნოსის წარმომადგენლები, სამეგრელოს აქვს ყველაზე დიდი ტერიტორია, მდებარეობს გეოპოლიტიკურად მომგებიან სივრცეში, აქვს გასასვლელი ზღვაზე**

**– რატომ არ აირჩიეს ჯავახეთი? თუ სომხეთს არ შეუქმნეს პრობლემა, რომელიც ისედაც ჩიხშია?**

– სოლისებურად ჭრიან: გულისკენ მოდიან. მეგრელები არიან ყველაზე ტიტულოვანი ეთნოსის წარმომადგენლები, სამეგრელოს აქვს ყველაზე დიდი ტერიტორია, მდებარეობს გეოპოლიტიკურად მომგებიან სივრცეში, აქვს გასასვლელი ზღვისკენ. ვინც აკონტროლებს სამეგრელოს, ის აკონტროლებს საქართველოს დიდ ნაწილს. მგონია, რომ დასავლეთ საქართველოს ხელოვნური გამოყოფა ხდება. აფხაზეთი მუშაობს სამეგრელოს გახლეჩაზე, ცხინვალის რეგიონის მხრიდან კი ხდება შიდა ქართლის ტერიტორიების მითვისება.

**– ურტყამენ ქართლსა და სამეგრელოს, რაზეც ძირითადად დგას ქართული სახელმწიფოებრიობა?**

– დიახ, ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილებს: ქართლი არის საქართველოს გული, საიდანაც დაიწყო საქართველოს ინტეგრაცია.

**– სამეგრელოს გარეშე კი საქართველო, უბრალოდ, ვერ იარსებებს.**

– ამიტომ, სამეგრელოში აკეთებენ ლატენტურ ექსპანსიას: თუ ორ ტიტულოვან ეთნოსს გათიშავ და დაიმორჩილებ, საქართველოდ რაღა რჩება?! აი, ამ იდეას ავითარებს სურკოვი თავის გუნდთან ერთად.

**– თქვენ გჯერათ, რომ, შეიძლება, იმუშაოს მეგრული სეპარატიზმის იდეამ? ასე ადვილია ჩვენი გათიშვა?**

– გააჩნია, რა კუთხით მიუდგები საკითხს. იმუშავა იმ ნაღმმა, რაც საბჭოთა პერიოდში ავტონომიების სახით ჩაგვიდეს.

**– მაგრამ, ოსი არ არის ქართველი, არც – აფხაზი, მაგრამ, მეგრელი ქართველია?**

– ისე გავიზარდე, რომ ოსი ძირძველი ქართველი მეგონა. ის, რომ, თურმე, შეიძლება ვინმე ფიქრობდეს, მეგრელი არ არის ქართველი, აღმოვაჩინე სტუდენტობისას: სამი მეგრელი კურსელი მყავდა, რომლებიც პირდაპირ აცხადებდნენ, რომ მეგრელები ქართველები არ არიან და ქორთუები არიან დამპყრობლები. მე მათ გვარებს არ დავასახელებ, მაგრამ, ჩემთვის აღმოჩენა იყო, რომ, შეიძლებოდა, არსებულიყო ვინმე, ვინც ამას იტყოდა. მაგალითად, მართალია, ყოველგვარი სეპარატიზმის გარეშე, მაგრამ, ზვიად გამსახურდია სამეგრელოს ერთიან ფორმატში აფხაზეთთან ერთად უპირისპირებდა სამხედრო საბჭოს. ანუ, ჩვენი პოლიტიკოსები სამეგრელოს იყენებენ, როგორც შიდა პოლიტიკური დაბალანსების საშუალებას: თუ სამეგრელო ჩვენს მხარეზეა, ვიგებთ შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებას. თუ ზვიად გამსახურდია, პირიქით, აფხაზებს აქეთ ითრევდა – ერთობლივი ძალებით სამეგრელოსთან დავამხოთ ხუნტა და გავაგრძელოთ ცხოვრება ერთადო, ახლა პროცესი ექსტრავერტულია: იდეა მოდის გარედან. მეტიც, გარდა იმისა, რომ სეპარატიზმის იდეა შემოაგდეს, პოლიტიკურ მოდელსაც გვთავაზობენ: გალს აძლევენ პოლიტიკური ავტონომიის სტატუსს, მეგრულს გამოაცხადებენ ტიტულოვან ენად, სვანებს აძლევენ კულტურულ ავტონომიას. აი, ასეთი მოდელიც აქვს გარკვეულ პოლიტიკურ წრეებს აფხაზეთში და, როგორც ჩანს, ეს გეგმა კრემლის მიერაა დაქოქილი. აიძულებენ აფხაზებს, გალის საკითხი ასეთნაირად მოგვარდეს, იმიტომ, რომ გალი ყოველთვის იყო პრობლემური როგორც აფხაზებისთვის, ისე მოსკოვისთვის. თან, გალში რუსებმა მთელი სამხედრო ზონა შექმნეს. იქ განლაგებულია რუსეთის ფედერალური სამსახურის მთელი კონტინგენტი, მოქმედებს ანტიტერორისტული ცენტრი, დაზვერვა, ანუ, გალი, ფაქტობრივად, „ეფესბეს“ დასაყრდენი ად-

## აკაკი წერეთლის სევდიანი მონატრება



ჩემო საყვარელო შვილო, აკაკი! დიდი გულისტკივილით და ცხარე ცრემლებით გილოცავთ ახალ წელს. დღე, რომელიც ასე ძალიან გიყვარდა, ჩვენთვის სიკვდილის ტოლფასია. მოვალთ შენს იმქვეყნიურ საუფლოსთან ცოცხალი ყვავილებით და ცრემლებით მოგილოცავთ. გეტყვით, ჩემო საამაყო შვილო – შენ ჩვენთვის ცოცხალი ხარ და შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

**ა**რ ვიცით, როგორ ვცოცხლობთ უშენოდ,
**კ**არგს არაფერს ველით.
**ა**რ გვჯერა შენი გარდაცვალება,
**კ**არებთან ისევ გელით.
**ი**ქნება მალე შევხვდეთ ერთმანეთს, ჩვენ მოუთმენლად ველით.

**შენი მშობლები – ციალა და თენგიზ წერეთლები**

გილი გახდა. აშენებენ დიდ ქალაქსაც, რომელიც „ეფესბეს“ ცენტრალურ აპარატს დაექვემდებარება. იქ აწყობენ ინფრასტრუქტურას: რუსები ცდილობენ, აფხაზებსაც კი აართვან გალზე კონტროლი. თუკი აფხაზებს გალს გამოაცხადებინებენ პოლიტიკურ ავტონომიად, აფხაზები იძულებულნი იქნებიან, დაუთმონ მმართველობითი ადგილები იმ პირებს, რომლებიც ამ პოლიტიკურ ავტონომიას ჩაუდგებიან სათავეში, რომლებსაც კრემლი უშუალოდ თავის დაქვემდებარებაში გადაიყვანს.

**– ანუ, გალის პოლიტიკურ ერთეულს პირდაპირ მართავს?**

– პირობითად ვიღაც იქაური ადგილობრივი ქართველის, მეგრელის მიერ, მაგრამ, ისინი იქნებიან ანგარიშვალდებულები უშუალოდ კრემლის მიმართ. გალელებს უშუალოდ აფხაზებთან აქვთ დაპირისპირება და პოლიტიკური ავტონომიის მიღება იქნება მათთვის კრემლის ერთგვარი საჩუქარი. ეჭვი არ მეპარება, გამოჩნდებიან იქ ქართველები, რომლებიც ამას დათანხმდებიან.

**– ნაძირლები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან.**

– ისტორიულად ასეთებს რა დალევს. გალს, როგორც რუსეთის სპეცსამსახურების პლაცდარმს, პოლიტიკური ავტონომიის სახით გამოიყენებენ საქართველოს შიგნით იდეოლოგიური ომის საწარმოებლად.

**– დავაზუსტებ: აი, გალი გახდება პოლიტიკურ-ავტონომიური წარმონაქმნი, სადაც მეგრული ენა პრიორიტეტულია, სამეგრელო კი მხოლოდ ერთ-ერთი რეგიონია საქართველოსი, მეგრული ენის გარეშე და ასე შემდეგ.**

– შემოაგდებენ ორი სამეგრელოს პრობლემას. რომ, აი, არსებობს, პირობითად, დასავლეთ სამეგრელო და აღმოსავლეთ სამეგრელო.

**– და ეს ორი სამეგრელო უნდა გაერთიანდეს აფხაზეთთან?!**

– შეიძლება, ცალკე პოლიტიკური ერთეულის სახითაც ჩამოყალიბდეს, ისევე, როგორც ორი ოსეთის გაერთიანების იდეა შემოგვიგდეს. ჯერ ქართლის ძირძველ ტერიორიაზე შემოუშვეს ოსური ეთნოსი, შემდეგ მისცეს კულტურული ავტონომია, მოგვიანებით – პოლიტიკური ავტონომია, ხოლო, ბოლოს, რაც მოხდა, კარგად ვიცით, დღეს კი საუბარია, რომ ორი ოსეთი უნდა გაერთიანდეს და აღდგეს ისტორიული ალანია. თიბილოვი სწორედ ამ ლოზუნგით მოვიდა. ცოტა ხნის წინათ მოსკოვმა ჩრდილოეთ ოსეთს სტატუსი დაუმდაბლა – მის ხელმძღვანელს ერქმევა არა პრეზიდენტი, არამედ, ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელი. ანუ „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსი ჩრდილოეთ ოსეთთან მიმართებაში მეტი გამოდის და, თუ შეერთება მოინდომეს, რთული სათქმელია, ვინ ვის გაუერთიანდება. არ ვიცი, შეიძლება, „სამხრეთ ოსეთის“ სახელმწიფო გააკეთონ. არ გამიკვირდება, ჩრდილოეთ ოსეთი გაუერთიანონ სამხრეთს და შექმნან ალანია, რადგან, მხოლოდ „სამხრეთ ოსეთით“ შორს ვერ წავლენ, თუმცა, მათი შეერთებით პრობლემა იქმნება ინგუშებთან მიმართებაში. ყოველი შემთხვევისთვის, განვმარტავ, რომ ეს მხოლოდ ჰიპოთეტური მოდელებია.

**– აზერბაიჯანულ საიტზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ თბილისელი სომხების გამოყენებას აპირებს რფ მეხუთე კოლონად. სხვა თემაა, რამდენად რეალურია ეს გეგმა, მაგრამ, ფაქტია, რაღაც მიზანს ემსახურება ასეთი ინფორმაციის გაჩენა. ავლაბარი გამოეყოფა თბილისს თუ რას ელიან?**

– ეს არასერიოზული ამბავი მგონია. არც ჯავახეთის საკითხს დასვამენ, რადგან, ჯავახეთის პრობლემა სომხურ კონტექსტში აქტუალური არ არის, მაშინ, მთიანი ყარაბაღის პრობლემას უნდა მიებას, რაც წამგებიანია როგორც სომხეთისთვის, ისე მოსკოვისთვის და მათ ეს კარგად ესმით. თუმცა, საგულისხმოა, რომ აზერბაიჯანმა ევროპასთან ინტეგრაციაზეც უარი განაცხადა და ლამის ყოველგვარ თანამშრომლობაზეც, რაც აზერბაიჯანის ელიტის შიშების გამოძახილიცაა. ავიღოთ, თუნდაც, ნაბუქოს ვარიანტი: აზერბაიჯანის გაზი მიეწოდება ევროპას, მაგრამ, ევროკავშირს სხვა სტრატეგია ჰქონდა. ევროკავშირის იდეა იყო, რომ თურქმენული და აზერბაიჯანული გაზი ერთობლივად შესულიყო ევროპაში რუსული გაზის გარეშე. რუსებმა შეძლეს ის, რომ თურქმენეთს უარი ათქმევინეს, აზერბაიჯანული გაზი კი იმდენად ცოტაა, რომ ვერ ჰყოფნის ამ იდეის განხორციელებას. ამიტომ, შეიმუშავეს სამხრეთის ნაკადის პროექტი და, თუკი აზერ-

> **თუ ზვიად გამსახურდია პირიქით, აფხაზებს აქეთ ითრევდა – ერთობლივი ძალებით სამეგრელოსთან დავამხოთ ხუნტა და გავაგრძელოთ ცხოვრება ერთადო, ახლა პროცესი ექსტრავერტულია: იდეა მოდის გარედან**

ბაიჯანული და თურქმენული გაზის საერთო კვანძი უნდა შეკრულიყო საქართველოში, რომელსაც გააკონტროლებდა დასავლეთი, ანუ, საქართველო ხდებოდა ეგრეთ წოდებული ჰაბი და ეს ორივე გაზი მიდიოდა ევროპაში, რითაც ევროპის ენერგოდამოკიდებულება რუსეთზე 30 პროცენტით მცირდებოდა და სამხრეთ კავკასიასა და აზიაში ძლიერდებოდა ამერიკისა და ევროკავშირის გავლენა.

მაგრამ, რა გააკეთეს რუსებმა საპასუხოდ? როგორც გითხარით, თურქმენეთი ჩამოაშირეს ამ პროექტს, რამაც დაასუსტა აზერბაიჯანის ენერგოპოზიციები და თურქეთი გახადეს ჰაბად, სადაც მოხდება რუსული და აზერბაიჯანული გაზის შეკვრა და რუსული გაზის დომინანტობით გატანა ევროპაში, ანუ, ევროპა მარწუხებში მოიქციეს.

**– მე ისევ ჩვენს ქვეყანაში მათ სოლისებურ შემოჭრას დავუბრუნდები: რა შეიძლება ამას დაუპირისპირდეს ჩვენი მხრიდან?**

– ეს ყველაზე მთავარი კითხვაა.

**– ასე მშვიდად ხომ ვერ ვუყურებთ, როდის და რა დოზით მოხერხდება სურკოვის იდეების რეალიზება?**

– სამწუხაროდ, რუსეთი, როგორც წესი, თავის იდეებს ახორციელებს ხოლმე საკმაოდ მოკლე პერიოდებში. მას ამის საშუალებას აძლევს ისტორიული იმპერიული გამოცდილება. თუ იდეა შეიმუშავეს, ბერკეტსა და ინსტრუმენტს ამატებენ და მაშინვე აამოქმედებენ საკმაოდ ეფექტიანად. ასე უცებ რეცეპტი არ მაქვს, თუ რა უნდა დავუპირისპიროთ. მეორეც, ამ რეცეპტის გამოტანა სამსჯავროზე არ იქნება მიზანშეწონილი. ეს რეცეპტები ხელისუფლების დღევანდელმა წარმომადგენლებმა უნდა შეიმუშაონ და განიხილონ დახურულ ფორმატში. თავი უნდა იმტვრიონ და გამოსავალი მონახონ. ჩვენ სიღრმისეულად განვიხილეთ პრობლემები, რაც, შესაძლოა, შეექმნას ქართულ სახელმწიფოებრიობას: რომ ის, შეიძლება, გაიჭრას აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად ამ ორი მეთოდის გამოყენებით. ჩვენ ხელისუფლებას დავანახვეთ რეალური სურათი და სავარაუდო დიაგნოზიც დავსვით. მათ უნდა მონახონ გამოსავალი და, კარგი იქნება, თუ ექსპერტებსაც, ამ საქმის სპეციალისტებს ჩართავენ და კონსენსუსით მიიღებენ გადაწყვეტილებას, ხოლო, თუ ჰგონიათ, რომ მათ შეუძლიათ, იმოქმედონ ეფექტიანად და მხოლოდ თავად არიან მაღალი დონის მენეჯერები პოლიტიკური მმართველობის კუთხით, მათი ნებაა. ჩვენ არასწორად რომ აღვიქვით რუსეთის საფრთხე, იმიტომაც მივიღეთ 2008 წლის ომი და ამის შედეგები. 2008 წლის აპრილში მქონდა სცენარი, თუ როგორ შეიძლებოდა, განვითარებულიყო მოვლენები და, როდესაც დამიჭირეს, ამაზე შემომედავნენ, საიდან გქონდა ინფორმაცია, ვინ მოგაწოდაო. სწორედ 2008 წლის აპრილიდან დამაბრალეს საიდუმლო ინფორმაციის გაცემა, მანამდე პერიოდზე არ მედავებიან. მაშინ ჩავერიე, გამოვთქვი აზრი, რომ ჩემი ქვეყნისთვის ამერიდებინა ხიფათი და ჯაშუშობა დამაბრალეს, სხვათა შორის, არარსებული სპეცსამსახურების. იმავე შეცდომას აღარ გავიმეორებ და, მაქვს უფლება, ვთქვა, არ არის ეს ჩემი საქმე, თორემ, ახლა, შეიძლება, მთვარის ჯაშუშობა დამაბრალონ.

**ნინო ხაჩიძე**




**სულ ახლახან საქართველოს მთავრობამ თამბაქოს კონტროლის შესახებ 4-წლიანი გეგმა დაამტკიცა, რომლის მიზანიც თამბაქოს მავნე ზემოქმედებისგან მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვაა (როგორც მწეველების, ისე არამწეველების). არამწეველებს მწეველებისგან დაიცავენ – მოწევა აიკრძალება საზოგადოებრივ ადგილებში (ისიცაა, რომ ეს უკვე აკრძალულია), მწეველებს კი თამბაქოზე მაღალი ფასებით გააუვნებელყოფებენ (ანუ ფილტვებს გადაურჩენენ, ჯიბეს კი გაუცამტვერებენ). ასეა თუ ისე, თამბაქო მართლაც მავნებელია და მთავრობამ, დიახაც რომ, უნდა უზრუნველყოს მოქალაქეების ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრება. მეორე მხრივ, ცნობილია, რომ, განსაკუთრებით, დედაქალაქში ჰაერი საგანგაშოდაა დაბინძურებული და ამის მიზეზი არა თამბაქოს კვამლი, არამედ ავტომანქანების გამონაბოლქვია. ამ გამონაბოლქვის მავნებლობა კი იმ საწვავის ბრალია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში შემოდის – რომელსაც სახელად ჰქვია ევროპული, თუმცა ევროპულ სტანდარტებთან იმდენი საერთო აქვს, რამდენიც, მაგალითად, მე – მატა ჰართან. შესაბამისად, მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ჩემი მოკრძალებული აზრით, უპირველესად, ქვეყანაში შემოტანილი საწვავის სტანდარტის ამაღლებას უნდა გულისხმობდეს. თემაზე გარემოს დაცვითი ექსპერტი მალხაზ ადეიშვილი გვესაუბრება.**

# რა არის საქართველოში ჰაერის ნორმაზე ზემოთ დაბინძურების მთავარი ფაქტორი და რატომ აქვეყნებს გარემოს დაცვის სააგენტო მონაცემებს რამდენიმეთვიანი დაგვიანებით

**– რა ძირითადი ფაქტორები იწვევს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას?**

– ჰაერის დაბინძურების გამომწვევი მრავალი ფაქტორია, მაგრამ უმთავრესია გამონაბოლქვი ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან, სამრეწველო, ენერგეტიკული და სასოფლო-სამეურნეო ობიექტებიდან.

**– სასოფლო-სამეურნეო ობიექტებში გადამამუშავებელი ქარხნები იგულისხმება?**

– დიახ, ასევე, დიდი, სამრეწველო მასშტაბის ფერმები.

**– ჩვენ ამ ტიპის გამონაბოლქვის საფრთხე ჯერჯერობით არ გვემუქრება.**

– ჩვენთან ნაკლებადაა, ეს უფრო განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. საქართველოს კონტექსტში უმთავრესია ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვი, საერთო რაოდენობის 70 პროცენტზე მეტი მათზე მოდის. ადამიანის მოქმედების შედეგად გარემოში შესაძლოა, გაიფრქვეს ათეულობით და ასეულობით მავნე ნივთიერება, თუმცა ძირითადი დამაბინძურებლებია ნახშირჟანგი, აზოტის და გოგირდის ორჟანგები, ასევე, აქროლადი ორგანული ნაერთები. ამ თვალსაზრისით, მაგალითად, ნახშირჟანგის გაფრქვევის 87 პროცენტი მოდის ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, ასევე, აზოტის ჟანგეულების – 70 პროცენტი, გოგირდის ორჟანგის – 50 პროცენტი და აქროლადი ორგანული ნაერთების – 60 პროცენტი.

**– და ამ ყველაფერს აფრქვევენ ავტოსატრანსპორტო საშუალებები.**

– დიახ, მაგრამ ამ მავნე ნივთიერებების გაფრქვევის მხრივ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში განსხვავებული მდგომარეობაა. როგორც ჩემთვისაა ცნობილი, საქართველოს ავტოპარკის საერთო რაოდენობამ 800 000-ს მიაღწია და აქედან 40 პროცენტი თბილისშია თავმოყრილი. შესაბამისად, ბუნებრივია, ყველაზე მეტად ჰაერი თბილისშია დაბინძურებული და დაბინძურების 95 პროცენტი მოდის ავტოტრანსპორტზე.

**– თბილისს გარეთ რა მდგომარეობაა?**

– გარემოს დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული გარემოს დაცვის სააგენტო 5 ქალაქში აწარმოებს ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგს: თბილისში, ბათუმში, ზესტაფონში, რუსთავმა და კასპში. ქალაქები შერჩეულია მოსახლეობის რაოდენობისა და დამაბინძურებელი წყაროების მიხედვით. ზესტაფონში ტრანსპორტის პრობლემა არ არის, მაგრამ არის მანგანუმის ჟანგეულების, ანუ მანგანუმის მტვრის ემისიის პრობლემა. რუსთავშიც საწარმოებია დაბინძურების მთავარი წყარო, თუმცა ყველაზე მწვავედ მაინც თბილისში დგას ეს პრობლემა. თბილისის ფარგლებში ჰაერის ხარისხი 4 პუნქტში იზომება: კვინიტაძის ქუჩაზე, წერეთლისა და მოსკოვის გამზირებზე და წელს კიდევ ერთი პუნქტი დაემატა ვაშლიჯვარში. საბჭოთა კავშირის პერიოდში ატმოსფერულ ჰაერზე დაკვირვების შედარებით კარგი სისტემა იყო და, თუ არ ვცდები, თბილისის ფარგლებში 8 პუნქტში იზომებოდა ხარისხის სხვადასხვა ნივთიერების მიხედვით. გასული საუკუნის 90-იან წლებში იმ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას აწარმოებდა, დიდი პრობლემები შეექმნა, და გარკვეულ პერიოდში თითქმის აღარ აწარმოებდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე დაკვირვებას მთელ თბილისში. ბოლო პერიოდში დარგმა გამოცოცხლება დაიწყო და ეს უკავშირდება, ერთი მხრივ, შედარებით მეტ ფინანსურ რესურსს, რაც გამოყო სახელმწიფომ და, მეორე მხრივ, ქვეყანამ მიიღო საერთაშორისო დახმარებები ამგვარი სამუშაოებისთვის.

**– მთავარი კითხვა მაინც ის არის, რაში ვიყენებთ ამ დაკვირვების შედეგებს?**

– ეს მონაცემები გროვდება გარემოს დაცვის სააგენტოს მიერ და ის მათ პერიოდულად აქვეყნებს თავის ვებ-გვერდზე, თუმცა ამ დროისთვის მონაცემი, რომელიც დევს ვებ-გვერდზე, არის აგვისტოს თვის. ანუ 3-4 თვის შემდეგ ვიგებთ ინფორმაციას, რა ხარისხის ატმოსფერული ჰაერი იყო თბილისში. ცხადია, ეს არ არის სასურველი, რადგან ადამიანს ურჩევნია, იცოდეს, რა ხდება რეალურ დროში. არის ქალაქები, სადაც რეალურ დროში ავტომატურად იღებენ მონაცემებს და ადამიანმა იცის, იმ კონკრეტულ ქალაქში კონკრეტულ დროსა და ადგილას, როგორია ჰაერის დაბინძურების ხარისხი.



**გოგირდოვანი ბენზინის გამოყენებისას გამონაბოლქვ აირში ხვდება გოგირდმჟავა, ეთილირებული ბენზინის გამოყენებისას კი – ტყვია, რომლის ტოქსიკური ზემოქმედება ვლინდება მოლეკულურ და უჯრედულ დონეზე, განსაკუთრებით ნერვულ ქსოვილში**

**– და, ბოლოს და ბოლოს, იქ იმ დროს არ მიხვალ.**

– რა თქმა უნდა. ადამიანს აქვს არჩევნის საშუალება: მივიდეს თუ არა იქ იმ დროს, თუ სხვა გზებს მიმართოს გადასაადგილებლად. ჩვენ ამ მდგომარეობიდან საკმაოდ შორს ვართ და ის მონაცემებიც, რაც ჩვენთან გროვდება, არ იძლევა სრულ სურათს, თუ რა ხარისხის ჰაერია თბილისში. თუმცა ეს მონაცემები მაინც ადასტურებს, რომ თითქმის ყველა მთავარი დამაბინძურებელი ნივთიერებების თვალსაზრისით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხი არ აკმაყოფილებს ნორმებს. განსაკუთრებით, ეს ეხება აღმაშენებლის გამზირს, ასევე, მაღალია დაბინძურების ხარისხი წერეთლის გამზირზე და ეს მაჩვენებელი განუხრელად იმატებს ბოლო წლების განმავლობაში, რაც, ცხადია, უკავშირდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზრდას ქალაქში და ეს ტენდენცია გაგრძელდება, თუ შესაბამისი ღონისძიებები არ გატარდება.

**– ავტომანქანები იმიტომაც აბინძურებენ ჰაერს, რომ საწვავის ხარისხი არის დაბალი. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში იმპორტირებული საწვავი ჯდება იმ ნორმებში, რაც საქართველოს მთავრობის მიერაა დაწესებული, უბრალოდ ის არ უთავსდება ევროკავშირულ ნორმებს, თუმცა გვამადლიან, ევროპულ საწვავს იაფად ვყიდითო.**

– ჩვენთან ნაკლებად არსებობს სახელმწიფოს მიერ ხარისხის კონტროლის მექანიზმები. ხშირად მომისმენია იმპორტიორების მხრიდან არგუმენტები, რომ მათ მიერ შემოტანილი საწვავი ყველა ნორმას აკმაყოფილებს, მეორე მხრიდან კი, გარემოს დამცველების არგუმენტები, რომ, პირიქით, არ აკმაყოფილებს.

**– მათ მხოლოდ ტყვიით გამდიდრებული საწვავი შემოაქვთ.**

– საქართველოშიც აიკრძალა ტყვიაშემცველი საწვავის შემოტანა, მაგრამ ეს არ გულისხმობს, რომ საერთოდ არ უნდა იყოს ტყვია ბენზინში, არამედ იმას, რომ ტყვიის კონცენტრაცია რაღაც დონეს არ უნდა აღემატებოდეს. თავდაპირველად, ეს იყო 13 მილიგრამი ლიტრში და წინააღმდეგობრივი ინფორმაციაა, რამდენად იცავდნენ ნავთობიმპორტიორები ამ ნორმას. შემდეგ ეს ნორმა გამკაცრდა და ტყვიის შემცველობის მაჩვენებელი ჩამოვიდა 5 მილიგრამზე ლიტრში, რაც უახლოვდება ევროპულ სტანდარტს. ამას გარდა, მნიშვნელოვანია ბენზინში გოგირდშემცველობაც, როგორც ვიცი, 2014 წლიდან კიდევ უფრო მკაცრი ნორმა შემოდის საქართველოში საწვავში გოგირდშემცვლეობასთან დაკავშირებით, რომელიც კიდევ უფრო გამკაცრდება, რომ საბოლოოდ, ევროკავშირის სტანდარტს მივუახლოვდეთ. ეს განისაზღვრება ასოცირების ხელშეკრულებითაც. საერთოდ, ეს ხელშეკრულება დიდ ზეგავლენას მოახდენს საქართველოს კანონმდებლობაზე, იმიტომ რომ, ევროკავშირს ძალიან მკაცრი კანონმდებლობა აქვს გარემოს დაცვასთან მიმართებაში. თუ გავაგრძელებთ ევროკავშირთან ასოცირების პროცესს, აუცილებლად მოგვიწევს ამ ნორმების ფუნდამენტურად გადახედვა და არა მხოლოდ საწვავთან მიმართებაში.

**– უფრო ნათელი წარმოდგენა რომ შეექმნას მკითხველს, განვუმარტოთ, რა ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე დაბინძურებულ გარემოში ცხოვრება, განსაკუთრებით, უხარისხო საწვავის გამო გამოფრქვეული ტყვიისა და გოგირდშემცველი ნივთიერებები?**

– მიუხედავად იმისა, რომ რთულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასა და ადამიანის ჯანმრთელობას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა, ხანგრძლივი ტოქსიკოლოგიური და ეპიდემიოლოგიური კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ მსოფლიოს მრავალ ქალაქში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება წარმოადგენს ავადობის, ინვალიდობისა და სიკვდილიანობის პო-

# როგორ დაინიშნა აწ უფლებადამცველი, მაშინ კი იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური სამსახურის უფროსის, ოთარ კახიძის, მეუღლე შემოსავლების სამსახურში სამმართველოს უფროსად

დღეს ის უფლებადამცველია, თან, ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და შს მინისტრის, ივანე მერაბიშვილის ადვოკატი და, ჩვეულებისამებრ, უკვე ამ ხელისუფლებას – როგორც აღმასრულებელსა და საკანონმდებლოს, ისე ახლა უკვე სასამართლოსაც – იმას უწუნებს (უფრო ზუსტად, იმის მეასედს), რასაც წინა ხელისუფლება, რომლის წევრი თავად იყო, ყოველგვარი ახსნაგანმარტების გარეშე აკეთებდა. 1983 წელს დაბადებული ოთარ კახიძე საზოგადოებამ არასამთავრობო ორგანიზაცია „პოლიტიკის ანალიზის ცენტრის" მკვლევრის ამპლუაში გაიცნო (ცენტრი 2012 წლის დეკემბერშია დაფუძნებული). შესაბამისად, ბევრმა არ იცის, რომ ბ-ნი კახიძე ყოფილი ჩინოვნიკია და 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე მას ისეთი საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა, როგორც იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური სამსახურის უფროსობაა. აწ უკვე შეუძლებელია მისი ბიოგრაფიის მოპოვება, ვინაიდან ეს ინფორმაცია იუსტიციის სამინისტროს საიტზე აღარ იძებნება. სამაგიეროდ, რაკი წინა ხელისუფლებაში ჩინოვნიკად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, საჯარო სამსახურის ბიუროში მისი არაერთი საფინანსო და ქონებრივი დეკლარაცია იძებნება, რაც საშუალებას გვაძლევს, გადავხედოთ, თუ ყოფილი ჩინოვნიკისა და აწ უფლებადამცველის კარიერულ ზრდას ვერა, მისი ქონებისა და შემოსავლების დინამიკას მაინც.

სულ პირველი დეკლარაცია ბ-ნმა კახიძემ 2010 წლის თებერვალში შეავსო, როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური ცენტრის უფროსმა (ის მაშინ მხოლოდ 26 წლის გახლდათ) და ოჯახის წევრებად მიუთითა: 1986 წელს დაბადებული მეუღლე – ანა გაგუა, ორი შვილი: 2005 წელს დაბადებული ვალერი და 2007 წელს დაბადებული დემეტრე. ასევე, მამა – ბ-ნი ვალერი, დედა – ქ-ნი ლია და 1990 წელს დაბადებული ძმა – გიორგი. იმხანად კახიძეების ოჯახში უძრავ ქონებას მხოლოდ ოთარ კახიძის მშობლები ფლობდნენ, ერთობლივად, 50-50-პროცენტიანი წილის უფლებით. კერძოდ, ბინას გოგებაშვილის პირველ შესახვევში (ფართობი – 70 კვ. მ.), მიწის ნაკვეთს აღმაშენებლის ხეივანში (ფართობი – 500 კვ. მ.), საცხოვრებელ სახლს თერჯოლაში და იქვე მდებარე 9 000 კვ. მ. მიწის ნაკვეთს. სამეწარმეო საქმიანობასაც ოჯახის უფროსი თაობა ეწეოდა: ბ-ნი ვალერი კახიძე გახლდათ ერთი შპს-ს პარტნიორი (საიდანაც 2009 წლის განმავლობაში 3 000 ლარის შემოსავალი მიიღო) და მეორე შპს-ს დირექტორი (სულ მის ხელფასს 80 ლარი შეუდგენია). ქ-ნი ლია კახიძეც იყო ერთი შპს-ს პარტნიორი (მანაც წლის განმავლობაში ამ საქმიანობით 3 000 ლარი აიღო) და ერთი შპს-ს დირექტორი (ოღონდ მისმა სახელფასო შემოსავალმა 300 ლარი შეადგინა). შპს-ების სახელწოდებებს ვერ გავწვდით, რადგან მეტად გაურკვეველი ხელითაა დაწერილი.



2009 წელს ოთარ კახიძე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საპარლამენტო მდივანი ყოფილა (რასაც მისთვის 5 000-ლარიანი შემოსავალი მოუტანია), ხოლო ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსობამდე – სამართალშემოქმედების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, რის წყალობითაც, 2009 წლის განმავლობაში, ხელფასის სახით 25 200 ლარი აუღია. ბ-ნმა ვალერი კახაძემ კი, როგორ ოჯახის ექიმმა, 6 000 ლარი მიიღო.

2011 წლის დეკლარაციაში ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი, ოთარ კახიძე ოჯახის წევრებად მხოლოდ ცოლ-შვილს უთითებს და მისი ქონების გრაფა ცარიელია. სამაგიეროდ, გაზრდილია მისი შემოსავლები: მან, როგორც ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა, 2010 წლის განმავლობაში, ხელფასის სახით, 58 000 ლარი აიღო, ხოლო მისმა მეუღლემ, როგორც „ჯი პი სი" აფთიაქის ადამიანური რესურსების შეფასების მენეჯერმა, 15 750 ლარი. 2010 წელს ოთარ კახიძემ „თი ბი სი ბანკიდან" 15 000 ლარის ოდენობის სამომხმარებლო სესხი გამოიტანა, „რესპუბლიკა ბანკიდან" კი – 4 320 აშშ დოლარი, ოღონდ მალევე დააბრუნა. ბინის ქირაობა 1 200 აშშ დოლარი დაუჯდა, ხოლო ავტომანქანის შეძენა 8 200 ლარი (ავტომანქანის მარკა და წელი მითითებული არ არის). იმავე წელს 1 540 ლარად ლეპტოპი შეიძინა, ხოლო ჰონორარის სახით 30 000 აშშ დოლარი მიიღო.

2012 წელს შევსებულ დეკლარაციაში სიახლე ის არის, რომ ბ-ნ კახიძეს მხოლოდ უძრავი ქონება აქვს ავტომანქანა „ბეემვეს" სახით, რომლის ღირებულებაც 11 000 აშშ დოლარია. ბინა არც საცხოვრებელი ჩანს დეკლარაციაში და არც ნაქირავები, სამაგიეროდ, გაზრდილია მისი სახელფასო შემოსავალი – 2011 წლის განმავლობაში ოთარ კახიძემ 60 597 ლარი აიღო. მის მეუღლესაც გამოუცვლია სამუშაო ადგილი – ანა გაგუას „ჯი პი სი" აფთიაქიდან შემოსავლების სამსახურში გადაუნაცვლია. ამჯერად ადამიანური რესურსების განვითარების სამმართველოს უფროსად – და მის წლიურ შემოსავალს 17 600 ლარი შეუდგენია. იმხანად ოთარ კახიძეს საჩუქრად დამსაქმებლისგან 850 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი მიუღია.

**ნინო ხაჩიძე**

---

ტენციალურ რისკ-ფაქტორს. ატმოსფერული ჰაერის ქიმიური დაბინძურება მრავალკომპონენტიანი პროცესია, რაც განაპირობებს ადამიანის ორგანიზმში ერთდროულად რამდენიმე ნივთიერების მოხვედრას. დაავადებების სპექტრი საკმაოდ ფართოა და ძირითადად დამოკიდებულია ჰაერში დამბინძურებლების სახეობაზე, კონცენტრაციაზე, ექსპოზიციის ხანგრძლივობასა და ორგანიზმის მდგომარეობაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ზემოქმედება შედარებით მაღალი რისკის ჯგუფის მოსახლეობაზე, ბავშვებსა და ორსულ ქალებზე. დადგენილია, რომ იმ მიდამოებში, სადაც ატმოსფერული ჰაერი დაბინძურებულია გოგირდისა და აზოტის ოქსიდების მაღალი კონცენტრაციებით, სასუნთქი ორგანოების დაავადება მატულობს 3,5-5-ჯერ. აზოტის ოქსიდები ძლიერ აღიზიანებს ფილტვებს, სასუნთქ გზებს და მათში ანთებით პროცესებს უდებს სათავეს. ნახშირბადის ოქსიდი ასუსტებს ჰემოგლობინის ფუნქციას, რაც იწვევს ქსოვილებში ჟანგბადოვან უკმარისობას, ნერვულ და გულ-სისხლძარღვთა სისტემების ფუნქციის მოშლას. ზოგიერთი ნახშირწყალბადი, განსაკუთრებით ბენზაპირენი, კანცეროგენული თვისებებით გამოირჩევა. ბენზოლი, ფენოლი და ფორმალდეჰიდი, რომელიც ატმოსფეროში ხვდება ნახშირწყალბადების არასრული წვის დროს, იწვევს სასუნთქი გზების, ბრონქებისა და ფილტვების, დაზიანებას, ავთვისებიან სიმსივნეებს, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, ვეგეტაციური ნერვული სისტემის ფუნქციის დარღვევას. გოგირდოვანი ბენზინის გამოყენებისას გამონაბოლქვ აირში ხვდება გოგირდმჟავა, ეთილირებული ბენზინის გამოყენებისას კი – ტყვია, რომლის ტოქსიკური ზემოქმედება ვლინდება მოლეკულურ და უჯრედულ დონეზე, განსაკუთრებით ნერვულ ქსოვილში. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებული ყველა რისკის აღწერა შორს წაგვიყვანდა. მაგრამ, ჩამოთვლილი ეფექტებიც კი საკმარისია იმის საჩვენებლად, თუ რაოდენ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება.

**– რა როლს ასრულებს ჰაერის დაბინძურებაში ძველი და გაუმართავი ავტომანქანები, იმას გარდა, რომ იმ ავტომანქანებში, ძირითადად, „რეგულარის" ტიპის ბენზინი ისხმება?**

– ჩვენთან, ძირითადად, მეორადი ავტომანქანებია. მათგან 44 პროცენტი არის 20 წელზე მეტი ასაკის; 22 პროცენტს შეადგენს 11-15 წლის ავტომანქანები, 6 პროცენტი მოდის 6-დან 10 წლამდე ასაკის ავტომანქანებზე და მხოლოდ 3 პროცენტია 5 წლამდე ავტომანქანები.

**– ეს 3 პროცენტი აშკარად ჩინოვნიკების ავტომანქანები იქნება, ძირითადად, ბიუჯეტის ფულით ნაყიდი და თითო-ოროლა ბიზნესმენების, მონოპლისტებს რომ ვუწოდებთ.**

– კიდევ ერთი ფაქტორი: დღევანდელი საგადასახადო სისტემა ისე არის აგებული, რომ უფრო მეტად ხელს უწყობს 7-12 წლის ავტომანქანების იმპორტს. უფრო ძველი და უფრო ახალი ავტომანქანების განბაჟება უფრო ძვირი ღირს. იგულისხმება, რომ, თუ ახალ ავტომანქანას ყიდულობ, ესე იგი, ფული გაქვს და მაღალი გადასახადებიც უნდა გადაიხადო, ძველის ყიდვისგან კი თავი შეიკავო, რადგან ძალიან ძველ ავტომანქანებს უფრო მაღალი გადასახადი უწევს. ამ მეორადი ავტომანქანის უმეტესობა ძალიან მალე გამოდის მწყობრიდან და, საერთოდაც, ავტომანქანების უმეტესობა ჩვენთან კატალიზატორის გარეშე მოძრაობს, რაც 10-ჯერ ზრდის გამონაბოლქვის ოდენობას. რაც მთავარია, კარგა ხანია, 2004 წლიდან, გაუქმებულია ტექდათვალიერება, ანუ არ ხდება გზაზე ვარგისიანობის რეგულარული შემოწმება. ახლა მიდის მსჯელობა, რომ ისევ შემოიღონ, თუმცა რამდენადაც ვიცი, მისი ამოქმედება არ არის განსაზღვრული 2014 წლიდან.

**– შესაბამისად, თუ ავტოპარკი არ გაახალგაზრდავდა და გაიმართა, საწვავის ხარისხი არ გაუმჯობესდა, ჩვენს ატმოსფერულ ჰაერს არაფერი ეშველება?**

– მოსაწესრიგებელია ავტოპარკი, მისი რაოდენობა, წლოვანება, კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან, საწვავის ხარისხი. ასევე, მნიშვნელოვანია ქალაქში მოძრაობის სისტემის დარეგულირებაც, რადგან საცობებში მეტი გამონაბოლქვია. აუცილებელია მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება, რომ მეტი ინფორმაცია გვქონდეს ჰაერის ხარისხის შესახებ. გარემოს დაცვის სპეციალისტი ვარ და მეც კი გამიჭირდა ამ ტიპის ინფორმაციის მოძიება.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 2 0 0 2 0 0
SMS – 93094
დარეკვა
შეგიძლიათ
ნებისმიერი
ქსელიდან

ზარი ფასიანია

**სასამართლოს მიერ დედაქალაქის მერის თანამდებობიდან გადაყენებას აღშფოთების დიდი ტალღა მოჰყვა: ბ-ნი უგულავას თანამოაზრეები აცხადებენ, რომ არჩეული მერის გადაყენების უფლება არავის აქვს, გარდა „მისი უდიდებულესობა ხალხისა“ და ფაქტი, შესაბამისად, ანტიდემოკრატიულ მოვლენადაც გამოაცხადეს. იმ მარტივი მიზეზით, რომ სულ ახლახან იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი არა მხოლოდ გადააყენეს, მას კიდეც მიუსაჯეს და, ზედაც, გარკვეული პერიოდით პოლიტიკური თანამდებობის დაკავების უფლებაც ჩამოართვეს, სანდრო თვალჭრელიძესთან ერთად გადავხედეთ ერთობ დემოკრატიულ დასავლურ სამყაროში მაღალი რანგის თანამდებობის პირთა გადაყენებისა და დაპატიმრების პრეცედენტებს.**

# როგორ ინარჩუნებს ძალაუფლებას ვადის გასვლის შემდეგაც ბილ კლინთონი და როგორ უნდა იქცეოდეს ყოფილი პრეზიდენტი, რომ ძალაუფლება ხელისუფლებაში ყოფნის შემდეგაც არ დაკარგოს

**– თბილისის მერის გადაყენების საქმეს, რაკი ის არჩეული ყოფილა, ისეთი აჟიოტაჟი მოჰყვა, რომ ლამის ყველას გადაავიწყდა გამოძიების მიერ წარდგენილი ბრალდება, რაც, არც მეტი, არც ნაკლები, 48 მილიონი ლარის ფლანგვას ეხება. ასეთი უცხოა თანამდებობის პირთა გადაყენებისა თუ დაკავების ფაქტები ცხოვრების დემოკრატიული წესისთვის?**

– რასაკვირველია, არა. დავიწყოთ ამერიკის შეერთებული შტატებით, კერძოდ, პრეზიდენტ ნიქსონის იმპიჩმენტით. ის, თავდაპირველად, გადააყენეს, შემდეგ კი იმპიჩმენტი მოუწყვეს. მეორე – იტალია, სილვიო ბერლუსკონი რამდენჯერმე გადააყენა თანამდებობიდან სასამართლომ.

**– ბოლოს, პოლიტიკური თანამდებობის დაკავება აუკრძალეს.**

– ეს უკვე განაჩენია, ძიების დროს კი გადაყენებული იყო თანამდებობიდან. მესამე – საფრანგეთი – სხვა რომ არაფერი, პრეზიდენტი შარლ დე გოლის მაგალითი. საფრანგეთში იყო მეტად საინტერესო ადამიანი, ძალიან დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მოღვაწე, რომელიც იყო რკინიგზის გენერალური დირექტორი. ის დააპატიმრა გამომძიებელმა ევა ჟოლიმ. სასამართლომ გადააყენა თანამდებობიდან და, თუმცა 10 დღეში გაირკვა, რომ აბსოლუტურად უდანაშაულო იყო და ის ფული, რომელსაც მართავდა, ეკუთვნოდა საფრანგეთის საგარეო დაზვერვას, თანამდებობაზე მაინც აღარ აღუდგენიათ. ასეთი უამრავი პრეცედენტია.

დააკვირდით ბატონი კობა კუბლაშვილის განცხადებას, რომელმაც მოსამართლეს დაუჭირა მხარი, არანაირი ზეწოლა არ ყოფილა და თუ მოგწონს განაჩენის ის ნაწილი, რაც შენს სასარგებლოდაა, კეთილი ინებე და მოიწონე მეორე ნაწილიც, რომელიც შენს სასარგებლოდ არ არისო. პოლიტიკურ დევნაზე საუბრისას, უკაცრავად ამ გამონათქვამისთვის, ჯერ პირი გამოირეცხონ. პოლიტიკური დევნა არ იყო, რაც გაუკეთეს სულხან მოლაშვილს? დავით მირცხულავას, რომელსაც ვერაფერი დაუმტკიცდა და სტრასბურგის სასამართლომ გაამართლა?! კობა ნარჩემაშვილი ჩემ თვალწინ დააკავეს ნანული შევარდნაძის პანაშვიდზე. ეს არ იყო პოლიტიკური დევნა და გიგი უგულავას თანამდებობიდან გადაყენებაა პოლიტიკური დევნა?! აი, ასეთ რამეებს რომ ამბობენ, იმიტომაც დაუვარდათ 22-პროცენტიანი რეიტინგი 2 თვეში 9 პროცენტამდე. საბოლოოდ კი, ნულზე ჩამოვა, იმიტომ რომ, ქართველი ადამიანი ბეცი არ არის და ყველაფერს ხედავს.



**იტალიაში სილვიო ბერლუსკონი რამდენჯერმე გადააყენა თანამდებობიდან სასამართლომ**

**– მეც ეს მაინტერესებს, ვერ გრძნობენ, რომ ასეთი ტაქტიკა არ ამართლებს და, პირიქით, უარყოფითად მოქმედებს მათ რეიტინგზე? გენერალური პროკურორი, თუნდაც, ისეთი იყოს, როგორც ისინი ამბობენ, ამას რამე კავშირი აქვს და აქარწყლებს 48-მილიონიან გარღვევას?**

– 48 მილიონი აისბერგის მხოლოდ წვერია. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადებებს თუ გაეცანით, უცნობია, სად წავიდა 600 მილიონი. უკვე 70 მილიონზე ავიდა ეს 48 მილიონი და, საბოლოოდ, ასეულ მილიონზეც ავა, იმიტომ რომ, ისინი სახელმწიფო ხაზინას უჯრაში ცოლის მიერ ჩადებული ფულივით ეპყრობოდნენ. სხვისი და ჩემი, ჩემი და საერთო არ იცოდნენ. შეიძლება, ზოგიერთი მათგანი ხვდება, მაგრამ ეს არის სუფთა ტოტალიტარული, პირამიდული პარტია, სადაც არავის არ აქვს ხმის ამოღების უფლება, გარდა ერთი ადამიანისა, რომელიც უცხოეთში იმყოფება. მან ბრძანა, რომ ეს არის პოლიტიკური დევნა და ესენიც იმეორებენ.

**– მაგრამ ის ერთი ადამიანი უსაფრთხოდაა, ლექციებს წაიკითხავს დემოკრატიაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, დანარჩენები კი აქ არიან?**

– ტოტალიტარულ პარტიებში ყოველთვის თავის თავზე ფიქრობენ და არა სხვაზე. დანარჩენები, ზურაბ ადეიშვილის ჩათვლით, არიან ქანქიკები.

**– თუმცა ძალიან აქტიურია და რადიკალურია შეფასებებში ევროკავშირის ელჩი ბ-ნი დიმიტროვი.**

– ფილიპ დიმიტროვმა გაიხსენოს თავისი პოლიტიკური წარსული.

**– ერთია, რომ უნდა გაიხსენოს და, მეორე, რომ ის ევროკავშირის ელჩია საქართველოში.**

– სერიოზულად არ მიმაჩნია მისი განცხადებები, ის თავის ელჩობას მალე დაასრულებს, ჩამოვა სხვა ტიპის ადამიანი, ნაკლებად კორუმპირებული.

**– კორუმპირებული?!**

– მე არ ვამბობ, რომ ფილიპ დიმიტროვი კორუმპირებულია, მაგრამ კითხვები მის მიმართ ჩნდება. ყოველ შემთხვევაში, თუ ნახავთ ინტერნეტში ფილიპ დიმიტროვის კარიერას ბულგარეთში, ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება. რაც მთავარია, ფილიპ დიმიტროვის განცხადებების პარალელურად, ჩვენ ხელს ვაწერთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, აბსოლუტურად ცალსახა მხარდაჭერა გვაქვს. ასეთ ფონზე, დიმიტროვის განცხადებები უბრალოდ სასაცილოა. ეს გათვლილია არაგანვითარებულ ადამიანებზე, რომლებიც, როგორც გამოკვლევებით ირკვევა, ჩვენს ქვეყანაში 9 პროცენტზე ნაკლებია. ყველა ყველაფერს ხვდება. ჩვენ გრძელი ეროვნული მეხსიერება გვაქვს, ყველაფერი გვახსოვს და ასე ადვილად თავიანთ დანაშაულს, მონანიების გარეშე, ისინი ვერ ჩამოიბანენ. დარწმუნებული ვარ, თუ ასე გაგრძელდა, ეს პარლამენტი არა, მაგრამ შემდგომი პარლამენტი „ნაციონალურ მოძრაობას“ აკრძალავს, როგორც ექსტრემისტულ პარტიას.

**– ცნობილია, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ კარგი გამოცდილება აქვთ, რა იყიდონ, როგორ, რა ტექნოლოგიით?**

– ეს ტექნოლოგიები აღარ მოქმედებს.

**– მაგრამ მათი მხარდამჭერი სტატიები ჩნდება მსოფლიოს წამყვან ბეჭდურ მედიაში.**

– ის ნამდვილად რეფორმატორი იყო, მაგრამ რეფორმები მორგებული იყო იმაზე, რომ აშენებულიყო ტოტალიტარული, ოლიგარქიული მოდელი. ესეც რეფორმაა, როგორც რეფორმა იყო 2004 წელს სამარცხვინო კონსტიტუციის მიღება, შემდეგი, 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებიც სამარცხვინო იყო. ყველა ხედავს, რომ ის ერთ ადამიანზე მორგებული კონსტიტუცია იყო. ქართველ ერს ძალიან კარგად ახსოვს ეს ყველაფერი და ამიტომ ეს სტატიები აღარ მოქმედებს. უცხოეთში პიარი წააგეს.

**– წააგეს?**

– რასაკვირველია.

**– რა ნიშნები ჩანს საამისოდ?**

– ამის ნიშანია ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ევროკავშირიდან ცალსახა მხარდაჭერა. მიხეილ სააკაშვილს ხვდებიან პარლამენტის ცალკეული წევრები, არასამთავრობოების წარმომადგენლები, ამათ ხვდებათ ადმინისტრაციის წარმომადგენლები: ეშტონით დაწყებული და ბაროზოთი დამთავრებული. პოლიტიკა სასტიკი და პრაგმატულია. ადამიანს, რომელსაც ძალაუფლება არ აქვს, უნდა მოიქცეს ისე, როგორც იქცევა, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ქლინთონი და ამით ძალაუფლებას ინარჩუნებს. მიხეილ სააკაშვილი ვერ შეინარჩუნებს ძალაუფლებას, იმიტომ რომ, არასწორ ტექნოლოგიებს იყენებს.

**– როგორ უნდა მოქცეულიყო, შეენარჩუნებინა ძალაუფლება ყოფილი პრეზიდენტის ამპლუაშიც?**

– მას უნდა ჰქონდეს ხალხის მხარდაჭერა. ლეგიტიმაციას იძლევა ხალხის მხარდაჭერა.

**– მე მეჩვენება, რომ მხარდამჭერი სტატიები დასავლურ მედიაში დასავლეთის ინტერესიცაა, რომ დაუმტკიცოს თავის საზოგადოებას, აი, როგორ რეფორმატორს ვმფარველობდით.**

– შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ, მოდი, ჩვენც რაციონალურად ვიაზროვნოთ: სტატია თუ მოგვწონს, ესე იგი, შეკვეთილი არ არის და, თუ არ მოგვწონს – შეკვეთილია?! არადა: მსოფლიოში 7 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს და ყველას თავისი აზრი აქვს. რაც მთავარია, რეალურ პოლიტიკურ პროცესებზე ამას არანაირი გავლენა არ აქვს. თან, წინასგან განსხვავებით, ახალი ხელისუფლება ისტერიკებს არ აწყობს და თავიანთ საქმეს აკეთებენ.

**– როგორ ფიქრობთ, რით დასრულდება კომპრომატების ომი?**

– იმდენად დრომოჭმული ტექნოლოგიებია, რომ ამას არავინ მიაქცევს ყურადღებას. გჯერათ, რომ ციხეში იჯდა გენერალური პროკურორი?! ყაჩაღობისთვის რომ დაეჭირათ, ახლაც ციხეში იჯდებოდა. მეორე, შესაძლოა, მიდიოდა რაღაც გამოძიება, რისიც პირადად მე, არ მჯერა, მაგრამ, რაც მთავარია, ადამიანის საბუთებს, რომელიც სამართალდამცველ ორგანოებში მიდის სამუშაოდ, საკმაოდ ხისტად ამოწმებენ. მით უმეტეს, რომ ჩვენ ინტერპოლის წევრები ვიყავით და ეს ინფორმაცია, რომ ყოფილიყო, მოვიდოდა. მას პირდაპირ მთავარ პროკურორად ხომ არ დაუწყია მუშაობა? ქვემოდან დაიწყო და ასე მარტივად მიიღებდნენ სამუშაოდ ასეთი ბიოგრაფიის ადამიანს?!

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**გოჩა გვენეტაძე** *(38 წლის. თბილისი).*
**დიაგნოზი**: (L5-S1. ლუმბოიშიალგია).

– 7 თვის წინ ამტკივდა წელი, მერე გადამივიდა მარცხენა ფეხში. გავიკეთე მ.რ.ტ. გამოკვლევა. აღმოამაჩნდა L5-S1 მალთაშუა დისკის 8-მილიმეტრიანი პროლაფსი. ნეიროქირურგმა ოპერაცია მირჩია. ეს კი ვიცი, რომ ყოველთვის არ ამართლებს. ოპერაცია არსად გარბის, ამიტომ, მივაკითხე ნევროპათოლოგს, გავიკეთე ძლიერი მოქმედების ნემსები, ვყლაპე ტაბლეტები, ვისვი მალამოები. შემდეგ გავიკეთე ელექტროფორეზი, ჩინური ნემსები, მანუალური თერაპია და შედეგით მაინც უკმაყოფილო ვიყავი. ის იყო, ოპერაციაზე ფიქრი დავიწყე, რომ ჩემმა მეგობარმა ქალბატონ მანანასთან მომასწავლა. არაფრის იმედი აღარ მქონდა, ლამის ძალით წამომიყვანა. ღმერთმა გაახაროს ეს ხალხი. ორ დღეში ძლიერმა ტკივილებმა გამიარა, ტკივილის მთლიანად მოსაცილებლად კი ერთი კვირა დამჭირდა (მაგას ვჩიოდი?). დღეს მე-11 პროცედურას ვიკეთებ. თეძოში ოდნავი ტკივილიღა დამრჩა და ვატყობ, ესეც ნელ-ნელა გადის. უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ, ჩემო ექიმებო, სულ ასეთი წარმატებული ყოფილიყავით!



**ნანა მენთეშაშვილი** *(52 წლის, მუსიკოსი. რუსთავი).*
***დიაგნოზი:*** კისრის (C5-6) დისკოპათია, პოსტოპერაციული ნაწიბუროვანი ცვლილებები.

– 2 წლის წინ, ავარიის შედეგად დამიზიანდა კისერი. ვიწექი საავადმყოფოში, გამიკეთდა სასწრაფო ოპერაცია, რადგან დისკი ზურგის ტვინს აწვებოდა. ოპერაციამ ტკივილების ნაწილი მომიხსნა. მაგრამ, ცოტა ხანში უფრო გამიუარესდა მდგომარეობა – სპასტიკური პარეზი დამემართა. სიარული მიჭირდა, მუხლებს მაღლა ვერ ვწევდი. სხვის დაუხმარებლად ვერ გადავადგილდებოდი. სამსახურს თავი დავანებე, ოჯახს ტვირთად დავაწექი და სანერვიულო გავუჩინე. ჩემმა შვილმა ამ კლინიკის მისამართი დაადგინა. ათი დღეა, დავდივარ, ჩემი მდგომარეობა დღითიდღე უკეთესობისკენ იცვლება. იმედის ნაპერწკალი გამიჩნდა, ტკივილები მთლიანად მომეხსნა. კიდურები უკეთესად ამიმუშავდა, ნაბიჯებს უფრო თავისუფლად ვდგამ. სხვისი დახმარების გარეშე დავდივარ. შემიმცირდა ტერფების დაბუჟება. მკურნალობას ვაგრძელებ დიდი იმედით. ულრმესი მადლობა მანანა ექიმს.

# ბუასილი მარტივად იკურნება

**თამაზ ჭყონია** *(42 წლის, კერძო ბიზნესი. სენაკი).*
**დიაგნოზი**: ანალური ნაპრალი (მწვავე).

– აქ მოსვლისას მქონდა ძლიერი ტკივილი, კუჭის სიმაგრე, დეფეკაცია აუტანელ ტკივილს იწვევდა. მომასწავლეს „ალექსიშვილის კლინიკაში“. დამიდგინდა ღრმა ანალური ნაპრალი, ქირურგმა ოპერაცია მირჩია. მანანა ექიმმა სამკურნალო მალამოები გამატანა და წამლებიც დამინიშნა. 2 დღეში მივხვდი, რომ სწორ მისამართზე მოვსულვარ – 50-60 პროცენტით იკლო ტკივილმა. კუჭის მოქმედებამაც გამოსწორება დაიწყო. მომეხსნა წვა, ქავილი, შებერილობა. ძალიან კმაყოფილი მივდივარ, დიდი მადლობა.

**თამთა დარსაველიძე** *(24 წლის, დიასახლისი. მცხეთა).*
**დიაგნოზი**: მწვავე ჰემოროიდული დაავადება, კოლიტი.

– ორსულობის მეორე ნახევარში შემეზღუდა კუჭის მოქმედება. გამიჩნდა კვანძები. მშობიაროზამ მდგომარეობა გამიმწვავა, კვანძები გასივდა და ზედ აუტანელი ტკივილები დაერთო. ახლა ბავშვი ძუძუზე მყავს, მაგრამ ტკივილებს ველარ გავუძელი და მოვედი. საოცარი შედეგი მივიღე. 1 დღეში შემცირდა ტკივილი, 2 დღეში კვანძები დაცხრა, 3-4 დღეში შეკრულობაც მომეხსნა და სისხლდენაც.

რა სიტყვებით გამოვხატო ჩემი მადლიერება, არ ვიცი. ფეხბედნიერ შობა-ახალ წელს გისურვებთ ყველას!

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

# ალექსიშვილის კლინიკა გილოცავთ შობა-ახალ წელს!

– აქვე მინდა, გავიხსენო, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე წინა ხელისუფლებამ გაავრცელა თითქოს საფრანგეთის ჟანდარმერიის ოფიციალური კადრები, რომ გოგა ხაინდრავა საფრანგეთში კრიმინალურ ავტორიტეტებს შეხვდა. ამან ლამის დიპლომატიური სკანდალი გამოიწვია და ჩაუშალა ოპერაცია ჟანდარმერიას და, ბუნებრივია, ბ-ნი ხაინდრავა არაფერ შუაში იყო. დიახ, ის მაშინ მივიდა თავის მეგობართან, რომელიც თურმე მეთვალყურეობის ქვეშ იყო. იმ დროს რომ ოპერაცია ჩაეტარებინა საფრანგეთის ჟანდარმერიას, გოგა ხაინდრავასაც დააკავებდნენ, მაგრამ, როდესაც გაირკვეოდა ყველაფერი, გამოუშვებდნენ. მე არ მჯერა, რომ ადამიანი, რომელსაც აქვს დანაშაულებრივი წარსული, სამართალდამცველ ორგანოებში დაიწყებდა მუშაობას. მე ვიცი, რომ სისტემაში არ მიიღეს ადამიანი იმის გამო, რომ მართვის მოწმობა ჰქონდა ჩამორთმეული და ნასამართლევს მიიღებდნენ?! მეორეც – მერე რა მოხდა?! გენერალური პროკურორი კი არ აწარმოებდა ამ ძიებას? აწარმოებდა წინა პროკურორი და პროკურატურა. ერთი კაცის უხამსი საქციელი მთელ სტრუქტურას არ ავნებს, პირიქით, მეჩვენება, რომ ნელა მუშაობს პროკურატურა და გაცილებით მეტი ხალხი უნდა დააკავონ, ვიდრე ჰყავთ დაკავებული. დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება.

სხვათა შორის, ნუ დაგვავიწყდება, რომ ავგუსტო პინოჩეტი თანამდებობიდან გადააყენეს 1884 წელს და 2008 წელს გაიცა ბრძანება მისი დაკავების შესახებ, ანუ 24 წლის შემდეგ. ასე რომ, ჩილეში სამართლიანობის აღდგენის პროცესები, დავა უძრავ ქონებაზე დღემდე გრძელდება. ეს ძალიან ხანგრძლივი პროცესია.

**– ჩვენ ვიცით, რომ გერმანიის გაერთიანების შემდეგ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებს მიეცათ საშუალება, ენახათ საკუთარი დოსიეები, რომლებიც მათზე ჰქონდა „შტაზს“, გერმანულ უშიშროებას. არ გვაქვს უფლება, ვიცოდეთ, რა ტიპის ინფორმაციას ინახავდნენ საქართველოს მოქალაქეებზე?**

– ეს არ არის პირადი დოსიე, ეს არის ოპერატიული მასალა, კანონიერად თუ უკანონოდ მოპოვებული, რომელსაც ვერავის მისცემენ. იქ სხვაგვარად იყო – არსებობდა საქმეები თავისი ნომრებით. იქ პრინციპულად სხვა სიტუაცია იყო. ნუ გავიწყდებათ, რომ იყო კომუნისტური რეჟიმი, განხორციელდა რადიკალური ცვლილებები, ჩვენთან კი ძირითადი ფასეულობები არ შეცვლილა. პირადად მე მომხრე ვარ, მივიღოთ „ლუსტრაციის კანონი“, მაგრამ, ეტყობა, იმდენი ხალხია გასვრილი კომუნისტურ სტრუქტურებთან თანამშრომლობაში, არ გამოდის.

**– მე მაინტერესებს, ჩემზე რა ინფორმაციას აგროვებდნენ, მით უმეტეს, თუ უკანონოდ ხდებოდა ეს.**

– „ლუსტრაციის კანონის“ გარეშე ამის გაკეთება არ შეიძლება, იმიტომ რომ, ჩნდება კითხვა, საიდან დავიწყოთ? 1921 წლიდან, 1783 წლიდან, თუ დოსიეს ნახავ, ყველაფერი უნდა ნახო. ხომ არ შეიძლება, ვთქვათ, მხოლოდ 2000 წლიდან ინახოს?! ამას ბევრი ეწინააღმდეგება და, მათ შორის, დღეს პარლამენტში მყოფებიც.

**– არის მოსაზრება, რომ ხელისუფლების მოქმედ წევრებზე საკმაოდ ბევრი კომპრომატი აქვთ გატანილი ყოფილებს და უცხოეთიდან აშანტაჟებენ.**

– ამის არ მჯერა. ჯერ ერთი, მასალების გატანა ძალიან ძნელია; მეორეც, არ აჩვენეს თავის დროზე მაკომპრომეტირებელი მასალები მიხეილ სააკაშვილსა და ზურაბ ჟვანიაზე? იმოქმედა ვინმეზე?! ბოლოს და ბოლოს, რის თქმა შეუძლიათ ამ კომპრომატებით? ვთქვათ, ვინმე არის საყვარელთან ან გეია. ეს ტექნოლოგიები აღარ მუშაობს: იყოს გეი ან ჰყავდეს საყვარელი. დასმენაშიც რომც ამხილონ ვინმე, იტყვიან, აიძულესო. ქართველი მსხვერპლისადმი უფრო ლმობიერია. ამასთან, ამის გაკეთება რომ შეძლებოდათ, დიდი ხანია, გააკეთებდნენ.

**– რას ურჩევთ ხელისუფლებას, როგორ უპასუხოს „ნაციონალური მოძრაობის“ ტაქტიკას?**

– არ მიაქციონ ყურადღება.

**– მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილი მოითხოვს რეაგირებას?**

– ასეთია დემოკრატიული ცხოვრება. მათ აქვთ უფლება, გამოხატონ თავიანთი აზრი, თუმცა პირადად მე, არ მომწონს მათი აზრები, განსაკუთრებით, „სამართლიანი არჩევნების“. ძალიან დაუფიქრებლად აკეთებენ განცხადებებს, მაგრამ ეს მათი სრული უფლებაა და მთავრობა აბსოლუტურად სწორად იქცევა, როდესაც ყურადღებას არ აქცევს. მე, მაგალითად, არც მერაბიშვილის განცხადებაზე დავიწყებდი მოკვლევას. ბოლოს და ბოლოს, რა თქვა მან? გამომიძახეს დაკითხვაზე და გენერალური პროკურორი მაიძულებდა, გამეხსნა სააკაშვილის ანგარიშებიო. არ უწამებიათ და ნემსები არ გაუკეთებიათ. პროკურორს კი აქვს უფლება, დასვას შეკითხვები. მეორე – მითხარით, საიდან უნდა იცოდეს მერაბიშვილმა სააკაშვილის საბანკო ანგარიშები? მით უმეტეს, რომ, თანამედროვე ტექნოლოგიას იღებდნენ და ანგარიშის ნომრებს ვერ გაიგებდნენ? მით უმეტეს, რომ ვანო მერაბიშვილის „ჰარდ დისკები“ წაღებულია. ზეპირად ხომ არ ეცოდინებოდა, სადღაც ექნებოდა ჩაწერილი?! პროკურორები არ სვამენ ისეთ კითხვებს, რომელსაც ადამიანი პასუხს ვერ გასცემს. მაგალითად, რომც მაწამონ, ჩემი ანგარიშის ნომერს ვერ ვიტყვი, იმიტომ რომ, არ მახსოვს. ამდენად, თუ გააანალიზებ ამ ბრალდებებს პროკურატურის მიმართ, ეს საქმე საპნის ბუშტივით სკდება.

**ნინო ხაჩიძე**

# რა ურთიერთობა ჰქონდათ დავით ბაგრატიონ-მუხრანელისა და ანა ბაგრატიონის წინაპრებს

ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის მერე, როგორც ვიცით, ჩამოყალიბდა სამი სამეფო: ქართლის, კახეთისა და იმერეთის.

ქართლის სამეფოს სათავეში ჩაუდგა ალექსანდრე პირველი დიდის მეორე ვაჟის, დიმიტრის შვილი – კონსტანტინე მეორე (ტფილისის ტახტზე მჯდომების ნუმერაცია აგრძელებს ერთიანი საქართველოს მეფეთა ნუმერაციას). მისი შთამომავლები არიან ქართლის (მუხრანის) ბაგრატიონები (ამაზე ქვემოთ).

იმერეთში გამეფდა ალექსანდრე პირველი დიდის ძმის, გიორგის შვილი ბაგრატი. ის ერთი პერიოდი საქართველოს ტახტსაც ფლობდა. გიორგი მერვე ტყვედ რომ ჰყავდა სამცხის ათაბაგს, მან ცოტა ხნით დაიკავა ტფილისი. მერე, გიორგი რომ კახეთში გადავიდა გასამეფებლად, 1466-1478 წლებში ბაგრატი იმერეთ-ქართლს ფლობდა, ამიტომ მას ეწოდება ბაგრატ მეექვსე (იმერეთში ეწოდება ბაგრატ მეორე).

როგორც ვთქვით, კახეთის სამეფო ჩამოაყალიბა გიორგი მერვემ, ალექსანდრე პირველი დიდის მესამე შვილმა, რომელიც მანამდე საქართველოს მეფე იყო (ტფილისის ტახტზე გიორგი მერვე), კახეთში გამეფების მერე კი გიორგი პირველად იწოდება.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უბრალოდ – მხოლოდ ინტრიგებით და პოლიტიკური დებატებით არ მომხდარა, არამედ ყოველივე ამას ბრძოლებიც ახლდა და სისხლისღვრაც. სამწუხაროდ, დაიღუპა არაერთი ქართველი ვაჟკაცი, სახელმწიფო დაიშალა, ქართველობა დასუსტდა. გარშემო კი მაჰმადიანური მტრული ძალა გაბატონდა, განსაკუთრებით 1453 წლიდან, როცა თურქ-ოსმალებმა დაამხეს ბიზანტია, მერე კი, 1459 წელს საქართველოს გამოაცალეს ლაზური მოსახლეობით დასახლებული ტრაპიზონის იმპერია. შიდა ბრძოლების პარალელურად, ხშირი იყო მტრების შემოსევა, რომლებიც დაქუცმაცებულ ქვეყანას ადვილად აოხრებდნენ.

1476 წელს გარდაიცვალა გიორგი მეფე და კახეთის ტახტი დაიკავა მისმა ვაჟმა ალექსანდრე პირველმა.

1477 წელს საქართველოში შემოიჭრა ირანის შაჰი უზუნ-ჰასანი 40 000-იანი ჯარით... ომის გარეშე დაეუფლა ტფილისს, გორს... მოაოხრა ქართლი და მერე სეპარატისტი ათაბაგის სამფლობელო – სამცხეც... არადა, ქართველ მეფე-მთავრებს შეეძლოთ, გამოეყვანათ დაახლოებით ორი ამდენი ჯარისკაცი.

1478 წელს გარდაიცვალა ბაგრატ მეფე. კონსტანტინე მეორემ დაიკავა ტახტი და გახდა ქართლ-იმერეთის მეფე, მაგრამ 1484 წელს დაკარგა იმერეთი და კვლავ დასჯერდა ქართლს. იმერეთის ტახტზე დაჯდა ბაგრატის ვაჟი ალექსანდრე მეორე (იმერეთის ნუმერაცია).

ქართლის მეფე კონსტანტინეს ჰყავდა 7 ვაჟი: დავითი, გიორგი, ბაგრატი, დიმიტრი, ვახტანგი, ალექსანდრე და მელქისედეკი. 1505 წელს მამის გარდაცვალების მერე, ლეგიტიმაციის წესების დაცვით, ტახტზე ავიდა უფროსი ვაჟი - დავით მეათე.

1509 წელს იმერეთის მეფე შეიჭრა ქართლში და გორი დაიკავა, მაგრამ მალე იმერეთში ოსმალები შეიჭრნენ, აიღეს ქუთაისი... ალექსანდრე მეფეს მოუწია იმერეთში დაბრუნება...

1512 წელს ქართლის მეფე დავით მეათეს თავისმა ძმამ, უფლისწულმა ბაგრატმა მოსთხოვა საუფლისწულოდ მუხრანი, არაგვისა და ქსნის ხეობა, სადაც ერთ-ერთი სადროშო ჩამოყალიბდა ქართლის ოთხი სადროშოდან, უფლისწულის მეთაურობით. სამაგიეროდ, ბაგრატი მეფეს შეჰპირდა კახეთის სამეფოდან მომავალ საფრთხესთან გამკლავებას. ასე ჩამოყალიბდა მუხრანის საუფლისწულო-საბატონო. პირველი მუხრანბატონი გახდა ბაგრატი.



ბაგრატი საინტერესო პიროვნება ყოფილა, კარგი მეომარი და მწიგნობარი, პოლემისტი, საეკლესიო მოღვაწე (1539 წელს ბერად აღკვეცილა). ჩვენამდე სრულად მოაღწია მისმა პოლემიკურმა ანტიმაჰმადიანურმა თხზულებამ „მოთხრობაი სჯულთა ულმერთოთა ისმაილიტთაი“. ნაწარმოებში გაკრიტიკებულია ყურანი, მაჰმადიანობა და ქრისტიანობის დოგმატურ მოძღვრებაზე დაყრდნობით გადმოცემულია მისი არსი. თხზულება თავის დროს ძალიან პოპულარული ყოფილა. მისი ავტორი კი იდეოლოგად შეიძლება ჩაითვალოს.

შემდგომში ამ ბაგრატის შთამომავლები ტფილისის ტახტზეც ავიდნენ, მისი უფროსი ძმის, მეფე დავითის მამრობითი შტოს შეწყვეტის გამო. შემდეგ ბაგრატიონ-მუხრანბატონთა ის შტოც (რომელთაც რუსეთში გრუზინსკებს უწოდებდნენ) შეწყდა, თუმცა ბაგრატ მუხრანბატონს უმცროსი შტოდან დარჩა მემკვიდრეები.

დღეს ამ შტოდან ყველაზე კარგად საზოგადოება იცნობს დავით გიორგის (ხორხეს) ძე ბაგრატიონ-მუხრანელს (პატარა უფლისწულ გიორგი მუხრანელის მამაზეა ლაპარაკი), რომელსაც ცოლად ჰყავდა ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი, ალექსანდრე I კახთა მეფის შთამომავალი (სამწუხაროდ, მათი დაშორების ამბავი ახლახან გვამცნეს).

მივუბრუნდეთ სათქმელს. საფრთხე კი კახეთიდან მართლაც იყო მოსალონელი ქართლის სამეფოსთვის... კახეთში ცოტა ხნით ადრე დიდი უბედურება დატრიალდა.

ქართული კუთხეების, „სამეფოების“ წარმომადგენელთა შიდა ომები დიდი უბედურებაა, რა თქმა უნდა, და კიდევ რას უნდა გაეკვირვებინა ადამიანი, მაგრამ კახეთში მოხდა გაუგონარი რამ.

ალექსანდრე კახთ-ბატონს ჰყავდა ორი ვაჟი – გიორგი და დიმიტრი.

თვითონ ალექსანდრე მეფეს ვახუშტი ბაგრატიონი დადებითად ახასიათებს. იგი ყოფილა მშვენიერი ვაჟკაცი, მოწყალე და მშვიდობისმოყვარე. მაგრამ მისი უფროსი ვაჟი, გიორგი მამისაგან ითხოვდა ქართლზე ლაშქრობებს. მეფე-მამა და ძმა – დიმიტრი ეწინააღმდეგებოდნენ მის ზრახვებს, სისხლისღვრას. ერთხელაც, ჩვენი აზრით, ცხელ გულზე, გაგულისებულმა გიორგიმ მოკლა მამა, ძმას კი თვალები დასთხარა.

სხვადასხვა აზრი შეიძლება არსებობდეს ამ ამბავზე. მაგალითად, ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ ეს „ღალატით მოწყობილი მკვლელობა წინასწარ განზრახულსა და განგებულს ბოროტმოქმედებას გულისხმობს და ცხადად მოწმობს, რომ ავ-გიორგის ეს საშინელი საქმე, არც დამაბრმავებელი ვნებათაღელვისა და მით უმეტეს, არც ფათერაკის შედეგი უნდა ყოფილიყო“. მის ვარაუდს ამყარებს ის, რომ გიორგიმ ძმას – დიმიტრის თვალები დასთხარა და ცოლ-შვილით კახეთიდან გააძევა. ავიდა კახეთის ტახტზე და თავი „ლიხთიმერისა და ლიხთამერისა ორისავე ტახტისა და სამეფოის“ მფლობელად გამოაცხადა, ივანე ჯავახიშვილის სიტყვით – „ურცხვად“.

კახთა მეფე გიორგის ამის გამო ხალხმა ავ-გიორგი შეარქვა.

თუმცა, ქრისტიანულად, დავიტოვოთ შანსი, ვიფიქროთ, რომ ეს მკვლელობა მას ძალიან აწუხებდა. ერთი გადმოცემით გიორგი „მოვიდა მცხეთას და სვეტს ცხოველს შემოეხვეწა და იყო რამდენიმე ხანი“. სხვაგან, ავ-გიორგისვე მცხეთისთვის შეწირულობის წიგნში, წერია, რომ კათალიკოს დიონისეს, მთავარეპისკოპოს მალაქიას და ამბა ალავერდელ იოანეს ის უმხილებიათ დიდ ცოდვაში და ისიც აღიარებს. რაც მოიხოვეს კათალიკოსმა და მღვდელმთავრებმა, ყველაფერში დათანხმდა კახთბატონი – „მცხეთის საყდარს შევეხვეწენი და დავიურვეთო“. მას შეწირულობა გაუღია სვეტიცხოვლისთვის და მამის მოსახსენიებლად აღაპის დაწესება მოუთხოვია.

ავ-გიორგის მიერ ძმის დასჯის ფორმაში ჩანს სამართლებრივ-მემკვიდრეობითი შიში. სამეფო წესებით ბრმას არ შეეძლო ტახტზე ასვლა.

ამის შემდგომ ავ-გიორგიმ დაიწყო შეტევები ქართლზე.

დავით მეფეს ძმები სთხოვდნენ ქმედითი ზომები მიეღო და ელაშქრა კახეთზე, რადგან კახთა მეფეებმა „მამათა ჩვენთა კახეთი მოიღესო“, ესე იგი წაგვართვეს, ჩვენიაო. ახლა კი ქართლსაც დავკარგავთ, დავით მეფე თუ არ დათანხმდაო.

მაშინ ინიციატივა ხელში აიღო ბაგრატ უფლისწულმა, პირველმა მუხრანბატონმა. მან ააგო ქსნის ციხე (მტვერის ციხე). ამ ციხესთან ერთხელ დიდი ბრძოლებიც გაიმართა. ბაგრატ მუხრანბატონი ციხეში იყო გამაგრებული, ავ-გიორგიმ კი სამი თვის განმავლობაში, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ აიღო ციხე.

1513 წელს ავ-გიორგიმ ისევ გამოილაშქრა ქართლის წინააღმდეგ. ქართლის ნაწილის დარბევის მერე ალაფით დატვირთულს ჯარი წინ გაუშვია გათამამებულს და ნადირობით ერთობოდა. ამ დროს ბაგრატ უფლისწული მას ჩაუსაფრდა მცირე რაზმით და კახთა მეფე და მისი ამალა ტყვედ აიყვანა.

ავ-გიორგი ქსნის ციხეში ჩააგდეს, სადაც

(გაგრძელება მე-16 გვერდზე)

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“**
***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს***
***ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

**როგორც იცით, „კამელინი" ქართული წარმოების უნიკალური, ორიგინალური, სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალება, ბუნებრივი ნაერთების ერთობლიობაა, რომელიც მზადდება საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში გავრცელებული თაფლისგან. „კამელინი" ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იან წლებში შეიქმნა და დღეს ის უკვე არაერთი ქვეყნის ფარმაცევტებისა და მედიკოსების ყურადღების ცენტრშია. მისი სამკურნალო თვისებების შესახებ ინფორმაცია დიდი ხანია, საქართველოს ფარგლებს გასცდა. დღეს უკვე არაერთი ქვეყნიდან ჩამოდის დელეგაცია, რომელსაც სურს საკუთარ ქვეყანაში ქართული ბუნებრივი წარმოების პრეპარატის, „კამელინის" დარეგისტრირება და შეტანა, რადგან „კამელინი" ნამდვილად უდიდესი პოტენციალის მქონე პრეპარატი და ის ეფექტური საშუალება, რომელიც გამოიყენება როგორც ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი ბაქტერიების, ვირუსებისა და სოკოვანი დაავადების სამკურნალოდ, ასევე სიმსივნის წინააღმდეგ საბრძოლველადაც. „კამელინს" გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, მარეგენერირებელი, ანტისეპტიკური და ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი. აძლიერებს იმუნიტეტს, აჩქარებს შეხორცების პროცესს, აფერხებს სიმსივნური უჯრედების ზრდას, აღადგენს დაზიანებულ უჯრედებს და ქსოვილებს, მათ შორის ღვიძლის უჯრედებს. ძალიან კარგია „კამელინის" გამოყენება კანის, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი და ხანგრძლივად შეუხორცებელი ჭრილობების, ტროპიკული წყლულების, ფურუნკულის, პანარიციუმის, დამწვრობების, მათ შორის მზით მიღებული დამწვრობების, ნაწოლების სამკურნალოდ. ასევე, ეფექტურია „კამელინის" გამოყენება ოპერაციის შემდგომ პერიოდში, ჭრილობების შეხორცების, ორგანიზმის ზოგადი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ასევე, კარგია „კამელინის" გამოყენება ვაგინალური ინფექციების, მათ შორის ბაქტერიული, ვირუსული, სოკოვანი გენეზისის, საშვილოსნოს ანთებითი დაავადებების, საშვილოსნოს ყელის ეროზიების სამკურნალოდ, ასევე, პროქტატების, სწორი ნაწლავების ნახეთქების, ჰემორეის დროს. ასე რომ, „კამელინი" ეფექტურია სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ და ამას ძალიან ბევრი კვლევა და პრაქტიკული მაგალითი ადასტურებს. ასევე, კარგია მისი გამოყენება გრიპოზული დაავადებების სამკურნალოდ. როგორც იცით, ამისთვის უკვე გამოვიდა „კამელინის" ახალი ფორმა „კამელინ ფლუ" – სპრეი.**

# რა არის „კამელინის" განსაკუთრებული სამკურნალო თვისებები, რისი დახმარებითაც ადამიანები სხვადასხვა დაავადებისგან იკურნებიან

## კომპანია „კამელინი" გილოცავთ შობა-ახალ წელს, გისურვებთ ჯანმრთელობას

**კობა გურიელიძე** *(კომპანია „კამელინის" აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი)*: კვებეკის, მონრეალის, ბერნის, ილინოისის, ბრაზილიის სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებში დადგინდა, რომ „კამელინი" შესანიშნავი ანტივირუსული, ანტიბაქტერიული და იმუნური სისტემის გამაძლიერებელი, ბუნებრივი წარმოშობის პრეპარატია და მისი გამოყენება გრიპოზული დაავადებისა და მისი პროფილაქტიკის მიზნით, იდეალური საშუალებაა. იმ შემთხვევაში კი, როცა ვირუსი უკვე უჯრედშია, ხელს უშლის მის გამოსვლას ინფიცირებული კერიდან და სხვა უჯრედებზე გავრცელებას. ამავე დროს, ორგანიზმის იმუნიტეტს საშუალებას აძლევს, გაანადგუროს უჯრედში ლოკალურად შემოჭრილი ვირუსები. რაც ყველაზე მთავარია, „კამელინის" საშუალებით, ვირუსს ხელი ეშლება, თავისი დამანგრეველი გენეტიკური მონაცემები ჩანერგოს ორგანიზმის ჯანმრთელ უჯრედში. მონრეალის ლედი დევისის შიდსისა და ვირუსული დაავადებების ცენტრის, ბერნის უნივერსიტეტის, ილინოისის უნივერსიტეტის, ბრაზილიის უნივერსიტეტის მკვლევრებმა დაადგინეს, რომ პრეპარატი „კამელინი მ1" არა მარტო შესანიშნავად უსწორდება გრიპის გამომწვევ ვირუსს, არამედ პნევმონიის გამომწვევ აღნიშნულ ბაქტერიებსაც (რომლებიც მდგრადია დღეისთვის ხმარებაში არსებული უმეტესი ანტიბიოტიკების მიმართ) ძალზე დაბალ კონცენტრაციებში სპობს. ხშირად, გრიპის შემდგომ პერიოდში სხვა, მეორადი ბაქტერიული ინფექციები აღმოცენდება. ამ შემთხვევაში „კამელინი მ1-ის" გამოყენება, ჩაწვეთებით თუ ინჰალაციის სახით, საუკეთესო შედეგს იძლევა. როგორც „კამელინი მ2", ასევე „კამელინი მ1" და „კამელინი მ4" შესანიშნავი ანტიოქსიდანტი და ანთების საწინააღმდეგო საშუალებაა, ისევე, როგორც „კამელინი მ3" – მალამო, რომელიც იოლად აღწევს ანთების კერამდე და მომენტალურად აქრობს მას. „კამელინ ფლუს" გამოყენება კი ისეთი დაავადებების სამკურნალოდ, როგორიც გრიპოზული, პირის ღრუსა და ყელის ჩირქოვანი, ინფექციური დაავადებები, ანთებითი პროცესებია, ხელს უწყობს პირის ღრუში რეგენერაციის პროცესს და ეფექტურია მისი გამოყენება ანგინის დროს. ანუ, ამ პრეპარატის შექმნის მიზეზი იყო ის, რომ გვინდოდა, მომხდარიყო მისი ამ თვისებების გამოყენება. შესაბამისად, შეიქმნა ახალი პრეპარატი, რომელიც ანთებების, გაციების დროს პირის ღრუში შესხურებისას, ძალიან კარგ ეფექტს იძლევა. პრეპარატში არის ის კომპონენტები, რომელიც ლორწოვან გარსზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში აჩერებს პრეპარატის აქტიურ ნივთიერებებს და, შესაბამისად, ეს უფრო მეტ ეფექტურობას იწვევს. რაც მთავარია, როგორც „კამელინის" სხვა ფორმებს, ასევე, სპრეისაც სხვა წამლებთან მიმართებაში უკუჩვენება არ აქვს და მისი გამოყენება შეიძლება თითქმის ყველა მედიკამენტთან ერთად. თუ კლასიკური თერაპია ამ დაავადებების განკურნებას გვაძლევდა გარკვეულ პერიოდში, „კამელინთან" კომბინაციაში, შედეგი უფრო ეფექტურია. რაც მთავარია, გართულებები, პრაქტიკულად, არ ყოფილა და გამოჯანმრთელებაც უფრო მალე ხდება.

**თ.დ** *(პაციენტი 35 წლის)*: ჩემს მეუღლეს სამი წლის წინ დაუსვეს ფილტვის სიმსივნის დიაგნოზი. ძალიან ცუდად იყო, მკურნალობის ყველა საშუალება გამოვიყენეთ, მაგრამ ამაოდ. ქიმიოთერაპიითაც მკურნალობდა, მაგრამ მისი მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდებოდა. დაახლოებით, ორი წლის წინ, შევიტყვე „კამელინის" შესახებ. ჩემი ახლობელი მკურნალობდა ამ პრეპარატით, მასაც სიმსივნე ჰქონდა, ოღონდ საშვილოსნოზე. როდესაც ვნახე, თუ რა კარგად გრძნობდა ის თავს (ეს ქალბატონი დღესაც მშვენივრად გრძნობს თავს), გადავწყვიტე, ჩემი მეუღლისთვისაც დამეწყო „კამელინის" გაკეთება. სხვათა შორის, თავიდან თვითონ წინააღმდეგი იყო, არადა, ძალიან იყო დასუსტებული. როგორც იქნა, დავითანხმე და დავუწყე „კამელინის" ნემსების გაკეთება, პარალელურად, იღებდა „კამელინის" ფხვნილსაც. დაახლოებით ერთ კვირაში, მდგომარეობა გაუუმჯობესდა, გამოკეთდა, ფეხზე ადგა, გაიარა, რაც მთავარია, საშინელი ტკივილები მოეხსნა. მკურნალობის ოთხი კურსი ჩავუტარე და ახლა თავს მშვენივრად გრძნობს, აღარ აწუხებს ტკივილები, სამსახურშიც გავიდა და იმედიც დაუბრუნდა. „კამელინს" უკვე პროფილაქტიკისთვის იყენებს, როგორც ის, ასევე, მთელი ჩვენი ოჯახი და ახლობლები. მეც მჯერა, რომ ის „კამელინის" დახმარებით სამუდამოდ დააღწევს თავს ამ საშინელ დაავადებას.



40 წლამდე ასაკის ქალბატონს 10 წლის წინ აღმოაჩნდა მარჯვენა მენჯ-ბარძაყის სიმსივნე, ჩაიტარა მკურნალობის თითქმის ყველანაირი კურსი, მაგრამ უშედეგოდ. რამდენიმე ხნის განმავლობაში მოსკოვშიც იმყოფებოდა სამკურნალოდ, მაგრამ კვლავ უშედეგოდ, მდგომარეობა თანდათანობით კიდევ უფრო უარესდებოდა. ბოლო პერიოდში ფეხმა განიცადა დეფორმაცია, დაწვრილდა, ავადმყოფი ვეღარ დადიოდა და ძირითადად იწვა. რამდენიმე ხნის წინ ახლობლების დახმარებით შეიტყო „კამელინის" სამკურნალო თვისებების შესახებ და გადაწყვიტა მკურნალობა. ჩაიტარა მკურნალობის 4 კურსი, იღებდა მხოლოდ კაფსულებს. ნელ-ნელა მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა, ამჟამად პაციენტი თავს კარგად გრძნობს.

**ქალბატონი მანანა**: ჩემს ახლობელს, 60 წლის მამაკაცს, დაახლოებით 8 წლის წინ, დაუსვეს სიმსივნის დიაგნოზი. საკმაოდ ცუდად იყო. ექიმები ახლობლებს ეუბნებოდნენ, რომ მას ცოტა დრო ჰქონდა დარჩენილი. მკურნალობის ძალიან ბევრ საშუალებას მიმართეს, რა არ სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. იმ დროს „კამელინის" შესახებ ბევრმა არ იცოდა, მაგრამ ერთმა ახლობელმა უთხრა ამ საოცარი პრეპარატის შესახებ. უკეთებდნენ „კამელინის" ნემსებს, მკურნალობის რამდენიმე კურსი ჩაიტარა. ზუსტად არ მახსოვს, რამდენი, იმიტომ რომ, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. მალევე გამოკეთდა, მოძლიერდა, ჩვეულებრივი, ჯანმრთელი ადამიანივით ცხოვრობდა და წელიწადში ერთხელ იტარებდა „კამელინით" მკურნალობის კურსს. მის გარდა, მისი ოჯახის წევრებიც იყენებდნენ ამ პრეპარატს პროფილაქტიკის მიზნით.

*P. S. ვისაც გაქვთ „კამელინთან" დაკავშირებული კითხვები ან გსურთ კონსულტაცია, დამატებითი ინფორმაციის მიღება ქართული წარმოების პრეპარატთან დაკავშირებით, შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 599 33-10-89; 599 58-09-07; 599 23-03-33; 2-98-57-78; 2-71-04-80; 2-22-26-68; 2-93-20-87.*

**ნათია უტიაშვილი**

**სევდია უგრეხელიძე თბილისის მერის მოვალეობას, როგორც ჩანს, მომავალ არჩევნებამდე შეასრულებს. პოსტმა, რომელიც მას საკრებულოს სამგზის დეპუტატობის შემდეგ ერგო, სევდია უგრეხელიძის ცხოვრება საგრძნობლად შეცვალა– მას შემდეგ, რაც გიგი უგულავას „მუქარის" ასრულების დრო დაუდგა, თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელს „კასკის" და ჩექმის მორგება უკვე ხშირად მოუწევს. ამბობს, რომ ცხოვრების პასიურ რეჟიმს მას შემდეგ შეელია, რაც პროფესიით მუსიკათმცოდნე, ადვოკატისა და უფლებადამცველის რთულ ცხოვრებას შეუდგა. ამ გზამ კი ის პილიტიკამდე მიიყვანა, თუმცა ამაზე და ჩვენი მკითხველისთვის ბევრ უცნობ თემაზე, თავად ჩვენი რესპონდენტისგან შეიტყობთ.**

# რა „მუქარა" აუსრულა სევდია უგრეხელიძეს გიგი უგულავამ და ვის არ უკეტავდა ის ღამით სახლის კარს

**– ქალბატონო სევდია, ახალ წელს თბილისის მერის რანგში ხვდებით და როგორც ჩანს, მომავალი ხუთი თვე შეასრულებთ ამ ფუნქციას. დაიწყეთ უკვე მერის რანგში ბრძანებების გამოცემა და მთავრობის სხდომების მოწვევა?**

– მთავრობის სხდომებს ისედაც მე ვატარებდი, როგორც მერის მოვალეობის შემსრულებელს, ჯერ აქტი არ გამომიცია. ამ მოვალეობას ამ თვეებშიც რამდენჯერმე ვასრულებდი, როდესაც გიგი უგულავა მივლინებებში მიდიოდა. საქმე ისაა, რომ მან ისე დააყენა აქ სისტემა რელსებზე, იმდენად გამართულად მუშაობს ყველა სამსახური, არავინ რომ არ იყოს და აქ ჯოხი დავდოთ, სისტემა მაინც იმუშავებს. ჩვენ ყველა ერთად კოლეგიალურად ვმუშაობდით და არასდროს იგრძნობდი, რომ ის უფროსი იყო ჩემი. არ არსებობდა ბიუროკრატიული ბარიერი, ამიტომაც ვახერხებდი მე, ამ ხნის ქალი ამ ახალგაზრდებთან და მათ ჩქარ ტემპთან შეწყობას. ჩემთვის მთავარი იყო შეუქცევადი დასავლური ღირებულება, რასაც ჩვენი ხელისუფლება არ ღალატობდა და პოზიცია, რომ ისინი არასდროს შეტრიალდებოდნენ დამმონებელი ქვეყნისკენ. გიგი სულ „მემუქრებოდა": ქალბატონო სევდია დაიხურავ „კასკას," ჩაიცმევ ჩექმებს და ეს „მუქარა" დასრულდა. ეს ძალიან მაწუხებს, რადგან ეს მოხდა ჩემს ქვეყნაში. გიგის რომც აღუდგინონ უფლებამოსილება, როგორც განაცხადა, თავად მოიხსნის მას. ეს მინდა გითხრათ, რომ ჩემთვის დრამატული მომენტია ცხოვრებაში. იმის მიუხედავად, რომ თებერვლიდან მამზადებდა ამისთვის, მე იმედი მქონდა, რომ ამ როლში ყოფნა არ დამჭირდებოდა.

**– თებერვალშივე დაიწყო საუბარი, მან გათვლა თქვენზე, სწორედ ამ დღისთვის გააკეთა.**

– როგორც ჩანს, ის ფიქრობდა, რომ ეს დღე დადგებოდა. შესაძლოა, გენდერული ბალანსისთვისაც გააკეთა ეს. მთავარი, ალბათ, მაინც ის იყო, რომ დიდი ხანია, ამ სისტემაში ვარ, მესამედ ვიყავი არჩეული საკრებულოს დეპუტატად. ყველა, ვინც მე მიცნობს და ჩემთან უმუშავია, ხედავდა იმას, რომ მე ჯერ ამბიცია კი არ მიჩნდება და შემდეგ ვიწყებ სვლას გზაზე ჩემი მიზნის მისაღწევად – არა, მე ვმუშაობ, ვაკეთებ იმას, რაც იმ პერიოდისთვის აუცილებელია. როგორც მერე ალმოჩნდება, სწორედ ამ გზას მივყავარ მიზანთან, რაც ამბიციის საგანი შეიძლებოდა, ყოფილიყო. ეს ბევრჯერ მოხდა ჩემს ცხოვრებაში. მე ვიყავი ჩვეულებრივი უფლებადამცველი და ეს მოხდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ, როცა იჭერდნენ და ადგილზე ხვრეტდნენ მის თანამოაზრეებს, მაშინ დავიწყე მე ჩემი მეგობრების უფლებების დაცვა. ჩემი მეუღლე უზენაესი საბჭოს წევრი იყო – მომღერალი, ვოკალისტი, ინტელიგენტი კაცი, ყაჩაღად გამოაცხადეს და დევნილობაში ცხოვრობდა გროზნოში, მოსკოვში. მაშინ ჩვენ ძალიან რთულ პირობებში, რამდენიმე ქალი ვმუშაობდით ერთად და ძალიან ვაქტიურობდით. სხვა გზა არც იყო – მამაკაცებს კლავდნენ, ქალებს იჭერდნენ და უშვებდნენ. ჩემი მეგობარი მაია კერესელიძე 36-ჯერ იყო დაჭერილი. ჩვენი მთავარი მიზანი იყო, გადაგვერჩინა ჩვენი მეგობრების სიცოცხლე. ამიტომაც, დავდიოდით ყველა ორგანოში დაწყებული უშიშროების საბჭოდან, პროკურატურიდან პოლიციით დამთავრებული. ჩვენ გამოვდიოდით, როგორც საზოგადოებრივი დამცველები. იმისთვის, რომ ჩვენ პროცესებიდან ჩამოვეშორებინეთ, ხელისუფლებამ საპროცესო კოდექსიდან ამოიღო საზოგადოებრივი დამცველის საქმე, ეს საბჭოთა რეჟიმის გადმონაშთიაო. მე მაშინვე გადავწყვიტე, რომ მიმეღო იურიდიული განათლება და ამეღო დიპლომი. კონსერვატორია მაქვს დამთვრებული, იქამდე, სანამ ყველასთვის ცნობილი პროცესები დაიწყებოდა, მუსიკათმცოდნის მშვიდი ცხოვრება მქონდა, ესთეტიკის კათედრაზე ვმუშაობდი. მაგრამ, დადგა დრო, როცა იძულებული გავხდი, სხვა სფეროში გადავსულიყავი. შეიძლება, მუსიკის მასწავლებელი პოლიტიკური ნიშნით გააგდო სამსახურიდან? ექსპერიმენტული მუსიკალური სკოლის დირექტორმა სამსახურიდან დამითხოვა, შენ ფულს აგროვებ და გროზნოში აგზავნიო. მე ამით ნამდვილად არ ვიყავი დაკავებული, მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, ამის გამო უნდა დამეტოვებინა სამსახური? მამაჩემი ცნობილი ადვოკატი იყო, ბავშვობიდან დედის იავნანის ნაცვლად, მესმოდა – დაზარალებული, დამნაშავე, მოსამართლე. კრიმინოლოგიის პროფესორი იყო ჩემი და. მოგეხსენებათ, სადაც მუშაობდა ჩემი ძმა. ასე რომ, ეს სფერო არ იყო ჩემთვის უცხო და მეც ძალიან ბუნებრივად გადავერთე უფლებადამცველის საქმიანობაში. იმ რთულ პერიოდში ქალები შედარებით დაცულები ვიყავით, ვიდრე – მამაკაცები. ფიზიკურად და მორალურად ძალიან რთული პერიოდი გავიარე: შიმშილი, სიცივე. ჩემი ორივე ქალიშვილი მაშინ პატარა იყო. მემუქრებოდნენ ჩემი შვილებით. მეშინოდა, სახლის კარს არ ვკეტავდი, რომ არ შემოემტვრიათ და პირდაპირ შემოსულიყვნენ. ფიზიკური დევნის მეტი რა მინახავს – მიტინგზეც მომხვედრია, თმებითაც ვუთრევივარ ედპ-ს აქტივისტებს. სამართლებრივი დევნისგან კი გადამარჩინა მამაჩემის ავტორიტეტმა. სადაც არ უნდა მივსულიყავი, ყველამ იცოდა, რომ გურამ უგრეხელიძის შვილი ვიყავი. მას ყველა იცნობდა და პატივს სცემდა. ზვიადმა ძალიან მაღალ თანამდებობაზე დანიშნა ჩემი ძმა. საქართველოში ყველა ყველას ნაცნობია და ბევრი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მან მართლა გამწირა და ჩვენ ურთიერთობა არ გვქონდა.



ბევრი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ძმამ გამწირა და ჩვენ ურთიერთობა არ გვქონდა

**– თუმცა, ამაზე ყოველთვის იყო საუბრები. თქვენ ბოლომდე სხვადასხვა პოლიტიკურ ბანაკში აღმოჩნდით. მაშინ, როცა იდევნებოდით, გავლენიანი ძმის მფარველობა არასდროს გიგრძნიათ?**

– პოლიტიკა არ ყოფილა მთავარი მოტივაცია იმის, რომ ჩვენ ურთიერთობა არ გვქონდა და ეს ბოლომდე ასე დარჩა. იმას გეტყვით, რომ ამ ურთიერთობის გაწყვეტის ინიციატორი მე არ ვყოფილვარ. ის იყო ინიციატორი და ამას სხვა მიზეზები ჰქონდა – არაპოლიტიკური. ადვოკატობის შემდეგ, უფრო პოპულარული და საყვარელი გავხდი, ვიდრე ნებისმიერი თანამდებობის პირი, რომელიც დახვრეტას უსჯიდა იმ, კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებს. ხალხის სიმპათია ნამდვილად იყო ჩემს მხარეს.

**– გზა პოლიტიკისკენ ადვოკატის საქმიანობაზე გადიოდა. როგორ მოხვდით იმ პოლიტიკურ გუნდში, რომელთან ერთადაც საკრებულოს სამგზის დეპუტატი ახლა კი ვიცემერი გახდით.**

– მე წავედი ისეთ სფეროში, რომელიც იმ პერიოდში ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მე ვმუშაობდი მარტო, გუნდის გარეშე. თუმცა, იყო რამდენიმე ადვოკატი, მათ შორის მალხაზ ჯანგირაშვილი და თემურ გოქსაძე, რომელთა გვერდით მუშაობაც ჩემთვის დიდი პატივი იყო. მარტო მუშაობას თავისი პლუსიც აქვს და მინუსიც. საერთოდ, ქართველი, მარტოსული ადამიანია, ინდივიდუალისტი. მეტსაც გეტყვით – მამაჩემიც ასეთი იყო. იმ პერიოდში ძალიან ხშირად მიწევდა სატელევიზიო გამოსვლები. მოგეხსენებათ, ტელევიზიის წყალობით, ადამიანი როგორ უცბად ხდება ცნობილი. ბოლოს იმ მდგომარეობამდე მივედი, რომ საკუთარი თავი მომბეზრდა. სარკეში ჩახედვა მძულდა, მაგრამ ეს საჭირო იყო. იმის მიუხედავად, რომ ადვოკატი ვიყავი და ვცდილობდი, პროფესიულ ნიშაში დარჩენას, მაინც მიწევდა პოლიტიკური კომენტარების გაკეთება და ასე, ძალიან ბუნებრივად აღმოვჩნდი პოლიტიკურ პროცესებში. უფლებადაცვით საქმიანობაში ჩართული არ ვერიდებოდი ისეთ პირებთან კონტაქტს, რომლებიც ყველას თვალში არ იმსახურებდნენ სიმპათიას, რის გამოც ჩემი თანამოაზრეებიც კი მაკრიტიკებდნენ ხოლმე. სხვაგვარად არ გამოდიოდა საქმე. ციხეში პანტაპუნტით იხოცებოდნენ ახალგაზრდები, ამ დროს ვის ჩამოვართვი ხელი, ჩემთვის მნიშვნელოვანი არ იყო. მე მახსოვს, როგორ გამომაყვანინა პატიმრების პირველი ნაკადი – 27 ადამიანი ციხიდან მიხეილ სააკაშვილმა. ფიანდაზებით კი არ დამხვედრია, ბევრი ვიჩხუბეთ ჩვენ ამასთან დაკავშირებით. მაშინ ის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე იყო. შემდეგ დადგა ზვიადისტების, როგორც პოლიტპატიმრების აღიარების საკითხი. იქამდე ზვიადისტებს ყაჩაღებსა და ბანდიტებს უწოდებდნენ, სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ, როცა მათ პოლიტპატიმრებად მოიხსენიებდნენ. ბოლოს, ზურაბ ჟვანიას და მისი გუნდის აქტიური ჩარევის შედეგად, როგორც იქნა, მივედით იქამდე, რომ 2000 წელს შეიქმნა ეროვნული თანხმობის კომისია, სადაც მე ვიყავი ერთადერთი მეკავშირე ზვიადისტებსა და ხელისუფლებას შორის. ამ კომისიამ მიიღო დადგენილება, რომელმაც პირველად აღიარა სახელმწიფო გადატრიალებით ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა. ეს არის სისხლსა და ცრემლებზე აგებული ის ისტორია, რომელიც მე გავიარე. შეიძლება, ამ დროს კარიერასა და წინსვლაზე ეფიქრა ადამიანს? მე თანხმობის კომისიის სპეციალისტი ვიყავი და იმ ფარგლებში მქონდა ურთიერთობა ხელისუფლების წა-

(გაგრძელება 46-ე გვერდზე)

**რამდენიმე თვის წინ, კიდევ ერთი ლამაზი ოჯახი შეიქმნა – ყველაზე გრძელფეხება ქართველი მოდელი სალომე ჯუღელი, ცნობილ ქართველ კალათბურთელზე, თორნიკე შენგელიაზე დაქორწინდა. წყვილი მას შემდეგ ამერიკაში დამოუკიდებელ ცხოვრებას განაგრძობს. ჩვენი რესპონდენტი ამჯერად სალომე ჯუღელია, რომელიც ახალი ცხოვრებით ძალიან კმაყოფილია და საყვარელ მეუღლესთან ერთად, თავს უცხო ქვეყანაში კომფორტულად გრძნობს.**

# როგორ ცხოვრობენ სალომე ჯუღელი და თორნიკე შენგელია ამერიკაში და რა სიურპრიზებით ანებივრებენ ისინი ერთმანეთს

**– უკვე რამდენიმე თვეა, თორნიკე შენგელიაზე იქორწინე და ამერიკაში ერთად დაიწყეთ დამოუკიდებელი ცხოვრება. როგორ შეეგუე ოჯახურ ცხოვრებას?**

– თორნიკესთან ერთად, აქ თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ. ძალიან კარგად შევეჩვიეთ დამოუკიდებელ ცხოვრებას და კარგად მოვირგე ეს ამპლუა.

**– ხომ არ გაგიჭირდათ მარტო ყოფნა?**

– საერთოდ არ გაგვჭირვებია, პირიქით, მოგვეწონა კიდეც.

**– რაც შეეხება შენს სამოდელო კარიერას, განაგრძობ, თუ პაუზა გაქვს აღებული?**

– ცოტახანს ვისვენებდი, ახლა კი ჩვეულ რეჟიმში განვაგრძობ მუშაობას. იმის გამო, რომ გავთხოვდი, ჩემი საქმიანობა არ შემიწყვეტია.

**– ამჟამად რომელი სააგენტოს მოდელი ხარ?**

– „მიუსის" მოდელი ვარ, რომელიც წარმატებული და პოპულარული სააგენტოა.



**– კალათბურთის გულშემატკივარი რომ იქნები, ვხვდები და შესაბამისად, ალბათ, თოკოს თამაშებსაც ესწრები.**

– რა თქმა უნდა, თოკოს ყოველთვის ვგულშემატკივრობ და მის არც ერთ თამაშს არ ვტოვებ.

**– როგორი გულშემატკივარი ხარ?**

– ძალიან კარგი და აქტიური გულშემატკივარი ვარ. ამით კი, ვცდილობ, თოკო გავამხნეო.

**– როგორი მეუღლე ხარ?**

– საკუთარ თავზე მიჭირს საუბარი, ალბათ, ეს თოკომ უნდა გითხრათ.

**– მაინც?**

– ალბათ კარგი, ყოველ შემთხვევაში, მაქსიმალურად ვცდილობ ამას.

**– თოკო როგორი მეუღლეა?**

– თოკო ძალიან კარგი, მზრუნველი, თბილი და საყვარელი მეუღლეა. სიმართლე გითხრათ, არც ველოდი, თუ ასე თბილი და ყურადღებიანი იქნებოდა.

**– ძალიან ლამაზი ქორწილი გქონდათ, რაშიც ბევრი ადამიანი დამეთანხმება.**

– იმდენი შრომა ჩავდეთ ჩვენი ქორწილის მზადებაში, რომ მართლა კარგი გამოვიდა ანუ,

## პარიზში სულ ჩემს ფეხებზე ჰქონდათ ლაპარაკი

ისეთი, როგორიც გვინდოდა. სტუმრები რომ გვეუბნებოდნენ, რა კარგი იყო, როგორ ვისიამოვნეთო, მე და თოკო ისეთი ბედნიერები ვიყავით ამით, რომ ვერ გადმოგცემთ. რაც მთავარია, მე და თოკოც ძალიან კარგად გავერთეთ და ვისიამოვნეთ საკუთარი ქორწილით.

**– საახალწლო განწყობა როგორი გაქვთ?**

– 31-ში თოკო აქ არ იქნება, გასვლითი თამაში აქვს და მარტო მომიწევს ახალი წლის შეხვედრა. გული კი მწყდება, მაგრამ მეორე დღეს ჩამოვა და ახალი წლის დადგომას, 1 იანვარს აღვნიშნავთ. ნაძვის ხე დავდგით, მოვრთეთ და გავალამაზეთ ძალიან. მართალია, აქ შობას 25-ში აღნიშნავენ, მაგრამ ჩვენ ტრადიცულად 7-ში შევხვდებით. მიხარია, რომ ახალი წლისგან განსხვავებით, შობას ერთად ვიქნებით.

**– მართალია, თავს ძალიან კარგად და კომფორტულად გრძნობთ შენ და თოკო, მაგრამ მშობლების მონატრება მაინც გექნებათ.**

– ძალიან კარგია მარტო ყოფნა, მაგრამ მშობლები მაინც ძალიან გვენატრება ყოველთვის. დედაჩემი მენატრება ძალიან, რადგან მის გარეშე აქამდე ერთი დღეც არ გამიტარებია. სხვათა შორის, თოკოს დედა და და ჩამოვიდნენ, საახალწლოდ გვესტუმრნენ – ძალიან გაგვიხარდა.

**– გამოდის, რომ ახალ წელს სულ მარტო მაინც არ შეხვდები.**

– კი და ძალიან მიხარია, რომ ახალი წლის შეხვედრა სახლში მარტო არ მომიწევს.

**– საახალწლოდ რა საჩუქარს უკეთებთ ერთმანეთს მეუღლეები?**

– ეს სიურპრიზი იქნება ორივესთვის. ძალიან ბევრს კი ვფიქრობ იმაზე, თუ რა ვაჩუქო თოკოს, მაგრამ იმედი მაქვს, სწორ არჩევანს გავაკეთებ.



**– თოკო თუ განებივრებს სიურპრიზებით?**

– კი, სიურპრიზებით ნამდვილად მანებივრებს, რაც ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის.

**– ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდა?**

– ყველაზე გასაკვირი ჩემთვის ის იყო, რომ ერთ დღესაც, მოულოდნელად, საკუთარი ხელით მომზადებული ბრაუნი დამახვედრა. საერთოდ არც ვიცოდი, მისი მომზადება თუ შეეძლო. შოკირებული დავრჩი ისე გამიხარდა. სხვათა შორის, ძალიან გემრიელი იყო.

**– თავად თუ გეხერხება სამზარეულოში საქმის კეთება?**

– ჯერჯერობით ჩემთვის სამზარეულო ახალი ამპლუაა და ვამზადებ შეძლებისდაგვარად, სხვადასხვა კერძს. რაც მთავარია, თოკოს მოსწონს და ამბობს, რომ კარგი ხელი მაქვს. ვცდილობ, რაც უყვარს, ყველაფერი მოვუმზადო. მსიამოვნებს საყვარელი ადამიანისთვის კერძების მომზადება.

**– ქართულ კერძებსაც ამზადებ?**

– აჭარული ხაჭაპური გავაკეთე, ასევე ლობიანები, ბაჟე და ასე შემდეგ. თუმცა, ისეთი გემო მაინც არ აქვს აქ გაკეთებულს, როგორც საქართველოში. ქართულ რესტორნებშიც დავდივართ ხოლმე აქ, მაგრამ მაინც სხვა გემო აქვს.

**– მოდი, ცოტა უკან დავბრუნდეთ და ის მოგვიყევი, შენ და თოკო როდის შეხვდით ერთმანეთს და როგორ ვითარდებოდა თქვენი ნაცნობობა.**

– პირველად თოკოს ზაზა ფაჩულიას ბავშვის ნათლობაში შევხვდით. ზაზა ჩემი დეიდაშვილია. როგორც თიკა (ზაზას ცოლი) მეუბნება, თოკომ როგორც კი დამინახა, მაშინვე შემამჩნია. ნათლობის დამთავრების შემდეგ კი, გამოუკითხავს მათთვის ვინ ვიყავი და ზაზამაც უთხრა. მერე „ფეისბუქით" ვეკონტაქტებოდით ერთმანეთს. იმ პერიოდში მე პარიზში ვიყავი, თოკო კი – ბელგიაში. ერთი დღეც თუ ექნებოდა დასვენება, მაშინვე პარიზში ჩამოდიოდა. ერთხელაც რომ ჩამოვიდა და წავიდა, მივხვდი, რომ უკვე ძალიან არ მინდოდა მისი წასვლა, თან ძალიან მომენატრა. ამის მერე კი, რამდენიმე თვეში, ვიქორწინეთ კიდეც.

**– წარმატებული მოდელი ხარ და იმასაც ამბობენ, რომ სალომე ჯუღელი ყველაზე გრძელფეხება ქართველი მოდელიაო.**

– ალბათ, ასეა. ყოველ შემთხვევაში, პარიზში სულ ჩემს ფეხებზე იყო ლაპარაკი.

**– ამერიკაშიც აღნიშნავენ ამას?**

– ამერიკაში სხვათა შორის, არ ყოფილა ჩემს ფეხებზე გამახვილებული ყურადღება.

**– არაერთ ცხობილ დიზაინერთან გიმუშავია და მიგიღია მონაწილეობა სხვადასხვა ჩვენებებში.**

– კი, ასე იყო. პარიზში ძალიან კარგად დავიმკვიდრე თავი და ამერიკაში რომ ჩამოვედი, ცოტა ვნერვიულობდი – როგორ მიმიღებდნენ. ძალიან მიხარია, რომ კარგად დამხვდნენ და აქაც, პირველივე „ფეშენ-ვიკზე" მივიღე მონაწილეობა.

**– გათხოვებამ ხომ არ შეგიქმნა პრობლემა კონტრაქტთან დაკავშირებით?**

– გათხოვებასთან დაკავშირებით პრობლემა ნამდვილად არ შემქმნია. მათ უკვე იცოდნენ, რომ მე და თოკო დაქორწინებას ვგეგმავდით და ჩემს მოღვაწეობას ჩვეულ რეჟიმში გავაგრძელებდი. აქ გათხოვება ხელისშემშლელად არ აღიქმება. ფეხმძიმედაც რომ ვიყო, არც ეს შემიშლის მუშაობაში ხელს, რადგან კატალოგებში ძალიან ბევრი სამუშაოა, თუნდაც ორსულებისთვის. ასე რომ, არც ეს იქნება პრობლემა.

**– პატარას ხომ არ ელოდებით?**

– ჯერჯერობით არა, როცა იქნება, ძალიან გაგვიხარდება. მე დედისერთა ვარ და ამიტომ, ძალიან მინდა, მინიმუმ, 4 შვილი გვყავდეს.

**მარიკა ხიდურელი**


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ადვოკატი გირჩევთ

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა ფორმით ხდება მოსამართლეთა ხმების განაწილება სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს და როგორ იღებს გადაწყვეტილებას საქმის განმხილველ მოსამართლეთა შემადგენლობა, როდესაც მოსამართლეებს შორის გადაწყვეტილების მიღებისას აზრთა არსებითი სხვადასხვაობაა?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ, თუ გადაწყვეტილება გამოაქვს კოლეგიურ სასამართლოს, ის დადგენილ უნდა იქნეს ხმების უმრავლესობით. არც ერთ მოსამართლეს არ აქვს უფლება, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან. თავმჯდომარე ხმას აძლევს მოსამართლეების შემდეგ. მოსამართლეს, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას, შეუძლია, წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი. განსხვავებული აზრი დაერთვის საქმეს, მაგრამ, სასამართლო სხდომის დარბაზში არ გამოცხადდება. მოსამართლეებს უფლება არ აქვთ, გაახმაურონ თათბირის დროს გამართული მსჯელობა. თუ გადაწყვეტილება გამოაქვს კოლეგიურ სასამართლოს, გადაწყვეტილებას აყალიბებს ამ სასამართლოს თავმჯდომარე ან ერთ-ერთი მოსამართლე, ხოლო ხელს აწერს ყველა მოსამართლე, რომლებიც მის დადგენაში მონაწილეობდნენ, მათ შორის, განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეც. გადაწყვეტილებაში შეტანილ შესწორებას მოსამართლეთა ხელმოწერების წინ უნდა გაუკეთდეს შენიშვნა.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროს შეიძლება თუ არა, გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედოს არარსებული მტკიცებულება ან მოსამართლემ გამოიტანოს გაუგებარი გადაწყვეტილება, სადაც არ იქნება მითითებული გადაწყვეტილების კონკრეტული საფუძველი?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ, ზოგადად, გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი – დაუდგენელი; რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა სარჩელი. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება, გადაწყვეტილების გამოტანას საფუძვლად დაედოს არარსებული მტკიცებულება.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რას ნიშნავს სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი ნაწილობრივი გადაწყვეტილება და რა შემთხვევაში შეუძლია მოსამართლეს, გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ თუ ერთ სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე მოთხოვნიდან, აგრეთვე, რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნებიდან ერთ-ერთი გარკვეულია და მომზადებულია გადაწყვეტილების გამოსატანად, სასამართლოს შეუძლია, მხარეთა თხოვნით, გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება ამ მოთხოვნის მიმართ. დაინტერესებული მხარის თხოვნით, ნაწილობრივი გადაწყვეტილება სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც აღძრული იყო შეგებებული სარჩელი, გარკვეულია და გადაწყვეტილების გამოსატანად მომზადებულია ერთ-ერთი სარჩელი ან შეგებებული სარჩელი.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რას ნიშნავს სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი შუალედური გადაწყვეტილება, რა შემთხვევაში იღებს სასამართლო ამგვარ გადაწყვეტილებას და რა იურიდიული შედეგები მოსდევს შუალედური გადაწყვეტილების მიღებას?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ, თუ სადავოა სასარჩელო მოთხოვნის როგორც ფაქტობრივი საფუძველი, ასევე, ამ მოთხოვნის მოცულობა ან ოდენობა, სასამართლოს შეუძლია, გამოიტანოს შუალედური ანუ წინასწარი გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის შესახებ. ასეთი წინასწარი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციის წესით. რაც შეეხება იურიდიულ შედეგს, კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მას ექნება პრეიუდიციული ძალა სასამართლოს მეორე გადაწყვეტილებისთვის, რომელიც მოთხოვნის მოცულობას განსაზღვრავს.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, აქვს თუ არა სასამართლოს უფლება, გასცდეს მხარის სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, ანუ, უფრო მეტი სარგებელი მიაკუთვნოს მხარეს, ვიდრე ის სარჩელით ითხოვდა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ სასამართლოს უფლება არ აქვს, თავისი გადაწყვეტილებით მიაკუთვნოს მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როდის შედის კანონიერ ძალაში სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში: ა) გამოცხადებისთანავე, თუ დაუშვებელია სააპელაციო წესით გასაჩივრება; ბ) სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება, თუ ის არ იყო ამ წესით გასაჩივრებული; გ) სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა და დ) თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე.



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
ანატოლ ფრანსი

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როდის შედის კანონიერ ძალაში სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება თუ ის არ გასაჩივრებულა, კანონიერ ძალაში შედის მისი საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო, თუ იყო გასაჩივრებული – საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ, თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუქმებულა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში, ასევე, შედის, თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის საკასაციო წესით გასაჩივრებაზე.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როდის შედის კანონიერ ძალაში სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი საკასაციო (უზენაესი) სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე.

(მე-12 გვერდიდან)

გარდაიცვალა კიდეც. არის ორი ვერსია: „რომელნიმე იტყვიან დაარჩუესო და რომელნიმე იტყუიან, თავისის დღით მოკვდაო".

ამიტომ დაბეჯითებით ვახუშტი ბაგრატიონი ვერაფერს ამბობს და წერს: „მოაშთვეს" ანუ მოკვდაო, ხოლო „ახალი ქართლის ცხოვრების" ავტორი კი წერს: „შემდგომად მცირედისა ჟამისა მოაშთვეს ავ-გიორგი და მოკვდა". ზოგი გადმოცემით, ავ-გიორგი დავით მეფის ბრძანებით დაუხრჩვიათ.

დაზუსტებით, თუ რა მოხდა ციხეში, ინფორმაცია არავის ექნებოდა. ამიტომ, ისევ ქრისტიანულად მივუდგეთ ამ საკითხსაც და ჩავთვალოთ, რომ ავ-გიორგი არ მოუკლავთ და თავისით მოკვდა ტყვეობაში.

## რა ურთიერთობა ჰქონდათ დავით ბაგრატიონ-მუხრანელისა და ანა ბაგრატიონის წინაპრებს

დავით მეათემ დროებით შეიერთა კახეთი. ავ-გიორგის მცირეწლოვანი ვაჟი – ლევანი კახელმა თავადებმა გადამალეს და როგორც კი წამოიზარდა, დრო იხელთეს და ტახტზე აიყვანეს.

ამის მერე ქართლისა და კახეთის ბაგრატიონებს შორის ბრძოლები კვლავ გაგრძელდა გარკვეული პერიოდის.

გავიდა დრო... დიდი ხანია, ყველას აპატია დრომ ან შეუნდო ღმერთმა. ქართლისა და კახეთის ბაგრატიონები ხან ექიშპებოდნენ ერთმანეთს, ხან ქორწინდებოდნენ ერთმანეთზე.

პირადად დავით ბაგრატიონის წინაპარს, ბაგრატ უფლისწულის შთამომავალს – იოანე მუხრანბატონს ცოლად ჰყავდა ავ-გიორგის შთამომავლის, ერეკლე მეორის ასული ქეთევანი – ნუგზარ ბაგრატიონის წინაპრის და.

იმედია, ქიშპობა დღეს აღარ გაგრძელდება და მემკვიდრეობის გამო შტოებს შორის არსებულ დაპირისპირებას დააცხრობს პატარა უფლისწული, მისი ადამიანობით და კეთილშობილებით.

**გიორგი მახობეშვილი**

# ინტიმური საუბრები

## არ მინდა, უიმედო სიყვარულით განვვლო მთელი ცხოვრება

მინდა, გიამბოთ ჩემი გრძნობის შესახებ, რომელიც ჩემთვის უცნობი ადამიანის მიმართ მაქვს. ის ჩემს უბანში ცხოვრობს და ბავშვობიდან ვხედავ, თუმცა, პირადად არ ვიცნობ. გაუაზრებლად შემიყვარდა შორიდან. არასდროს მიცდია მასთან დაახლოება და, არ ვიცი, მოჰყვება თუ არა ამას შედეგი, ამიტომ, ვერც ვბედავ ამ ნაბიჯის გადადგმას, მაგრამ, ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს და, ვიცი, რომ ასე ველარ გავძლებ. 22 წლის ვარ და ამ ცალმხრივი და გაუმხელელი სიყვარულის გამო ჩემი ცხოვრების მეოთხედი ნაწილი, ჩემი ბოლო წლები, ტკივილში, სევდასა და დარდში გავატარე. ყველაზე მეტად იმიტომ ვბრაზდები საკუთარ თავზე, რომ, ვიცი, მიუწვდომელი მასში არაფერია. მიუხედავად იმისა, რომ შორსაა ჩემგან, ვგრძნობ, რომ რაღაც კუთხით ძალიან ახლოსაც არის.

სიმართლე გითხრათ, ისიც არ ვიცი ზუსტად, თქვენ რატომ გწერთ ჩემი უიმედო სიყვარულის შესახებ. მან რომც წაიკითხოს ეს წერილი, ვერც კი მიხვდება, რომ მე ვწერ, რადგან, პრაქტიკულად, არც მე მიცნობს და არც ჩემი გრძნობის შესახებ იცის რამე.

არ ვიცი, ვის გავენდო. ალბათ, კომპეტენტური ადამიანის რჩევაა საჭირო, რომ საკუთარ გრძნობებში ჩამოვყალიბდე და უიმედო და ცალმხრივი სიყვარულით არ განვვლო ჩემი ცხოვრება, მაგრამ, ასეთი ადამიანი ვერ ვიპოვე. ხანდახან ისიც კი მიფიქრია, ფსიქოთერაპევტს ხომ არ მივმართო-მეთქი.

ახალ წელსაც, ამ ჩემი უცნაური სიყვარულის გამო, სევდიანი უნდა შევხვდე. ძალიან ცუდად ვარ და, არ ვიცი, ასე როდემდე გავძლებ.

ნუთუ შეიძლება უცხო ადამიანის ასე შეყვარება?

**ელენე, 22 წლის.**

## ახალ წელს გილოცავ, ჩემო პირველო სიყვარულო!

ათი წელია, უშენოდ განვაგრძობ ცხოვრებას, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ორივეს გვაქვს ოჯახები, გვყავს შვილები, მაინც შენ მიყვარხარ – ისევ ისე, როგორც ამ ათი წლის წინ.

ერთმანეთს დავშორდით, მაგრამ, მაინც სულ შენზე ვფიქრობ, სულ მენატრები და, ვიცი, რომ შენც ასე ხარ. ბოროტმა ადამიანებმა დაგვაშორეს ერთმანეთს, ჩვენ კი არ გვეყო ძალა, რომ მათთვის წინააღმდეგობა გაგვეწია და ჩვენი გრძნობა დაგვეცვა. ერთმანეთი მაინც რომ გვიყვარს, იქიდანაც ჩანს, რომ მე ჩემს უფროს შვილს შენი სახელი დავარქვი, შენ კი – ჩემი.

პატარა გოგო აღარ ვარ, მაგრამ, ისევ პატარა გოგოსავით მიყვარხარ – მთელი გულით, მთელი არსებით.

მართალია, ძალიან მატკინე გული, რომ ვიღაც ბოროტის ცილისწამებას დაუჯერე და ისე დამშორდი, რომ სიმართლე არ გაგირკვევია, მაგრამ, მაინც მინდა, ახალი წელი მოგილოცო. რაც კი საუკეთესოა, ყველაფერი შენთვის მემეტება. ალბათ, შემეძლო, პირადად შენთვის მომეწერა მილოცვა, მაგრამ, ასე მირჩევნია. შენ თუ არ წაიკითხავ ამ ჩემს წერილს, ვიღაც შენიანი (ჩვენს საერთო ნაცნობებს ვგულისხმობ) აუცილებლად წაიკითხავს, მიხვდება, რომ მე ვწერ და შენც გაგაგებინებს.

სიკეთეს, წარმატებასა და კაცურ ბედნიერებას გისურვებ!

**ოდესღაც შენი თამთა, 35 წლის.**

## ჩემი დედამთილი ყველას ეჩხუბება

ისეთი გაბრაზებული ვარ ჩემს დედამთილზე, გადავწყვიტე, მოგწეროთ, რომ ცოტათი მაინც მომეშვას გულზე.

ჩემი ქმარი პროფესიონალი მზარეულია და საკმაოდ პრესტიჟულ რესტორანში მუშაობს. მე ცუდი კულინარი არ ვარ, მაგრამ, კერძებსა და ნამცხვრებს ისე ვერ ვაფორმებ ხოლმე, როგორც გოგიტა, ამიტომ, დღესასწაულის დღეებში, ან, როცა წვეულება გვაქვს, მეხმარება (უფრო სწორად, მე ვეხმარები) და ეს სულაც არ ეზარება. ყოველდღიური საჭმლის კეთება, რა თქმა უნდა, მას არ ევალება, მაგრამ, ჩემი დედამთილი ისტერიკას იმართებს, როცა ხედავს, რომ მისი შვილი სამზარეულოში ტრიალებს და ეგრევე იწყებს ჩემს დამცირებას – ქალი რომ საჭმელს ქმარს გააკეთებინებს, იმას ოჯახი რად უნდაო და კიდევ ათას რაღაცას მოაყოლებს ხოლმე, ოღონდ, ისე, რომ მისმა შვილმა არ გაიგონოს.

საერთოდ, ძალიან ავი ქალია და ყველასთან უსიამოვნება მოსდის, მაგრამ, განსაკუთრებით კარგად აქვს „დაცდილი" ყოველი ახალი წლის წინა დღეებში სახლში აყალმაყალის მოწყობა. მიზეზს მნიშვნელობა არ აქვს, რომც არ იყოს, თვითონ გამოიგონებს და მერე იმ გამოგონილზე იმისთანა ჩხუბს ააგებს, მტყუანს და მართალს ღმერთიც ველარ გაარჩევს. ძირითადად კი ჩემთან აქვს პრეტენზიები – რატომ მეხმარება ხოლმე ქმარი თუნდაც სადღესასწაულო დღეებში. მე ჩემი შვილი შენს მონა-მოსამსახურედ კი არ გამიჩენიაო. არადა, უნდა ნახოთ, თავისი ქმარი რა დღეში ჰყავს. საწყალი კაცი, ლოგინსაც თვითონ ულაგებს, ჭურჭელსაც თვითონ რეცხავს, „უბორკებსაც" კი ის უკეთებს, ეს კი, თან ყველაფერს ქმარს აკეთებინებს და თან თავს აყვედრის.

ამჯერადაც ისე გადამიყვანა ჭკუიდან, გადავწყვიტე, დედაჩემთან შევხვდე ახალ წელს ჩემს შვილებთან ერთად და რამდენიმე დღე იქ დავრჩე. ჩემი ქმარი მაინც სამსახურში იქნება მთელი ღამე და ამ გადარეულ და უმადურ ქალთან რა უნდა ვაკეთო. ბავშვებიც სულ დაზაფრულები არიან მისი ხასიათის გამო. ერთადერთი, საწყალი ჩემი მამამთილი მეცოდება – მარტონი რომ იქნებიან, მთელ თავის ენერგეტიკას დაამხობს თავზე, მაგრამ, რა ვქნა, როგორც შეირთო ასეთი აფთარი, ისე გაუძლოს კიდეც. და, საერთოდაც, როგორც კი ეს დღეები ჩაივლის, ჩემს ქმარს სერიოზულად უნდა დავუსვა საკითხი, რომ ცალკე გადავიდეთ საცხოვრებლად (თუნდაც ნაქირავებში), თორემ, მალე ფსიქიატრიულში დასაწვენები გავხდებით მეც და ჩემი შვილებიც და მერე უფრო არ გაუჭირდება?!

**ეკა, 32 წლის.**

## შვილებს მაინც ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ

გწერთ მოხუცთა თავშესაფრიდან. მინდა, ვისარგებლო თქვენი რუბრიკით და ახალი წელი მივულოცო ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს, რომლებსაც თითქმის ერთი წელია, ვერ მოუცლიათ, რომ მინახულონ. ტელეფონით თუ დამირეკავენ და ვალის მოხდის მიზნით თუ მკითხავენ, რამე ხომ არ გინდაო, სულ ეს არის მათი ყურადღება და ვალის მოხდა მშობლის წინაშე. მაგათ ჰგონიათ, ათასში ერთხელ ვიღაც უცნობს კანფეტსა და სიგარეტს თუ გამოატანენ ჩემთან, ამით მთავრდება ყველაფერი. ორი ვაჟი მყავს, ორივეს თან გადავყევი და ორივე კარგი შვილი იყო, სანამ დაოჯახდებოდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ორივეს ისეთი ცოლი ჰყავს, ქმრებს გამოუცხადეს, რომ მათ მოხუც მამას სახლში ვერ იგუებენ (სხვათა შორის, ორივე შვილი ჩემ მიერ ნაყიდ ბინებში ცხოვრობს) და ამ ბედოვლათებმაც მაშინვე თავშესაფარში გამამწესეს – ცოლებს წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაუბედეს. თან, შვილებიც ისეთები გაზარდეს, არც კი წუხან ჩემ გამო, არც კი ვახსოვარ არც ერთს. ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც ვულოცავ ყველას ახალ წელს, მაინც ყველაფერი საუკეთესო მინდა მათთვის; ჩემს შვილებს კი ვუსურვებ, წლების შემდეგ ისინიც არ მოიშორონ შვილებმა თავიდან და ჩემსავით არ მოუწიოთ მისალოცი წერილების წერა მოხუცთა თავშესაფრიდან.

**შოთა, 86 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**ნოდიკო ტატიშვილისთვის გასული წელი საკმაოდ საინტერესო იყო. ცოტა ხნის წინ კი, ის სოფო გელოვანთან ერთად, ევროტურში იმყოფებოდა – ევროპის სხვადასხვა ქალაქში ძალიან წარმატებული კონცერტები ჰქონდათ. რაც მთავარია, „ოქროს ტალღაზე“ მათი დუეტი წლის საუკეთესო დუეტი გახდა, ხოლო მათი სიმღერა – „წლის სიმღერა“.**

# რისგან უჭირს თავის შეკავება ნოდიკო ტატიშვილს და ვისთვის არის ის კარგი კავალერი

**ნოდიკო ტატიშვილი**: 3 დეკემბერს ვიმღერეთ ლუქსემბურგში, 5 დეკემბერს – პარიზში, 7 დეკემბერს – დიუსელდორფში, 9 დეკემბერს – ბერლინში. ეს იყო ძალიან კარგი ტურნე, ისეთი, როგორსაც ვერ წარმოვიდგენდით – ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თავად კონცერტები იყო ძალიან კარგი და საინტერესო. რეჟისორი, იდეის ავტორი გახლდათ ლაშა ონიანი, რომელმაც კომპანია „არტ ტრანსფერმთან“ და თავის მეუღლესთან, ამ პროექტის მენეჯერთან, თინა ებიაშვილთან ერთად, გააკეთა ყველაფერი. ზოგადად, ეს ოჯახი ძალიან ბევრ კარგ რამეს აკეთებს საქართველოსთვის, ცდილობენ, ევროპაში მოახდინონ ქართული კულტურის პოპულარიზაცია. აღმოჩნდა, რომ იქ, სადაც ჩვენ ვიყავით, ქართულ კულტურას ძალიან ბევრი გულშემატკივარი ჰყავს. ლუქსემბურგის კონცერტზე დამსწრე საზოგადოების 98 პროცენტი ადგილობრივი მოსახლეობა იყო, დანარჩენი – ქართველები. დარბაზი სავსე იყო. ასე იყო პარიზშიც, სადაც კონცერტი ძალიან ცნობილ, ალამბრას თეატრში ჩატარდა. დიუსელდორფში 1 200-კაციანი დარბაზი სულ სავსე იყო, უმეტესობა ქართველები დაესწრნენ და კიდევ ჩემი და სოფოს „ევროვიზიის“ იქაური გულშემატკივრებიც დაგვხვდნენ ჩვენი პოსტერებით. ბერლინში საქართველოს საელჩოში ვიმღერეთ მიღებაზე, სადაც გაიმართა გერმანელი ავტორის წიგნის პრეზენტაცია, რომელიც საქართველოს შეეხებოდა.



**იქამდე ვიკავებ, სადამდეც შემიძლია. მაგრამ არის მომენტები, როცა არ შემიძლია თავის შეკავება. უხერხულ სიტუაციაში ვვარდები და ამ დროს არ ვიცი, რა მოვიგონო, რომ ჩემი სიცილი ცოტა ლოგიკური იყოს**

– **ეს „ევროვიზიის“ შემდეგ შენი და სოფოს პირველი გასვლა იყო ევროპაში...**

– კი, პირველი მასშტაბური გასვლა იყო. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 2014 წელს კონცერტები იგეგმება უფრო მეტ ქალაქში, სხვადასხვა ქვეყნის დაახლოებით 10-მდე ქალაქში. ასე რომ, ჩემი და სოფოს ტანდემი შედგა, მიუხედავად იმისა, რომ დუეტი არ ვართ და არც ვაპირებთ, დუეტის სტატუსით გავაგრძელოთ კარიერა, მაგრამ, ჩვენთვის ერთად მუშაობა ძალიან სასიამოვნოა. სოლო კარიერას ორივე ვაგრძელებთ, მაგრამ ერთად ყოველთვის ვიმღერებთ, რადგან ძალიან მოგვწონს. სცენაზე ერთმანეთს უპრობლემოდ ვეწყობით – თვალებით, ემოციით, ბგერებით ვხვდებით, რა უნდა გავაკეთოთ.

– **ევროტურების დროს, როგორი კავალერი ხარ?**

– სოფოს არაფერზე არ უწევს ნერვიულობა, ფიქრი. მამაკაცი ვარ და აეროპორტიდან დაწყებული, ბევრ რამეს საკუთარ თავზე ვიღებ. გარდა ამისა, ძალიან კარგად ვერთობით. თვალის იქით რომ ხედავ, ასე ვხედავ, სოფო როგორ ბჟირდება სიცილისგან და მე აქეთ როგორ ვბჟირდები. ბევრ რამეზე ისე ვერთობით, ერთმანეთს არც კი ვუყურებთ. ერთმანეთს თუ შევხედავთ, უარესი დაგვემართება, თავს ველარ შევიკავებ. როცა მეცინება, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, სად ვარ, მიჭირს თავის შეკავება. იქამდე ვიკავებ, სადამდეც შემიძლია. მაგრამ არის მომენტები, როცა არ შემიძლია თავის შეკავება, უხერხულ სიტუაციაში ვვარდები და ამ დროს არ ვიცი, რა მოვიგონო, რომ ჩემი სიცილი ცოტა ლოგიკური იყოს.

– **საახალწლო პერიოდი ერთ-ერთი დატვირთულია მომღერლებისთვის.**

– საკმაოდ დატვირთული გრაფიკი მაქვს – აჟიტირებული დეკემბერი. ჯერ ევროპაში წავედით, შემდეგ თბილისში ჩამოვფრინდით და მე და სოფო „ოქროს ტალღაზე“ გავხდით „წლის დუეტი“. გარდა ამისა, გავიმარჯვეთ მთავარ ნომინაციაში, რომელზეც ფულადი პრემიაც იყო, ანუ, ჩვენი სიმღერა გახდა „წლის სიმღერა“. ეს ჩვენთვის განსაკუთრებულად ღირებულია, რადგან ჟიურიში დაახლოებით 20-25 წევრი იყო და ყველა ძალიან კომპეტენტური. კიდევ, „პროფილში“ იყო ჩემი საშობაო სინგლის პრეზენტაცია, რომელიც პატარა ბავშვებთან ერთად ჩავწერე. საბავშვო სტუდია „ჩიკოს“ ბავშვები არიან, უსაყვარლესები და ნიჭიერები. სიმღერის მუსიკა დაწერა ნინო ჩაჩავამ, იგივე ჩაჩიმ, ხოლო ლექსის დაწერა ვთხოვეთ არქიდიაკვანს, მამა დემეტრეს, რომელიც ძალიან თავმდაბალი ადამიანია და გვითხრა: არ ვარ პოეტი, ვერ დავწერო. მაგრამ, მუსიკას რომ მოუსმინა, იმდენად მოეწონა, მეორე დღეს გვითხრა: აბა, ნახეთ, როგორი გამოვიდაო. ისეთი კარგი გამოვიდა, ზუსტად შეესაბამებოდა მუსიკას. მერე, სიმღერა რომ ჩავწერეთ და მამა დემეტრეს მოვასმენინეთ, ძალიან მოეწონა. პირობა ჩამოვართვი, რომ თუ მომავალ წელს კიდევ ჩავწერ საშობაო სიმღერას, ის დამიწერს ლექსს.

– **უკვე დაგეწყო საახალწლო ფორიაქი?**

– ბავშვობაში უფრო მქონდა მოლოდინი და ფორიაქი, რადგან თოვლის ბაბუისგან საჩუქრები მხვდებოდა. რაც გავიზარდე, თოვლის ბაბუა აღარ მიგზავნის საჩუქრებს, დამტოვა გაღიმებული. ამიტომ, თავად ვარ საკუთარი თავის თოვლის ბაბუა, ისევე, როგორც სხვებისთვის. ეს დიდ სიამოვნებას მანიჭებს, რადგან ვცდილობ, გავახარო ოჯახის წევრები, მეგობრები. თან, ზუსტად ვიცი: ვის რა უნდა, რა სჭირდება, ვინ რაზე ოცნებობს. დიდ ნატვრებს ვერ ვასრულებ, მაგრამ, რაც ხელმეწიფება, იმას ვაკეთებ.

**ბავშვობაში უფრო მქონდა მოლოდინი, ფორიაქი, რადგან თოვლის ბაბუისგან საჩუქრები მხვდებოდა. რაც გავიზარდე, თოვლის ბაბუა აღარ მიგზავნის საჩუქრებს, დამტოვა გაღიმებული, ამიტომ მე ვარ საკუთარი თავის თოვლის ბაბუა**

– **რომელი იყო შენთვის განსაკუთრებული ახალი წელი?**

– 2010 წელი რომ იწყებოდა, პირველად შევხვდი ახალ წელს სცენაზე და თან, გამარჯვებული – „ჯეოსტარში“ გავიმარჯვე. აჟიტირებული ვიყავი, ყველა მილოცავდა, ყურადღების ცენტრში მოვექეცი. ამით დაიწყო ჩემი კარიერა, ამ დღეს დავიბადე საქართველოში როგორც მომღერალი. არ მახსოვს, როგორ გავიდა მთელი იანვარი და იმასაც ვერ ვხდები, 2009 წლიდან დღემდე, ანუ ეს 4 წელი, როგორ გავიდა. „ჯეოსტარის“ შემდეგ ტემპიც აჩქარდა. თან, ამ 4 წელიწადში ჩემს კარიერაში იმდენი კარგი რამ მოხდა.

– **2009 წელს ხომ არ ჩაიფიქრე გამარჯვების სურვილი?**

– სამებაში არის ღვთისმშობლის მსწრაფლშემსმენელი ხატი. როცა რაღაც ძალიან გულით მინდა, მივდივარ და მას ვეჩურჩულები – ჩუმად უნდა უთხრა, რომ არავინ გაიგოს. სასწაული ხდება ჩემს ცხოვრებაში: შეიძლება, მეორე დღესვე არა, მაგრამ როცა საჭიროა, ის სურვილი აუცილებლად მიხდება და ვხვდები, რომ ეს იმ სურვილის ან ოცნების ასრულებაა, რაც ღვთისმშობლის ხატს ვთხოვე. „ჯეოსტარზე“ გამარჯვება, რა თქმა უნდა, ძალიან მინდოდა, მაგრამ ამისთვის თავს არ ვიკლავდი. უბრალოდ, მინდოდა ხალხს ეთქვა: რა კარგად მღერის ნოდიკოო. თან, მქონდა იმის ამბიცია, რომ ჟიურის ერთი ზედმეტი სიტყვა არ ეთქვა, რადგან არ მიყვარს შენიშვნები. მინდა, ყველაფერი ისე იდეალურად გავაკეთო, რომ ვიღაცამ შენიშვნა არ მომცეს. ბავშვობაში სულ შენიშვნებს ვიღებდი, რადგან სასწაული ბავშვი ვიყავი: კედლებზე დავდიოდი, თაროდან თაროზე გადავდიოდი, მაგიდებს კუთხეებს ვამტვრევდი. მალე კი დავჭკვიანდი, მაგრამ კიდევ ვაფუჭებ რაღაცეებს, ცოტა მავნე ხელი მაქვს. მიხარია, რომ ისე დამთავრდა „ჯეოსტარი“, ერთი შენიშვნა არ მოუცია ჟიურის. თან, პროფესიონალ მომღერლობაზე მქონდა პრეტენზია და არა იმაზე, რომ სახლში წავიდოდი და დავჯდებოდი. ბავშვობიდან მყავდა ძალიან კარგი პედაგოგი – ნანა დაუშვილი და მისი შენიშვნა ყოველთვის იყო ჩემთვის მისაღები. თან, მისი მხრიდან შენიშვნა ასეთი იყო: ნოდიკო, ასე ჯობია, რადგან ეს ასეა... ანუ ახსნით. „ჯეოსტარშიც“ არაჩვეულებრივი პედაგოგი გვყავდა – მანანა მორჩილაძე და მისი მოცემული ყველა რჩევა აბსოლუტურად მისაღები და გასათვალისწინებელი იყო. ასეთი რაღაცეები მიყვარს, მაგრამ ხმამაღალი შენიშვნები – არა. ამიტომაც, არ მინდოდა, ჟიურის ხმამაღლა მოეცა შენიშვნა და მერე ეს მთელ საქართველოს ენახა – ამას ვერ გადავიტანდი. შეიძლება, გამეპროტესტებინა კიდეც. თუ დავიმსახურებდი, მე ისედაც მივხვდებოდი, რადგან ისეთი თვითგვემა ვიცი... ძალიან თვითკრიტიკული ვარ.

– **ბოლოს რომ ვისაუბრეთ, შენს ცხოვრებაში ერთი გოგონა იყო, რომელთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა გქონდა. ახლა, რა ეტაპზეა თქვენი ურთიერთობა?**

– ისევ არსებობს და ყველაფერი კარგად არის, სტაბილურად. რაც მთავარია, ორივე კომფორტულად ვგრძნობთ ერთად თავს და ეს ურთიერთობა ორივეს მოგვწონს. თან, რაღაც ეტაპები იცვლება, უკეთ ვიცნობთ ერთმანეთს ჩვენი მინუსებით, პლუსებით, ყველაფრით.

– **ასეთ ურთიერთობაში შენიშვნებზე როგორ რეაგირებ?**

– უნდა მითხრას. ყველაფერს გარკვევა სჭირდება, თუ რამე არ მოგწონს, უნდა თქვა – ასე ავაწყვეთ ჩვენ ურთიერთობა. კარგადაც გვიკამათია, ოღონდ, არ გვიჩხუბია. თუმცა, ისეთი კარგია ეს ურთიერთობა, რომ კამათი მეორეხარისხოვანია.

**ნათია უტიაშვილი**

**პაროდისტი ვლად არამოვი, უკვე დიდი ხანია, ამერიკაში გადასახლდა. თუმცა, ამ ბოლო დროს საქართველოშიც მოუხშირა ჩამოსვლას. ეს ნოსტალგიის ბრალია თუ დაუგეგმავი ვიზიტების, ამაზე თავად გვესაუბრება. თუმცა, როგორც გავარკვიეთ, მას ამჯერად, სერიოზული მიზეზი ჰქონდა, კერძოდ, „იუმორინას" საიუბილეო საღამოზე მოიპატიჟეს და არც კი დაფიქრებულა, ისე გამოიარა ამხელა გზა, მხოლოდ, რამდენიმე დღისთვის. სად აპირებს ახალი წლის დახვედრას, რატომ ვერ ზეიმობს ამ დღესასწაულს ის ოჯახის წევრებთან ერთად და რა წაიღო საქართველოდან ამერიკაში შობისთვის, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ. თუმცა, აქვე იმასაც გეტყვით, რომ ინტერვიუ მის გამგზავრებამდე, რამდენიმე დღით ადრეა ჩაწერილი და ის ახლა უკვე საქართველოდან ძალიან შორს, ამერიკაშია.**

# რატომ არის ვლად არამოვი „ივან გროზნი" თოვლის ბაბუა და როგორ დააფრთხო მან ახალ წელს ბავშვები თავისი კავკასიური გარეგნობით

**ვლად არამოვი:** რამდენიმე დღით ჩამოვედი საქართველოში ამერიკიდან და ამის მიზეზი ის იყო რომ, პაროდიის თეატრი 15 წლის იუბილეს აღნიშნავს და „იუმორინაში" ვიღებ მონაწილეობას. ანუ, ეს უბრალოდ, ნოსტალგიური ჩამოსვლა არ არის სამშობლოში, საქმიანი ვიზიტია. სწორედ, მათი მოწვევით ჩამოვედი და ძალიან ბედნიერი ვარ. ჩემს გარდა, მოსკოვიდან ჩამოვიდნენ მამუკა ონაშვილი და ლევან შენგელია. ვიკრიბებით ძველი „სასტავი" ***(იცინის).*** ამ საიუბილეო კონცერტზე, ჩემი საუკეთესო ნომრებით გამოვდივარ და უნდა გავაკეთო ნინო ქათამაძის, ანრი ჯოხაძის და ასე შემდეგ, პაროდიები. ასე რომ, ქალად გარდასახვაც მომიწევს.

**– ბოლო დროს, საკმაოდ მოუხშირე საქართველოში ჩამოსვლას. ეს ნოსტალგიის ბრალიც ხომ არ არის?**

– რასაკვირველია. აქ ჩემი ყველაზე საყვარელი ადამიანები ცხოვრობენ, აქ ჩემი ყველაზე კარგი მოგონებებია და ყველაზე ნათელი ფერები. სანამ ჩამოვალ, თვითმფრინავში, ვფორიაქობ. ერთი სული მაქვს, 13 საათი როდის გავა ცაში და როდის დავდგავ ფეხს ქართულ მიწაზე. ეს ჩემი სახლია და იმ 13 საათს თითებზე ვითვლი. ყველაზე მეტად ამერიკაში მშობლები მაკლია. აი, ამერიკის მოქალაქე რომ გავხდები ერთ წელში, მერე ამათაც იქ წავიყვან და ცოტა გულზე მომეშვება. დიდი ხანია, არ მინახავს ჩემი მეგობრები და ამ ჩამოსვლაზე, მათაც მოვისიყვარულებ. კი მინდოდა, ახალ წელს აქ შევხვედროდი, მაგრამ ამერიკაშიც დაგეგმილი მაქვს უკვე საქმეები. თუმცა, ამერიკაში კი ვიქნები, მაგრამ ოჯახთან ერთად ვერ შევხვდები დამდეგს, რადგან კორპორაციული საღამოა დაგეგმილი და იქ უნდა ვიყო. თანაც, ამერიკაში უფრო შობას ზეიმობენ, ვიდრე ახალ წელს. მსახიობები ძირითადად ახალ წელს ვერ ხვდებიან სახლში, სულ სადღაც არიან – წვეულება იქნება ეს თუ კონცერტი. ასე რომ, მე ჩემი ოჯახის სრულუფლებიანი მეკვლე ვარ! თუმცა, ახალ წელს წინასწარ შევხვდები ოჯახის წევრების გვერდით, რადგან შობას უფრო მეტ პატივს სცემენ ამერიკაში და უფრო ემზადებიან ამ დღისთვის.

**– სახლში რომ ახალ წელს ვერ დახვდები, მეკვლეობასთან რა კავშირშია?**

– რა და, გარეთ ხომ ვხვდები ახალ წელს, მერე მივდივარ სახლში და ავტომატურად და სრულუფლებიანად, უნდა თუ არა ეს ოჯახს, მე გამოვდივარ მეკვლე ***(იცინის).*** თუმცა, ვისთანაც მეკვლედ მივსულვარ, ყველა ამბობს, კარგი ფეხი გაქვსო და უხაროდათ ჩემი დანახვა ახალი წლის ღამეს. სამწუხაროდ, მეკვლის ინსტიტუტი ამერიკაში არ არსებობს. ამ ტრადიციას, მარტო იქ ჩასულები ვიცავთ მყარად ***(იცინის).*** თან, კარგ დროს მომიწია ჩამოსვლა. აქ ვიყიდი ყველს, თაფლს გოზინაყისთვის და ჩურჩხელებს.

**– ჩურჩხელა გასაგებია, მაგრამ თაფლი და ყველი ამერიკაში არ იყიდება?**

– კი იყიდება, მაგრამ გემო ისეთი არ აქვს, როგორც ეროვნულს. ცოლმა საგულდაგულოდ დამაბარა, გოზინაყისთვის კარგი თაფლი ჩამომიტანე, თორემ აქ არ დაგინახო ჩამოსული, ჯობია, იქ დარჩეო და აბა, ისე როგორ წავალ? კი ვუთხარი, გოგო, თაფლში და ყველში მცვლი ამხელა კაცს-მეთქი ***(იცინის).*** ორი ახალი წელია, რაც ამერიკაში ვარ და არც ერთ წელს არ დავხვედრივარ სახლში ოჯახის წევრებთან ერთად. ახლაც ბრუკლინში კორპორაციულ საღამოზე უნდა მივიღო მონაწილეობა, რომელსაც ჰქვია „დაბრუნება საბჭოთა კავშირში".

**– ესე იგი, ამ ახალ წელს უკან, საბჭოთა კავშირში ბრუნდები?**

– ***(იცინის)*** ასე გამოდის. ამ საღამოზე, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ამერიკაში ჩასული საზოგადოება იქნება და სხვა რა გზაა, მეც მათ გვერდით უნდა ვიყო და ვაკეთო პაროდიები – შევძვრე ძველი რუსი მომღერლების „ტყავებში". ბოლოს და ბოლოს, მეც ხომ ყოფილი საბჭოელი ვარ ***(იცინის).*** ერთი ამბავი გამახსენდა, უკან დაბრუნებაზე. წლების წინ, ძალიან რომ ჭირდა, გადავწყვიტე, ერთ-ერთ სკოლაში თოვლის ბაბუა ვყოფილიყავი. ეს როლი როგორ მოვირგე, ვერ გეტყვით, მაგრამ, ისე შევაშინე ბავშვები, მგონი, დღემდე ვერ იტანენ ახალ წელს და თოვლის ბაბუას ***(იცინის).***



**ჩემს ბავშვობაში სად ჰქონდა ფული საცოდავ თოვლის ბაბუას, თვითონაც დახეული ლაბადით, ძველი, დაძონძილი ხურჯინით და გაბურძგნული მოდიოდა**

**– რატომ შეაშინე?**

– პირველკლასელები იყვნენ და პირველად რომ დამინახეს, გაოცდნენ, ეს ნამეტანი კავკასიელი, შავ-შავ თვალებ-წარბ-წამწამა თოვლის ბაბუა რომ შევიდა მათთან. ხმა რომ ამოვიღე, შოკში ჩავარდნენ. ჩემი ჭკუით, ვიფიქრე, თოვლის ბაბუას დაბალი, ბოხი ტემბრი უნდა ჰქონოდა და ისეთი ხმა ამოვუშვი, რამდენიმე ბავშვმა ისტერიკული ტირილი მორთო ***(იცინის).*** ვერც საჩუქრებით მოვთაფლე და ვერც ვერაფრით. მერე ვიცინოდი, ნამეტანი „ივან გროზნი" თოვლის ბაბუა ვარ-მეთქი ***(იცინის)*** თავად, ძალიან მიყვარს ეს დღესასწაული და ვცდილობ, ყოველთვის ამაღლებულ განწყობაზე ვიყო, რომ მთელი წელი ასე დამებედოს. ყოველთვის მისგან ახალს და ბედნიერს ველოდები.

**– და, საჩუქრებს?**

– ჩემს ბავშვობაში ისეთი გაჭირვება იყო, თოვლის ბაბუასაც კი უჭირდა და პატარა, იაფფასიანი საჩუქრები მოჰქონდა. ნამდვილად არ მანებივრებდა ძვირად ღირებული საჩურებით. თუმცა, მეც ისეთ რამეს ვთხოვდი ხოლმე, რაც მჭირდებოდა. ანუ, კარგად ვხატავდი და სახატავი ალბომები, საღებავები, ფუნჯები მოჰქონდა. ეს ყველაზე კარგი საახალწლო საჩუქარი იყო ჩემთვის. პრაქტიკული ბავშვი ვიყავი ***(იცინის).*** სად ჰქონდა ფული იმ საცოდავს, თვითონაც დახეული ლაბადით, ძველი, დაძონძილი ხურჯინით და გაბურძგნული მოდიოდა. სხვათა შორის, ათ წლამდე მჯეროდა, რომ ის ღამით მოდიოდა და საწოლის ქვეშ საჩუქარს მიდებდა. ახლა კი, ეკონომიურად მოძლიერდა და ალბათ, ჩემთვისაც გაიმეტებს დიდ საჩუქრებს ***(იცინის).*** იცით, რა გამახსენდა? ერთხელ, გერმანიიდან საქართველოში მოვფრინავდი და ახალ წელს თვითმფრინავში შევხვდი. 12 საათზე, ვისკი მოგვიტანეს სტიუარდესებმა და ისე გამოვთვერი, არც გამიგია, როგორ გადამსვეს ჩარტერით სხვა თვითმფრინავში, სად ჩავედი, როგორ მიმიტანეს სახლში და საერთოდ, სად მოვხვდი. მაშინ, „ირონია სუდბი" დამემართა და კიდევ კარგი, ახალ წელს, სხვის აბაზანაში არ აღმოვჩნდი ***(იცინის).*** სხვათა შორის, თბილისის ქუჩებში რომ კიდევ მცნობენ და ვახსოვარ ხალხს, ვერ აგიღწერთ, ისე მიხარია და მსიამოვნებს. ახლაც, ლაბადაში გახვეული და ჩამოფხატული ქუდით მოვდიოდი, ვიღაც უცნობმა ქალმა გამაჩერა და მითხრა: შენ ვლადი არ ხარ, დაბრუნდი შვილო, როგორ გამიხარდაო.

**– აქ საკმაოდ პოპულარული და ცნობადი იყავი. ამერიკაში თუ მოახერხე შენი ადგილის დამკვიდრება?**

– იქ, ჯერ ფეხს ვიდგამ, ჩემს ბენდთან ერთად, რომელსაც ჰქვია „პრესტიჟ ბენდი". ვერ ვიტყვი, ამერიკაში პრესტიჟული და პოპულარული ვარ, ქუჩაში მცნობენ-მეთქი, მაგრამ არც ბედს ვუჩივი. იმედი მაქვს, დიდ სცენაზე, ბენდის ბიჭებთან ერთად, ვიტყვი ჩემს სათქმელს. და, ერთ დღესაც, გავხდები – პოპულარული ვლად არამოვი საქართველოდან. ყველაფერს დრო უნდა. იქ დიდი ბაზარია, მაგრამ აქ ხალხია დიდი, თბილი გულით. თუმცა, არ მოგატყუებთ, არსად არ მიჭირს ცხოვრება. მთავარია, იშრომო კაცმა, არ დაკარგო მოთმინება, გამოიყენო შენი ნიჭი, შესაძლებლობები და ეს მომავალში, სადაც არ უნდა იყო, აუცილებლად დაგიფასდება.

**ნონა დათეშიძე**


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# როდის აღანაშაულებს ცოლის ღალატში მამაკაცი საკუთარ თავს

**როცა ქალი ქმარს ღალატს აპატიებს, ეს არავის უკვირს და თითქოს ჩვეულებრივ ამბადაც მიიჩნევენ, მაგრამ, როცა ქმარი აკეთებს ამას, საყოველთაო ყურადღების ცენტრში ექცევა. მას გაოცებით და სიბრალულითაც კი უყურებენ. თითქმის შეუძლებლის შემძლედ – ანუ, განსხვავებულ ადამიანად აღიქვამენ. უცნაური სტერეოტიპია, მაგრამ რატომღაც ასე დადგინდა: ქალმა უნდა აპატიოს ქმარს ღალატი – რა მოხდა მერე, კაცია! ხოლო, თუ ცოლი უღალატებს ქმარს, ის მაშინვე უნდა გაკიცხო, დაგმო და მოიკვეთო... ერთი სიტყვით, უსამართლობაა, თუმცა ამაზე არავინ ჩივის. მაინც რა ამოძრავებს კაცს, აპატიოს ცოლს ღალატი?! მარტო საყვარელი თუ რაღაც სხვა...**



**აჩი** *(39 წლის):* თქვენც გაგაკვირვებთ, ალბათ, ჩემი სურვილი – ვილაპარაკო პირადზე. იცით, რატომ გადავწყვიტე, ყველაფერი დაუფარავად მოგიყვეთ?! ნამდვილად არ ვარ ისეთი ტიპი, ვისთვისაც რაღაც-რაღაცეები სულერთია. არც ძველბიჭობაზე და არც მაგარ ბიჭობაზე ვდებ თავს. მე ეს არ მჭირდება. ისიც ვიცი, რომ მამაკაცების უმრავლესობა ნეგატიურად შეხვდება ჩემს მონათხრობს და შეიძლება, დამცინონ კიდეც. ის გამიგებს, ვისაც ჰყვარებია. ოღონდ სიყვარული ნამდვილი უნდა იყოს.

**– ტყუილი სიყვარულიც არსებობს?**

– როგორ არ არსებობს. უმრავლესობას მხოლოდ ჰგონია, რომ უყვარს. მათი გრძნობა სადღაც, ზედაპირზეა და სიღრმეში ვერ ჩადის. მე არავის მსაჯულად არ გამოვდგები, მაგრამ, ეტყობა, ადამიანებს გვჭირდება იმის ცოდნა, რა არის სიყვარული, განსაკუთრებით – მამაკაცებს. თუმცა, არც ქალებმა იციან კარგად, როგორ უნდა გიყვარდეს. სიყვარულია, როცა მის გადაკეთებას არ ცდილობ. ისეთი გინდა და გიყვარს, როგორიც გყავს. საერთოდ აღარ ხარ ეგოისტი. ცხოვრობ მისთვის, მისი სიხარულისა და ბედნიერებისთვის.

> მამაკაცს რომ არ ეკითხები, უნდა თუ არა, ცოლად შეგირთოს, ესეც ხომ ეგოიზმია

**– კაცისგან ასეთი სიტყვები ცოტა უცნაურია.**

– რატომ არის უცნაური? რა მნიშვნელობა აქვს, ქალი ხარ თუ კაცი. გული ხომ გაქვს. ემოციები ხომ გაგაჩნია. კაცებს სწორედ ეგ აკომპლექსებთ, არაადეკვატური რეაქცია ქალებისგან – უი, კაცია და ასე უყვარს... უი, როგორ შესციცინებს და ყველაფერს უსრულებს; ვაიმე, როგორ აპატია... არადა, პატიებაც არაფერია, როცა გიყვარს. ამას ძალდაუტანებლად, ბუნებრივად აკეთებ და საერთოდ არ მიმაჩნია მსხვერპლშეწირვად.

**– ყოველთვის ასე ფიქრობდით?**

– არა. მეტსაც გეტყვით, მე თვითონ მიღალატია. იმ ქალისთვის მიღალატია, ვინც ასე ძალიან მიყვარს.

**– და უპატიებია?**

– ერთი სიტყვით ძნელია ამისი თქმა. ცოლი იცით, როგორ მოვიყვანე? იმას ვუყვარდი ძალიან და დათმობაზე წავედი. საკუთარ თავს ვუთხარი, რატომაც არა, რადგან ასე ძლიერ ვუყვარვარ, იყოს ჩემი ცოლი, იზრუნოს ჩემზე და მომიაროს-მეთქი. თანაც, როცა ქალს ძალიან უყვარხარ, ის ყოველთვის ყველაფერს გაპატიებს-მეთქი.

**– ანუ, თავიდანვე იცოდით, რომ უღალატებდით? ასეთი განწყობით მოიყვანეთ ცოლი და ეს ნორმალურად მიგაჩნიათ?**

– არა. არ მიმაჩნია ნორმალურად, მაგრამ, გიყვებით იმას, რაც იყო. მორალს თუ არ წამიკითხავთ, კარგი იქნება. მე ახლა უკვე სრულიად მაქვს გაცნობიერებული ჩემი თითოეული ნაბიჯი წარსულშიც და აწმყოშიც. ვფიქრობდი, რომ რატომ უნდა ჰქონდეს რამეზე პრეტენზია ქალს, რომლის ერთადერთი სურვილიც არის, გახდეს ჩემი ცოლი. მე ხომ ვუკმაყოფილებ ამ სურვილს. არ ვითვალისწინებ საკუთარს, რაღა უნდა მეტი?! იმითაც ბედნიერი უნდა იყოს, რომ მისი ქმარი მერქმევა-მეთქი. ვიცი, რომ ეს შეიძლება, იყოს ეგოიზმი, მაგრამ, მამაკაცს რომ არ ეკითხები, უნდა თუ არა, ცოლად შეგირთოს, ესეც ხომ ეგოიზმია.

**– ვერ გავიგე, თქვენ საერთოდ არ გინდოდათ მისი ცოლად შერთვა?**

– აშკარად ვერ გამიგეთ, მაშინ ვფიქრობდი ასე, თორემ ახლა ზუსტად ვიცი, რომ მეც მინდოდა. რომელი მამაკაცი აკეთებს იმას, რაც არ უნდა? უბრალოდ, მაშინ, როგორც მაწყობდა, ისე ვფიქრობდი. მოკლედ, შევირთე ცოლი და თავს ვირწმუნებდი, რომ შემეძლო, ისე მეცხოვრა, როგორც მომინდებოდა. რომ მქონდა ამის სრული უფლება, კიდევ ერთხელ ვიმეორებ – ახლა ზუსტად ვიცი, რომ ვცდებოდი, თანაც ძალიან. ვფლირტაობდი გოგონებთან და დარწმუნებული ვიყავი, რომ საერთოდ არაფერს ვაშავებდი... რომ სრული უფლება მქონდა, ცხოვრებით ისევე დავმტკბარიყავი, როგორც უცოლო, თავისუფალი მამაკაცი. ჩემს ცოლს ძალიან ვუყვარდი და მენდობოდა. ამიტომ, საკმაოდ დიდხანს ჩემი თავისუფალი საქციელი შეუმჩნეველი დარჩა მისთვის. მენდობოდა ძალიან და მე, სინდისი მქენჯნის, მის ამ ნდობას ბოროტად რომ ვიყენებდი. უფრო სწორად, საერთოდ არ ვფიქრობდი ჩემს ცოლზე და მის გრძნობებზე. კულმინაცია იყო რომანი ჩემს ყოფილ კურსელთან, ქალთან, რომელიც სტუდენტობისას ძალიან მიყვარდა. გათხოვილი იყო და მასზე საერთოდ აღარ ვფიქრობდი. ინსტიტუტის დამთავრების წლისთავზე შევხვდით ერთმანეთს. რომ დავინახე, ისევ ისეთი გამომწვევი და ვნებიანი, რაღაც ლტოლვა კი გამიჩნდა, მაგრამ არც მიფიქრია, რამე შემეთავაზებინა. თვითონ დამირეკა. შენი ნახვა მინდაო... შევხვდი. მაშინვე მომვარდა და კოცნა დამიწყო. არ ავყევი. ქმარი გყავს-მეთქი. ქმარი ფულისთვის მყავს, სიამოვნებისთვის კი შენ მჭირდებიო. რატომ უნდა მეთქვა უარი შემოთავაზებულზე და დაიწყო ჩვენი რომანი. საკმაოდ თამამად იქცეოდა. როცა მოუნდებოდა ჩემთან სიახლოვე, არაფერს ერიდებოდა, ჰოდა, „გავიშიფრეთ“. ჩემს ცოლს ხმა არ ამოუღია. საერთოდ არაფერი უთქვამს. უბრალოდ, ერთ დღეს, სახლში მისულს იქ აღარ დამხვდა, უსიტყვოდ წავიდა. თავიდან ძალიან გავბრაზდი, მერე ავღშფოთდი და არ ვურეკავდი. რამდენიმე დღის მერე ვიგრძენი, რომ ცარიელ სახლში თავს კომფორტულად ვერ ვგრძნობდი. ახლა სრულიად თავისუფალი ვიყავი, მაგრამ ეს თავისუფლება აღარაფერში მჭირდებოდა. მაინც არ ვურეკავდი – „რატომ უნდა შევეხვეწოს“ პრინციპით, მაგრამ საერთოდ „იგნორი“ გამიკეთა... იცით, როგორ კომფორტს მიქმნიდა? არაჩვეულებრივი ცოლი იყო. უბრალოდ, ისე შევეჩვიე მის ჩემდამი თავგანწირვას, რომ ვერ ვამჩნევდი ამას და ვერც ვაფასებდი.

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**რაც უფრო ახლოს არის საახალწლო ფაცი-ფუცი და დღესასწაული უკვე ყველაფერში იგრძნობა, მე სევდა მიპყრობს და სულ უგუნებოდ ვარ. საქმე ისაა, რომ დიდი ხანია, სწორედ ამ დღეს ველოდები რაღაც ძალიან კარგს და ახალს... სასწაულს, რომელიც არ ხდება და მთელი წელი თავს მოტყუებულივით ვგრძნობ. რა მოვუხერხო ჩემს წინასაახალწლო დეპრესიას?**

**გამოხმაურება:** თქვენი პრობლემა ადვილად მოგვარდება, თუ ღრუბლებში ფრენას მოეშვებით და გაცილებით რეალისტურად იაზროვნებთ. დღესასწაული ერთი ლამაზი დღეა და მორჩა. სასწაულები მხოლოდ მაშინ ხდება, როცა გულხელდაკრეფილები არ ვზივართ და ძალისხმევას არ ვიშურებთ, უკეთესი ცხოვრების, ბედნიერების მოსაპოვებლად. ანუ, ყველაფერი თქვენს ხელშია და ახალ წელსაც ღიმილით, იმედით შეხვდით.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როზაქიძე**

*35 წლის ვიაჩესლავ ვიაჩესლავის ძე ბულდიგინი ეძებს დაახლოებით 65-68 წლის ვალერი ბულდიგინს (ზუსტი ასაკი უცნობია).*

**ისტორია**: ვეძებ ბიძაჩემს (მამის ძმას) ვალერი ბულდიგინს. მე და ჩემი ოჯახი რუსეთში, ვორონეჟის მხარეში, ტერნოვის რაიონის სოფელ პოლიანაში ვცხოვრობთ. ბიძის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით. თქვენი რუბრიკის დიდი იმედი გვაქვს, იქნებ ჩვენც დაგვეხმაროთ მის პოვნაში. მაქვს ბიძაჩემის პატარაობის ფოტო, რომელზეც დედამისიც არის. იქნებ, ვინმემ იცნოს ეს ხალხი და გამოგვეხმაუროს. პირადად მე ბიძა არასდროს მინახავს, მაგრამ, მისი ნახვისა და გაცნობის დიდი სურვილი მაქვს. სამწუხაროდ, არც ქართული ენა ვიცი და საქართველოშიც არავის ვიცნობ, ამიტომ, ვალერი ბულდიგინის პოვნაში მხოლოდ თქვენ თუ დაგვეხმარებით.



**ჟურნალისტის შენიშვნა**: რუბრიკა „დაკარგულების" მკითხველს ვულოცავ შობა-ახალ წელს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას და, რაც მთავარია, არ დაკარგოთ თქვენთვის ძვირფასი ადამიანები! შარშან 657 ადამიანი ვიპოვეთ. იმედია, ახალ წელს ნაპოვნ ადამიანთა რიცხვი უფრო მეტი იქნება.

ჩემი ამჟამინდელი რესპონდენტი ვორონეჟის მხარიდან დამიკავშირდა და ვალერი ბულდიგინის მოძებნაში დახმარების გაწევა მთხოვა. ამ ისტორიაში ხელმოსაკიდი ვალერის ფოტოებია და, იმედია, ჩვენ მას ამ ფოტოებით ვიპოვით.

**– როგორ დაკარგეთ ერთმანეთი ბიძამ და ძმისშვილმა და რატომ არ იცნობთ ერთმანეთს? გვიამბეთ თქვენი ისტორია.**

# ვინ ეძებს ბიძას ვორონეჟის მხარიდან საქართველოში და რა მიზეზით არ უნახავთ ნათესავებს ერთმანეთი

– მე ვეძებ მამაჩემის ძმას – ვალერი ბულდიგინს. საქმე ისაა, რომ ბაბუაჩემი (მამის მამა) ომის დროს მფრინავი იყო და დაახლოებით 1942-1945 წლებში ჰოსპიტალში მოხვდა, სადაც გაიცნო კიდეც ვალერის დედა, რომელიც იქ მედდად მუშაობდა. მათ შეუყვარდათ ერთმანეთი და, შედეგად, ვალერი დაიბადა. ამის შემდეგ ბაბუა (ვასილი) დაბრუნდა თავის სამშობლოში – რუსეთში, სადაც შექმნა ოჯახი და მას შეეძინა კიდევ ორი შვილი (ვალერი და ლუსია) შეეძინა. მათგან, ვალერი მამაჩემია. ვასილის ოჯახმა იცოდა ვალერის არსებობის შესახებ, ბაბუას ეს ამბავი არ დაუმალავს. მე კი ეს ისტორია მამისგან ვიცი. მამაჩემს ძალიან უნდა ნახევარძმის ნახვა ან გაგება, თუ როგორ აეწყო მისი ცხოვრება.





**– მამათქვენს და საქართველოში მცხოვრებ მის ნახევარძმას ერთმანეთი არასდროს უნახავთ?**

– არა. რაღაც პერიოდამდე მათ ერთმანეთთან წერილობითი კავშირი ჰქონდათ. ვიცით, რომ ვალერის მეუღლეს თამარი ჰქვია და ჰყავს ორი შვილი – გივი და ნათელა. ისინი ჩემი ბიძაშვილები არიან, მაგრამ, მე მხოლოდ მათი ფოტოები მაქვს და, სამწუხაროდ, არ ვიცნობ. მე და მთელ ჩემს ოჯახს ძალიან გვინდა მათი პოვნა, ბიძის ნახვა, მისი შვილების გაცნობა და, საერთოდ, ურთიერთობის აწყობა. მართალია, ეს ისტორია საკმაოდ დიდი ხნისაა – ის ბაბუას ომის დროს გადახდა – მაგრამ, სასწაული ის არის, რომ ამ ისტორიას გაგრძელება უნდა ჰქონდეს.

**– ანუ, ჩვენ ვეძებთ ვალერის, მის მეუღლეს – თამარს და მათ შვილებს.**

– დიახ. ძალიან გვინდა, რომ ისინი კარგად იყვნენ. როგორც გითხარით, მამას უკვე დიდი ხანია, არ ჰქონია მათთან კავშირი. სხვა ბინაში გადასვლის დროს მათი მისამართიც დაგვეკარგა. მადლობა ღმერთს, სურათები დაგვრჩა და ახლა მხოლოდ ამის იმედად ვართ. მინდა, მამაჩემს სიურპრიზი გავუკეთო და ძმა ვაპოვნინო. ალბათ, დამეთანხმებით, ამაზე დიდი საახალწლო საჩუქარი რა უნდა იყოს. დარწმუნებული ვარ, ვალერისაც ენდომება ძმასთან დაკავშირება და ეს ისტორია კეთილად დასრულდება. მე კი ვიპოვი ჩემს ბიძაშვილებს – გივის და ნათელას. მართალია, მათ არ ვიცნობ, მაგრამ, ისინი ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანები არიან.

***თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

უცებ გადის დრო და ვიგებ, რომ ჩემი ცოლი ვიღაცას ხვდება.

**– უკაცრავად, ეს რას ნიშნავს?**

– გავიგე, რომ ვიღაც ტიპთან სერიოზული „დვიჟენიები" ჰქონდა და აი, მანდ მივხვდი, რომ ცუდად იყო ჩემი საქმე – მიყვარდა და არავითარ შემთხვევაში, არ დავუთმობდი სხვას. თუმცა, რამდენიმე კვირა ჩემს გულს ვასკდებოდი და არაფერს ვაკეთებდი. თითქოს რაღაცას ველოდი. ვფიქრობდი, რომ თვითონ შემეხმიანებოდა... სულელი ვიყავი...

**– გეგონათ, რომ თქვენზე შურის საძიებლად ხვდებოდა იმ კაცს და აუცილებლად გაგაგებინებდათ ამას?**

## მრთი ფულის და კომფორტისთვის მყავს, სიამოვნებისთვის კი შენ მჭირდებიო

– დიახ. სწორედ ამას ვფიქრობდი. არ ვმალავ, ხომ ხედავთ?! მაგრამ ჩემმა მოლოდინმა არ გაამართლა. ჩემი ცოლი ისე იქცეოდა, თითქოს მე საერთოდ არ ვარსებობდი. თავისი ცხოვრება ჰქონდა და არც აპირებდა, თუნდაც ერთი მესიჯი მოეწერა. როცა დავრწმუნდი, რომ საერთოდ არ გამოვიდოდა კონტაქტზე, გავგიჟდი და პირდაპირ „მივეჭერი" სამსახურში. აბსოლუტურად მშვიდად შემხვდა. მკითხა, რა გინდაო. ამ სიმშვიდით საბოლოოდ მომიღო ბოლო. მითხრა, მე უკვე გიღალატე, მაგრამ იმიტომ არა, რომ შენზე შურისძიება მინდოდა. დიდი ხანია, ვიცი, რომ ჩემი ერთგული არასოდეს ყოფილხარ, არაფერს გეუბნებოდი, მაგრამ ვიტანჯებოდი. გადავწყვიტე, როგორმე გავთავისუფლებულიყავი შენი სიყვარულისგან. უფრო სწორად, ჩემი სიყვარულისგან. იმიტომ რომ, ეს ჩემი სიყვარული იყო... მიყვარდი და ვფიქრობდი, რომ ეს სიყვარული შემაძლებინებდა ყველაფრის ატანას. არ გამომივიდა, მაინც სუსტი აღმოვჩნდი – ამიტომაც ესღა გადავწყვიტე. ვუსმენდი და არ მჯეროდა, რომ ამ სიტყვებს ჩემი ცოლი ამბობდა. მსმენია, რომ ცოლები მოღალატე ქმრებს საშინელ ისტერიკებს უწყობენ. მათ საყვარლებს საჯაროდ თმით ითრევენ და რას აღარ აკეთებენ. ეს კი ცრემლიანი თვალებით მიყურებდა და ჩემგან არაფერს ითხოვდა, აბსოლუტურად არაფერს. ჩემში რაღაც გადატრიალდა. მთელი სამყარო ამომიყირავდა... სულ სხვანაირად, სხვა თვალით დავინახე ჩვენი ურთიერთობა – ვკითხე. ის კაცი გიყვარს-მეთქი? რა მნიშვნელობა აქვს ამას. შენ რომ მიყვარდი, ამათ რა გამოვიდაო. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ დავუჩოქე... გეფიცებით, – მე ეს გავაკეთე. ვეუბნებოდი, რომ ვაპატიებდი ყველაფერს, თუ დაბრუნდებოდა ჩემთან და მომცემდა შანსს, ცხოვრება მასთან ერთად თავიდან დამეწყო.

**– შვილები გყავთ?**

– ერთი შვილი გვყავს. თუმცა, შვილის გამო არ მინდოდა მასთან შერიგება. ზუსტად ვიცოდი, რომ ბავშვთან ურთიერთობას არ დამიშლიდა. მხოლოდ ჩვენი ურთიერთობა იყო გადამწყვეტი. მე მივხვდი იმას, რომ მიყვარდა. ძალიან მიყვარდა. ერთადერთი ქალი იყო, რომლის გვერდითაც მინდოდა ყოფნა ჩემი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში. და, რომ ყველაფერი უნდა გამეკეთებინა მის შესანარჩუნებლად... ის დარჩა ჩემთან. იმანაც მაპატია და მომცა შანსი. ახლა კიდევ მკითხეთ, როგორ შევძელი ცოლისთვის ღალატი მეპატიებინა? იმას არაფერი სჭირდა საპატიებელი. იმან მაპატია და ახლა უკვე ვიცი, როგორ უნდა მიყვარდეს.

**დალი მიქელაძე**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**იუმორით სავსე და მხიარულ ნიკა არაბიძეს ისევე, როგორც ყველა ჩვენგანს, უამრავი ტკბილი და თბილი მოგონება აკავშირებს ახალ წელთან. თუმცა, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენთ, რომ ის, წლების წინ, თავად იყო თოვლის ბაბუა და ხურჯინით ხელში, პატარებთან სტუმრად, ზუსტად ღამის 12 საათზე მიდიოდა. თუ როგორ ჭამა მან ბამბის წვერი, სად აპირებს ახალი წლის დახვედრას და რას ელის ცხენის წელიწადისგან, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# რა ღირდა ახალი წლის ღამეს ნიკა არაბიძის გამოძახება ნახევარი საათით და როგორ აჭამეს მას საკუთარი წვერ-ულვაში გოზინაყის ხათრით

**ნიკა არაბიძე:** სანამ პატარა ვიყავი, მჯეროდა, რომ თოვლის ბაბუა მოვიდოდა და საჩუქარს მომიტანდა. ფურცელზე ვწერდი ჩემს სურვილებს, ნაძვის ხის ქვეშ ვდებდი და ერთი სული მქონდა, როდის გათენდებოდა. ახალი წლის ღამეს დაძინება, განსაკუთრებით მიხაროდა *(იცინის).* დილით კი ველოდებოდი, რომ მის მაგივრად საჩუქარი დამხვდებოდა. ახლა ასე ჩემი შვილი იქცევა და მას რომ ვუყურებ, ჩემი ბავშვობა მახსენდება. ჩემს შვილს უნდა, რომ თოვლის ბაბუამ გლობუსი მოუტანოს. ეს რომ არ მიეწერა, დიდი ხანი რომ მეფიქრა, რა ვუყიდო-მეთქი, ამას ვერ მოვიფიქრებდი. ასე რომ, გლობუსის ყიდვა არ უნდა დამავიწყდეს ამ ახალ წელს. გველის წელს მე სიდედრის წელს ვეძახი, ანუ სიდედრის წელი მიდის და ცხენის წელი მოდის. ცხენი მუსტანგთან ასოცირდება და იქნება, მანქანა ვიყიდო *(იცინის).*

**– ღმერთმა ყველა სურვილი აგისრულოს! თუმცა, რომ გავიგე, წლების წინ თავად იყავი „თოვლის ბაბუა გამოძახებით", ბევრი ვიცინე. ეს იდეა საიდან წამოვიდა?**

– 90-იან წლებში, როცა კარგი ცხოვრება „დუღდა", სტუდენტი გახლდით და მეგობრებმა მოვიფიქრეთ, მოდი, სერვისი გავაკეთოთ „თოვლის ბაბუა გამოძახებით". მოკლედ, დადგა ახალი წელი, გამოვეწყვეთ წითელ ლაბადებში, დავიმხეთ ქუდები, გავიკეთეთ თეთრი ბამბის წვერები, გადავიკიდეთ ხურჯინები და დავიწყეთ სახლებში სიარული. საბედნიეროდ, მე თბილისის „სვეტსკი" უბნები შემხვდა – ვაკე, ვერა, საბურთალო. ერთ-ერთი გამოძახება იყო ვერაზე, სამი წლის თეონას მშობლებისგან. მივედი, 12 საათს აკლია რამდენიმე წუთი, დამხვდა გაზიზინებული, გაპრიალებული, ლამაზი სახლი, თავისი ბუხრითა და გაშლილი პურ-მარილით. გავიხედე, გამოვარდა ოთახიდან პატარა გოგონა და რომ დამინახა თოვლის ბაბუა, თვალები შუბლზე აუვიდა. მივეცი საჩუქარი, შემიყვანა თავის ოთახში, მეტლიკინება, მაჩვენებს თავის სათამაშოებს და არის ერთ ამბავში. უცბათ, გაჩერდა და ატეხა ტირილი. ვიფიქრე, რა დაემართა-მეთქი და იცით, რატომ იტირა?

**– საიდან უნდა ვიცოდე?**

– მითხრა, რატომ არ ჩამოხვედი ბუხრიდან, თოვლის ბაბუები ხომ საკვამურიდან ჩამოდიან, მე იქიდან გელოდებოდიო *(იცინის).* რა ბუხრიდან ჩამოსვლა, ჩემი გასაჭირი მქონდა, დაბლა დაქოქილი „ადინაცატი" მელოდებოდა.

**– მერე ვერ გამორთე მანქანის ძრავა და ისე ვერ ახვედი?**

– რომ გამომერთო, ველარ დავქოქავდი, ისეთი „სლაბი" მატორი ჰქონდა იმ საწყალს *(იცინის).* მოკლედ, გახდა ამასობაში 12 საათი და დიასახლისმა მიმიპატიჟა სუფრასთან. კი გავიგიჟე თავი, ქალბატონო, ვერ ვჭამ, ვერ ვსვამ და ნუ შეწუხდებით, მე სხვაგანაც უნდა მივიდე-მეთქი, მაგრამ მაფიცა-მაგლიჯა და უარი ველარ ვუთხარი.

**– კი მაგრამ, რატომ ვერ ჭამდი და**



სამი წლის გოგონამ რომ დამინახა თოვლის ბაბუა, ჯერ გაუკვირდა და მერე ტირილი მორთო: რატომ არ ჩამოხვედი ბუხრიდან, მე იქიდან გელოდებოდიო

**სვამდი? აკრძალულრი გქონდა თოვლის ბაბუის ამპლუაში ქეიფი?**

– არა, რა აკრძალული! უბრალოდ, ბამბის დიდი წვერ-ულვაში მეკეთა, პირთან პატარაზე მქონდა გაჭრილი, რომ ხმა გამოსულიყო და ვერც ვსვამდი და ვერც ვჭამდი, იმის გადამკიდე. არადა, დიასახლისი გადამეკიდა ერთი ჭიქა დალიე, დაგვლოცეო. დავლოცე, მაგრამ არ დავლიე. მერე გადამეკიდა, ჩაფიქრებული მაქვს, გოზინაყი რომ არ გასინჯო, გადავირევიო. ველარ გავუტეხე ხათრი, ჩავკბიჩე გოზინაყი და ჩაითრია ჩემი ბამბის წვერ-ულვაში. ვღეჭავ გოზინაყს და ბამბას და მერლევვა ნელ-ნელა წვერულვაში *(იცინის).* იმდენი ვღეჭე, დიდი გორგალი დამიგროვდა პირში და კინაღამ გადამიყოლა *(იცინის).* აი, ასეთ დღეში ვიყავი.

> ## ახალ წელს, მარტო მე, პატრული და მეტრო ვმუშაობთ

**– და, რა ღირდა შენი გამოძახება?**

– თუ სწორად მახსოვს, ერთი გამოძახება, 40 ლარი ღირდა. კი ვშოულობდით ფულს, მაგრამ, ზოგს მაშხალა ხვდებოდა ცხვირში და ზოგს რა და ზოგს რა. თუმცა, ვაღიარებ, რომ კარგი თოვლის ბაბუა ვარ და ეს საქმე ხუთიანზე გამომდის. ახალი წლის დღეებში, ყველა გადაცემაში თოვლის ბაბუა არ ვარ დღესაც? ერთი, „კურიერში" არ ვმჯდარვარ წითელი ქუდით და თეთრი წვერით, თორემ სხვა დანარჩენ გადაცემებში სულ მე არ ვარ წლებია, თოვლის ბაბუა? ბოლო ექვსი წელია, სახლში ახალ წელს ვერ ვხვდები. როგორც წესი, ღია ცის ქვეშ ვარ, ან რაიონში მიმყავს კონცერტი. წელს გამიმართლა და რესტორანში, თბილად ვხვდები ახალ წელს, წამყვანი ვარ. დილით კი გლობუსით ხელში მივალ სახლში. სულ ვხუმრობ ხოლმე, ახალ წელს, მარტო მე, პატრული და მეტრო ვმუშაობთ-მეთქი *(იცინის).*

**– კომედიურ ფილმში „მისტერ ძიძა", რომელიც ახლახან გამოვიდა კინოთეატრებში, დირექტორის როლი გაქვს. როგორ მოირგე ტელევიზიის უფროსობა?**

– მართლა კარგი ფილმი გამოვიდა, მე კმაყოფილი ვარ. ამ ფილმში ტელევიზიის დირექტორი ვარ. სხვათა შორის, ტელევიზიის დირექტორობა, გაგიკვირდებათ და მიხდება. უბრალოდ, ყოველდღიურად პიჯაკში გამოწყობილი ვერ ვივლი. სულ ხუთი დღე მომიწია დირექტორობა, რადგან ამდენი ხანი გაგრძელდა ჩემი როლის გადაღება. მაგრამ, ახლა მივხვდი, მკაცრი დირექტორი ვიქნებოდი. გადაღებებისთვის მეგობარმა გვათხოვა საგურამოში სახლი. კი გვითხრა, დაბლა სარდაფი მაქვსო, მაგრამ რას წარმოვიდგენდით, რომ ამ სარდაფში ღვინო დაგვხვდებოდა *(იცინის).* ორი ბოცა გამოვცალეთ. ვიფიქრეთ, სირცხვილია, იმ ადამიანთან, პატივი გვცა და ჩვენ კიდევ ღვინო დავულიეთო და ჩაის ფერი გავაზავეთ წყალში, ჩავასხით ბოცებში და დავდგით ასე სავსე თავის ადგილას. ბოლო გადაღების დღეს, ამოვიდა სახლის პატრონი. გვითხრა, მოდით, ბიჭებო, დავლიოთო. ჩვენ გავიგიჟეთ თავი, არა, ვერ დავლევთ, ბოლო დღის გადაღებააო. გაეცინა, არა, კაცო, ღვინო კი არა, ჩაი დავლიოთ ბოცადან ჩამოსხმითო *(იცინის).* ასე რომ, ეს ფილმი ჩვენი საახალწლო საჩუქარია თქვენთვის! იმედია, მოგეწონებათ.

**ნონა დათეშიძე**

**მსახიობი ნინო მუმლაძე მართალია, არაერთ სერიალში იხილა უკვე მაყურებელმა, მაგრამ მისი პოპულარობა ერთიორად მას შემდეგ გაიზარდა, რაც გამოჩნდა სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები." მართალია, მან ცოტა არ იყოს მაყურებელი ანერვიულა, თავისი პერსონაჟის საქციელიდან გამომდინარე, თუმცა სიმპათიები და სიყვარული მათგან მაინც დაიმსახურა. ჩვენი რესპონდენტი, რა თქმა უნდა, ძალიან გახარებულია, რომ შემოქმედებითმა ჯგუფმა ის სერიალის ახალ სეზონშიც დააკავა და მისი იქ ყოფნა მონასტერში გამგზავრებით არ დასრულდა.**

# რაზეა შეყვარებული ნინო მუმლაძე და რატომ იყო მისთვის ორსულობა სიურპრიზი

**– ნინო, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი თაყვანისმცემელი და გულშემატკივარი გყავს, არიან პირიქით, შენზე განაწყენებული ადამიანებიც. ეს ყველაფერი კი ისევ და ისევ სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებს" უკავშირდება. მაყურებელთა ნაწილმა შენი პერსონაჟის საქციელი გულთან ახლოს მიიტანა და თავისებური პროტესტით კი გამოხატა.**

– როცა ქუჩაში გაღიმებული სახით მხვდებიან, სასიამოვნოა. როდესაც გრძნობ, რომ შენი საქმიანობით ვიღაცისთვის სიამოვნება მოგაქვს, ეს ყველაფერია მსახიობისთვის და რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა.

**არიან მსახიობები, რომლებსაც კამერა არ უყვართ, მაგრამ მე ისე ვარ კამერაზე შეყვარებული, არჩევნის წინაშე რომ დავმდგარვარ, სპექტაკლი გადამიდია და გადაღებაზე წავსულვარ**

**– გაღიმებული სახით, ალბათ, განსაკუთრებით მას შემდეგ გხვდებიან, რაც მონასტერში წახვედი და ყველაფერი დასტაბილურდა.**

– საერთოდ, რაც უფრო სკანდალურ გმირს ასრულებ, მით უფრო საინტერესო ხარ საზოგადოებისთვის და ჭორის ობიექტი ხდები. ჭორს კი პოპულარობა მოაქვს.

**– წინა სეზონში შენი და დათოს რომანი დასრულდა. ხომ არ გაგიჩნდა იმის ეჭვი, რომ ამით შენი ურთიერთობაც დასრულდებოდა სერიალთან?**

– ეჭვი კი არა, დარწმუნებული ვიყავი, რომ სერიალს ჩამოვშორდი. ქეთი დევდარიანს ვკითხე კიდეც ამის შესახებ, რომელმაც მითხრა, არ ვიცი, შეიძლება ერთი ორჯერ კიდევ გამოგაჩინოთო. სეზონი ისე რომ დასრულდა არც ერთხელ არ დამირეკეს, ვიფიქრე, ალბათ, აღარც ვიქნები ამ სერიალში-მეთქი. ახალი სეზონის დაწყებამდე რომ დამირეკეს და მითხრეს, გვჭირდებიო, ძალიან გამიკვირდა, თან ძალიან გამიხარდა. რაც შეეხება ჩემს ორსულობას, ამ სიურპრიზის შესახებ, სიმართლე გითხრა, არ ვიცოდი. თან ტექსტი რომ წავიკითხე, იქ ისეთი არაფერი არ ეწერა. ვიფიქრე ალბათ უნდათ, რომ მაყურებელს აჩვენონ, მთლად მონასტერში რომ არ დავრჩი და მონაზონად არ გადავიქეცი-მეთქი. აი გადაღებაზე რომ მივედი და ბალიში ამოიღეს და მუცელზე მომამაგრეს, მაშინ უკვე მივხვდი, რომ არც ისე იშვიათად მომიწევს ამ სერიალში გამოჩენა, რაც ჩემთვის ძალიან სასიხარულო ამბავია.

**– გამოდის, რომ დათო ორი შვილის ნაცვლად, მრავალშვილიანი მამა გახდება, რადგან შენთან ერთად, ნინაც ფეხმძიმედაა, თან ტყუპებს ელოდება.**

– ორის მაგივრად, ხუთი შვილის მამა გახდება.

**– ისევ მაყურებლის უცნაურ რეაქციებს დავუბრუნდები. გასახსენებელი, ალბათ, ძალიან ბევრი გაქვს.**

– რამდენიმე სერია რომ გადავიღეთ, გამვლელ-გამომვლელმა დაინახა, კონკრეტულად, რომელ კლინიკაში ხდებოდა გადაღება. ერთ დღესაც კლინიკიდან სიცილით დაგვირეკეს. ვიღაცას კლინიკის ფანჯრებზე გარედან თაბახის ფურცლები მიუკრავს სკოჩით, რომელზეც ეწერა: „არ გაცვალო, დათო, შენი ოჯახი, დიდ ძუძუებში!" ძალიან სასაცილო იყო, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი. ბოლო დროს კი, სიტუაცია ცოტა შეიცვალა. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ სახლთან ვიდექი და ტაქსის ველოდებოდი. ვიღაცამ გამოიარა და მკითხა, გოგოს ელოდები თუ ბიჭსო. ერთმა ისიც მითხრა: არ მიაქციო ყურადღება, არ გაიფუჭო ნერვებიო. ქალებმა უფრო გამოიჩინეს ქალური სოლიდარობა. მგონი, ჩემი მდგომარეობით მაყურებლის გულს ცოტა მოვიგებ. როცა მაყურებელი ასე განიცდის, ეს დიდი კომპლიმენტია. ეს ნიშნავს, რომ ძალიან საინტერესოა სერიალიც და შენი გმირიც ვიღაცისთვის.



**ვიღაცას კლინიკის ფანჯრებზე გარედან თაბახის ფურცლები მიუკრავს სკოჩით, რომელზეც ეწერა, „არ გაცვალო, დათო, შენი ოჯახი დიდ ძუძუებში!" ძალიან სასაცილო იყო, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი**

**– ხშირად ხდებიან პოპულარული ადამიანები საუბრის თემა. შენ როგორ რეაგირებ ჭორებზე?**

– როგორ შეიძლება ყველაფერზე რეაგირებდე, ეს აბსურდია, მაგრამ, როცა პირადად მოდიან და კითხვით მოგმართავენ, გინდა არ გინდა, გიწევს პასუხის გაცემა.

**– მოსულა ვინმე უცნობი და რამე უკითხავს?**

– კი, ძალიან ხშირად.

**– ამას იმიტომ გეკითხები, რომ ქართველები ცოტა არ იყოს ამ საკითხში თავშეკავებულები ვართ.**

– შენ წარმოიდგინე, არც ისე.

**– მკითხველისთვის იმის გაგებაც საინტერესო იქნება, რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?**

– გადაღებები და თეატრი, მეტი არაფერი. ადრე მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი ვიყავი, სადაც უკვე დიდი ხანია, აღარ მიმუშავია. მას შემდეგ სხვადასხვა თეატრში ვიმუშავე. სექტემბრიდან დავბრუნდი, ჯერჯერობით ერთ სპექტაკლში ვარ დაკავებული რუსულ დასში. იმედი მაქვს, ნელ-ნელა ჩავებმები ამ თეატრის სრულფასოვან ცხოვრებაში. გარდა ამისა, პერიოდულად ვარ „ჩემი ცოლის დაქალების" გადაღებებზე. ასევე, ვმონაწილეობ ქართულ-აზერბაიჯანულ პროექტში – გადაიღეს სერიალი „ალი და თეო." გიგა აგლაძემ, გადამიღო მოკლემეტრაჟიან ფილმში ცოტა ხნის წინ, სადაც სულ 4 მსახიობი მონაწილეობს. აი, ასეთი პატარ-პატარა სიახლეებია ჩემს ცხოვრებაში, მეტი ისეთი არაფერი.

**– იმდენი რამ ჩამოთვალე, გამოდის, რომ საკმაოდ დაკავებული ხარ და მხოლოდ „ჩემი ცოლის დაქალებით" არ შემოიფარგლები. შენთვის კამერასთან ურთიერთობა უფრო საინტერესოა, როგორც მსახიობისთვის, თუ სცენა?**

– არიან მსახიობები, რომლებსაც კამერა არ უყვართ, მაგრამ მე, ისე ვარ კამერაზე შეყვარებული, არჩევნის წინაშე რომ დავმდგარვარ, სპექტაკლი გადამიდია და გადაღებაზე წავსულვარ. როცა ფილმზე ვმუშაობ, უბედნიერესი ვარ. ალბათ, კამერის დიდი სიყვარულის გამოა, რომ არც ერთ თეატრში არ ვყოფილვარ დიდხანს. თუმცა, თეატრიც ძალიან მომენატრება ხოლმე, თუ დიდი ხანი არ ვმდგარვარ სცენაზე. ასე რომ ჯერჯერობით ერთმანეთთან ვათავსებ ამ ყველაფერს და იმედია, ასეც გაგრძელდება. დიდი სურვილი მაქვს, არც სცენას მოვაკლო ყურადღება და არც გადაღებებსა და კინოკამერას ჩამოვშორდე. სასიამოვნოა, როცა დაკავებული ხარ, რადგან მსახიობისთვის პაუზა ტრაგედიაა. ცოტა არ იყოს ამ დროს საკუთარი თავის რწმენას კარგავ.

**– დეპრესიაშიც კი ვარდებიან ამის გამო მსახიობები.**

– რამდენიმე თვე თუ არ ვარ დაკავებული, მერე უკვე სერიოზული დეპრესია მეწყება. ვერ ვიტან დასვენებას. რეალიზებული თუ არ ვარ, ძალიან ციდად ვარ.

**მარიკა ხიდურელი**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**საქართველოს სამოციქულო ეკლესია არის ნაწილი მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის. როგორც მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს მრავალ საეკლესიო, საუფლო დღესასწაულს, ბუნებრივია, ასევე, ჩვენთანაც აღინიშნება მრავალი საეკლესიო და საუფლო დღესასწაული, რომელთაც თან ახლავს სხვადასხვა საერო, ეროვნული დღესასწაული. როგორ უნდა შევხვდეთ ახალ წელს, როგორი უნდა იყოს ამ დღისადმი ჩვენი დამოკიდებულება, ამის შესახებ გვესაუბრება, ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# რა უნდა გაითვალისწინოს ადამიანმა ახალ წელთან შეხვედრისას და რატომ არ უნდა იყოს ის მთელი წლის განმავლობაში რომელიმე ცხოველის იმედად

– ხშირად თანამედროვე, მართლმადიდებელი ქრისტიანები ვარდებიან გაურკვევლობაში, ორჭოფობენ, როდესაც საშობაო მარხვაში უწევთ საერო დღესასწაულის, ახალი წლის აღნიშვნა. ამ დროს არის გარკვეული განკითხვა, შეხლა-შემოხლა, აზრთა სხვადასხვაობა. ხშირად ბევრი მართლმადიდებელი ქრისტიანი განრისხებული განიკითხავს, შერისხავს იმ ადამიანებს, რომლებიც ზეიმობენ ახალ წელს. ამიტომ სასურველია, ორივე მხარემ გამოიჩინოს გონიერება. ის, ვინც მარხვას ინახავს, ნუ განიკითხავს მას, ვინც მარხვას არ ინახავს და, პირიქით, ის ნუ განიკითხავს მარხულს. მარხვა დაფარულში უნდა აღესრულებოდეს და ამას არ სჭიდება ქება-დიდება, ტრაბახი, რომ ჩვენ ვინახავთ მარხვას, ვიცავთ მოძღვრის კურთხევას. ვინც მარხულობს და თან, განიკითხავს სხვას, მინდა, მათ შევაგონო, რომ აუცილებლად გამოიჩინონ თავმდაბლობა, მიმტევებლობა და გულისხმიერება. თუ არ მიირთმევენ საახალწლო ნუგბარ კერძებს, შეიძლება, შინაგანად იზეიმონ ის სიხარული, რომელსაც განიცდის მთელი საქართველო. ჩვენ გაზრდილი ვართ იმ მოლოდინში, რომელიც 31 დეკემბრის ღამეს და 1 იანვარს იზეიმება. არც ერთ ქრისტიანს არ აქვს აკრძალული, იზეიმოს ეს სახალხო დღესასწაული.



დროა, ვისწავლოთ ჭკუა და შევცვალოთ ახალი წლისადმი დამოკიდებულება: ისევ ისე ნუ ვიზეიმებთ, როგორც ადრე ვზეიმობდით, როგორც იანუსის კერპის გარშემო ზეიმობდა მთელი რომაული სამყარო

**– მამაო, ძალიან ბევრი თანამედროვე ქრისტიანი ბრკოლდება, როდესაც შობის მარხვაში დგება საერო კალენდრით ახალი წელიწადი და ეს მათ გარკვეულ პრობლემებს უქმნის.**

– თანამედროვე კალენდარულ ზეიმს არანაირი კავშირი არ აქვს მაცხოვრის შობასა და შობის მარხვასთან. თუ ჩვენი მოსახლეობის უმეტესობა ზეიმობს ახალ წელს, მოლოდინშია, სიხარულს განიცდის, ბუნებრივია, ამ ყველაფრის საწინააღმდეგო ეკლესიას არაფერი აქვს. ჩვენ შეგვიძლია, თან მარხვა დავიცვათ, თან საერო კალენდრით ვიზეიმოთ ახალი წელი. ადამიანებს სწამთ, რომ ახალი წელი მათ ბედნიერებას მოუტანს, უბრალოდ, ვიტყვი: თუ გინდა, შენთვის ახალი წელი გასულ წელზე უკეთესი იყოს, მაშინ, უკეთესად იცხოვრე, იშრომე, ილოცე, იმაზე უფრო კარგი ადამიანი იყავი, ვიდრე გასულ წელს იყავი. კარგად გააანალიზე, რა შეცდომები დაუშვი წინა წელს, რა ვერ გამოასწორე, რის გაკეთება ვერ მოასწარი, რა ვერ შექმენი უკეთესად და, თუ ამ ყველაფერს გაითვალისწინებ, მომავალი წელი უკეთესი იქნება, ვიდრე – გასული წელიწადი.

**– ბევრი ადამიანი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩინურ კალენდარს, იმას, თუ რისი წელი მოდის, რომელი ცხოველის და ხშირად ასტროლოგების რჩევებსაც ითვალისწინებენ: როგორც საახალწლო სუფრაზე, ასევე ჩაცმულობასთან დაკავშირებით.**

– ძალიან ბევრი ადამიანი ჩინურ კალენდარზეა დამოკიდებული. მათ ჰგონიათ, რომ ამა თუ იმ ცხოველის წელი უფრო კარგი, გამორჩეული იქნება მათთვის. ბუნებრივია, ამას არანაირი კავშირი არ აქვს საეკლესიო სწავლებასთან. ასტროლოგების დარიგებაც არსებობს: თუ ასე შეხვდებით ახალ წელს, ამას ჩაიცვამთ ან გაიხდით, ამას დადგამთ მაგიდაზე, ეს ყველაფერი ბედნიერებას მოგიტანთო. თანამედროვე ადამიანი ასეთი რაღაცეებით არ უნდა ტყუვდებოდეს. თუ წინასწარ გვეცოდინება, როგორი იქნება ეს წელიწადი – დაძაბული, მშვიდი თუ, ნაყოფიერი, დავიკრეფთ გულზე ხელს, აღარ ვილოცებთ, აღარ ვიმუშავებთ და უმოქმედობაში ჩავცვივდებით, როგორც ამას ბუდიზმი ქადაგებს, მოტყუებული, თვითდაჯერებულები ვიქნებით, რომ ახალი წელი ნაყოფიერების, გამრავლებისა და ბედნიერების მომტანი იქნება. ღმერთმა ასე ქნას, მაგრამ, თუ შეიძლება, რომ ეს წელი ბედნიერების იყოს, რატომ არ შეიძლება, მომდევნო წელმაც ბედნიერება მოგვიტანოს?! როგორ შეიძლება, ერთი წელი ბედნიერების იყოს, მეორე – უბედურების, ერთი – მშვიდობიანობის, მეორე – ომიანობის, ერთი – ნაყოფიერების, მეორე – უნაყოფობის?! დაიმახსოვრეთ ყველამ, რომ ეს ყველაფერი ადამიანებზეა დამოკიდებული: თუ ადამიანები იშრომებენ, ილოცებენ, მაშინ წელი ნაყოფიერი იქნება, მაგრამ, თუ არ ილოცებენ, გულზე ხელს დაიკრეფენ, არ ეყვარებათ ერთმანეთი, არ იქნებიან ღვაწლში, მოსაგრეობაში, მაშინ, რა თქმა უნდა, ის წელი ვერ იქნება კარგი. არ შეიძლება, ჩვენს გარეშე, ავტომატურად, ქვეცნობიერად, რაღაცა ძალების მიერ იყოს ყველაფერი კარგად ან ცუდად – ეს არასწორი სარწმუნოებაა. დღეს ხედავთ, რომ ძალიან ბევრი ადამიანი არ შრომობს, ან ვერ შრომობს და ისინი ხშირად ფიქრობენ, რომ ახალი წლიდან ახალ ცხოვრებას დაიწყებენ, სამსახურს იშოვიან, საპატიმროში აღარ იქნებიან. ქრისტიანობაში არსებობს სამი მთავარი სათნოება: რწმენა, იმედი, სიყვარული. იმედი არის მეორე და არა პირველი. თუ ადამიანს რწმენა არ აქვს, მისი იმედი იქნება შემარცხვენელი,

> **თანამედროვე კალენდარულ ზეიმს არანაირი კავშირი არ აქვს მაცხოვრის შობასა და შობის მარხვასთან. თუ ჩვენი მოსახლეობის უმეტესობა ზეიმობს ახალ წელს, მოლოდინშია, სიხარულს განიცდის, ბუნებრივია, ამ ყველაფრის საწინააღმდეგო ეკლესიას არაფერი აქვს**

ადამიანზე დამყარებული. თუ ჩვენ გვეგონება, რომ რომელიღაცა ცხოველის „სახელობის“ ახალ წელს ახალი ლიდერი გამოჩნდება, ის გვიშველის და ბედნიერები ვიქნებით, ბუნებრივია, ასეთი ადამიანები იმედგაცრუებული დავრჩებით, იმიტომ რომ, რწმენა, იმედი და სიყვარულია მთავარი, ხოლო რწმენის გარეშე იმედი და იმედის გარეშე სიყვარული, ბუნებრივია, არაფერს მოგვიტანს – კიდევ ერთი იმედგაცრუება იქნება ჩვენს ცხოვრებაში.

**– და მაინც, როგორი დამოკიდებულება უნდა გამოიმუშაოს ადამიანმა ახალი წლის მიმართ?**

– დამეთანხმებით, რომ ბევრმა ახალმა წელმა გაგვიცრუა იმედი. ამიტომ, დროა, ვისწავლოთ ჭკუა და შევცვალოთ ახალ წელთან დამოკიდებულება: ისევ ისე ნუ ვიზეიმებთ, როგორც ადრე ვზეიმობდით, როგორც იანუსის კერპის გარშემო ზეიმობდა მთელი რომაული სამყარო. მოგეხსენებათ, რომ იანვრის სახელი იანუსის კერპიდან მოდის, რომელსაც უცნაური გარეგნობა ჰქონდა. ერთი მხრიდან იყო ჭაბუკი, ხოლო მეორედან – ჭარმაგი მამაკაცი; ერთი მხარე იცინოდა, მეორე – ტიროდა და მის გარშემო მთელი ორგიები იმართებოდა რომის იმპერიაში, სახალხო დღესასწაული იყო. იქნებ, დროა, რაღაც შევცვალოთ და ჩვენი ზეიმიც უფრო სულიერი, ხალხური, თავმდაბალი, ნაყოფიერი, შემეცნებითი იყოს?! თუ გინდა, წარმატებას მიაღწიო, კეთილდღეობა გქონდეს, დაიცავი უფლის სიტყვა, პატრიარქის შეგონება და დამიჯერეთ, ეს ახალი წელიწადი უფრო უკეთესი იქნება, ვიდრე გასული წელი იყო. ჩვენ რომ ვიძახოთ, ახალი წელი კარგს მოგვიტანსო, ასე არ იქნება; იმ ნაყოფიერი მიწის დამუშავება და მოვლაა საჭირო, იმ გონიერების, ნიჭის ამოქმედებაა საჭირო, რომელიც ღმერთმა უხვად მოგვცა. დავიმახსოვროთ პატრიარქის შეგონება და ახალ წელს შევხვდეთ ლოცვით, თავმდაბლობით, მოღვაწეობით და არა ზედმეტი ჭამა-სმითა და უაზრო ზეიმით.

**– ზოგი ფიქრობს, რომ როგორც შეხვდება ახალ წელს, ისე იცხოვრებს მთელი წლის განმავლობაში.**

– რა თქმა უნდა, ახალ წელს არ უნდა შევხვდეთ იმ იმედით, რომ რაც უფრო მეტ სასმელს დავლევთ, რაც უფრო მეტ ნუგბარ კერძს მივირთმევთ, ბევრ ტყვიას გავისვრით ჰაერში და ბევრს ვიხმაურებთ, მხიარულებაში გავატარებთ ახალ წელს, მით უფრო ყველაფერი იქნება კარგად. გვეყო უმეცრება, მაგიური დღესასწაულების აღნიშვნა. მინდა, აქვე გითხრათ, რომ მაგიური ნიშნავს, უაზრო, გაუგებარი სიტყვების ერთობლიობას, რასაც ჩვენ ხშირად ახალ წელს ღვინით გალეშილები აღვასრულებთ და რამდენიმე დღის განმავლობაში ვერც ვფხიზლდებით ხოლმე. არადა, როდესაც საერო დღესასწაული, ახალი წელი მთავრდება, მერე უკვე კარს მოგვადგება მაცხოვრის შობა. მაცხოვრის შობა კი უნდა აღესრულოს ჩვენს გულებში და მიმსგავსებული უნდა იყოს იუდეის ბეთლემის გამოქვაბულს, რომელიც პირუტყვთა სადგომი იყო. ჩვენი გულებიც ხშირად არის მრავალი უკეთური ცოდვისა და მავნე თვისებების სადგომი და ის ხშირად არის დაკეტილი ქრისტესთვის. როგორც უფალი აკურთხებს მარიამს და იოსებს, ისინი შედიან იუდეის ბეთლემში და მათთვის ყველა კარი დახშულია, რადგან იმ დროს ადამიანები არ იყვნენ მზად მიეღოთ ახალშობილი მაცხოვარი, ასევეა დღეს – მრავალი თანამედროვე მართლმადიდებლის გული მაცხოვრისთვის დახშული ხდება, უაზრო გართობით, დროსტარებით, უმარხველობით, ულოცველობით და მათ გვერდს ჩაუვლის მაცხოვარი. ის ქადაგება, რომელსაც ქრისტეს შობისას ანგელოზების ქორო წარმოთქვამს, მრავალი ქრისტიანისთვის დაფარული იქნება და მას გაიგებს ის, ვინც გონებითობით, ცოდნით, დაფარულად, თავმდაბლობით მარხულობს და ელოდება მაცხოვრის შობის დღესასწაულს.

**ნათია უტიაშვილი**

# ეპისკოპოსმა პავლინმა ნებაყოფლობითი მონობით სხვანი იხსნა მონობისაგან

იტალიაზე სასტიკი ვანდალების თავდასხმების დროს კამპანიის მხარე თითქმის მთლიანად დაცარიელდა, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი აფრიკაში წაიყვანეს. ამ საშინელი გაჭირვებისას ეპისკოპოსი პავლინი უხვად უნაწილებდა გლახაკებსა და ტყვეებს თავისი საეპისკოპოსოს მთელ მონაგარს. ერთხელ, როცა აღარაფერი დარჩა სხვისთვის მისაცემი, მასთან ერთი ქვრივი ქალი მივიდა და მოუყვა, რომ ვანდალების მეფის სიძეს ტყვედ წაეყვანა მისი ვაჟი და შეევედრა, მიეცა მისთვის ვაჟის გამოსასყიდი. ღვთის კაცმა ბევრი ეძება, მაგრამ ქალისთვის მისაცემი ვერაფერი აღმოაჩინა და დაუოკებლად მვედრებელ დედას უთხრა: „მე არაფერი მაქვს შენთვის მოსაცემი, მაგრამ წამოგყვები და თქვი, რომ შენი მონა ვარ და შენი შვილის ნაცვლად დავრჩები მონად“. ქალმა ეს სიტყვები დაცინვად უფრო მიიღო, ვიდრე თანაგრძნობად, მაგრამ ეპისკოპოსი საოცარი მჭევრმეტყველებით გამოირჩეოდა და შეძლო დაერწმუნებინა ქალი, შვილის ნაცვლად ის წაეყვანა. ისინი აფრიკაში გაემგზავრნენ. ვანდალების სიძესთან შეხვედრისას, თავიდან ქვრივი ცდილობდა, გამოსასყიდის გარეშე გამოეთხოვა შვილი, მაგრამ ამაყმა ბარბაროსმა, რომელიც თავისი დროებითი ძალაუფლებით იყო გაბრუებული, მისი მოსმენაც კი არ ისურვა. მაშინ ქალმა უთხრა: „აი, მოვიყვანე შენთან ჩემი მონა, მოწყალება მოიღე და მის ნაცვლად ჩემი ერთადერთი შვილი დამიბრუნე“. ბარბაროსი დაინტერესდა, რაიმე ხელობა ხომ არ იცოდა პავლინმა. პასუხად მიიღო, რომ იცოდა ბაღების მოვლა. ბარბაროსს გაუხარდა და ეპისკოპოსი თავის მებაღედ მიიღო, ქვრივს კი შვილი დაუბრუნა. ამის შემდეგ ქალი აფრიკიდან გაემგზავრა, პავლინი კი თავისი ახალი პატრონის ბაღის მოვლას შეუდგა. მეფის სიძე მალე მიხვდა, რომ განათლებულ ადამიანთან ჰქონდა საქმე; ძალიან უყვარდა მასთან საუბარი და ხშირად გადიოდა ბაღში. პავლინს ყოველდღე მიჰქონდა პატრონის სასახლეში კეთილსურნელოვანი და ქორფა მცენარეები, მისგან თავის დღიურ სარჩოს იღებდა და ბაღში ბრუნდებოდა. ერთხელ, გულახდილი საუბრისას, პავლინმა თავის ბატონს უთხრა: „მალე, თანაც ძალიან მალე, ვანდალების მეფე მოკვდება. კარგად უნდა დაფიქრდე, რას გააკეთებ და როგორ გაუძლევები სამეფოს“. რადგან სიძე სხვა დიდებულთა შორის მეფისგან მეტი ნდობით და პატივით სარგებლობდა, გულახდილად მოუყვა მებაღისაგან გაგონილი. მან კი თვითონ ისურვა მებაღესთან შეხვედრა. ამისთვის მისმა სიძემ პავლინს ბოსტნეულის მეფისთვის მიტანა უბრძანა. როდესაც მეფემ ეპისკოპოსი დაინახა, სიძეს უთხრა: „მართალი უთქვამს, რადგან წუხელ სიზმარი ვნახე, ჩემს დასადანაშაულებლად მსაჯულები მოვიდნენ, მათ შორის ერთ-ერთი ეს კაცი იყო. მათი თქმით, ჩემთვის ადრე მონიჭებული წყალობა წამერთვა. გამოჰკითხე, ვინ არის. არა მგონია, უბრალო ადამიანი იყოს, თუმცა ახლა ასეთ მდგომარეობაშია“.

პატრონის შეკითხვაზე პავლინმა უპასუხა, რომ მისი მონაა, რომელიც მან ქვრივის ვაჟის სანაცვლოდ დაიტოვა. მაგრამ მეფის სიძე არ დამშვიდდა და დაჟინებით სთხოვდა, გაემხილა თავისი ნამდვილი ვინაობა. პავლინი იძულებული გახდა, ელიარებინა, რომ ეპისკოპოსი იყო. მეფის სიძემ ეს რომ გაიგო, შეევედრა თავის მონას, მოეთხოვა ყველაფერი, რაც საჭირო იყო მისი სამშობლოში ღირსეულად დასაბრუნებლად. მაშინ ღვთის კაცმა უთხრა: „ერთადერთი სიკეთე, რომელიც შენ შეგიძლია გააკეთო, ის იქნება, რომ ყველა ჩემს ტყვე თანამოქალაქესთან ერთად სამშობლოში დამაბრუნო“. ამ პირობის შესასრულებლად მთელ აფრიკაში მოძებნეს ტყვეები და პავლინთან ერთად, ხორბლით დატვირთული გემებით დააბრუნეს სამშობლოში. ამით მეფემ ღვთისგან მის დასაღუპად მოვლენილ წყევლას თავი დააღწია. ასე რომ, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ყოვლისშემძლე ღვთის მონამ, პავლინმა განჭვრიტა. ეპისკოპოსმა ნებაყოფლობით მიიღო მონობა და ამით ბევრი ადამიანი იხსნა მონობისგან, რითაც დაემსგავსა უფალს, რომელმაც მიიღო მონობა, რომ ჩვენ ცოდვის მონობისგან დავეხსენით. მისი მიბაძვით, პავლინი ნებაყოფლობით მონად იქცა, რათა მერე სხვებთან ერთად მიეღო თავისუფლება.

პოლანის ეპისკოპოს პავლინის გარდაცვალების შესახებ მისი ეკლესიის ჩანაწერები შემდეგს იუწყება: „როდესაც ავადმყოფობისგან დაუძლურებული ბოლო წუთებს ითვლიდა, ძლიერი მიწისძვრა მოხდა და მისი ლოგინი შეინძრა. ამ დროს სახლი უძრავად დარჩა. ყველა იქ მყოფნი საშინელმა შიშმა შეიპყრო. პავლინის წმიდა სული მის სხეულს ტოვებდა.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა**: **რა განწყობით უნდა შეეგებოს ქრისტიანი ახალ წელს?**

**პასუხი**: ახალი წლის დადგომისას დაფიქრდით გარდასულ წელზე, იქნებ არც ერთი სიკეთე არ გაგიკეთებიათ წინა წელს, პირიქით, ბოროტებას სჩადიოდით?! იქნებ, მთლიანად მოცული იყავით უკეთური ფიქრებითა და ბოროტი სურვილებით?! ამიტომ ჯობია, გამოფხიზლდეთ, შეინანიოთ და ახალი წელი დაიწყოთ ახალი ცხოვრებით – სიკეთის ქმნით, მადლის მოხვეჭით და ცოდვათა განრიდებით.

**კითხვა**: **ეჭვი მაქვს, რომ მეზობელმა შვილებზე ჯადო გამიკეთა. ბავშვები ეკლესიაში ზიარებაზე დამყავს. კიდევ რა ძალით შეიძლება, ვებრძოლო ამ ბოროტებას?**



**პასუხი**: შეგიძლიათ, მშვიდად იყოთ, რადგან ეს სიავე უკვე დაგიძლევიათ. ეკლესია არის ერთადერთი საშუალება ამ ბოროტების წინააღმდეგ. თქვენს შვილებს არანაირი საფრთხე არ დაემუქრება, თუკი ისინი მომავალში ეკლესიურად იცხოვრებენ და თქვენი ქრისტიანული ცხოვრება ექნებათ მაგალითად.

**კითხვა**: **შეიძლება თუ არა, სიწმიდეთა მიცემა წამლობის მიზნით მოუნათლავთათვის ან მონათლული ურწმუნოებისთვის?**

**პასუხი**: არც მოუნათლავების და არც ურწმუნოებისთვის სიწმიდეთა მიცემა, თუნდაც წამლობის მიზნით, გამართლებული არ არის.

**კითხვა**: **გამიგია, რომ ნალს ბედნიერება მოაქვს. კარზე დამაგრებული მაქვს ნალი. ამით ცოდვას ხომ არ ჩავდივარ?**

**პასუხი**: ბედნიერება ნალს კი არ მოაქვს, არამედ, უფლის სიახლოვეს და მისი მცნებების აღსრულებას. ნალის გაფეტიშება წარმართული ჩვეულებაა. თუ გსურთ, რომ თქვენი ოჯახი დაცული იყოს, ნალის ნაცვლად ჯვარი იქონიეთ.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## ეშმაკს არ შეიწყალებს უფალი, რადგან მას სინანულის გრძნობა არ გააჩნია

„.. იყო ერთი ასეთი შემთხვევა – ერთი ღირსი მამა, რომელიც უდაბნოში მოღვაწეობდა, ყველასთვის ლოცულობდა – მსოფლიოსთვის, ქვეყნისთვის, ხალხისთვის, ცხოველებისთვისაც კი. ბოლოს მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უფალი მოწყალეა და შეიძლება, ეშმაკსაც აპატიოსო. დაიწყო ლოცვა ამ ბოროტი სულებისათვის. ესენი ხომ ადრე ანგელოზები იყვნენ და ამპარტავნებამ ეშმაკად აქციაო. გამოეცხადა მას ანგელოზი და უთხრა, კარგი, ილოცე, შენთან მოვა ის ბოროტი სული და შენთან ერთად ილოცოს იმანაც – წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ.

მართლაც, ერთ-ერთი ლოცვის დროს გამოეცხადა ბოროტი სული ამ ადამიანს და დაიწყეს ლოცვა. ბერმა თქვა – წმიდაო ღმერთო, – იმანაც გაიმეორა (იცის, რომ ღმერთი წმიდაა), წმიდაო ძლიერო, – მანაც გაიმეორა; წმიდაო უკვდავო, – გაიმეორა ესეც, და როცა თქვა, – შეგვიწყალენ ჩვენ, ეს ველარ თქვა, ეს იმიტომ, რომ იგი ამპარტავანია და არ შეუძლია მოინანისო. შენდობისთვის კი სინანულია საჭირო. შეგვიწყალენ ჩვენ – სამჯერ გაიმეორა ეს ლოცვა ბერმა და ბოროტმა კი ვერც ერთხელ ვერ თქვა და ცეცხლის სახით გავარდა გამოქვაბულიდან. შემდეგ გამოეცხადა მას ანგელოზი და უთხრა: აი, ხომ ხედავ, როგორ შეიძლება მისი შენდობა, თუ მას სინანული არა აქვსო“.

## გახსოვდეს სიმძიმე განკითხვისა

ერთმა ბერმა, როდესაც გაიგო, ძმა ცოდვაში ჩავარდნილიყო, განიკითხა იგი და თქვა: უდიდესი ბოროტება ჩაუდენიაო. გავიდა ხანი და ანგელოზმა ბერს მის მიერ განკითხული ძმის სული მიუვლინა და მიუგო: „ვინც შენ განიკითხე, გარდაიცვალა. სად მიბრძანებ მისი სულის განწესებას: სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში?“ ბერი შეშინდა. „შენ ხომ მართალთა და ცოდვილთა განმსჯელი ხარ, – განაგრძობდა ანგელოზი, – მიბრძანე! შეიწყნარებ თუ საუკუნო სატანჯველს განუწესებ“. მიხვდა ბერი, ძმის განკითხვით უმძიმეს ცოდვაში ჩავარდნილიყო და მოთქმა–გოდებით შესთხოვა პატიება. დიდი ხნის განმავლობაში უფალი უპასუხოდ ტოვებდა, საბოლოოდ კი შეიწყალა და კვლავ ანგელოზი მიუვლინა. „ღმერთმა გაპატია, – მიუგო ანგელოზმა, – აწ გახსოვდეს სიმძიმე განკითხვისა“.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# ცნობილი სპორტსმენების ყველაზე სექსუალური მეორე ნახევრები

*ცნობილმა ფრანგულმა ჟურნალმა „ლექიპმა" ცნობილი სპორტსმენების ყველაზე სექსუალური მეგობარი გოგონებისგან შემდგარი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.*

### ესტერ სატოროვა

ჩეხი მოდელი ესტერ სატოროვა ჩოგბურთელ ტომაშ ბერდიხის მეგობარი გოგოა. ტომაში და ესტერი 2011 წლიდან ხვდებიან ერთმანეთს, მანამდე ტომაშს რომანი ჰქონდა ჩოგბურთელ ლუსი შაფარჟოვასთან.

### სარა ბრანდნერი

გერმანელი მოდელი სარა ბრანდნერი „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ლიდერის, ბასტიან შვაინშტაიგერის გერლფრენდია. წყვილი 2007 წლიდან ერთადაა.

### ზაირა ნარა

ურუგვაელი მოდელი ზაირა ნარა ცნობილია სპორტსმენებისადმი ლტოლვით. 2011 წელს მასზე დაქორწინებას აპირებდა ცნობილი ურუგვაელი ფეხბურთელი დიეგო ფორლანი, მაგრამ, ქორწილი ჩაიშალა. ამჟამად ზაირა ჩოგბურთელ ხუან მონაკოს სიყვარულის ობიექტია.



### გაბრიელ იუნიონი

მსახიობი და მოდელი გაბრიელ იუნიონი ამერიკელი კალათბურთელის, „მაიამი ჰიტის" ლიდერის, დუეინ უეიდის შეყვარებულია. წყვილი 4 წელია ერთად არის.

### ვიქტორია ბექჰემი

დევიდ და ვიქტორია ბექჰემების ოჯახი ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და სამაგალითოა მსოფლიო სპორტის სამყაროში. ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე სექსუალური ფეხბურთელის ცოლობა მარტივი რომ არ არის, ვიქტორიაზე უკეთ არავინ იცის. წყვილს ოთხი შვილი ჰყავს, ოფიციალურ ქორწინებაში კი ისინი 1999 წლიდან არიან.

### ალბა კარილიო

ესპანელი ტოპ-მოდელი და ტელეწამყვანი ალბა კარილიო ესპანელი ჩოგბურთელის, ფელისიანო ლოპესის მეგობარი გოგოა. წყვილი 2013 წლიდან არის ერთად, მანამდე კი ალბა მოტომრბოლელ ფონსი ნიეტოს ხვდებოდა.

### ელენა რისტიჩი

ელენა რისტიჩი მსოფლიოს ნომერ მეორე ჩოგბურთელის, სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩის საცოლეა – 2014 წელს წყვილი ოფიციალურად დაქორწინებას აპირებს.

### ჯესიკა მიჩიბატა

იაპონელი სუპერმოდელი ჯესიკა მიჩიბატა „მაკლარენის" პილოტის, ჯენსონ ბატონის საცოლეა. ჟურნალი „ეფეიჩემი" ყოველწლიურად ასახელებს ჯესიკა მიჩიბატას მსოფლიოს ყველაზე სექსუალური ქალების რეიტინგში.

### ფრანცისკა პერილო

მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგბურთელის, რაფაელ ნადალის მეგობარი გოგო, ფრანცისკა პერილო, არც მოდელია და არც მსახიობი, ის სადაზღვევო სისტემაში მუშაობს. რაფაელი და ფრანცისკა 8 წელია, ერთმანეთს ხვდებიან.

### ადრიანა ლიმა

სერბი კალათბურთელის, მარკო იარიჩის მეუღლე, ადრიანა ლიმა, ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ მოდელად ითვლება. ლიმა და იარიჩი 2009 წლიდან არიან ოფიციალურ ქორწინებაში და ორ შვილს ზრდიან.

### ბრუკლინ დეკერი

ამერიკელი მოდელი და მსახიობი ბრუკლინ დეკერი ჩოგბურთელ ენდი როდიკის მეუღლეა, ჟურნალმა „ესქუაირმა" ბრუკლინი 2010 წელს პლანეტის ყველაზე სექსუალურ ქალად დაასახელა.

### სარა კარბონერო

სარა კარბონერო 2009 წლიდან არის ესპანელი გოლკიპერის, იკერ კასილასის ოფიციალური საცოლე. სარა ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ სპორტულ რეპორტიორად ითვლება, ხოლო წყვილის ცეცხლოვან კოცნაზე 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრის დასრულების შემდეგ დღემდე ბევრს საუბრობენ.

### შაკირა

ლათინოამერიკელი პოპ-ვარსკვლავი შაკირა „ბარსელონის" ვარსკვლავის, ჟერარდ პიკეს მეგობარი გოგოა. წყვილს ჰყავს საერთო ვაჟი – მილანი.

### ირინა შეიკი

რუსი მოდელის, ირინა შეიკის სექსუალურობაზე ლეგენდები დადის. ირინა პორტუგალიელი სუპერვარსკვლავის, კრიშტიანუ რონალდუს საცოლეა. ისინი 2010 წლიდან ხვდებიან ერთმანეთს.



### ჟიზელ ბიუნდჩენი

ბრაზილიელი სუპერმოდელი ჟიზელ ბიუნდჩენი ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავის, „ნიუ ინგლენდ პატრიოტსის" კვოტერბეკის ტომ ბრედის ცოლია. ჟიზელი მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად მოდელად ითვლება – მისმა პირადმა შემოსავალმა 2013 წელს 42 მილიონი დოლარი შეადგინა.

## სააახალწლო – არა... პატარძალი

ყოველ ახალ წელს მსოფლიოს პატარები და დიდები უძლევნიან სიმღერებს ნაძვის ხეს, რომლის სიმწვანე და მორთულობა მომავალი წლის ბედნიერი სიახლეების სიმბოლოა. თუმცა, არგენტინელ რიჩარდ ტორესს ხისადმი სულ სხვა გრძნობა დაეუფლა – ბუენოს-აირესში 33 წლის მამაკაცმა ხეზე იქორწინა. ქორწილის დროს „სიძე" თეთრ კოსტიუმში იყო გამოწყობილი და „პატარძალსაც" თეთრი მოსასხამი ამშვენებდა. რიჩარდმა ღვთისა და ერის წინაშე სიყვარულისა და ერთგულების ფიცი მისცა თავის რჩეულს, რომ იქნებოდა მასთან ტანჯვასა და სიხარულში, სანამ სიკვდილი არ დააშორებდა ერთმანეთს, ტოტზე ბეჭედი წამოაცვა და აკოცა კიდეც. ქორწინებას მრავალი სტუმარი ესწრებოდა და ცერემონიაც ძალზე მიმზიდველი და გულისამაჩუყებელი იყო, მაგრამ, ტორესი სულაც არ აღმოჩნდა ერთგული საქმრო – 2013 წლის დასაწყისში ის ისევ დაქორწინდა პერუში, ოღონდ სულ სხვა ხეზე. როგორც რიჩარდ ტორესმა განაცხადა, ამ ქორწილის აზრი ბუნებისადმი სიყვარულის გამოხატულებაა. ის გარემოს დაცვის აქტივისტია და, იმედოვნებს, რომ ამ ღონისძიებით არა მარტო ლათინური ამერიკის, არამედ, მთელი მსოფლიოს მოსახლეობას შეახსენებს ცოცხალი სამყაროს პრობლემებს და მისი დაცვისკენ მოუწოდებს.

## უსაინ ბოლტის არგენტინული თავგადასავალი

იამაიკელი სპრინტერი რეკორდსმენი უსაინ ბოლტი ბუენოს-აირესში ერთ-ერთ არგენტინულ ტელეშოუში იყო სტუმრად. შოუს ფარგლებში მას არგენტინის



დედაქალაქის ქუჩებში ავტობუსთან გაჯიბრება მოუწია. ექვსგზის ოლიმპიურმა და რვაგზის მსოფლიოს ჩემპიონმა დაკისრებულ დავალებას ბრწყინვალედ გაართვა თავი და სიმბოლურ, 80-მეტრიან დისტანციაზე ავტობუსს გაუსწრო. იმავე შოუს ფარგლებში ბოლტმა არგენტინელ სპრინტერებთან ერთად საჩვენებელი გარბენი მოაწყო.

## ირინა შეიკის საშობაო მოლოცვა

ირინა შეიკმა თავის თაყვანისმცემლებს ორიგინალურად მიულოცა შობა. ცნობილმა მოდელმა და კრიშტიანუ რონალდუს საცოლემ ჟურნალ Love-ს საახალწლო კლიპის გადაღებებში მიიღო მონაწილეობა. ვიდეორგოლში „კელვინ კლაინის" ეროტიკულ თეთრეულში გამოწყობილი ირინა სექსუალურად ცეკვავს ნაძვის ხის გირლანდებით და მამრობით სქესს მიმართავს სხვადასხვა რჩევით. კლიპის გადაღებებმა სახალისო გარემოში ჩაიარა და შეიკი კმაყოფილი დარჩა ნამუშევრით.

## მსოფლიოს უძვირესი კლუბები

გერმანულმა სპორტულმა პორტალმა transfermarkt.de-მ მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული საფეხბურთო კლუბების სია გამოაქვეყნა. ფეხბურთელების საერთო ღირებულებიდან გამომდინარე, პირველ ათეულში მოხვდნენ: „რეალი" – 583,5 მილიონი ევრო; „ბარსელონა" – 582,3 მილიონი, „ბაიერნი" – 487,2 მილიონი, „მანჩესტერ სიტი" – 472,75 მილიონი, „ჩელსი" – 458,75, „მანჩესტერ იუნაიტედი" - 404 მილიონი. 300-მილიონიან ნიშნულს გადააბიჯეს: „პარი სენ-ჟერმენმა", „არსენალმა", „იუვენტუსმა", „ტოტენჰემმა"; 200-მილიონიან ნიშნულს კი – „მილანმა", „მონაკომ", „დორტმუნდმა", „ნაპოლიმ", „ინტერმა", „ატლეტიკომ" და „ლივერპულმა."

## ალექს ფერგიუსონი – ბრიტანული ტელეშოუს გმირი

„მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარული ექსმწვრთნელი ალექს ფერგიუსონი ცნობილი ტელეშოუს – „ვის უნდა, გახდეს მილიონერის" უკანასკნელ გადაცემაში მიიწვიეს სათამაშოდ. ფერგიუსონი მეორედ გახდა გადაცემის სტუმარი, პირველად მან 2004 წელს 32 ათასი გირვანქა სტერლინგი მოიგო, ამჯერად კი, ფეხბურთის ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელად აღიარებულმა შოტლანდიელმა სპეციალისტმა 50 ათასი გირვანქა სტერლინგის მოგება მოახერხა. თანხა მთლიანად ქველმოქმედებაში გადაირიცხა.

გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ

# ჯოზეფ გორდონ-ლევიტი: ჰოლივუდის ახალი თაობის დონჟუანი ვარსკვლავი

***„შავი რაინდის აღზევება", „დასაწყისი", „დონ ჟუანი", „ლინკოლნი" – ეს იმ ბლოკბასტერების ჩამონათვალია, რომლებშიც ერთ-ერთ მთავარ როლს ჰოლივუდის ახალი თაობის ვარსკვლავი, მსახიობი და რეჟისორი, „ოქროს გლობუსის" ორგზის ნომინანტი ჯოზეფ გორდონ-ლევიტი ასრულებს.***

* ჯოზეფ ლეონარდ გორდონ-ლევიტი დაიბადა 1981 წლის 17 თებერვალს, ლოს-ანჯელესში. მამა, დენის ლევიტი, რადიოსადგურში მუშაობდა; დედა, ჯეინ გორდონი კი – იმავე რადიოსადგურში გადაცემების რედაქტორი იყო. ჯოზეფს ჰყავდა უფროსი ძმა, დენიელი, რომელიც 2010 წელს გარდაიცვალა.



* ჯოზეფ გორდონ-ლევიტი ებრაელია, თუმცა, მისი ოჯახი არ ითვლება მკაცრად რელიგიურ ოჯახად.

* 5 წლის ასაკში ჯოზეფს უკვე ჰქონდა მიდრეკილება მსახიობობისკენ – ის სამოყვარულო მიუზიკლებში ასრულებდა პიტერ პენის როლს.

* ჯოზეფ გორდონ-ლევიტის სიმაღლე 176 სანტიმეტრია.

* 6 წლის განმავლობაში, სკოლაში სწავლის პერიოდში, ჯოზეფი მხატვრული ტანვარჯიშის სექციაზე დადიოდა.

* ჯოზეფის მშობლები ყოფილი ჰიპები იყვნენ და შვილს პაციფისტური სულისკვეთებით ზრდიდნენ. შედეგად, მას არადროს უჩხუბია სკოლაში სწავლის პერიოდში და არც „ომობანა" უთამაშია.

* ჯოზეფ გორდონ-ლევიტი ბარაკ ობამას აქტიური მხარდამჭერია.

* ჯოზეფის საყვარელი ქალი მსახიობები არიან ბრიჯიტ ბარდო და ანა კარინა, ხოლო რეჟისორებიდან ის ორსონ უელსს, ფრანსუა ტრიუფოს, ჟან-ლუკ გოდარსა და ჟან-პიერ ჟენეს ანიჭებს უპირატესობას.

* ჯოზეფის საყვარელი მწერალია ჯერომ სელინჯერი, ნაწარმოები კი – „თამაში ჭვავის ყანაში".

* ჯოზეფი ფლობს ფრანგულ ენას. გარდა ამისა, ის პროფესიონალურად უკრავს გიტარასა და დასარტყამ ინსტრუმენტებზე.

* ჯოზეფი მუდმივად ნიუ-იორკში ცხოვრობს.

* ჯოზეფის თქმით, ის მუდამ ტირის, როცა უყურებს მულტფილმს – „დამბო".

* 2013 წელს „სანდენსის" კინოფესტივალზე შედგა ჯოზეფ გორდონ-ლევიტის სარეჟისორო დებიუტი ფილმში „დონ ჟუანი", რომელიც თავისივე სცენარის მიხედვით გადაიღო და თვითონვე შეასრულა მთავარი როლი.

* ჯოზეფის საყვარელი მსახიობები არიან დენიელ დეი-ლუისი და ჰარი ოდლმანი. მსახიობი ამაყობს, რომ ორივესთან მოუწია მუშაობა გადასაღებ მოედანზე, ფილმებში – „ლინკოლნი" და „შავი რაინდის აღზევება".

# მსოფლიო მონარქების საყვარელი ავტომობილების ტოპ-ხუთეული

***ჟურნალმა „ფორბსმა" მონარქების საყვარელი ავტომობილებისგან შემდგარი ტოპ-ხუთეული შეადგინა. საინტერესოა, რომელი მარკის ავტომობილებს ანიჭებენ უპირატესობას მეფეები და დედოფლები.***

## დედოფალი ელიზაბეთ მეორე

ავტობრენდმა „ბენტლიმ" დედოფალ ელიზაბეთ მეორეს ტახტზე ასვლიდან 50-ე იუბილეზე ნამდვილი მეფური საჩუქარი გაუკეთა – ლუქსის კლასის ავტომობილი „რედ ლეიბელი". წითელი ფერის „ლიმუზინი" ავტომწარმოებლის საუკეთესო ოსტატების ხელით იყო აწყობილი. ავტომობილს ორი წელი აწყობდნენ. პირველად დედოფალმა ელიზაბეთმა ავტომობილით 2002 წლის 4 ივლისს ისარგებლა და მას შემდეგ საიუბილეო ღონისძიებებზე „ბენტლი" მუდამ ემსახურება სამეფო ოჯახს.



## დანიის დედოფალი მარგრეტე მეორე

დანიის დედოფალს ავტოფარეხში 50-მდე ავტომობილი ჰყავს, თუმცა, მათ შორის დედოფალი უპირატესობას 1958 წლის გამოშვების „როლს როისს" ანიჭებს. აღნიშნული მოდელის „როლს როისი" სულ 25 წელი გამოდიოდა და ის ჯერ კიდევ მარგრეტეს მამამ, მეფე ფრედერიკ მეცხრემ შეიძინა. საინტერესო ფაქტია, რომ, პროტოკოლის თანახმად, ავტომობილში დანიის დედოფალი მარტო უნდა იჯდეს, მძღოლის თანხლებით.

## მონაკოს მთავარი ალბერ მეორე

მონაკოს თავადის საყვარელი ავტომობილია „ლექსუს LS 600h L". ამ მარკის ავტომობილი ალბერმა თავად აირჩია, რადგან ის ეკოლოგიურად სუფთაა – ავტომობილის ძარა ეკოლოგიურად სუფთა საღებავითაა შეღებილი. საგულისხმოა, რომ მონაკოს მთელი მონარქიული ოჯახი იაპონური წარმოების ავტომობილებით გადაადგილდება.

## ყატარის ემირი

ყატარის ემირი ჰამად ბინ ჰალიფა ალ-ტანი, ევროპელი მონარქებისგან განსხვავებით, სპორტული ტიპის ავტომობილებს ანიჭებს უპირატესობას. სპეციალურად მისთვის იტალიელმა ავტომწარმოებლებმა ერთადერთ ეგზემპლარში გამოუშვეს სუპერკარი – „პაგანი ზონდა უნო", 7,3-ლიტრიანი ძრავას მქონე უსწრაფესი ავტომობილი, რომელიც 300 კილომეტრსაათ სიჩქარეს ავითარებს.

## იაპონიის იმპერატორი აკიჰიტო

2006 წელს იაპონიის იმპერატორმა ავტომობილი გამოცვალა – „ნისანიდან", რომელიც სამეფო ოჯახს 30 წლის განმავლობაში ემსახურებოდა, აკიჰიტო „ტოიოტაზე" გადაჯდა. დაჯავშნილი საიმპერატორო „ლიმუზინის" ამოცნობა მარტივია – იმპერატორის ავტომობილს სანომრე ნიშნები არ გააჩნია.

# 2013 წლის ქალი მილიარდერების ტოპ-ხუთეული

***„ფორბსის" რეიტინგში ქალი მილიარდერების რაოდენობა არცთუ დიდია, თუმცა, მათ შორისაც მოიძებნებიან საინტერესო პერსონაჟები, რომელთა შესახებ ამ ტოპ-ხუთეულიდან შეიტყობთ.***

## როზალია მერა

ესპანელი ბიზნესლედის კაპიტალი 6,1 მილიარდ ამერიკულ დოლარად არის შეფასებული. როზალია მოდური ბრენდის – „ზარას" თანადამფუძნებელია ყოფილ მეუღლესთან, ასევე მილიარდერ ამანსიო ორტეგასთან ერთად. თავისი კარიერა როზალიამ 11 წლის ასაკში დაიწყო, როდესაც მიხვდა, რომ სწავლას მუშაობის დაწყება ჯობდა. სწორედ თავისი პროფესიით – ტანსაცმლის მკერავობით მიაღწია როზალიამ ყველაფერს.

## უ იაცზინი

ჩინეთის უძრავი ქონების დედოფლად წოდებული უ იაცზინი 4,3-მილიარდიან კაპიტალს განაგებს. ის გახლავთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უმდიდრესი ქალბატონი. იაცზინი ფლობს დეველოპერულ კომპანია „ლონგფორს", რომელიც წლების წინ კორეელ ექსმეუღლესთან ერთად დააფუძნა.

## ჩან ლაივა

ჩინელი მილიარდერი ჩან ლაივა 4,1-მილიარდიან კაპიტალს ფლობს და, თავისი თანამემამულის, უ იაცზინის მსგავსად, დეველოპერულ ბიზნესშია ჩართული. მისი კომპანია „ფუ ვა ინტერნეშნლ გრუპი" პეკინში უმსხვილეს სამშენებლო კომპანიად ითვლება.

## დაიანა ჰენდრიკსი

ამერიკელ დაიანა ჰენდრიკსს 3,8 მილიარდიანი კაპიტალი აქვს. ის 2007 წლიდან კომპანია „ეიბისი სუფლაის" მართავს და ეს ფუნქცია მას გარდაცვლილი მეუღლისგან ერგო მემკვიდრეობით. კომპანია სახურავების მონტაჟს აკეთებს და ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია ჩრდილოეთ ამერიკაში და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მას ვერაფერი ავნო.

## ჩჟან სინი

თავისი თანამემამულეების მსგავსად, ჩჟან სინიც სამშენებლო ბიზნესით არის დაკავებული და მისი კაპიტალი 3,6 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს. კომპანია „სოჰო ჩაინა" ჩჟან სინის მეთაურობით, პეკინსა და შანხაიში ყველაზე ელიტურ უძრავ ქონებას ფლობს.

**გვერდი მოამზადა**
**უშანგი რუხაძემ**


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.



## განწყობის გაუმჯობესება საკვებსაც შეუძლია

აღმოჩენილია რამდენიმე ეფექტური ხერხი, რაც წამლების გვერდის ავლით, ხასიათის გამოკეთებას უწყობს ხელს.

განწყობის შეცვლის ხერხებიდან ყველაზე ეფექტურად აერობიკა სახელდება. ძალიან სასარგებლოა ბიოქიმიური და სხვა ცვლილებები, რაც ფიზიკური სავარჯიშოების შედეგად ვითარდება. განსაკუთრებით სასარგებლოა სირბილი, ველოსიპედით სიარული, სეირნობა და ცურვა. კერძოდ, ყველაფერი ის, რაც გულის მუშაობას, სისხლის მიმოქცევას ასტიმულირებს და ორგანიზმს ჟანგბადით ამდიდრებს. დღეში მხოლოდ ოცი წუთის განმავლობაში ვარჯიში თქვენს განწყობას საგრძნობლად აამაღლებს.

ტვინისთვის ფერი ისეთივე მკვებავია, როგორც ორგანიზმისთვის ვიტამინები. იმისთვის, რომ თავიდან აიცილოთ გაღიზიანება და სიბრაზე, თავი აარიდეთ წითელ ფერს. თუ დეპრესიასთან ბრძოლა გსურთ, არც მაშინ ატაროთ წითელი სამოსი. ასევე, თუ გსურთ სევდას თავი დააღწიოთ, ნუ ჩაიცვამთ შავ და მუქ ნაცრისფერ სამოსს. აირჩიეთ თბილი, ნათელი და ცოცხალი ფერები. იმისთვის, რომ დაწყნარდეთ და მოიხსნათ დაძაბულობა, უყურეთ ნეიტრალურ ფერებს, მაგალითად, ღია ცისფერს, ღია ვარდისფერს და ასე შემდეგ.

ასევე, მეცნიერებმა საჭმელსა და ხასიათს შორის უშუალო კავშირი აღმოაჩინეს. პროდუქტები, რომლებიც, ძირითადად, ნახშირბადს შეიცავს, თავისებურ დამაწყნარებელ საკვებად მიიჩნევა და მათ დამამშვიდებელი ეფექტი აქვს. საჭმელში ცილების გამოყენება ტვინის სიცოცხლისუნარიანობას და გონებრივი ენერგიის გამომუშავებას უწყობს ხელს. ცილების ყველაზე დიდი შემცველობით გამოირჩევა: თევზი, მოლუსკები, ქათმისა და ხბოს ხორცი.

კოფეინის ჭარბი გამოყენება იწვევს ხასიათის ცვლილებებს და ეს გაითვალისწინეთ. აგრეთვე, ძილს შეუძლია, განწყობის გაუმჯობესება, დაღლილობის მოხსნა. სიზმარი კი ეგრეთ წოდებულ ფსიქოთერაპიულ როლს ასრულებს. სიზმარი გვეხმარება დაძაბულობის მოხსნასა და ხასიათის დარეგულირებაში.

## შოკოლადის ჭამა აუცილებელია მათთვის, ვისაც სქესობრივი ცხოვრების მხრივ პრობლემები აქვთ

შოკოლადის შემცველობაში შემავალი მაგნიუმი ებრძვის დეპრესიას, აუმჯობესებს მეხსიერებას, ორგანიზმს სტრესის მიმართ უფრო გამძლეს ხდის და იმუნიტეტზეც დადებითად აისახება. ამიტომ, ძალიან კარგია, თუ მას პროფილაქტიკისთვის სისტემატურად მიირთმევთ, ოღონდ, განსაზღვრული რაოდენობით. ვინც ყოველდღიურად დაახლოებით 25-30 გრამ სუფთა შოკოლადს ჭამს, ის არც კიბოთი და არც წყლულოვანი დაავადებით არ ავადდება – ეს ბოლო დროს ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო.

შოკოლადი ინფარქტისა და ინსულტისგანაც გვიცავს, რადგან მისი რეგულარული მოხმარება სისხლის ფირფიტების, ანუ თრომბოციტების ფუნქციის ნორმალიზებას ახდენს. მასში შემავალი ფლავონოიდების ჯგუფის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები თრომბოციტებს ერთმანეთთან შეწებების საშუალებას არ აძლევს, ხელს უშლის გულისა და ტვინის სისხლძარღვებში თრომბის წარმოქმნას. ამ მხრივ შოკოლადი ასპირინს ჰგავს, თუმცა მისგან სასიამოვნო გემოთი და უკუჩვენებების არქონით განსხვავდება. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ავადმყოფებს, რომლებსაც სისხლის გამათხელებელი პრეპარატები დაუნიშნა ექიმმა, შეუძლიათ შოკოლადით ჩაანაცვლონ. მაგრამ, ვინც ჯანმრთელია და სურს, მომავალში არ ივადმყოფოს, მისთვის შოკოლადი კარგი დამხმარეა.

შოკოლადი სისხლძარღვებს ათეროსკლეროზისგანაც იცავს. ამ მოქმედებას მეცნიერები კაკაოს მარცვლებში განსაკუთრებული ნივთიერების, კერძოდ, პროციანიდების არსებობით ხსნიან, რომლებიც ანტიჟანგავების ჯგუფს მიეკუთვნება და ორგანიზმს არასასურველი ზემოქმედებისგან იცავს.

დღეში დაახლოებით 30-40 გრამი შოკოლადის ჭამა ისეთივე სასარგებლოა, როგორც ერთი ჭიქა წითელი ღვინო. ის ამაგრებს სისხლძარღვებს, აიძულებს გულს, იმუშაოს თანაბარი რიტმით, არეგულირებს არტერიულ წნევას. შავი შოკოლადი უფრო მდიდარია მთელი რიგი ვიტამინებით: კალიუმით, ფოსფორითა და რკინით, ვიდრე ვაშლი, იოგურტი და ყველი. მწარე შოკოლადი წვავს ცხიმებს, შეიცავს კოფეინს და ცოტა ცხიმს. ის თრგუნავს მადას,ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას და ზღუდავს თავისუფალი რადიკალების მოქმედებას.

თუ გსურთ, ჯანმრთელი კბილები შეინარჩუნოთ, მიირთვით მწარე შოკოლადი. მასში შემავალი კაკაო კბილებს თხელ დამცავ ფენად ედება და კბილზე ქვების წარმოქმნას უშლის ხელს.

შოკოლადი ეროტიკულ გრძნობებსაც აღძრავს. ამიტომ, მისი ჭამა აუცილებელია მათთვის, ვისაც სქესობრივი ცხოვრების მხრივ პრობლემები აქვთ.

## რა უნდა იცოდეთ, რომ სუფრასთან მალე არ დათვრეთ

ყველა მსმელმა უნდა იცოდეს თავისი დოზა. კერძოდ, სასმლის დოზა უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის წონას. ანუ, ადამიანმა, რომელიც იწონის 70-75 კილოგრამს, არ უნდა დალიოს ნახევარ ლიტრზე მეტი არაყი.

ასევე, თრობის ხარისხი და ხანგრძლივობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ალკოჰოლდეჰიდროჰენაზების რაოდენობაზე, ანუ სისხლში არსებული სპირტის გადამამუშავებელ ფერმენტებზე. ამ ფერმენტების რაოდენობა მას შემდეგ იმატებს, რაც ორგანიზმში ალკოჰოლი ხვდება.

იმისთვის, რომ მალე არ დათვრეთ, სუფრასთან, დაახლოებით ოთხი საათით ადრე, დალიეთ ცოტაოდენი სპირტიანი სასმელი და მსუბუქად წაიხემსეთ – ამით თქვენს ორგანიზმს წინასწარ განაწყობთ საქეიფოდ და ის ალკოჰოლის დიდი რაოდენობით მიღებასაც აიტანს. სუფრასთან დაჯდომამდე ლიმონიანი ჩაის ან ყავის დალევაც კარგია – ეს ანეიტრალებს ალკოჰოლს. ასევე, შეგიძლიათ, ეს სასმელები ქეიფის პროცესშიც დალიოთ, რადგან მალე გამოფხიზლებას უწყობს ხელს.

გირჩევთ, ნუ აურევთ ერთმანეთში სხვადასხვა ხარისხისა და სახეობის სასმელს. ალკოჰოლური სასმელების ნარევი უფრო მეტად ათრობს, ვიდრე ერთი სახის სასმლის დიდი დოზა.

თუ მაინცდამაინც გიწევთ სასმლის არევა, მაშინ, სმა ნაკლებგრადუსიანით დაიწყეთ და აუცილებლად მიაყოლეთ რაიმე – ნოყიერი და მსუყე კერძი, განსაკუთრებით ხორცეული, ის მნიშვნელოვნად აფერხებს თრობის პროცესს. თუმცა, გაითვალისწინეთ ისიც, რომ ცხიმიანი საკვების მიღებით ალკოჰოლის ზემოქმედება კი არ ნეიტრალდება, არამედ, უბრალოდ, გარკვეული დროით ფერხდება.

## რომ არ გასუქდეთ, ჭამეთ ხშირად

ხშირად, სწორად დაცულ დიეტასაც კი არ აქვს სასურველი შედეგი. ძალიან რთულია, მომაზადო ორგანიზმი მუშაობის ახალი რეჟიმისთვის. თუ თავს იკავებთ საკვების მიღებისგან მხოლოდ რამდენიმე დღით, ამით ორგანიზმს აიძულებთ, შეგეწინააღმდეგოთ, რაც გამოიხატება იმით, რომ, საკვების მიღებისთანავე, ორგანიზმი იწყებს მარაგის დაგროვებას, თითქოს არასასურველი პერიოდისთვის ემზადება. ეს კი ხელს უწყობს წონაში ისევ სწრაფ მატებას. უნდა გახსოვდეთ, რომ წარმატების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ბალანსირებული, სწორი კვებით, ასევე, შინაგანი მზადყოფნითა და მონდომებით. მხოლოდ რამდენიმეთვიანი ან რამდენიმეწლიანი მონდომება მიგიყვანთ სასურველ შედეგებამდე და არა

სწრაფი დიეტა, რომელსაც, შესაძლოა, ბევრი დაავადების გამწვავება მოჰყვეს შედეგად.

სწორი კვება ჯამრთელად გახდომის აუცილებელი პირობაა. ბევრი ჩვენგანი დღის განმავლობაში რამდენიმე საათი შეუსვენებლად მუშაობს და, შესვენების დროს ან სახლში დაბრუნებული, სწრაფად ჭამს დიდი რაოდენობით საკვებს, რათა ახალი ენერგიით აავსოს ორგანიზმი. მაგრამ, ენერგიის ნაცვლად, ასეთ სწრაფ ჭამას კუჭის ტკივილი და სისუსტე მოჰყვება. ეცადეთ, სამსახურში წაიღოთ მსუბუქი საკვები, მაგალითად, ხილი, იოგურტი, ბოსტნეულის ბუტერბროდი და ასე შემდეგ. გაითვალისწინეთ, რომ ხშირად და მცირე ულუფებით საკვების მიღება, ჯანმრთელობის აუცილებელი პირობაა.

## ნაბახუსევზე არ დალიოთ სასმელი და არ ჭამოთ მსუყე, მწარე და ცხარე საკვები

ჭარბი ალკოჰოლის მიღების შემდეგ, თავს იჩენს გულისრევის შეგრძნება, თავის ტკივილი, საჭმლის მონელების მოშლა, უგუნებობა და ასე შემდეგ. უმეტესწილად, ეს შეგრძნებები ალკოჰოლის მიღებიდან მეორე დღეს ვითარდება. მათთან ბრძოლა, რთულია, მაგრამ შესაძლებელი. კერძოდ:

თუ თავი გტკივათ და გული გერევათ, ნუ იჩქარებთ აბების დალევას. მედიკამენტების მიღება კი არ შეგიმსუბუქებთ მდგომარეობას, არამედ, პირიქით, გაგიუარესებთ.

თუ წინა დღეს ბევრი ალკოჰოლური სასმელი დალიეთ, მაშინ დილით ჯობია, კუჭი თბილი წყლით გამოირეცხოთ. ერთ ჭიქა წყალს დაუმატეთ ერთი ჩაის კოვზი სოდა ან მარილი და დალიეთ. კუჭის გამორეცხვის შემდეგ, ერთი ჭიქა მაგარი ჩაი დალიეთ.

თუ ნაბახუსევზე თავი გტკივათ, მაგრამ გულისრევის შეგრძნება არ გაწუხებთ, მაშინ დილით დალიეთ მაგარი ყავა და მიაყოლეთ კარაქიანი პური.

არამც და არამც, ნაბახუსევზე არ დალიოთ სასმელი და არ ჭამოთ მსუყე, მწარე და ცხარე საკვები. უმჯობესია, მსუბუქად დანაყრდეთ და ჩაი, ყავა და წვენები დალიოთ.

## დიდი რაოდენობით ყავის სმა კუჭ-ნაწლავის აშლილობას იწვევს

ყავის შემადგენლობაში არსებული აზოტის შემცველი ნაერთები, ორგანული მჟავები და B ჯგუფის ვიტამინები ზემოქმედებს ბევრი სასიცოცხლო პროცესის ნორმალიზებაზე. თუმცა, დიდმა დოზამ, შეიძლება, სავალალო შედეგამდე მიგიყვანოთ.

250 მილილიტრზე მეტი ყავის დალევა, გამოიწვევს უძილობას, აღგზნებას, კუჭ-ნაწლავის აშლილობას, ტაქიკარდიას, გულის არითმიას, კუნთების კრუნჩხვას და ასე შემდეგ.

სრულიად საკმარისია, დღეში 3-4 ფინჯანი ყავა. კოფეინი კუჭის წვენის გამოყოფის ძლიერი სტიმულატორია, რაც აუცილებელია საჭმლისმომნელებელი ტრაქტის ნორმალური მუშაობისთვის. მაგრამ, კუჭის წყლულის დროს ის მავნებელია მასში შემავალი მთრიმლავი ნივთიერებების გამო. ამიტომ, თუ კუჭის წყლული გაქვთ, მაქსიმალურად მოერიდეთ ყავას.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: რისთვის არის ფიგურული სრიალი ბავშვისთვის სასარგებლო როგორც სპორტის სახეობა?**

**პასუხი:** ყინულზე სრიალი ავითარებს კოორდინაციას, ხელს უწყობს კუნთოვანი სისტემის განვითარებას, ინიშნება ალერგიის დროს, ბრონქული ასთმისადმი მიდრეკილ ბავშვებში და ბრონქების სხვა დაავადების დროს.

**კითხვა: მაინტერესებს, არის თუ არა ჰოჯკინის ლიმფომა გენეტიკური?**

**პასუხი:** დაავადების რისკ-ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს გენეტიკური წინასწარგანწყობა. ეპიდემიოლოგიური მონაცემებიდან გამომდინარე, სისხლით ნათესავებს შორის ავადობის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა.

**კითხვა: საშიშია თუ არა პანკრეასზე ფიბროზული უბნების არსებობა და შეიძლება თუ არა ამან გამოიწვიოს პანკრეასის კიბო?**

**პასუხი:** ფიბროზული უბნების არსებობა ხშირად დაკავშირებულია პანკრეასის გადატანილ ანთებასთან ან ქრონიკულ პანკრეატიტთან. ეს არ არის სიმსივნის რისკის მაჩვენებელი.

**კითხვა: მაქვს ძალიან თხელი და მტვრევადი ფრჩხილები. რა შეიძლება გამოვიყენო ფრჩხილების გასამაგრებლად?**

**პასუხი:** ფრჩხილების მტვრევადობასთან დაკავშირებით, პირველ ყოვლისა, უნდა გამოიკვლიოთ ფარისებრი ჯირკვალი. მანამდე კი გირჩევთ ზღვის მარილის აბაზანებს ერთი თვის განმავლობაში; დღეგამოშვებით ჩაის ხის ზეთის და ზეთოვანი ვიტამინი A-ს შეზელას ფრჩხილებში (1 თვე); ასევე, დალიეთ აევიტი (1 აბი 2-ჯერ დღეში, 1 თვე), ან მერცი სპეცდრაჟე (60 ცალი) – 1 დრაჟე 2-ჯერ დღეში.

**კითხვა: მინდა წონაში დაკლება და ამისთვის ვაპირებ ვარჯიშს. რომელ საათებში ჯობია, ვივარჯიშო და რამდენი ხნით ადრე ან გვიან უნდა მივიღო საკვები?**

**პასუხი:** დილით აუცილებლად უნდა ივარჯიშოთ საუზმემდე. სასურველია, თუ ვარჯიშიდან 2 საათის განმავლობაში საჭმელს არ მიიღებთ. ამ პერიოდში რეკომენდებულია მცირე რაოდენობით გაზგასული მინერალური წყალი და ახალგამოწურული ხილისა და ბოსტნეულის წვენი (მაგალითად, ვაშლის ან სტაფილოს). ვარჯიში რეკომენდებულია დილით და საღამოს, დაძინებამდე 2-3 საათით ადრე.

**კითხვა: შესაძლებელია თუ არა მეორე ბავშვზე ორსულმა, მშობიარობამდე, პირველ შვილს აწოვოს ძუძუ?**

**პასუხი:** ამ საკითხისადმი ურთიერთგამომრიცხავი მიდგომაა მედიკოსთა შორის: ზოგი ექიმი მიიჩნევს, რომ ორსულობა არ არის მეძუძურობის უკუჩვენება, ზოგსაც მიაჩნია, რომ ორსულისთვის და ნაყოფისთვის არ იქნება სასურველი რძით ცილებისა და მიკროელემენტების გაცემა. თანაც, ძუძუს წოვების დროს ქალის ორგანიზმში მართლაც გამოიყოფა ჰორმონი ოქსიტოცინი, რომელიც საშვილოსნოს კუმშვას აძლიერებს და, თუ ორსულს ტონუსი აქვს, დამატებით ძუძუს წოვებისას ტონუსის გაძლიერება არ იქნება მისთვის სასურველი. აქედან გამომდინარე, უმჯობესი იქნება, ეს საკითხი თქვენს გინეკოლოგთან ერთად გადაწყვიტოთ.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

## სისხლძარღვების საუკეთესო გამწმენდია მწვანე ჩაი და ლიმონი

გირჩევთ, სამ თვეში ერთხელ ორგანიზმს განტვირთვის კვირა მოუწყოთ და ამით დაიცვათ თავი მრავალი ავადმყოფობისგან, რათა იყოთ ფიზიკურად უფრო ძლიერი და ამტანი.

ხანდახან უარი თქვით ხორცის ჭამაზე, რადგან, დაკვლის პროცესში ცხოველის ორგანიზმში გროვდება დიდი რაოდენობით ადრენალინი და უარყოფითი ემოციები, რაც ადამიანის ორგანიზმს ამ ხორცის მიღებით გადაეცემა. უმჯობესია, ხშირად მიიღოთ უმი საკვები, მაგალითად: სტაფილო, ჭარხალი, უმი კარტოფილიც კი, რადგან ეს პროდუქტები აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და არჩენს წყლულს. კერძოდ, უზმოზე ნახევარი ჭიქა უმი კარტოფილის წვენის მიღებისას სამი კვირის შემდეგ ნებისმიერი წყლული იკურნება.



ჯანმრთელად და მხნედ რომ იყოთ, ყოველდღე მიირთვით სამი კბილი ნიორი და ერთი პატარა თავი ხახვი უმად. თუ ეს ბოსტნეული გწყენთ, ესე იგი, კუჭ-ნაწლავის პრობლემა გაქვთ.

სისხლძარღვების საუკეთესო გამწმენდია მწვანე ჩაი და ლიმონი. ასე რომ, ხშირად სვით მწვანე ჩაი ლიმონით და გაიწმინდეთ სისხლძარღვები.

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# რატომ აკრიტიკებენ მეგობრები თემურ ჩხეიძეს და ვის სექსუალურ თეორიებს იზიარებს რეჟისორი

„... გული მწყდება, რომ რეპეტიციების ჩანაწერები, ის, თუ რას მივაღწიე და რას ვერა, არ მაქვს გაკეთებული. რაც შეეხება მემუარებს, ჩემს თავს შევატყვე, რომ ბოლომდე სიმართლეს მაინც ვერ ვიტყვი, იმიტომ კი არა, რომ ვმალავ, უბრალოდ, ყოველთვის მიადგები ზღუდეს, როცა შენი თავისუფლება იქ მთავრდება, სადაც იწყება სხვისი და, არა მგონია, სხვისი განსჯის უფლება მქონდეს. მემუარებზე ვგიჟდები, მაგრამ, თუ ბოლომდე გულწრფელი არ ხარ, რა აზრი აქვს? კარგია, როცა საუკეთესოს შეამჩნევ ადამიანში და იმას აღწერ; ფიქრობ, იქნებ ამაზე დაწერო, მაგრამ, ყოველთვის არ გცალია, მერე გადის დრო და, მარაზმში რომ იქნები,





რობიკო სტურუასთან ერთად

შენი მემუარები რა თავში უნდა იხალო?! იმისიც მეშინია, სიბერეში შელამაზება არ დავიწყო. არ ვიცი, არა, რაღაცა მეჩოთირება... ჩემისთანა ხალხი საჭიროა თეატრში, მაგრამ მე არა ვარ გენიალური!" – ასე ფიქრობს თემურ ჩხეიძე (ქეთი სადღობელაშვილი – „ისე, როგორც ცხოვრებაში"), რომელიც მრავალი წელია, მართლაც გენიალურ სპექტაკლებს დგამს. სკანდალური რეჟისორი არასდროს ყოფილა, მაგრამ, ვისაც მისი „ჯაყოს ხიზნები" ახსოვს... ეს იყო ბატონი თემურის, მართლაც ყველაზე „ცხელი" სპექტაკლი, რომელშიც მაყურებელი მთელი არსებით ჩაერთო, თავად რეჟისორს კი მისი გახსენებაც არ სურს – ამის გამო ისედაც იმდენი გადავიტანეო, – ამბობს.



ცოლ-ქმარი

ბატონი თემური პეტერბურგის თეატრში ოცწლიანი მოღვაწეობის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, რათა ისევ გაგვახაროს თავისი დადგმებით.

როგორ იყოლიებს მაყურებელს და როგორ მუშაობს მსახიობთან, რეჟისორი თავად გიამბობთ:

„...მახსოვს, ერთხელ, სტურუამ თქვა: მსახიობისა და რეჟისორის ურთიერთობა ძალიან ჰგავს სასიყვარულო აქტს, რომლისგანაც ორივე მხარე თანაბარ სიამოვნებას უნდა იღებდესო. ვიზიარებ რობიკოს სექსუალურ თეორიებს. ეგრეა, აბა, რა! ძალიან იშვიათად, რომ ხმას ავუწიო. მშვიდი სულაც არა ვარ, მაგრამ, ეტყობა, ისეთ მსახიობებთან მიწევს ურთიერთობა, ყვირილის საბაბს არ მაძლევენ, როგორც სახლში, რა. ისე, რომ ვთქვათ, ჩემი ვალია, მსახიობს მარტო კი არ გავაგებინო, არამედ, შევაძლებინო იმის გაკეთება, რასაც საჭიროდ მივიჩნევ. ფსიქოზში არ შეიძლება ამის მიღწევა, არ გამოდის, რა, ჩხუბი და ჯაჯღანი... 17 წელია, ვმუშაობ „ბერში", სადაც რუსთაველის თეატრისხელა სცენაა, მაგრამ, რა ვუყო... „ლა სკალას" სცენაზე რომ დავდექი (დაახლოებით „დინამოს" სტადიონისხელა სცენაა), ვიფიქრე: დავიღუპე. მე თუ აქ სპექტაკლს დავდგამ-მეთქი, მაგრამ, არაფერი, გადავრჩი. ოპერა სხვაა, დიდი სივრცე იქ, უბრალოდ, აუცილებელია. პიესას რომ იღებ, ფიქრობ, რომელ სივრცეში დადგამ, რადგან, სივრცეს დიდი მნიშვნელობა აქვს. ოღონდ, ვერ ვიტყვი, რომ „რუსთაველმა" ან „ბერმა" ჩემზე, როგორც რეჟისორზე, ცუდად იმოქმედა...





... თუ კრიტიკოსი პიროვნულ შეურაცხყოფას მაყენებს, მწყინს. როცა კრიტიკოსი ტაქტიანად წერს, რომ ჩხეიძეს ეს არ გამოუვიდა ამიტომ და ამიტომ, ვერც ერთი ადამიანი ვერ იტყვის, რომ მე ეს მეწყინა, მაგრამ, როცა წერენ, რომ ჩხეიძეს შემოქმედებითი და პიროვნული კრიზისი ჰქონდა, როცა ამ სპექტაკლს დგამდაო, რა თქმა უნდა, საწყენია. შენ თქვი, რატომ არ მოგეწონა სპექტაკლი, თორემ, ჩემს კრიზისზე ლაპარაკის უფლება ვინ მოგცა? ანდა, მიცნობ ისე კარგად, რომ ეს თქვა? პიროვნული შეურაცხყოფა ყველას სწყინს და მეც რომ მწყინდეს, რა გასაკვირია. ისე, მყავს მეგობრები, რომლებიც მაკრიტიკებენ. „ჯამბაზები" რომ დავდგი, ჩემმა უახლოესმა მეგობარმა არც დამირეკა და არც პრემიერის მერე დამხვდა. გასაგებია! მეტი როგორ უნდა გაჩვენოს კაცმა, რომ არ მოეწონა? მაგას ჯობდა, გაველანძღე... თბილისის გარდა თუკი სადმე შევძლებდი ცხოვრებას, ალბათ, ბათუმში და პეტერბურგში, არადა, ერთმანეთთან არაფერი აქვთ საერთო. პეტერბურგის პომპეზურობის მიუხედავად, ამ ქალაქში არ ვითრგუნები. ზოგიერთ კათოლიკურ ტაძარში მემართება ხოლმე ასეთი რამ – ვგრძნობ, რომ არაფერი არა ვარ. ეტყობა, ყველაფერი მაინც სუბიექტურია, რადგან, პეტერბურგთან ბავშვობაც მაკავშირებს – 12-13 წლის რომ ვიყავი, რვა თვე ვცხოვრობდით ამ ქალაქში ბებია, ბაბუა და მე. ოპერაცია გამიკეთეს ხელზე და სამ თვეზე მეტხანს ვიწექი კლინიკაში. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად თაბაშირში ვიყავი ჩასმული, ფეხები თავისუფალი მქონდა და ბაბუას დავყავდი ერმიტაჟში, მუზეუმებში, თეატრებში დავდიოდით დილის სპექტაკლებზე, საღამოს არ მიშვებდნენ. რა ვიცოდი მაშინ, რომელ თეატრშიც დილის სპექტაკლებს ვესწრებოდი, დიდი ხნის მერე იმის მთავარი რეჟისორი რომ გავხდებოდი...



...ერთია, როცა ჭკუით ხვდები, რა არის კარგი ან ცუდი ნაწარმოები და, მეორეა ემოცია. დასადგმელად რომ ავილო, ნაწარმოებმა ემოციურად უნდა შემძრას. მაგალითისთვის, რამდენი ლამაზი ქალი დადის, მაგრამ, მარტო სილამაზის გამო ვერ ვაკოცებ, ამ ქალისადმი უნდა გამიჩნდეს ემოცია, ის რაღაცა უნდა ჰქონდეს, რასაც სახელი არ ჰქვია. ობიქტურად, შეიძლება, ვიცოდე, რომ ესა თუ ის ქალი ბევრად უფრო ლამაზია, ვიდრე ჩემი ცოლი, მაგრამ, რა ვქნა ახლა? იგივეა პიესასთან მიმართებაში: ვიცი, რომ უფრო უკეთესი პიესები არსებობს, მაგრამ, მე ემოციურად ამან შემძრა, ეს არის ჩემი სათქმელის იდენტური, ჩემი ტკივილი. სახარებაში რომ წერია: პირველად იყო სიტყვაო, ჩემთვის პირველადი არის გრძნობა, მერე ემოციური ბიძგი, მერე უკვე, რა თქმა უნდა, გონებით ალაგებ – როგორ, სად, რა, ჯობს. აბა, გონება თუ არ ჩართე, კომპოზიციურად ხომ უნდა მოიფიქრო, როლები ხომ უნდა გაანაწილო?!"

**ნანი ჩიქვინიძე:** „მეოთხე კურსზე ვიყავი, თემურს რომ შევხვდი და შემიყვარდა. თემური, როგორც რეჟისორის ასისტენტი, ისე მოვიდა ბატონ მიშა თუმანიშვილთან. ჯერ ერთი, მერე მეორე სპექტაკლი დადგა. მე ჩემი გრძნობა მქონდა შენახული, მას – თავისი. დაახლოებით სამ წელიწადში დავქორწინდით. რაც შეეხება ბარიერებს, ანუ,



შვილიშვილთან ერთად



გიორგი გეგეჭკორთან ერთად


ოჯახი

მიზეზი ჩვენი გვიან შეუღლებისა, იყო ის, რომ თემურს ოჯახი ჰქონდა. თემური ყოველთვის ამბობდა, რომ თავისი ცოლი უყვარდა, როცა მოიყვანა, მაგრამ, მერე მათი ინტერესები გაიყო. ტრადიციების დამცველ ოჯახში ვარ გაზრდილი და, ამდენად, ჩემთვისაც აბსოლუტურად დაუშვებელი იყო, ოჯახში პრობლემები შეჰქმნოდა. კარგა ხანს ვიხევდით უკან, რათა ვინმესთვის გული არ გვეტკინა. ვფიქრობდი, სერიოზული გრძნობა არ აქვს ჩემ მიმართ, იქნებ დაუბრუნდეს ოჯახს-მეთქი. უნდა დავრწმუნებულიყავი იმაში, რომ ის მზად იყო, ეს ნაბიჯი გადაედგა. მაგრამ, ცხოვრება ისეთი რამეა, რასაც არ ფიქრობ, სწორედ მას გადაეყრები. ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ შეიძლებოდა, ჩემს ცხოვრებაში ასეთი რამ მომხდარიყო. სიყვარული არაფერს ითვალისწინებს და ამის გამო საკმაოდ დიდი გამოცდა მოვუწყვეთ საკუთარ თავს. უკვე ოცდათხუთმეტი წელია, ერთად ვართ,


ქალიშვილთან, დეასთან ერთად


მამა-შვილი

მაგრამ, არასდროს მიფიქრია, რომ შეცდომა დავუშვი. წლებმა დაამტკიცა, რომ ერთად კარგად ვართ და ერთად უნდა ვყოფილიყავით. თუმცა, იმის განცდა, რომ ამ სიყვარულის გამო ოჯახი დაინგრა, დღემდე მომყვება. სხვათა შორის, ჩემს ცხოვრებაში დადგა რაღაც მომენტი, როცა ჩვენ ერთმანეთს დავშორდით, აღარ ვხვდებოდით. ჩემი ოჯახი ძალიან წინააღმდეგი იყო ჩვენი შეუღლების, ისევე, როგორც თემურის მხრიდან იყვნენ წინააღმდეგი. მერე, როცა მივხვდით, რომ სასაცილო მდგომარეობაში აღმოვჩნდით, ერთად ყოფნა გვინდოდა და არ ვიყავით, შევუღლდით. დარწმუნებული ვიყავი, რომ მასავით არასდროს არავინ შემიყვარდებოდა... მედიკო არასდროს ჩარეულა თემურის


და-ძმა – მაკა და თემური

პირად ცხოვრებაში. მას მიაჩნდა, რომ ნებისმიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს არჩევნის გაკეთების საშუალება თავის ცხოვრებაში. რასაკვირველია, მას არ უნდოდა, ოჯახი დანგრეულიყო, მაგრამ, როცა მიხვდა, რომ სხვა გამოსავალი არ რჩებოდა, ამ აზრს შეეგუა. სხვათა შორის, თემური იმ დროს დამწყები რეჟისორი იყო. საკმაოდ გვიან გავიგე, რომ მედეა ჩახავას შვილია. მედიკო დამოუკიდებლად მიყვარდა როგორც მსახიობი და, პირადად რომ გავიცანი, კიდევ უფრო შემიყვარდა... ერთი დღეც არ მინდა თემურის გარეშე სიცოცხლე და მეც ყოველთვის ვგრძნობდი, რომ მას უჩემოდ არ შეუძლია. ის არაფერს დამპირებია, პირიქით, მითხრა, ვერ დაგპირდები, რომ კარგად ვიცხოვრებთო. თვითონაც ისეთ ოჯახში ვარ გაზრდილი, ამას არანაირ ყურადღებას არ ვაქცევდი. ჩვენ ძალიან დიდხანს ვცხოვრობდით ჩემს მშობლებთან – 27 წელი, მაგრამ, ამას ჩვენს ურთიერთობაზე არ უმოქმედია. თემური ძალიან კარგი საყრდენია ქალისთვის. მის მხარდაჭერას ნებისმიერ სიტუაციაში ვგრძნობ."


ქალიშვილებთან ერთად

**ეკა პატარაია**



**ახალი წლის დადგომა, ყველასთვის იმედებისა და სანუკვარი ოცნებების ასრულებასთან ასოცირდება. ამიტომ, ახალი წლის დღეებში, აუცილებელია, იცოდეთ, რას მიაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, რა უნდა გაითვალისწინოთ თქვენივე ბედნიერებისთვის და პირადი, ოჯახური თუ კარიერული წინსვლისთვის. როგორც პარაფსიქოლოგეზოთერიკოსი ქალბატონი ტატა ამბობს, ახალი წლის ღამეს დიდი მაგიური დატვირთვაც აქვს. ასე რომ, თუ გსურთ, 2014 წელი თქვენთვის ფეხბედნიერი და წარმატებული იყოს, გულდასმით წაიკითხეთ ქალბატონი ტატას რეკომენდაციები და გაითვალისწინეთ ის ელემენტარული რჩევები, რაც თქვენსავე ბედნიერებაზე აგებს პასუხს.**

# რა მაგიური დატვირთვა აქვს ახალ წელს და რა უნდა გაითვალისწინოთ ამ ჯადოსნურ ღამეს, რომ მომავალში წარმატებას მიაღწიოთ



**ტატა**: ყოველ ახალ წელს ადამიანები იმედითა და უკეთესი მომავლის რწმენით ხვდებიან. ამ დღეს განსაკუთრებულად ემზადებიან, ძველ წელს აცილებენ და სამომავლოდ, სურვილების ახდენას ელიან. ყველა ოჯახში იშლება ტრადიციული სუფრა, ოჯახის წევრები ერთმანეთს ულოცავენ ახალი წლის შემობრძანებას, უძღვნიან საჩუქრებს, აგებებენ გოზინაყს, ასე ტკბილად დამიბერდიო და მეკვლესაც დიდი აჟიოტაჟით ელოდებიან. მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ უძველესი დროიდან, ახალ წელს დიდი მაგიური დატვირთვა აქვს. ამ დღეს უნდა გაითვალისწინოთ სწორედ ის რეკომენდაციები, რომლებიც სამომავლოდ თქვენი და თქვენი ახლობლების წარმატებასა თუ ბედნიერებაზეა პასუხისმგებელი.

**– და მაინც, როგორ დავიბედოთ ბედნიერება და სასურველი მომავალი, რა მოვიმოქმედოთ 12 საათის ჩამოკვრისას და რა გავითვალისწინოთ ახალი წლის დადგომისას?**

– თუ ახალ წელს კარგი განწყობით შეხვდებით, მოგეცემათ შანსი, მთელი მომავალი წელი ასეთი განწყობით გაატაროთ. ახალ წელს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ჩაცმულობას, დააკვირდით, რას გირჩევენ ასტროლოგები, რა ფერებია ამ მხრივ მისაღები, რომელი მინერალების გაკეთება ჯობია და ასე შემდეგ. სწორედ ამის მიხედვით შეარჩიეთ სამოსი თუ აქსესუარი. ასევე, გაითვალისწინეთ, რომელი ცხოველია ამ წლის მბრძანებელი და მის პატივსაცემად, შესაბამისად, გააწყვეთ საზეიმო სუფრა. ახლა ხომ ცხენის წელი მოდის, ჰოდა, მაგიდაზე დაალაგეთ: თევზეული, მწვანე ბოსტნეული და ხილი დიდი რაოდენობით. რასაკვირველია, ასევე, ბევრი კოქტეილი. თან, ამ ცხოველის შესაბამის ფერებში გამოეწყვეთ. ეს მას ძალიან მოეწონება და იღბალსაც დაიბედებთ. საახალწლოდ აუცილებლად შეიძინეთ რაიმე ახალი, როგორც ოჯახისთვის, ასევე თქვენთვის. არ არის აუცილებელი, ეს ავეჯი, ფარდები, კაბები ან ძვირფასი სამკაულები იყოს. მაგალითად, სახლისთვის შეგიძლიათ ჭიქა, სტატუეტი, სურათი ან რაიმე დეკორატიული ნივთი შეიძინოთ. თქვენთვის კი, რაიმე აქსესუარი შეარჩიეთ. მოკლედ, ახალ წელს თქვენც და თქვენი საცხოვრებელიც ახალი ნივთით, ან აქსესუარით უნდა შეხვდეთ. აქვე, ერთ წესს გაგანდობთ, რომელიც გასათხოვარ გოგონებს ეხება. თუ ამას გაითვალისწინებენ, ბედი ადვილად გაეხსნებათ, თანაც უახლოეს მომავალში. მოკლედ, ახალ წლამდე, დაახლოებით 10-15 წუთით ადრე, დედამ უნდა დაატრიალოს გასათხოვარი გოგონა შემოსასვლელ კართან, მიარტყას სამჯერ წელზე ახალი ცოცხი და თან თქვას: „ჩემი გოგო გავიდეს სახლიდან და ისეთი საბედო ნახოს, როგორიც ჩვენ გვსურს; ისეთი მდიდარი და დოვლათიანი, როგორც ჩვენ ვეგებებით ახალ წელს; ისეთი სუფთა გრძნობების, როგორც ეს ცოცხია და ისეთი მხიარული განწყობის, როგორც ჩვენ ვხვდებით ახალ წელს.“ ამის შემდეგ, გოგონა დედამ გარეთ უნდა გაუშვას და სანამ თორმეტი საათი არ გახდება, არ შემოუშვას სახლში. ეს მეთოდი, ბევრმა სცადა და თქვენ წარმოიდგინეთ, უმეტესობამ ბედი, სწორედ იმ წელს ნახა და გათხოვდა კიდეც.

**– უძველესი დროიდან, ტრადიციულად, საახალწლო ნაძვის ხეზე კიდებდნენ ათასგვარ ნივთს, რომლებიც ოჯახის ბარაქასა და ბედნიერებაზეა გათვლილი. ამაზე რას გვეტყვით?**

– მართალია, ახალ წელს აუცილებელია, ყველა ოჯახში დაიდგას ნაძვის ხე და მასზე დაიკიდოს ის სათამაშოები, რაც თქვენს პირად ცხოვრებას თუ ოჯახის წევრების კეთილდღეობას, ოცნებების ასრულებას შეუწყობს ხელს. მაგალითად, ვაშლი ნაყოფიერების სიმბოლოდ მიიჩნევა, ამიტომ, თუ ბედში ცვლილებები გსურთ, ვაშლი აუცილებლად დაკიდეთ ნაძვის ხეზე. თანაც, ცხენის წელში, ვაშლი ერთგვარი სიმბოლოა. ამიტომ, ის არა მარტო ნაძვის ხეზე, სუფრაზეც აუცილებლად უნდა იდოს. ასევე, კვერცხი ნაყოფიერებისა და ჰარმონიის სიმბოლოა. თუ გსურთ, თქვენი ცხოვრება ჰარმონიული და ნაყოფიერი იყოს, შეღებეთ კვერცხი ნარინჯისფრად ან ცისფრად

**წელს, წლის მბრძანებლის პატივსაცემად, აუცილებლად უნდა დადოთ ნაძვის ხის გვერდით, გამჭვირვალე ვაზაში ჩაწყობილი თავთავები. ეს ოჯახური კეთილდღეობის საწინდარია**

და დაკიდეთ ნაძვის ხეზე. წელს, წლის მბრძანებლის პატივსაცემად აუცილებლად უნდა დადოთ ნაძვის ხის გვერდით, გამჭვირვალე ვაზაში ჩაწყობილი თავთავები. ეს ოჯახურ კეთილდღეობას უზრუნველყოფს. მთავარია, იმოქმედოთ, გქონდეთ იმედი, რომ მომავალ წელს ყველაფერი კარგად იქნება. რწმენით შეასრულეთ ყველა რიტუალი და სასიკეთო ცვლილებები უახლოეს მომავალში აუცილებლად იქნება. ასევე, არ დაგავიწყდეთ, როგორც კი 2014 წელი დადგება, გამოაღეთ ფანჯრები, რათა ძველი წელი გავიდეს და ახალი შემობრძანდეს. ეს მთავარი საახალწლო რიტუალია.

**– ამბობენ, ახალი წელი განსაკუთრებული მაგიური თვისებებით ხასიათდება და ამ დროს მომავლის წინასწარმეტყველებაც შესაძლებელიაო. ეს როგორ მოვახერხოთ?**

– დიახ, მომავლის წინასწარმეტყველებისთვის, ახალი წლის ღამე ზედგამოჭრილია. მაგალითად, თუ რაიმე კითხვაზე გსურთ პასუხის გაგება, მაგრამ ვერ ახერხებთ, თორმეტ საათს ერთი წუთი რომ დააკლდება, აიღეთ ფურცელი და ფანქრით დაწერეთ ის სურვილი. მოუკიდეთ ცეცხლი და თან, გულში იმეორეთ: „12 საათამდე დაწვა მოასწარი, რომ სურვილი ამიხდეს“. დააკვირდით, რა მოხდება. თუ ბოლომდე დაიწვა, დარწმუნებული იყავით, სურვილი ამ წელს ნამდვილად აგიხდებათ. მაგრამ, თუ ვერ მოასწრო დაწვა, მის ახდენას არ ელოდოთ. თუ საბედოს ნახვა გსურთ, ახალი წლის მაგიური ღამე, ამის საშუალებასაც გაძლევთ. თორმეტი საათი რომ ჩამოკრავს, ისე, რომ ვერავინ დაგინახოთ, ნაძვის ხიდან მოხსენით ერთი სათამაშო, გადით გარეთ, დაანახვეთ ის ცას და თქვით: „მაღალო ცაო, ამ ჯადოსნურ და მაგიურ ღამეს, ჩემი ბედი დამასიზმრე“. შემდეგ შედით საძინებელში და ის სათამაშო ბალიშის ქვეშ დაიდეთ. მომავალ საბედოს აუცილებლად ნახავთ. ასევე, საბედოს წინასწარ სანახავად, 2 იანვარი ცნობილი მაგიური დღეა. აიღეთ ღამის თორმეტ საათზე უხმარი გამჭვირვალე ჭიქა, მასში ნახევრამდე ჩაასხით იმ ონკანის წყალი, რომლიდანაც წყალი არ დაგილევიათ და შიგ ახლო მეგობრის ქორწინების ბეჭედი ჩააგდეთ. აანთეთ თეთრი ფერის სანთელი, გეჭიროთ ხელში და ხან ჭიქაში იყურეთ, ხან სანთელს დააკვირდით როგორ იწვის. ნახევრად რომ ჩაიწვება, ჩაუშვით ჭიქაში და წყლით ჩააქრეთ. დააკვირდით იმ ადგილს ჭიქაში, სადაც ბეჭედია და მის შუაში აუცილებლად დაინახავთ, როგორ გაჩნდება ფიგურები, ადამიანის სახეები და მათგან ერთ-ერთი თუ მკვეთრად გამოისახა, ჭიქაში გაიშალა და დაინახეთ მამაკაცის ან გოგონას სახე, ესე იგი, ის თქვენი მომავალი ცხოვრების მეგზურია.

**– იმასაც ხომ ამბობენ, თითქოს მეკვლე აუცილებლად დედმამიანი და ბედნიერი ადამიანი უნდა იყოს და სახლში აუცილებლად უნდა შემოიტანოს ტკბილეული, ბრინჯი და ხურდა ფულიო?**

– ზოგადად, ახალი წლის ღამეს სახლში მობრძანებული მეკვლე, მომავალი წლის ბედნიერების, წარმატებისა და ჰარმონიის მაცნედ მოიაზრება. ამიტომ, მეკვლედ უნდა დაპატიჟოთ ისეთი ადამიანი, რომელიც ღარიბი არ არის, ბედნიერია, მშობლებიც ცოცხალი ჰყავს და არც გასულ წელს დაღუპვია რომელიმე ოჯახის წევრი. ბრინჯით, ხურდა ფულითა და ტკბილეულით, მას ჩვენს ოჯახში ბარაქა შემოაქვს, სიტკბოსა და ფინანსურ უზრუნველყოფას გვპირდება მთელი წლის განმავლობაში. ასევე, მთავარია, ის წრფელი გულით და მარჯვენა ფეხით შემოვიდეს ოჯახში. ასე რომ, თუ გეცოდინებათ როგორ დახვდეთ ახალ წელს, როგორ შეიტანოთ მისი წყალობით ცვლილებები ბედში და როგორი მეკვლე მოიპატიჟოთ 12 საათზე, ნურაფრის დარდი ნუღარ გექნებათ მთელი მომავალი წელი. მთავარია, გაითვალისწინოთ, რომ არ უნდა შეხვდეთ ახალ წელს ცუდ განწყობაზე, უიმედოდ და პესიმისტურად. როგორც დახვდებით მას, ისიც ისე გემსახურებათ.

**ნონა დათეშიძე**

# ჯადოსნური განწყობა

როგორ შევქმნათ ჯადოსნური განწყობა ახალი წლის ღამეს?! თანაც ისე, რომ მთელი თვის ბიუჯეტი ამ ერთი დღისთვის არ დაიხარჯოს და მერე ფინანსური პრობლემები არ შეგექმნათ.

პირველი წესი: ყველაფერი დაგეგმეთ ორი კვირით ადრე და მაშინ თქვენი საფულე დაცარიელებას გადაურჩება. არაფერი ისე არ აზიანებს ბიუჯეტს, როგორც სპონტანური ხარჯები.

გახსოვდეთ „ოქროს კანონი": ფასეულია არა თავად ნივთი, არამედ იდეა. ადამიანებს უხარიათ თქვენი ყურადღება და იმის დანახვა, რომ უბრალოდ კი არ შეიძინეთ მათთვის საჩუქარი, არამედ კარგად იფიქრეთ, გაითვალისწინეთ მათი ხასიათი, სურვილები და ეცადეთ, მაქსიმალურად გესიამოვნებინათ.

წინასწარ შეადგინეთ იმათი სია, ვისთვისაც საჩუქრის ყიდვას გეგმავთ და განსაზღვრეთ მიახლოებითი ბიუჯეტი. ეს ძალიან კარგი ტრადიციაა, მოსახერხებელი და კომფორტული.

ნუ აჰყვებით ფასდაკლებების ცდუნებას, თორემ შეიძლება, სრულიად უსარგებლო ნივთი „შემოგეყიდოთ", რომელსაც მერე ვერაფერში გამოიყენებთ. ყურადღება მიაქციეთ საჩუქრის შეფუთვას და გახსოვდეთ, ამას ნამდვილად აქვს მნიშვნელობა.

საახალწლოდ რაღაცეები იცვლება: მაგალითად, „იაფი" ნამდვილად არ ნიშნავს ცუდს. ნუ დაიზარებთ, მოინახულოთ ფასდაკლების საიტებიც. ერთი სიტყვით, მთავარი განწყობაა – გაახაროთ საყვარელი ადამიანები და არა ვალდებულება მოიხადოთ მათ წინაშე. თუ ამ ყველაფერს ჯეროვნად გააცნობიერებთ, ჯადოსნური ახალი წლის ღამე შედგება!

# საახალწლო სინდრომი

რატომ არიან ადამიანები ახალი წლის დღესასწაულის წინ ნერვიულები და გაღიზიანებულები?! ხშირად ურთიერთობებიც უმწვავდებათ ოჯახის წევრებთან და საყვარელ ადამიანთან. იქნებ ეს განახლების სურვილია? ან იქნებ მთელი წლის გადაღლილობა დღესასწაულის წინ იჩენს ხოლმე თავს?! მაშინაც კი, როცა მთელი წელი წარმატებულია, ჩნდება იმის საფრთხე, რომ წლის ბოლოს, როცა შინაგანად განწყობილები ვართ წლის შესაჯამებლად, დაძაბულობამ პიკს მიაღწიოს. სხვათა შორის, მამაკაცის ნატურა ისეა მოწყობილი, რომ ის სპონტანურად, გაუაზრებლად, უმიზეზოდ, თითქმის არაფერს აკეთებს. ასეთი აზროვნება აქვთ და ვერაფერს გააწყობ. თანაც, კაცი ყოველთვის იტოვებს უკან დასახევ გზას, რასაც ქალი არასოდეს აკეთებს. ბუნებრივია, ამით ვნებს საკუთარ თავს. უკომპრომისობა საკუთარ „მესთან" იწვევს იმას, რომ ნელ-ნელა გაღიზიანება გროვდება. ბოლოს კი, იფეთქებს ხოლმე, სამწუხაროდ, ზუსტად დღესასწაულების წინ. ფსიქოლოგები ამას საახალწლო სინდრომს უწოდებენ. კრიზისი სადღესასწაულო დღეებში რომ არ დადგეს, ყოველთვის ბოლომდე თქვით სათქმელი. ნუ დაიგროვებთ, დაიგუბებთ წყენას, რომელსაც ყველაზე შეუფერებელ მომენტში ამოაფრქვევთ. სიტუაცია წინასაახალწლოდ რომ არ გამწვავდეს, აჯობებს, მანამდე „დაიცალოთ" ნეგატიურისგან, რათა აივსოთ პოზიტივით, რომელსაც უხვად გვჩუქნის ახალი წელი.

# ერთი ყლუპი შამპანური!

ყველაზე მხიარული, სასურველი და ჯადოსნური დღესასწაული – ახალი წელი ქალებს თავის ტკივილად გვექცევა ხოლმე. უფრო ზუსტად – იმ ქალებს, ჯერაც რომ ვერ გათავისუფლდნენ მახინჯი ტრადიციებისგან. აუცილებელი არ არის, იმდენი საკვები მოამზადოთ, მაგიდა მათ სიმძიმეს ვერ უძლებდეს. თუ ამას გააკეთებთ, იცოდეთ, რომ ცხოვრებისგან ვერანაირ სიამოვნებას ვერ მიიღებთ. მაგალითად, რატომ არ უნდა გააკეთოთ წელს გამონაკლისი და „ფურშეტზე" გადაიაროთ? ხომ მოგბეზრდათ ტრადიციული „ოლივიე" და ბაჟე?! მოამზადეთ უცხო ბუტერბროტები, ხილის სალათა და ტკბილეული. მთავარია, ყველაფერი ლამაზად იყოს გაფორმებული. გახსოვდეთ, მთავარი ატრიბუტი, რომლითაც ფასობს ახალი წლის დღესასწაული, ნაძვის ხის ქვეშ დაწყობილი საჩუქრებია. ბავშვობაში ხომ ამიტომ გიხაროდათ ახალი წელი? წარმოიდგინეთ, როგორ გაგახარებთ ახლობლების ბედნიერებისგან გაბრწყინებული სახეები, რომლებიც ნაძვის ხის ქვეშ მათთვის განკუთვნილ სუვენირებს აღმოაჩენენ.

დალაგებული სახლი, რომელსაც საახალწლოდ მორთავთ, განწყობას კიდევ უფრო გაგიხალისებთ. მაგრამ წინასწარ ნუ „დაიგრუზებით" და ნუ დაიღლებით იქამდე, სანამ სახლის დალაგებას შეუდგებოდეთ. შეხედეთ ამ საქმიანობას მსუბუქად და თუ ყველა რჩევას გაითვალისწინებთ, ნამდვილად მხიარული ახალი წელი გექნებათ.

# უკან... ბავშვობაში...

უპირველესად, მოეშვით და განეწყვეთ მხიარულებისთვის... წლის მიწურულს ყველასთვის სანატრელი, სასურველი და ბედნიერი დღესასწაული დგება. სულერთია, როგორი იყო ჩავლილი წელი. მიეცით მაგალითი მეგობრებს და ოჯახის წევრებს, შეყვარებულს, გადასდეთ მათ საზეიმო განწყობილება და რამდენიმე დღე ნუ იფიქრებთ ცუდზე. მხოლოდ პოზიტივზე იფიქრეთ, რომ მომავალ წელს წარმატება დაგებედოთ. დაბრუნდით ბავშვობაში. იცელქეთ და იონავრეთ. ნუ იფიქრებთ იმას, რომ თქვენ ეს არ შეგეფერებათ. არც ერთი მამაკაცი არ იქნება წინააღმდეგი, ცოტა ხნით მეორე ნახევარი ბავშვივით გამხიარულებული ნახოს. სწორედ ახალ წელს არის იმის დრო, რომ გააკეთოთ რაღაც უჩვეულო. ნუ იჯავრებთ იმაზე, რომ რაღაც ისე არ იქნება. ასეთ დროს პატარა შეცდომა აუცილებლად გეპატიებათ. ყველაფერი გააკეთეთ იმისთვის, რომ დღესასწაული შედგეს და ის არაფერმა გააფუჭოს. იყავით ბავშვი, რომელსაც ყველაფერი, წვრილმანიც კი, ახარებს და აბედნიერებს. მთავარია, სულით და გულით იმხიარულოთ. მიიღეთ კომპლიმენტები და არავითარი კრიტიკა. არც ფულს აქვს დიდი მნიშვნელობა. ნუ ინერვიულებთ იმაზე, რომ ახლობლებისთვის ძვირფასი საჩუქრების ყიდვის საშუალება არ გაქვთ. პატარა სუვენირიც კი ყველას გაახარებს. მთავარი ხომ ყურადღება, კარგი განწყობა და ღიმილია.

# გამახარე ახალ წელს

ახალი წელი უმრავლესობა ჩვენგანისთვის ყველაზე სასურველი და ხალისიანი დღესასწაულია, ჩვენივე დაბადების დღის შემდეგ... ეს დღე პლანეტის მოსახლეობის 93 პროცენტისთვის უდიდესი მოვლენაა. სხვათა შორის, მსოფლიოს მხოლოდ 61 პროცენტი აღნიშნავს მართლმადიდებლურ აღდგომას, 47 პროცენტი კი – შობას.

წინასაახალწლო განწყობა ადამიანების მხოლოდ 11 პროცენტს ეუფლება ადრევე და ამ 11 პროცენტში უმრავლესობა ქალია. კაცებს საერთოდაც აფრთხობთ წინასაახალწლო აურზაური. ძნელია, თავი გაართვა საჩუქრებს. გულახდილი იყავით და თქვით, თავად თუ იცით, რისი მიღება გაგიხარდებოდათ საჩუქრად ახალი წლის ღამეს. ამიტომაც, მერე პრეტენზიები ნუ გექნებათ. რა ქნან მამაკაცებმა, თუკი ისინი საჩუქრების ტრადიციულ ვარიანტებს ირჩევენ. ამ სიაშია სუვენირები – 45 პროცენტი, ტკბილეული – 50 პროცენტი, წიგნები – 2 პროცენტი, წინასწარ შეკვეთილი საჩუქარი, ძირითადად ძვირფასეულობა – 3 პროცენტი. თქვენ შეგიძლიათ, რამდენიმე ხნით ადრე, ნელ-ნელა შეაპაროთ, რას ისურვებდით საჩუქრად ახალი წლის ღამეს, მერე გული რომ არ დაგწყდეთ. დღესასწაულის მოახლოებისას კი, აუცილებლად შეახსენეთ, ისე, ყოველი შემთხვევისთვის.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# სწორი კვება – ბავშვებს

უმრავლეს შემთხვევაში, ზრდასრულ ასაკში სიმსუქნის მიზეზი ბავშვობის წლებში არასწორი კვებაა. შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ სკოლის ასაკის მოზარდების მხოლოდ 2 პროცენტია პირობითად ჯანმრთელი, რაც მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული კვებასთან.



მუდამ გახსოვდეთ ფრანგი პედიატრის ნათქვამი: „თქვენს პატარას ნეკნები არ უჩანს? სასწრაფოდ მიიღეთ ზომები!“

ბავშვები პატარა ასაკიდან უნდა შეაჩვიოთ სწორი კვების რეჟიმს, რათა მოზარდობის ან ზრდასრულ პერიოდში, არ შეექმნათ გადაულახავი პრობლემები, მით უფრო, თუ გენეტიკურად მოსდგამთ სიმსუქნე. ჩააგონეთ, რომ ყოველგვარი „ფასტფუდი“, გარდა იმისა, რომ მავნებელია ზოგადად ჯანმრთელობისთვის, ასევე, მიდრეკილს ხდის სიმსუქნისკენ, რაც შეამცირებს მის პოპულარობას თანატოლებს შორის და ჩამოუყალიბებს არასრულფასოვნების კომპლექსს. ამიტომ, ბავშვის მენიუ თავიდანვე სწორად უნდა შეადგინოთ და განსაზღვროთ თითოეული კვების რაოდენობა (ის არ უნდა აღემატებოდეს 200 გრამს. ამასთან, ბავშვი, ისევე, როგორც ზრდასრული ადამიანი, უნდა იკვებოს დღეში 4-ჯერ.

დიეტური პროდუქტების ჩამონათვალი:

* ქვავის პური;
* წიწიბურას, „ჰერკულესის“, ფეტვის ფაფები;
* უცხიმო ხორცი და თევზი;
* დაბალცხიმიანი რძის პროდუქტები;
* მოხარშული კვერცხი, ომლეტი;
* ბაცი შავი და მწვანე ჩაი, უშაქრო წვენი, მორსი.

პროდუქტები, რომელთა მიცემაც ბავშვებისთვის მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობით არის რეკომენდებული.

* თეთრი, საფუარიანი პურფუნთუშეული;
* მანანის ბურღული, ბრინჯი;
* კონსერვები;
* ცხიმიანი და მწარე-ცხარე სოუსები;
* მურაბები, კანფეტები და სხვა ტკბილეული;
* გაზიანი გამაგრილებელი სასმელები.

ნუ გამოიყენებთ შოკოლადს ან სხვა ნუგბარს ჯილდოს ნაცვლად, ანუ – „თუ კარგად მოიქცევი, შოკოლადს მიიღებ“. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ ბევრი შოკოლადი და სხვა სასუსნავი მავნებელია.

რაც შეეხება „ფასტფუდის“ მავნებლობას, რაც ყველა მოზარდს ასე ძალიან უყვარს, შეგიძლიათ, თავად მოუმზადოთ შვილებს, მაგალითად, ალტერნატიული ჰამბურგერი: შუაზე გაჭრილ ქატოს ფუნთუშაში ფენებად ჩადეთ სალათის ფოთოლი, პომიდვრისა და კიტრის თითო ნაჭერი, ბულგარული წიწაკის ერთი-ორი ცალი რგოლი, კატლეტი (ან მოხარშული ხორცი) და ნახავთ, რომ თქვენს შვილს „მაკდონალდსის“ ჰამბურგერი აღარ მოეწონება. ოღონდ, გახსოვდეთ, სახლში მომზადებული ჰამბურგერების ყოველდღე ჭამაც არ არის მოზარდისთვის რეკომენდებული.

და, კიდევ, ერთი რჩევა: ბავშვს პატარაობიდანვე უნდა გამოუმუშავდეს კვების რეჟიმი, კონკრეტულად კი, თავიდანვე უნდა შეაჩვიოთ იმას, რომ საღამოს 8 საათის შემდეგ ჭამა მავნებელია.

თუ ამ წესებს არ დაიცავთ, წლების მატებასთან ერთად, თქვენს შვილს წონაც და, შესაბამიდაც, პრობლემებიც მოემატება.

# დეკოლტე – ქალის მთავარი სამკაული

***ალბათ, ამაში არავინ შეგვეკამათება. ამიტომ, დეკოლტეს არანაკლები (თუ უფრო მეტი არა) მოვლა სჭირდება, ვიდრე სახეს. თუ გსურთ, რომ წვეულებაზე პიკანტური დეკოლტეთი მოიწონოთ თავი, აღიჭურვეთ მოთმინებით და დღესვე დაიწყეთ სათანადო მოვლა.***



## დაცვა

პიგმენტური ლაქები გაცილებით უშნოდ ჩანს დეკოლტეზე, ვიდრე სახეზე. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, თუ კურორტზე კი არა, ქალაქში იმყოფებით, გამოიყენეთ სახის ჩვეულებრივი კრემი SPF და ყოველდღე წაისვით ტონიკით ან კოსმეტიკური რძით გაწმენდილ ყელზე და დეკოლტეზე.

## ვარჯიში

სპეციალური და ინტენსიური ვარჯიშებით, შეგიძლიათ, ერთი ზომით გაიზარდოთ მკერდი (რა თქმა უნდა, გარკვეული პერიოდის შემდეგ), ოღონდ, დატვირთვები უნდა იყოს ზომიერი. დაიწყეთ დღეში ორჯერადი, 10-10-წუთიანი ვარჯიშით (დილას და საღამოს).:

1) მხრებში გასწორდით. წინ გამოსწიეთ გაშლილი ხელები და შეაერთეთ ხელისგულები. შემდეგ, მონაცვლეობით, ჯერ მარჯვენა ხელისგულით მიაწექით (15-20 წამის განმავლობაში) მარჯვენა ხელისგულს, შემდეგ კი – პირიქით. ვარჯიში გაიმეორეთ 4-5-ჯერ.

2) დაწექით მაგარი ზედაპირის მქონე ტახტზე (ტახტის ორივე მხარე თავისუფალი უნდა იყოს), ორივე ხელში დაიჭირეთ თითოკილოგრამიანი ჰანტელები და ასწიეთ ხელები სხეულის პერპენდიკულარულად, შემდეგ კი ნელი მოძრაობით გაშალეთ ორივე ხელი ისე, რომ იატაკამდე ჩააწვდინოთ. რამდენიმე წამით შეისვენეთ და ისევ ნელი მოძრაობით დაუბრუნეთ ჰანტელები საწყის მდგომარეობას. ვარჯიში შეასრულეთ 8-10-ჯერ.

3) არ დაგავიწყდეთ წყლის პროცედურები.

## ტონუსი

ცივი წყალი დეკოლტესთვის ნამდვილად კარგი მატონიზებული საშუალებაა: ის აუმჯობესებს კანში სისხლის მიმოქცევას და ხდის მას მკვრივსა და ელასტიკურს. არ არის აუცილებელი „მსხვერპლი“, ანუ, ცივი წყლის აბაზანა ან ცივი შხაპი. სავსებით საკმარისია გვირილის, პიტნის ან კიტრის წვენის ყინულის კუბიკებით მსუბუქი მასაჟის გაკეთება დილა-საღამოს. კიდევ ერთი „შინაურული“ რჩევა სიცივის მოყვარული ქალბატონებისთვის: ჩადეთ თქვენი ბიუსტჰალტერი ცელოფნის პარკში და 10-15 წუთით მოათავსეთ საყინულეში, შემდეგ ჩაიცვით და გაიარ-გამოიარეთ. მართალია, თავიდან ცოტათი დაგბურძგლავთ, მაგრამ pust-up-ის ეფექტი გარანტირებული იქნება.

## კვება

მკერდის კანს „აკრძალული“ აქვს გახდომა. წონის ხშირი ცვლილება იწვევს კანის მოდუნებას ან დაჭიმვას, რაც განსაკუთრებით ემართებათ მათ, ვინც არანაირ კოსმეტიკურ საშუალებას არ იყენებს დეკოლტეს მოსავლელად. ეს საშუალებები კი, შეგიძლიათ, თვითონვე მოამზადოთ, მაგალითად, დამატენიანებელი ვიტამინიზებული ნიღაბი: 1 საშუალო ზომის ბანანი, 1 კვერცხის გული და 2 სადილის კოვზი ცხიმიანი ხაჭო დააბლენდერეთ, მიღებული მასა წაისვით ყელსა და დეკოლტეზე. 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით და გადაისვით თქვენი კანის შესაფერისი მკვებავი.

თუ არ დაგეზარებათ და ჩვენს რჩევებს თქვენი ცხოვრების წესად აქცევთ, ძალიან მალე მიიღებთ სასურველ შედეგს.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: როგორ მოვუარო ხელებს? მინდა, ვიცოდე, როგორია ხელების კომპლექსური მოვლა და არა ცალ-ცალკე პროცედურები.**

**პასუხი**: ორ კვირაში ერთხელ გაიკეთეთ მანიკიური (სასურველია – სალონში, რადგან, შესაძლოა, „თვითშემოქმედების“ დროს ნუნები დაიზიანოთ). კვირაში ერთხელ მაინც, აუცილებელია აბაზანა და ნიღაბი; დღეში მინიმუმ ორჯერ – მკვებავი, დამატენიანებელი კრემი. დღის განმავლობაში ხელები უნდა დაიბანოთ იმდენჯერ, რამდენჯერაც იქნება ამის საჭიროება, ოღონდ, სასურველია, კოსმეტიკური ან კარგი ხარისხის საპნით და აუცილებლად თბილი წყლით (მით უმეტეს – ზამთარში).

საერთოდ, ხელების მოვლა იწყება აბაზანით: 2 ლიტრ საშუალოდ ცხელ წყალს შეურიეთ 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, ცოტაოდენი კოსმეტიკური ან კარგი ხარისხის თხევადი საპონი და 2 წვეთი სურნელოვანი ზეთი. ჩააწყვეთ ხელები მასში 10-15 წუთის განმავლობაში. შემდეგი ეტაპია ნუნების მოვლა: წაისვით დამარბილებელი ზეთი და ხის სპეციალური ჩხირის მსუბუქი მიწოლით შეწიეთ ნუნები ფრჩხილის ფუძისკენ, სულ ბოლოს კი წაისვით ხელის მკვებავი კრემი.

**კითხვა: მაინტერესებს, სასარგებლოა თუ არა თმისთვის ვეგეტარიანული კვება?**

**პასუხი**: ბევრი ამტკიცებს, რომ ვეგეტარიანული კვების შედეგად ორგანიზმი იწმინდება და, შედეგად, უმჯობესდება თმის ხარისხიც. ეს მცდარი აზრია, რადგან, თმისთვის, ისევე, როგორც მთელი ორგანიზმისთვის, აუცილებელია ბალანსირებული კვება. თქვენს რაციონში აუცილებლად უნდა შედიოდეს ცილოვანი საკვები და არა მხოლოდ სალათები.

**კითხვა: შესაძლებელია თუ არა კოსმეტიკის საშუალებით მოვიშორო კუპეროზი სახესა და სხეულზე?**

**პასუხი**: თუ გულისხმობთ მხოლოდ შენიღბვას, ეს შესაძლებელია, მაგრამ, კუპეროზული „ვარდების“ ლიკვიდაცია შესაძლოა მხოლოდ ლაზერის საშუალებით. ყველა დანარჩენი კოსმეტიკური საშუალება მხოლოდ პროფილაქტიკურია.



**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# ტროცკიმ სტალინის მოკვლა ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანს დაავალა



ლენინის მიერ განახლებული და ტრანსფორმირებული მარქსისტული დოქტრინა სტალინმა დახვეწა, ახალ სიმაღლეზე აიყვანა და, ტროცკის ჰიპერტროფიული მსოფლიო რევოლუციური იდეების საწინააღმდეგოდ, მშვენივრად მორგო ცალკეულ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების იდეას. დღესდღეობითაც (იგულისხმება 1973 წელი), ჩვენი სახელმწიფო სტალინისეული ინერციით მიიწევს წინ და ამ წინსვლას ყოველივე ის ასულდგმულებს, რისი გაფლანგვა და მოსპობაც ჯერჯერობით ვერ მოახერხეს ამჟამინდელმა მმართველმა კაცუნებმა (იგულისხმება ბრეჟნევის მმართველობა). ალბათ, ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ძირითადი იდეოლოგიური დოქტრინები, რომელზეც საბჭოთა სოციალიზმია დამყარებული, თავიდან ბოლომდე სტალინის ნაფიქრალ ნააზრევის შედეგადაა შექმნილი და ამ საქმეს 1928 წლიდან მიეცა უდიდესი ბიძგი. პრესის საკითხის მოგვარებასთან ერთად, სტალინმა სოცშეჯიბრებებისა და მათი წახალისების კარგად ჩამოყალიბებული სისტემა დანერგა, რამაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და წარმოებას უდიდესი სტიმული და ეფექტი მოუტანა. სწორედ ამ ტალღას მოჰყვა ეგრეთ წოდებული „სტახანოვური მოძრაობა“ და ეს ერთგვარ ეფექტურ საშუალებად იქცა ნებისმიერ სფეროში, ანუ, დაინერგა სოციალისტური შეჯიბრებების სისტემა, რამაც ყველაზე ოპტიმისტურ მოლოდინსაც კი გადააჭარბა. ამგვარად სტალინმა 150 მილიონი ადამიანი ჩააბა გიგანტური სოცშეჯიბრების მარათონში, რამაც გააათმაგა და გააოცმაგა საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ-ფინანსური და სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალი, ხოლო ადამიანები იმგვარად მომართა, რომ, უკვე 30-იანი წლების მიწურულისთვის, ნებისმიერი საბჭოელი ნებისმიერი მტრის მოსაგერიებლად და ნებისმიერი გმირობის ჩასადენად იყო მზად. სწორედ ასეთმა ფსიქოლოგიურ-იდეოლოგიურმა მობილიზებამ გაამარჯვებინა საბჭოთა ხალხს დიდ სამამულო ომში და ამ გამარჯვებისთვის ჩვენ სტალინმა მოგვამზადა. 1928 წლის 28 ივლისს, პოლიტბიუროს საგანგებო სხდომაზე, მიიღეს სპეციალური დადგენილება საბოტაჟის და იდეოლოგიური მტრების გამოვლენისა და მათი უმკაცრესად დასჯის შესახებ, რაც, ფაქტობრივად, პარტიაში მოკალათებული პარაზიტების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას გულისხმობდა. ფაქტობრივად, ეს იყო პარტიული კადრების პირველი დიდი წმენდა და იმ ცნობილი 37-38 წლების ეგრეთ წოდებულ რეპრესიებს არაფრით ჩამოუვარდებოდა. მხოლოდ რუსეთის ფედერაციაში გამოვლინდა, სასამართლოს გადაეცა და უმკაცრესად დაისაჯა 1 მილიონ 150 ათასი პარაზიტი, ხალხის მტერი და მავნებელი. უდიდეს, სასიკეთო, სახალხო მოვლენებსა და მონაპოვრებს არანაკლები მსხვერპლი მოსდევს და, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ მსხვერპლის რაოდენობაზეა ხოლმე საუბარი, მაგრამ, ისტორიკოსებს ხშირად ავიწყდებათ ამ მსხვერპლის კატეგორიის განსაზღვრა. ეგრეთ წოდებული სტალინური რეპრესირებულების უმეტესობა ხალხის ჭეშმარიტი მტრები, ბანდიტები, ქურდები და ტერორისტები იყვნენ, რაც ყველა ქვეყანაში დასჯადი მოვლენაა და, რატომ უთვლიან დანაშაულში სტალინს იმას, რაც, ვთქვათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნორმალურ მოვლენად აღიქმება? ბანდიტი ყველგან ბანდიტია, ქურდი ყველგან ქურდია და ხალხის მტერი – ყველგან ხალხის მტერი. ამიტომ, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ, ეგრეთ წოდებული რეპრესირებულების აბსოლუტური უმრავლესობა ნამდვილად მტრული, ანტიხალხური ძალა იყო და სამართლიანად იქნა დასჯილი... ვიმეორებ: დასჯილი და არა დახვრეტილი. სტალინი, უპირველეს ყოვლისა, გიგანტური სახელმწიფოს მეთაური იყო და არა კეთილშობილთა პანსიონის სტუდენტი, რომ გულჩვილობა ან სისუსტე გამოეჩინა იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში, რომლის სასწორზეც ერთ მხარეს დიადი რევოლუციური მონაპოვარი და ასეულ მილიონობით ადამიანის სიცოცხლე და კეთილდღეობა იდო, მეორე მხარეს კი – ანტიხალხური, მტრული, ბოროტი ძალების ჟინი, რათა ეს მონაპოვარი გაეცამტვერებინათ. სტალინი პირველს ედგა სათვეში და გამარჯვებაც სწორედ მათ, ანუ ჩვენ, უბრალო ადამიანებს დაგვრჩა. „ომი დიდ მსხვერპლს მოითხოვს“, – ამბობდა სტალინის ყველაზე დიდი მტერი – ტროცკი და სწორედ მან წააქეზა და უბიძგა ამ გზაზე უამრავ ადამიანს, თუმცა, საბოლოოდ კრახი განიცადა. პოლიტბიუროდან მოკვეთის, ყველა რეგალიის დაკარგვისა და საინფორმაციო საშუალებებიდან მისი გამოძევების შემდეგ, ლევ დავიდოვიჩ ტროცკი აშკარა ტერორზე გადავიდა და, თუმცა მას უკვე არანაირი სერიოზული შესაძლებლობები აღარ გააჩნდა, ერთ-ერთი მათგანი მაინც საკმაოდ სახიფათო აღმოჩნდა.

1928 წლის 25 დეკემბერს „ჩეკამ“ ორი უმაღლესი სამეცნიერო ხარისხის მქონე პიროვნება: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ფსიქიატრი, მოსკოვის პირველი ფსიქოდისპანსერის ხელმძღვანელი ლეონიდ მოისეევიჩ გელდმანი და ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, გელდმანის პაციენტი, ფსიქიკურად დაავადებული აბრაამ ტერცი დააპატიმრა. ტერცი წითელ მოედანზე, დიდი საახალწლო ნაძვის ხის ანთების ცერემონიალის წინ, საღამოს 8 საათზე დააკავეს „მაუზერით“ შეიარაღებული, ხოლო გელდმანი – საკუთარ სახლში, ზუსტად ერთი საათის შემდეგ. საქმე ისაა, რომ დოქტორი ტერცი სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობის აქტიური წევრი იყო და, მიუხედავად საკმაოდ მაღალი განსწავლულობისა, მას ძალიან მერყევი, არამდგრადი ხასიათი აღმოჩნდა, რამაც ის, საბოლოო ჯამში, შიზოფრენიამდე მიიყვანა, რის შედეგადაც დოქტორ გელდმანის პაციენტი გახდა, ანუ მის ფსიქიატრიულ კლინიკაში დაიდო ბინა. გელდმანი კი, რომელიც ტროცკის ფარული მიმდევარი და მისი ერთგული თანამებრძოლი იყო, ყოველნაირად ეხმარებოდა მას და მზად იყო, ყველაზე უკიდურესი ზომებისთვისაც კი მიემართა. დიდი ხანია, „ჩეკას“ გელდმანი არასაიმედოთა სიაში ჰყავდა შეყვანილი, თუმცა, მას ხელს არ ახლებდნენ და მხოლოდ უთვალთვალებდნენ, ანუ, წამითაც არ კარგავდნენ მასზე კონტროლს. საამისოდ „ჩეკას“ ოთხი სპეციალური აგენტი ჰყავდა მიჩენილი გელდმანზე: ერთი მათგანი – ვითომ პაციენტი, მეორე – გელდმანის მოადგილე, მესამე – მისი შინამოსამსახურე, ხოლო მეოთხე ადამიანი მის ყოველ ნაბიჯს უკვე ქუჩაში აკონტროლებდა. მიუხედავად იმისა, რომ ტროცკი და გელდმანი ერთმანეთს პირისპირ არ ხვდებოდნენ, მათ ძალზე ინტენსიური, ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდათ ტროცკის ერთი სანდო პირის, ზახარ ვარლამოვის მეშვეობით. სწორედ ამ ვარლამოვს მიჰქონდა და მოჰქონდა ყველა ამბავი, რაც არც „ჩეკას“ ეპარებოდა. ამრიგად, ტროცკის ფაქტობრივი იზოლაციის შემდეგ, ამ უკანასკნელმა სტალინის ლიკვიდაციის ბოლო ცდას მიმართა და გელდმანის მეშვეობით ტერცზე გავიდა, რომელიც, სათანადო ფსიქიკური დამუშავების შემდეგ, სტალინის მოსაკლავად დაგეშეს. 25 დეკემბერს, 16 საათზე, „მაუზერით“ შეიარაღებული ტერცი ფსიქიატრიული დისპანსერიდან ფარულად გამოიყვანა გელდმანმა და ჯერ საბოლოო ინსტრუქტაჟი და ფსიქიკური დამუშავება ჩაუტარა, ხოლო შემდეგ წითელ მოედანზე მიიყვანა და ნაძვის ხესთან დატოვა, თავად კი სახლში წავიდა. ყველაფერი ეს „ჩეკას“ მახვილ თვალს არ გამოჰპარვია და, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი დარწმუნდნენ, რომ ტერცი ეგრეთ წოდებული „ადინოჩკა“ იყო, ჯერ ის დააპატიმრეს ფაქტით, ხოლო შემდეგ გელდმანი, რომელმაც თავის მოწამვლა სცადა, მაგრამ, „ჩეკისტებმა“ დროულად გამოჰგლიჯეს ხელიდან კალიუმციანიდიანი ამპულა. ძიების პროცესში დამტკიცდა ტერცის შეურაცხადობა და ის დახურული ტიპის სამკურნალო დაწესებულებაში გამოამწყვდიეს, ხოლო გელდმანს 25-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. რა თქმა უნდა, პროცესზე ტროცკის სახელიც ფიგურირებდა, მაგრამ, სტალინი, რატომღაც, მოერიდა მის აფიშირებას და მხოლოდ თავის თანამოაზრეთა ვიწრო წრეში თქვა: „ნაყოფი მოსაწყვეტად უკვე მომწიფდა. მისი იდეა საბოლოოდ გაკოტრდა და ჩვენი იდეოლოგიური დოქტრინების საქმეში გაშვების პერიოდი დადგა...“ რამდენიმე თვეში ტროცკი ქვეყნიდან გააძევეს, ხოლო სტალინისეულმა დოქტრინებმა ხორცის შესხმა დაიწყო.

**სტალინის დაცვის უფროსის მოადგილის მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა**
**ნიკა ლაშაურმა**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

# ალკოჰოლი სხვადასხვაგვარად მოქმედებს ზოდიაქოს სხვადასხვა ნიშნით დაბადებულ ადამიანზე

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

სასმლის ზემოქმედება ორგანიზმზე სხვადასხვა დღეს სხვადასხვაგვარია. ზოგჯერ ჭარბად მიღებული ალკოჰოლი სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანს, ზოგჯერ კი – მხოლოდ ასი გრამიც საკმარისია, ამას სავალალო შედეგი მოჰყვეს.

ასტროლოგიურად, არსებობს კავშირი სპირტიანი სასმელების მომწამვლელ ზემოქმედებასა და მთვარის ფაზებს შორის. ასე რომ, იმის გასაგებად, ცუდად იმოქმედებს თუ არა ალკოჰოლი ადამიანზე ამა თუ იმ დღეს, საკმარისია, მთვარის კალენდარში ჩაიხედოთ.

ახალმთვარეობისას, სამი დღის განმავლობაში, სასურველია, თავი შეიკავოთ ალკოჰოლის მიღებისგან. ამ დღეებში ორგანიზმის ბიორიტმი ყველაზე დაბალია და ამიტომ, დაზღვეული არ ვართ მოწამვლისგან.

ამ პერიოდში ღვიძლიც ნაკლებად აქტიურია. მთვარის პირველი მეოთხედის დღეებიც ორგანიზმისთვის საკმაოდ საშიშია, რადგან კუჭისა და ღვიძლის მოქმედება სუსტდება. კუჭის კედლები სწრაფად იწოვს ალკოჰოლს, ღვიძლი კი ნაკლებაქტიურია. ამის შედეგად, სისხლში გროვდება ალკოჰოლის საშიში დოზა და ადამიანი მალე თვრება.

ძალიან საშიში ფაზაა სავსემთვარეობა. ეს პერიოდი ჩვენი ორგანიზმის ბიოლოგიური აქტივობის მწვერვალია. ამ დროს ალკოჰოლი სწრაფად შეიწოვება, გადამუშავდება და შეუმჩნევლად „აჭარბებს ნორმას“. სავსემთვარეობისას ადამიანი სასმლის გარეშეც გაუწონასწორებელია, დალევის შემდეგ კი, ისეთ რამეს სჩადის, რაზეც შემდეგ მთელი ცხოვრება ნანობს. ასე რომ, სრულმთვარეობისას სამი დღე სიფხიზლეში გაატარეთ.

მთვარის მეოთხე მეოთხედის დასაწყისი კრიტიკული დღეა. ამ პერიოდში მიმდინარეობს სასიცოცხლო მოქმედების დაქვეითება. კუჭის კედლების მიერ ალკოჰოლის სწრაფი შეწოვის უნარის ფონზე ამ დღეს დალევას აუცილებლად მძიმე ნაბახუსევი მოსდევს. ასე რომ, თუკი მაინც უნდა დალიოთ, ეცადეთ, ეს დრო მთვარის ზრდის პერიოდს დაამთხვიოთ, ანუ ახალმთვარეობიდან მთვარის შევსებამდე.

ასევე, ასტროლოგიურად, ალკოჰოლი სხვადასხვაგვარად მოქმედებს ზოდიაქოს სხვადასხვა ნიშნით დაბადებულ ადამიანზე.

***ვერძებისთვის*** დალევა საშიშია. სასმელი მათ ათრობს და უაზრო საქციელისკენ უბიძგებს. ის თუ დალევს, ჯერ მოქმედებს და მერე ფიქრობს.

ნასვამი ***კუროები*** საშიშები არიან. აუღელვებელი ნიშანია, მაგრამ სიმთვრალეში პატარა მიზეზიც კი საკმარისია, რომ „მხიარული“ ბუნება გამოამჟღავნონ.

***ტყუპების*** უმრავლესობას დალევა დიდად არ აინტერესებს. თუ სვამენ, არც ზომიერებას ივიწყებენ და ამ დროს, მათი მდგომარეობიდან გამოყვანა ადვილია უბრალო საუბრითაც.

***კირჩხიბებისთვის*** ალკოჰოლიანი სასმელი, თუნდაც ლუდი, მავნებელია. მათ ნაზი კუჭი და არამდგრადი ფსიქიკა აქვთ. დალევის შემდეგ, ახსენდებათ ყველაფერი ცუდი, რაც მათ ცხოვრებაში მომხდარა.

***ლომებმა*** მკაცრად უნდა დაიცვან ზომიერება ორი მიზეზის გამო: ერთი, რომ ალკოჰოლი ზედმეტად ტვირთავს მათ გულს და მეორე, მთვრალი ლომი ირგვლივ მყოფთა თვალში ავტორიტეტს კარგავს.

***ქალწულებისთვის*** ალკოჰოლი საწამლავია. მათი უმრავლესობა ამას ხვდება და თავს არიდებს სასმელს. ხოლო, ვინც სვამს, ალკოჰოლის ზემოქმედებით ღვიძლი ელვისებური სისწრაფით იწყებს მუშაობას და მათ ისეთი „პახმელია“ აქვთ, მტრისას.

***სასწორი***, როგორც წესი, სვამს თანამეინახეებისთვის და იმისთვის, რომ სხვას მისცეს მაგალითი. ამ დროს ისინი ხშირად აჭარბებენ. ამიტომ, არცთუ ბევრი სჭირდებათ, რომ დისკომფორტს აარიდონ თავი.

***მორიელისთვის*** სიმთვრალე ძალიან საშიშია. ჩვეულებრივ, თავშეკავებული, კარგავს კონტროლს ემოციებზე და შეუძლია, იმდენი ბოროტება გაუკეთოს საკუთარ თავს, რომ სულ დაინგრიოს ცხოვრება. მთვრალი მორიელი მარცხიანია.

***მშვილდოსანი*** სიამოვნებით სვამს, მაგრამ ამას შემდეგ სავალალო შედეგები მოაქვს. მათი ღვიძლი ძნელად იტანს ალკოჰოლს, რაც ხშირად ცხიმოვანი გადაგვარებისა და ჰეპატიტის მიზეზი ხდება.

***თხის რქისთვის*** სპირტიანი სასმლის დალევას სასურველი მოდუნება არ მოაქვს. მათი პრობლემები უცვლელი რჩება. ასე რომ, პრობლემის დასავიწყებლად დალევა უშედეგოა.

***მერწყულები*** თუ სასმელს მიეჩვევიან, საბოლოოდ ანადგურებენ თავიანთ ისედაც სუსტ ნერვიულ სისტემას. ხდებიან ნევროზულები, ხშირად ემართებათ ნერვული კრუნჩხვა და ასთმაც კი.

***თევზებისთვის*** სპირტიანი სასმელი, უბრალოდ, აკრძალულია. ისინი სწრაფად ეჩვევიან მას და სულ მალე მასზე დამოკიდებულნი ხდებიან. ამას გარდა, რთულად იტანენ ბახუსს.

# შეკითხვა ასტროლოგს

კითხვა: **დავიბადე 1989 წლის 2 ოქტომბერს. რომელი ქვეყნებია ჩემთვის მისაღები და რომელ პროფესიაში მელის მეტი წარმატებები ბარიერების გარეშე?**

პასუხი: უცხოეთი თქვენი კარმული მისია ნამდვილად არ არის, ანუ, ზოგადად, ის საშუალოა. ქვეყნებიდან კი მეტად მისაღებია: გერმანია, იაპონია, ხორვატია, ინდოეთის დასავლეთი მხარე; ლიტვა, საბერძნეთი, ესპანეთის ანდალუზიის მხარე, შვედეთის ჩრდილოეთი ნაწილი; ამერიკის შეერთებული შტატებიდან – ვირჯინიის შტატი; თურქეთის დასავლეთი ნაწილი და ბელორუსია. პროფესიებიდან კი წარმატებების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო საქმე, პედაგოგიური სფერო, ლინგვისტიკა, უცხო ენები, მთარგმნელობითი საქმიანობა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, მედიცინა, სოციოლოგია, ჟურნალისტიკა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია.

კითხვა: **დავიბადე 1997 წლის 30 დეკემბერს, საღამოს. მაინტერესებს, რა არის ჩემი კარმული მისია დედამიწაზე?**

პასუხი: თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა, გამოავლინოთ ხასიათში საუკეთესო თვისებები. რაც მეტად იქნებით აქტიური, ენერგიული, მიზანსწრაფული, მებრძოლი და უშიშარი, მით უკეთ შეძლებთ საკუთარ თავზე ინიციატივის აღებას, ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებების გამოვლენას; იმავდროულად, თუ იქნებით კეთილშობილი და ოპტიმისტი, დაეყრდნობით ცოდნის ბაზას, მეტად შეასრულებთ თქვენს კარმულ მისიას და მიაღწევთ წარმატებას. ასევე, იყავით მაქსიმალისტი, მიუდექით საქმეს მეტი სერიოზულობით, გამოავლინეთ პასუხისმგებლობა, ხარჯეთ ფული ყაირათიანად და გახადეთ ურთიერთობები სტაბილური.

კითხვა: **დავიბადე 1998 წლის 13 ნოემბერს. გთხოვთ, მიპასუხოთ, რომელ პროფესიებში ვიქნები წარმატებული?**

პასუხი: თქვენთვის წარმატების მომტანია შემდეგი პროფესიები: ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, საავიაციო ბიზნესი, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, საქველმოქმედო საქმე, სასტუმროების ბიზნესი.

კითხვა: **დავიბადე 1985 წლის 11 აპრილს. რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანი იქნება ჩემთვის მისაღები სასიყვარულო კუთხით?**

პასუხი: თქვენთვის კარგია ურთიერთობა ვერძთან, ქალწულთან, ტყუპებთან, ლომთან და მშვილდოსანთან. არ არის სასურველი, სასიყვარულო-ოჯახური ურთიერთობა მორიელთან, კირჩხიბთან და თხის რქასთან.

კითხვა: **დავიბადე 1991 წლის 2 სექტემბერს. გთხოვთ, მირჩიოთ, რომელ პროფესიაში ვცადო ბედი, რომ ცხოვრებაში მეტ წარმატებას მივაღწიო?**

პასუხი: თქვენთვის წარმატების მომტანი პროფესიებია: ჟურნალისტიკა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, ტურისტული ბიზნესი, პროფესიონალური დიპლომატია საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე, სპორტის ფართო სპექტრი, მენეჯერული სამუშაო, ავიაცია, პედაგოგიკა და იურისპრუდენცია.

# თეატრები

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

30 დეკემბერი, 3-4-5 იანვარი, **ორშაბათი, პარასკევი-შაბათი-კვირა** 12.00, 15.00 - **„უფლისწული და მათხოვარი"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 6, 7, 8, 9, 10, 12, 15 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ლელა ახალაია, ზაალ ბარათაშვილი, ლევან ბერიკაშვილი, მანანა გამცემლიძე, დავით გოცირიძე, ანდრია თაგბერიძე, კახა კუპატაძე, ალექსანდრე მიკუჩაძე-ღლონტი... *ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;*

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

3-4-5 იანვარი, **პარასკევი-შაბათი-კვირა** 19.00 - **„საშობაო სიმღერა"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ბესო ბარათაშვილი, ნიკა კუჭავა, ირაკლი ჩოლოყაშვილი, ირმა ბერიანიძე, მაია კაციტაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, თემურ კილაძე, ნინო დუმბაძე, ვალერი კორშია; *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

4 იანვარი, **შაბათი** 20.00 - **„ბახტრიონი"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), ლეო ანთაძის საავტორო სპექტაკლი; *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

5 იანვარი, **კვირა** 20.00 - **„კრეპის უკანასკნელი ფირი"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი ნიკოლოზ ლუარსაბიშვილი. მონაწილეობს: მარლენ ეგუტია; *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

**მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)**
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966**

4-5 იანვარი, **შაბათი-კვირა** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

**მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164**
**ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

4 იანვარი, **შაბათი** 19.00 - **„ჩიტის მოტანილი ამბავი"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი კოტე მირიანაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ბურდული, ანა ნიკოლაშვილი, ნანა შონია, დარეჯან ჯოჯუა, ვახტანგ ახალაძე, ვანო დუგლაძე, სოსო ხვედელიძე; *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

5 იანვარი, **კვირა** 19.00 - **„მელოტი მომღერალი ქალი"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი ზურაბ გეწაძე. მონაწილეობენ: ნანა შონია, თემო ნატროშვილი, ვანო თარხნიშვილი, მაია გელოვანი, გიორგი ნაკაშიძე, ნანუკა ლითანიშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

**ახმეტელის თეატრი**
**ვეკუას ქუჩა №8.**
**ტელ.: 262-59-73, 262-61-97**

2-3-4-5 იანვარი, **ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი-კვირა** 14.00 - **„საშობაო სიზმარი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), სპექტაკლი შექმნილია ცნობილი ზღაპრების მიხედვით. წარმოდგენაში პატარა მაყურებლები შეხვდებიან მათთვის საყვარელ გმირებს, განსხვავებულ ამპლუაში: კარლსონს, ფრეკენ ბოკს, პრინცესას, დედოფალს, მეფეს, დევს, ხუთკუნჭულას, თოვლის დედოფალს და ფერიებს, რომელებიც სირთულეების დაძლევაში დაეხმარებიან მთავარ გმირებს. სპექტაკლის ბოლოს თოვლის ბაბუა ახალ წელს მიულოცავს პატარებს და გაიმართება საერთო ზეიმი - ნაძვის ხის გარშემო. *ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი.*

**გრიბოედოვის თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №2.**
**ტელ.: 293-11-06**

30 დეკემბერი, **ორშაბათი** 12.00, 15.00 - **„თორმეტი თვე"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი დიმიტრი პავლოვი. მონაწილეობენ: ირინა კვიჟინაძე, ნანკა კალატოზიშვილი, მარიამ კიტია, ქრისტოფერ პილიევი, ნინა ნინიძე, ირინა ვოირობიოვა, არჩილ ბარათაშვილი, მიხეილ ამბროსოვი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;*

2-3 იანვარი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 12.00, 14.00 - **„მოროზკო"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ლინდა უზრონავიჩუტე. მონაწილეობენ: მიხეილ არჯევანიძე, ივანე ქურასბედიანი, ნინა ნინიძე, მიხეილ ამბროსოვი, ვალენტინა ვოინოვა, მედეა მუმლაძე; *ხანგრძლივობა: 1სთ.;*

4-5 იანვარი, **შაბათი-კვირა** 12.00, 15.00 - **„კონკია"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), მუსიკალური ზღაპარი. რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი; *ხანგრძლივობა: 1სთ.*

**თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი**
**დავით აღმაშენებლის გამზირი №99/1.**
**ტელ.: 295-78-74, 295-39-27.**

2 იანვარი, **ხუთშაბათი** 12.00 - **„ემილის თავგადასავალი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი დარბაზი), რეჟისორი ლევან ქობლიანიძე. მონაწილეობენ: ხატია მელქაძე, ნინო შუშიაშვილი, თამარ ჭანუყვაძე, შალვა ანთელავა, მაკა ბარდაველიძე, ცოტნე საგინაძე, თორნიკე ქინქლაძე, ვასილ ამურველაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ.;*

2 იანვარი, **ხუთშაბათი** 15.00 - **„ფიფქია და შვიდი ჯუჯა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი დარბაზი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ლეჟავა, თამარ ლორთქიფანიძე, ნინო შუშიაშვილი, თამარ ჭანუყვაძე, კახა გაბელაია, მარიამ ჩუხრუკიძე, ნიკოლოზ კვანტალიანი. *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

2 იანვარი, **ხუთშაბათი** 17.00 - **„საახალწლო ზღაპარი"** (რუსულ ენაზე) - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე დარბაზი), რეჟისორი სერგო შვედკოვი. მონაწილეობენ: ნინო კიკაჩეიშვილი, ცოტნე საგინაძე, ედმონ გაბედავა, რამონა მიქელაძე, ტატიანა ალიოშკინა, ზურაბ არუსია, ნიკოლოზ დონი, დავით ენუქაშვილი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

3, 5 იანვარი, **პარასკევი, კვირა** 13.00, 15.00 - **„საახალწლო ზღაპარი"** (რუსულ ენაზე) - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე დარბაზი), რეჟისორი სერგო შვედკოვი. მონაწილეობენ: ნინო კიკაჩეიშვილი, ცოტნე საგინაძე, ედმონ გაბედავა, რამონა მიქელაძე, ტატიანა ალიოშკინა, ზურაბ არუსია, ნიკოლოზ დონი, დავით ენუქაშვილი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

3, 5 იანვარი, **პარასკევი, კვირა** 12.00, 14.00, 16.00 - **„საახალწლო შოუ"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), თოვლის ბაბუა, ფიფქია, სანტა კლაუსი, ბაყ-ბაყ დევი, ემილი, ჯუჯები, ნაცარქექია, ყვავი, დათვი, ვახუშტი, გვირილა, კაქტუსი, უფლისწული და სხვა ზღაპრის გმირები. რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: თამარ მამულაშვილი, ვამეხ ჯანგიძე, ნინო ლეჟავა, კოტე თოლორდავა, თამარ ლორთქიფანიძე, თამარ ჭანუყვაძე, მარიამ ჩუხრუკიძე, ნიკოლოზ კვანტალიანი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

4 იანვარი, **შაბათი** 12.00 - **„საახალწლო შოუ"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), თოვლის ბაბუა, ფიფქია, სანტა კლაუსი, ბაყ-ბაყ დევი, ემილი, ჯუჯები, ნაცარქექია, ყვავი, დათვი, ვახუშტი, გვირილა, კაქტუსი, უფლისწული და სხვა ზღაპრის გმირები. რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: თამარ მამულაშვილი, ვამეხ ჯანგიძე, ნინო ლეჟავა, კოტე თოლორდავა, თამარ ლორთქიფანიძე, თამარ ჭანუყვაძე, მარიამ ჩუხრუკიძე, ნიკოლოზ კვანტალიანი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

4 იანვარი, **შაბათი** 13.00, 15.00 - **„კლოუნადა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე დარბაზი), რეჟისორი ნიკოლოზ საბაშვილი. მონაწილეობენ: ნინო არჩაია, ხატია მელქაძე, ნინო პაპიაშვილი, ლევან კაციაშვილი, ვახტანგ ნოზაძე, სალომე წურწუმია, ზურაბ ავსაჯანიშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ.;*

4-5 იანვარი, **შაბათი-კვირა** 18.00 - **„ნაცარქექია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე დარბაზი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ხატია მელქაძე, ბადრი გვაზავა, ლევან კაციაშვილი, გიორგი კაჭახიძე, პაატა მხეიძე, ვახტანგ ნოზაძე, ნინო ლორთქიფანიძე, პაატა კიკვაძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

**ცირკი**
**გმირთა მოედანი 1, ტელ.: 298-30-35.**

4 იანვარი, **შაბათი** 12.00, 16.00 - **საახალწლო წარმოდგენები თბილისის ცირკში**- (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), *ხანგრძლივობა: 3სთ.;*

5 იანვარი, **კვირა** 12.00, 16.00, 20.00 - **საახალწლო წარმოდგენები თბილისის ცირკში**- (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), *ხანგრძლივობა: 3სთ.*

## ორშაბათი 30 დეკემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** მხ/ფ **"მამიკოები"** (ჟ.დეპარდიე) **17.00** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** **18.00** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** **19.05** დ/ფ. "საშობაო ნათურების შემოსევა – ევროპა" **21.00** ქართ. მხ/ფ **"გასეირნება თბილისში"** **22.30** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **23.30** მხ/ფ **"მედისონის ოლქის ხიდები"** (მ.სტრიპი) **01.50** დ/ფ. "პილტონები".

**06.45** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **10.05** სერ. **"ცივი გული"** **11.20" 12.05** სერ. **"სიყვარულის საფრთხე"** **12.30" 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.4"15.05** ფულთან თამაში **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50" 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **20.50** სერ. **"სილა"** **21.50** თოქ შოუ: თეა სიჭინავა – პოლიტიკის დრო (პ/ე) **23.30** EMERGENCY სასწრაფო დახმარება. **00.30** მხ/ფ **"ოსკარი"** (ს.სტალონე) **02.00** ქრონიკა (**10** წთ).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **17.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **22.00** ნიჭიერი - ფინალი **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **02.00** მხ/ფ **04.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** საგალობელი **06.20** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.45** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** კვირიაკე **12.10** მხ/ფ **"ნეილონის ნაძვის ხე"** **13.25** პატერიკი **13.30** კონცერტი - ანს."მძლევარი" **15.00** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი **"წუთისოფელი ასეა"** **17.00** დოკ/ფ "იაკობ ტრიპოლსკი" **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"იმერული ესკიზები"** **20.40** ძილი ნებისა **21.20** პატერიკი **21.25** საღვთისმეტყველო საუბრები **22.25** დოკ/ფ "შობა წმინდა მიწაზე" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "საახალწლო ჩვეულებანი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ქეთო და კოტე"**.

**7.00, 0.45, 1.00, 2.30, 3.00, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **7.55, 8.10, 9.10** "მაღვიძარა" **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ.) **14.30** "მონიტორის გამოძიება" (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 3.45, 4.15** "ყოველდღიური აბები" **18.25, 1.15, 5.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "მდუმარენი"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00** თოქ-შოუ "არგუმენტები" **6.00** ფარული კამერა.

## სამშაბათი 31 დეკემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** მხ/ფ **"ფან-ფან ტულპანი"** (ჟ.ფილიპი) **17.00** მხ/ფ **"ტუტსი"** (დ.ჰოფმანი) **19.15** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **21.00** ქართ. მხ/ფ **"ვერის უბნის მელოდიები"** **23.00** I არხის ცენტრალური საახალწლო პროგრამა **02.00** მხ/ფ **"სასაცილო გოგონა"** (ბ.სტრეიზანდი) **05.00** I არხი წარმოგიდგენთ – კონცერტი.

**06.45** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00** ქრონიკა **10.05** სერ. **"ცივი გული"** **11.20, 12.05** სერ. **"სიყვარულის საფრთხე"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.30** ქ.მხ/ფ **"მხიარული რომანი"**. **20.00** ცეკვავენ ვარსკვლავები (პ/ე) ფინალი **23.00** იუმორინა **2013** **23.45** "საახალწლო მილოცვა" **00.00** იუმორინა **2013** (გაგრძელება) **01.30** მხ/ფ **"რეალური სიყვარული"** (ლ.ნისონი) **03.20** მხ/ფ **"ქორწილის ორგანიზატორი"** (მ.მაკკონეჰი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **17.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.30** საახალწლო კონცერტი პირდაპირი **00.30** მხ/ფ **"ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი"** **02.00** მხ/ფ **"უძინარნი სიეთლიდან"** **04.00** მხ/ფ **"მაიკლ ჯექსონის ეს არის ის"** **06.00** მხ/ფ **"ჩემი მეგობრის ქორწილი"**.

**06.10** მულტფილმები **06.30** მხ/ფ **"ქეთო და კოტე"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი **10.10, 19.00, 22.00, 02.30** სიახლენი **10.40** ქართ./მულტ. "ბატი ტასიკო" **10.55** საეკლესიო კალენდრის შესახებ **12.10** მხ/ფ **"იმერული ესკიზები"** **13.30** კონცერტი - ლიზა ბაგრატიონი **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** მოკ/ფ **"კაცები"** **15.55** კონცერტი - ანს. "ქართული ხმები" **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ/ფ **"ფეოლა"** **20.00** ღია აუდიტორია (რისმაგ გორდეზიანი) **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.30** მოკ/ფ "ღვინის ქურდები" **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **23.25** მოკ/ფ **"კუჩხი ბედნიერი"** **23.50** უწმინდესის საახალწლო მილოცვა **00.00** მრავალჟამიერი **00.05** პრეზიდენტის მილოცვა **00.20** საახალწლო გადაცემა **01.30** კონცერტი - "ერისიონი" **03.00** მხ/ფ **"ვერის უბნის მელოდიები"**.

**7.00, 1.00, 3.00, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **8.30, 9.10** ფარული კამერა (საბ.) **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.10** "მაღვიძარა" (საახალწლო გამოშვება) **12.30, 5.45** მხ/ფ **14.30, 15.30, 17.30, 0.35** ფარული კამერა **16.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **17.45, 23.00, 3.45** "ყოველდღიური აბები" **18.15** სუბიექტური აზრი **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **22.15** სპეც.პროექტი– ინტერვიუ მურად ილდირიმთან **23.40** საახალწლო მილოცვები **0.00, 4.25** ტვ **11** (საახალწლო კოლაჟი).

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**30 დეკემბერი – 5 იანვარი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.30 - **„ჩემი ცოლის დაქალი კინოში"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.15 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00 - **„ინდაურები"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

14.00, 16.00, 18.00, 20.00 - **„გაყინული"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

22.30 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00 - **„ინდაურები"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

14.00 - **„გაყინული"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

16.00, 19.00 - **„ჰობიტი: სმაუგის ნაოხარი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;*

22.30 - **„ბოლოჯერ ვეგასში"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

22.30 - **„ჰობიტი: სმაუგის ნაოხარი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი)

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.15, 14.00, 18.00, 20.00, 22.30 - **„ჩემი ცოლის დაქალი კინოში"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

16.00 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 2*

11.30, 17.50, 20.10, 22.30 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

13.30 - **„გაყინული"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

15.40 - **„ჩემი ცოლის დაქალი კინოში"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.15 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

16.30, 19.30, 22.30 - **„ჰობიტი: სმაუგის ნაოხარი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ქათამი უნგრულად














**საჭირო ინგრედიენტები:** 1-კილოგრამიანი ქათამი, 500 მილილიტრი ნაღები (10-20-პროცენტიანი), 30 გრამი ტარხუნა (1 კონა), 3 კბილი ნიორი, 1-2 სადილის კოვზი ზეთი (სიმინდის ან ზეითუნის), მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** გააცხელეთ აილუმელი 200 გრადუსამდე, ქათამი დაჭერით ულუფებად (შეგიძლიათ, 1 კილოგრამი მარტო ბარკლები იყიდოთ), ჩააწყვეთ ფორმაში, მოაყარეთ მარილი და პილპილი. ნიორი გაარჩიეთ, ოღონდ, თხელი კანი დაუტოვეთ და ასე ჩააწყვეთ ხორცის ნაჭრებ შორის. ზემოდან მოაყარეთ დაჭრილი ტარხუნა, მოასხით ნაღები (შეგიძლიათ, გამოიყენოთ ცხიმიანი არაჟანიც), დანამეთ ცოტა ზეთით და მოათავსეთ აირლუმელში. 25-30 წუთის შემდეგ მზად იქნება. სუფრაზე მიტანის წინ ნიორი ცოტა გასრისეთ და კანი მოაძრეთ, ან, საერთოდ ამოიღეთ. ძალიან გემრიელია. ფორმაში ჩაღვრილი სოუსი კოვზით ამოიღეთ და კერძს ზემოდან მოასხით.

# კერძი „სადღესასწაულო“





**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი ყაბაყი, 5 ცალი კვერცხი, 5-6 სადილის კოვზი ფქვილი, მარილი, პილპილი, 500 გრამი ქამა სოკო, 400 გრამი ძეხვი, ცოტა მაიონეზი, 3 თავი ხახვი, ზეთი.

**მომზადების წესი:** გახეხეთ ყაბაყი მსხვილკბილა სახეხზე, მოაყარეთ ცოტა მარილი, მოათავსეთ თუშფალანგზე და აცალეთ, დაიწუროს. შემდეგ დაუმატეთ კვერცხი, ფქვილი, მარილი, პილპილი და ძალიან კარგად ამოურიეთ. წვრილად დაჭერით ქამა სოკო და მოხრაკეთ ზეთში. დაუმატეთ ძალიან წვრილად დაჭრილი ხახვი და ერთად მოშუშეთ . წვრილად დაჭერით ძეხვი. გამოაცხვეთ თხელი ბლინები (შეწვით ორივე მხრიდან). როცა ბლინები ცოტა გაგრილდება, წაუსვით სათითაოდ მაიონეზი. თითოეულზე მოათავსეთ სოკო და ხახვი, დაუმატეთ დაჭრილი ძეხვი და გადაახვიეთ ფრთხილად. 12-14 რულეტი მაინც უნდა გამოგივიდეთ. სუფრაზე მიტანის წინ დაჭერით მსხვილ ნაჭრებად.

# სადღესასწაულო ორაგული ია ფარულავასგან










**საჭირო ინგრედიენტები:** 800 გრამი ორაგული (ფილეც ძალიან კარგია, ოღონდ, ოდნავ შებოლილი), 500 გრამი ნახევრად ფენოვანი ცომი (მზა, გაყინული), 4-6 სადილის კოვზი უკურკო ზეთისხილი, 2 კბილი ნიორი, 1 ჩაის კოვზი მშრალი ქონდარი, 5 ცალი საშუალო ზომის პომიდორი, 300 გრამი მაგარი ყველი, 1 ცალი კვერცხი, 4-5 სადილის კოვზი ფქვილი, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** პომიდორი დაჭერით რგოლებად, ყველი – კუბიკებად. ნიორი მსხვილად დაკეპეთ, ბლენდერში მოათავსეთ ზეთისხილი, ნიორი, ქონდარი და დააქუცმაცეთ. გამოსაცხობ ფორმას მოაყარეთ ცოტა ფქვილი. მოათავსეთ მასზე გაბრტყელებული ცომი და ზემოდან დააწყვეთ ფილეს ნაჭრები (თუ კანიანია, კანით ქვემოთ). მოაყარეთ ცოტა მარილი და პილპილი. შემდეგ გადაუსვით ზეთისხილიანი მასა, დააწყვეთ პომიდვრის ნაჭრები და მოაყარეთ ყველი. ცომს ნაპირები ამოუკეცეთ და წაუსვით ათქვეფილი კვერცხი. აცხვეთ 200 გრადუს ტემპერატურაზე, 35-40 წუთის განმავლობაში. უგემრიელესი, პიკანტური კერძია.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# ინდაური ხბოს და ღორის ხორცით

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 დიდი ინდაური, თავისი ღვიძლით, 150 გრამი ხბოს ხორცი, 100 გრამი ღორის ხორცი, 100 გრამი ღორი, 1 კილოგრამი წაბლი, 0,5 ლიტრი ქათმის ან ძროხის ხორცის ბულიონი, 2 ცალი წვრილად დაჭრილი ხახვი, 2 ცალი სტაფილო, კუბიკებად დაჭრილი, 3 ცალი მწვანე ხახვი, კარაქი, მარილი, პილპილი და სანელებლები – უცხო სუნელი, ყვითელი ყვავილი, ხმელი ქინძი, ნიორი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** წვრილად დაკეპილ ღორის და ხბოს ხორცს დაუმატეთ ინდაურის ღვიძლი. წინასწარ კანგაცლილი წაბლი მოხარშეთ ბულიონში, გაატარეთ და დაუმატეთ ფარშს. დაჭრილი ხახვი მოშუშეთ ტაფაზე და მოასხით ფარშს. შეაზავეთ მარილით, პილპილით და სანელებლებით. ამ ფარშით გამოავსეთ ინდაური. შემოახვიეთ ძაფი, ფორმა რომ არ დაკარგოს და თუჯის ტაფაზე დადეთ. მეტისმეტად რომ არ დაიწვას, შემოახვიეთ ფოლგა. მანამდე წაუსვით კარაქი. ფოლგაში შეაყოლეთ დაჭრილი სტაფილო და მწვანე ხახვი არომატისთვის.



# ქათამი ზაფრანითა და ბრინჯით

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ქათამი, 2 ცალი ხახვი, 2 კბილი ნიორი, 1 ჭიქა ქათმის ბულიონი ან თეთრი მშრალი ღვინო, 2 ჭიქა ბრინჯი, 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, მწიკვი ზაფრანა, თითო კონა ქინძი და ოხრახუში, 0,5 ჩაის კოვზი ხმელი ქინძი, 2 ცალი ლიმონი, მოსართავად. რამდენიმე ცალი უკურკო ზეთისხილი, მარილი, ძირა და შავი პილპილი გემოვნებით, 2 ცალი დაფნის ფოთოლი.

**მომზადების წესი:** ღუმელი გააცხელეთ 200 გრადუსამდე. ხახვი, ნიორი და მწვანილი წვრილად დაჭერით, დაფქვით ხმელი ქინძი, რგოლებად დაჭერით ლიმონი . ზაფრანას დაასხით 1 ჭიქა ცხელი ქათმის ნახარში. ქოთნის ძირზე ჩააწყვეთ ჯერ ლიმონის ნაჭრები, შემდეგ ნიორი და მწვანილი. ზეთი, მარილი, პილპილი და დაფქული ქინძი ერთმანეთში აურიეთ, ქათამს წაუსვით შიგნიდან და გარედან, ჩადეთ ქოთანში, დაასხით ზაფრანიანი ბულიონი და შედგით ღუმელში დაახლოებით 90 წუთით. ქათმის მომზადებამდე ცოტა ხნით ადრე, დაიწყეთ ბრინჯის მომზადება: ცხიმში ჩაყარეთ ბრინჯი, 2 წუთის განმავლობაში ურიეთ დაბალ ცეცხლზე, შემდეგ დაასხით 4 ჭიქა წყალი, უყავით მარილი, შავი პილპილი, დაფნის ფოთოლი და ძირა გემოვნებით, დააფარეთ თავსახური და 15-20 წუთის განმავლობაში ხარშეთ დაბალ ცეცხლზე. ქოთანი თავდახურული დატოვეთ 10 წუთით. სუფრასთან მიიტანეთ ქათამთან და უკურკო ზეთისხილთან ერთად, ზემოდან კი მოასხით მისივე წვენი.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 1 იანვარი

**07.00** დ/ფ. "სანტა კლაუსი" **08.00** საბა. ან/ფ "შრეკი" **09.30** საბა. მხ/ფ **"ბავშვები უყურადღებოდ"** **11.00** მხ/ფ **"იმერული ესკიზები"** **12.30** მხ/ფ **"ნუგბლიჲ მილიონერი"** (ა.სანდლერი) **14.00** **2014** წლის ვენის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (პ/ტრ) **16.00** მხ/ფ **"რომაული არდადეგები"** **18.10** ქართ. ტ/ფ **"ფეოლა"** **19.00** კონცერტი: "საახალწლო შემოძახილი" **20.00** ქართ. მხ/ფ **"არაჩვეულებრივი გამოფენა"** **21.30** კონცერტი: "შვიდკაცა" – **15** წელი სცენაზე **23.30** მხ/ფ **"ჩემი მშვენიერი ლედი"**. **02.30** მუსიკა l არხზე – კონცერტი.

**09.00** მხ/ფ **"სახლში მარტო დარჩენილი"** **11.00** ბასტი ბუბუ – ბურატინო **12.00** ქ.მხ/ფ **"ვერის უბნის მელოდიები"** **14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **14.20** ქ.მხ/ფ **"ჭრიჭინა"** **16.10** იუმორინა **17.20** რომ გადახვალ გააჩერე **18.00** მხ/ფ **"ყოვლისშემძლე ბრიუსი"** **20.30** ღამის შოუ **(29.12.13** გ/ჩ) **22.00** თოქ შოუ: ეკა ხოფერია (საახალწლო) **00.00** მხ/ფ **"ლამაზი ქალი"** (რ.გირი) **02.00** MTV ევროპის მუსიკალური დაჯილდოება.

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.15** ანიმაცია "სმურფები" **10.00** კურიერის დაიჯესტი **10.10** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00** მხ/ფ **"ბედის ირონია"** **15.30** ქ.მხ/ფ **"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს 1"** **17.00** ქ.მხ/ფ **"ვერის უბნის მელოდიები"** **18.55** სერ.**"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **21.00** კურიერი **22.00** "ნანუკას შოუ" საახალწლო **00.00** მხ/ფ **"ტუტსი"** **02.00** მხ/ფ **"სამყაროს ირგვლივ"** **04.00** მხ/ფ **"პატარძლის მეგობარი"**.

**06.10** დოკ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" **06.30** მულტფილმი **"101** დალმატინელი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** სატ./ფ. "კოჯრის ტყის სიზმრები" **09.05** სიახლენი **09.30** მულტფილმი "ფიფქია და შვიდი ჯუჯა" **10.00** კონცერტი - ბასტი-ბუბუ **11.05** ძველი აფიშა - ჭინჭრაქა **11.40** ეთნოგრაფიული ჩანახატი -ჩიჩილაკი **12.10** დროის ჩანაწერები "ჩემი ზამთარი" **12.30** ქართ./მულტ. "წუნა და წრუწუნა" **12.50** მხ/ფ **"ვერის უბნის მელოდიები"** **13.20** კონცერტი - ვენის სიმფონიური ორკესტრი **15.05** მხ/ფ **"ბავშვი სასეირნოდ მიდის"** **16.40** კვირიაკე **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **18.10** ტელეზღაპარი "12 თვე" **18.30** საქართველო არის ესე **19.00** მრავალჟამიერი **19.30** მხ/ფ **"ყვავილი თოვლზე"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.30** კონცერტი - თამარ ჭოხონელიძე **22.35** ქართული ალბომი - გიორგი შალუტაშვილი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ/ფ **"ქვევრი"** **00.05, 02.50** ისტორიის დღიური **00.10** მხ/ფ **"შერეკილები"** **01.30** ანდრე რიე - საახალწლო.

**7.00, 1.00, 3.00, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.45, 9.00** ფარული კამერა (საბ.) **8.30** მულტფილმები **10.00, 12.30, 1.30, 3.30, 5.30** მხ/ფ **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **14.30,15.30, 17.30, 0.00** ფარული კამერა **16.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** **17.30, 0.00** ფარული კამერა **18.20** "ყოველდღიური ამბები" (საახალწლო) (გამ.) **19.00** **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00** სპეც.პროექტი– ინტერვიუ მურად ილდირიმთან.

## ხუთშაბათი 2 იანვარი

**08.00** საბა. ან/ფ "შრეკი – **2"** **09.30** საბა. მხ/ფ **"პატარა პრინცესა"** **11.00** ქართ. ტ/ფ **"კოჯრის ტყის სიზმრები"** **"სერენადა"** **12.00** დ/ფ. "საშობაო ნათურები" **13.00** მხ/ფ **"მისტერ პიტკინი მტრის ზურგში"** **14.30** მუსკომედიის თეატრის სპექტაკლი: **"გაყრა"** **16.30** მხ/ფ **"ფრანგული კოცნა"** (მ.რაიანი) **18.30** მხ/ფ **"შერეკილები"** **20.00** "მოამბე" **20.30** ქართ. ტ/ფ **"კუზხი ბედინერი"** **21.00** საღამო მცხეთაში. კონცერტი **23.00** მხ/ფ **"ტერმინალი"** (ტ.ჰენკსი) **01.00** "უცნობი მუსიკა" **02.10** მხ/ფ **"შობა კრენკებთან"**.

**09.00** მხ/ფ **"სახლში მარტო დარჩენილი - 2"** **11.00** ქ.მხ/ფ **"შერეკილები"** **12.30** ქ.მხ/ფ **"უდიპლომო სასიძო"** **14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **14.20** იუმორინა **2013** **(31.12.13** გ/ჩ) **17.20** რომ გადახვალ გააჩერე **18.00** სერ. **"უდანაშაულო"** **20.30** რომ გადახვალ გააჩერე (საახალწლო) **20.50** სერ. **"სილა"** **22.00** ქ.მხ/ფ **"მაიკა ნასოსი"** **00.00** კონცერტი: თამარ გვერდწითელი **01.30** მხ/ფ **"ჩვეავად ქცეული ქორწინება"** (ა.ბოლდუინი) **03.30** MTV ვიდეო კლიპების დაჯილდოების ცერემონია.

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.15** ანიმაცია **10.00** კურიერის დაიჯესტი **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00** მხ/ფ **"მიუნჰაუზენი"** **15.30** ქ.მხ/ფ **"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს 2"** **17.00** ქ.მხ/ფ **"სიყვარული ყველას უნდა"** **18.00, 21.00** კურიერი **18.55** სერ. **"ტიტების დრო"20.00** **"ქალბატონი დილა"** **22.00** კომედი კონცერტი ახალი. **00.00** მხ/ფ **"ზაზუნას დღე"** **02.00** მხ/ფ **"ჩვენ ჯაზიდან ვართ"** **04.00** მხ/ფ **"12 სკამი"** **(2** სერ.).

**06.10** ეთნოგრაფიული ჩანახატი -ჩიჩილაკი **06.25** მხ/ფ **"შერეკილები"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** საქართველო არის ესე **09.05** მულტფილმი "ჯუნგლის წიგნი" I სერია **10.30** მოკ/ფ **"ქვევრი"** **11.05** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"ყვავილი თოვლზე"** **13.20** კონცერტი - ელ დივო **15.05** მხ/ფ **"ცისკარა"** **16.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.55** კონცერტი -ანდრია ბოჩელი **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **18.10** ტელეზღაპარი "კოკროჭინა" **18.30** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** საქართველო არის ესე **19.15** მხ/ფ **"თოჯინები იცინიან"** **20.40** ძილი ნებისა **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.00** მოკ/ფ **"სათადარიგო ბორბალი"** **22.20** თეატრალური ნოსტალგია **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ/ფ **"ქორწილი**', **"ქოლგა"** **00.10** მხ/ფ **"პირველი მერცხალი"** **01.20** კონცერტი - ადრიანო ჩელენტანო **02.30** ისტორიის დღიური.

**7.00, 1.00, 3.00, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30, 8.30** მულტფილმები **9.00** ფარული კამერა (საბ.) **10.00, 16.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **12.30** გადაცემა ,,პულსი" **13.30, 23.30, 1.30, 5.30** მხ/ფ **15.30, 17.30, 18.30** ფარული კამერა **19.00** **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.30** ფარული კამერა.

## პარასკევი 3 იანვარი

**08.00** საბა. ან/ფ "შრეკი – **3"** **09.30** საბა. მხ/ფ **"ელფი"** **11.30** ქართ. ტ/ფ **"ბურთი და მოედანი"** **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** მხ/ფ **"ჩვენ ანგელოზები არ ვართ"** (რ.დე ნირო) **14.30** მუსკომედიის თეატრის სპექტაკლი: **"იყო და არა იყო რა"** **16.30** მხ/ფ **"ჩემი საუკეთესო მეგობრის ქორწილი"** (ჯ.რობერტსი) **18.30** ქართ. მხ/ფ **"ყვავილი თოვლზე"** (შ. მანაგაძე) **21.00** ანსამბლი "ერისიონი" **22.10** მხ/ფ **"შეყვარებულები"** (მ.სტრიპი) **00.30** მხ/ფ **"თქვენთვის წერილია"** (ტ.ჰენკსი) **02.00** კონცერტი საახალწლო განწყობისთვის.

**09.00** მხ/ფ **"სახლში მარტო დარჩენილი – 3"** **11.00** იუმორინა **12.00** ქ.მხ/ფ **"აბეზარა"** **14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **14.20** რომ გადახვალ გააჩერე **(02.01.14** გ/ჩ) **15.00** მხ/ფ **"მოჯადოებული"** **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **20.50** სერ. **"სილა"** **22.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** **1** სერ. **23.00** ქ.მხ/ფ **"ოცნების ქალაქი"** **00.45** მხ/ფ **"მისტერ და მისის სმიტები"** (ბ.პიტი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.15** მხ/ფ **"ჯუმანჯი"** **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** მხ/ფ **"სამსახურეობრივი რომანი"** **15.30** ქ.მხ/ფ **"თოჯინები იცინიან"** **17.30** ქ.მხ/ფ **"კოჯრის ტყის სიზმრები"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **20.50**

ეროვნული ლატარია **22.00** ვანოს შოუ საახალწლო **00.00** მხ/ფ **"სასაცილო გოგონა"** **02.00** მხ/ფ **"არ იხუმროთ ზოხანთან"** **04.00** მხ/ფ **"ოქროს კერპი"**.

**06.20** დოკ/ფ "მსოფლიო საგანძური" **06.35** მხ/ფ **"პირველი მერცხალი"** **07.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** მულტფილმი "ჯუნგლის წიგნი" II სერია **11.30** მოკ/ფ **"სათადარიგო ბორბალი"** **12.10** მხ/ფ **"თოჯინები იცინიან"** **13.35** პატერიკი **13.40** კონცერტი - ანდრე რიე **15.05, 00.30** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** კონცერტი-კონსერვატორიის ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრი **17.00** კვირიაკე **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.15** მხ/ფ **"ამბავი ივანე კოტორაშვილისა"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან "ანტონ II **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"რომაული არდადეგები"**.

**7.00, 1.00, 3.00, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30, 9.00** ფარული კამერა (საბ.) **8.30** მულტფილმები **10.00, 16.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.30, 1.30, 5.30** მხ/ფ **14.30, 17.30, 18.30** ფარული კამერა **15.30** გადაცემა ,,პულსი" (გამ.) **19.00** **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00** **სერიალი "მომავლის გაელვება"** **0.00, 3.30** ფარული კამერა.

## შაბათი 4 იანვარი

**08.00** ან/ფ "ოზი ბუ" **09.00** საბ. მხ/ფ **"ვილის თავგადასავალი"** **11.00** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ქართ. მხ/ფ **"უდიპლომო სასიძო"** **14.00** მხ/ფ **"ზაზუნას დღე"** (ენ. მაქდაუელი) **16.30** "გურმანია" **17.00** ქართ. მხ/ფ **"სიყვარული ყველას უნდა"** **19.00** "ეტალონი" **21.00** I არხი და ფონდი "ივანანა" წარმოგიდგენთ – კონცერტი: პატრიარქის შემოქმედება პარიზში **22.00** მხ/ფ **"გრძნობა და გონება"** (ე.ტომპსონი) **00.00** მხ/ფ **"50 პირველი პაემანი"** (დ.ბერიმორი) **01.40** მუსიკა I არხზე.

**09.00** მხ/ფ **"სახლში მარტო დარჩენილი - 4"** **10.25** ეკოვიზია **11.00** იუმორინა **12.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 1 სერ. **13.00** კაცების შოუ (გ/ჩ) **14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **14.30** მხ/ფ **"მისის დაუტფაიერი"** **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** 2 სერ. **20.50** სერ. **"სილა"** **22.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 2 სერ. **23.00** ქ.მხ/ფ **"ყველაფერი კარგად იქნება"** **01.00** მხ/ფ **"გრინ ქარდი"** (ჟ.დეპარდიე).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ **"ადამიანები შავებში"** **10.00** ეკი ვოკი გ/ჩ **11.00** იღბლიანი ბორბალი გ/ჩ **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** მხ/ფ **"იღბლიანი ჯენტლმენები"** **14.00** ქ.მხ/ფ **"ყველაზე სწრაფები მსოფლიოში"** **15.30** მხ/ფ **"მიმინო"** **17.30** ქ.მხ/ფ **"კუჩხი ბედნიერი"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** რა? სად? როდის? **00.00** მხ/ფ **"ჩარლის ანგელოზები"** **02.00** მხ/ფ **"ჰუდზონის ქორი"** **04.00** მხ/ფ **"უდაბნოს თეთრი მზე"** **06.00** მხ/ფ **"შემოდგომის ლეგენდები"**.

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "მსოფლიო საგანძური" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.10** მხ/ფ **"ამბავი ივანე კოტორაშვილისა"** **13.30** მოკ/ფ **"წითელი ბუშტი"** **14.00** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ოპერა - **"დაისი"** **16.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.55** ეპოქა - ილია II **17.55** შვიდგზის ლოცვა **18.10** საქართველოს ქალაქები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** ჟურნალისტის დღიური - "ფიქრები წარსულსა და მომავალზე"პატრიარქი **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პატრიარქი ლოცავს საქართველოს **00.35** დროის ჩანაწერები **01.25** მხ/ფ **"ანა და მეფე"** I სერია.

**7.00** ფარული კამერა (საბ.) **8.00** მულტფილმი ქუჩის მავნებლები **9.30, 11.00** **სერიალი "მდუმარენი"** (გამ.) **10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **12.30, 15.30, 19.00** **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **18.00, 21.00** ახალი ამბები **18.40** ფარული კამერა **20.55** კვირის აზრები **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00** **სერიალი "მომავლის გაელვება"** **0.00, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **1.00, 3.00, 5.30** მხ/ფ.

## კვირა 5 იანვარი

**08.00** დ/ფ. "ზღვის სიღრმეში" **08.30** საბ/ფ **"პოლარული ექსპრესი"** **10.20** საბ/ფ **"ლესი"** **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სამოთხის ვაშლები" **14.00** ქართ. მხ/ფ **"მხიარული რომანი"** **15.00** დ/ფ. "შობაზე შეყვარებულები" **16.30** რუსთაველის თეატრის სპექტაკლი: **"როგორც გენებოთ" ანუ შობის მე-12 ღამე"** **20.30** კონცერტი: "გიო და ბიჭები" **22.00** მხ/ფ **"უძინარი სიეტლში"** (ტ.ჰენქსი) **00.00** მხ/ფ **"ორი დღე პარიზში"** **01.40** მუსიკა I არხზე.

**09.00** მხ/ფ **"ჯადოქრის შეგირდი"** **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 2 სერ. **13.00** კულინარიული დუელი **14.00, 17.00** ქრონიკა **14.30** მხ/ფ **"ხელმწიფის სახელით"** **17.40** ცეკვავენ ვარსკვლავები – ფინალი (გ/ჩ) **20.00** პანორამა (**60** წთ) **21.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **22.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 3 სერ. **23.00** ქ.მხ/ფ **"ისპაჰან ბათუმი"** **00.45** მხ/ფ **"ქალთევზა"** (ტ.ჰენქსი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ **"ადამიანები შავებში-II"** **10.00** მხ/ფ **"კავკასიელი ტყვე ქალი"** **12.00, 15.00, 18.00** კურიერი **12.30** გააცინე და მოიგე **14.00** ეკი ვოკი **15.30** ნიჭიერი - ფინალი გ/ჩ **18.50** იღბლიანი ბორბალი **20.00** გააცინე და მოიგე ბესტი **21.00** P.S ბესტი **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. **23.00** კომედი შოუ ბესტი **00.00** მხ/ფ **"ჩარლის ანგელოზები-2"** **02.00** მხ/ფ **"პაემანი სიბნელეში"** **04.00** მხ/ფ **"უფრთხილდი მანქანას"** **06.00** მხ/ფ **"დიდი თევზი"**.

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** საქართველოს ქალაქები **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.15** სიახლენი **10.45** პატრიარქი ლოცავს საქართველოს **11.30** ქართული ალბომი **12.10** მხ/ფ **"დედუნა"** **13.20** გამოყენებითი ხელოვნება **13.30** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ძველი აფიშა **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.15** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები. **17.20** საღვთისმეტყველო საუბრები **18.25** დროის ჩანაწერები **19.30** მხ/ფ **"ცისფერი მთები"** **21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.40** კვირიაკე **21.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **00.40** მხ/ფ **"ანა და მეფე"** II სერია.

**7.00** ფარული კამერა (საბავშვო) **8.00** მულტფილმი ქუჩის მავნებლები **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00** **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **10.30** გადაცემა "პულსი" **11.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **14.55, 17.55, 20.55** კვირის აზრები **18.40** ფარული კამერა **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00** **სერიალი "მომავლის გაელვება"** **0.00, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **1.00, 3.00, 5.30** მხ/ფ.

### ვერძი

არ არის გამორიცხული, გაუგებარ და პრობლემურ სიტუაციებში მოხვდეთ. კარგია იურიდიული და საზოგადოებრივი საქმიანობა. ენერგიული განწყობა პროფესიონალურ საქმიანობაში დაგეხმარებათ. ასევე, შესაძლოა, ამ პერიოდში ახალ სასიყვარულო რომანს ჩაეყაროს საფუძველი.

### კურო

გამოცდილი ადამიანები დაგეხმარებიან გადაწყვეტილებების მიღებასა და მიზნის მიღწევაში. შრომა დაგიფასდებათ და ფინანსური მდგომარეობაც გამოგისწორდებათ. პირად ურთიერთობებში მოთოკეთ აგრესია. არ არის გამორიცხული, მეგობრულ წრეში რჩეულიც იპოვოთ.

### ტყუპები

მიუხედავად სირთულეებისა, მიზნის მიღწევას ადვილად შეძლებთ. ახალი საქმიანი შემოთავაზება კი თქვენს მატერიალურ სფეროზე დადებითად აისახება. დასაშვებია მცირე რისკიც. კარგია ახალი კავშირების დამყარება. გაიზრდება ფლირტისა და სასიყვარულო ურთიერთობების რაოდენობაც.

### კირჩხიბი

მოგიწევთ, პრობლემები თავად გადაწყვიტოთ. გაგიადვილდებათ თამამი ნაბიჯების დამოუკიდებლად გადადგმა. თავი შეიკავეთ საყვარელ ადამიანთან კამათისგან, რათა შეინარჩუნოთ სტაბილური ურთიერთობა. უცხოელებთან კონტაქტი კარგ პერსპექტივებს გპირდებათ.

### ლომი

ნაყოფიერი გამოდგება გავლენიან პირებთან შეხვედრა. სასიყვარულო ურთიერთობაში მოერიდეთ ეჭვიანობას, რათა ეს არ გახდეს განხეთქილების საბაბი ურთიერთობაში. არ არის გამორიცხული, მოგინდეთ ცხოვრების სტილის შეცვლა, რაც დადებითად აისახება თქვენზე. მიუხედავად ბევრი საქმისა, ეცადეთ, დრო დასვენებისთვისაც გამონახოთ.

### ქალწული

გაზრდილი ფიზიკური აქტივობით არაერთ პრობლემას მოაგვარებთ. ახალი იდეებითა და მიზნებით ჩანაფიქრების რეალიზებას შეძლებთ. ინტუიცია დაგეხმარებათ ადამიანების ამოცნობაში, კონფლიქტური სიტუაციების თავიდან არიდებასა და უსიამოვნებებისგან თავდაცვაში, სასიყვარულო ურთიერთობა კი თავბრუდამხვევი აღმოჩნდება.

### სასწორი

ადვილად გათავისუფლდებით ფსიქოლოგიური პრობლემებისგან და დაემშვიდობებით ყველაფერ ძველს. სასიყვარულო ურთიერთობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. ემოციებისგან განსატვირთავად კარგია ქალაქგარეთ გამგზავრება და დასვენება.

### მორიელი

ახლად გაცნობილი ადამიანები შემდგომში თქვენი საუკეთესო მეგობრები იქნებიან. ადრე დაწყებული საქმისგან კი კარგ შემოსავალს მიიღებთ. საყვარელ ადამიანთან დროულად მოაგვარეთ პრობლემები, რათა უფრო მეტად არ გამწვავდეს სიტუაცია.

### მშვილდოსანი

სამომავლოდ ნუ გადადებთ იმ საქმეებს, რისი შესრულებაც ახლა შეგიძლიათ. შეეგუეთ გარშემო მყოფი ადამიანების განსხვავებულ შეხედულებებს. კარგია შოპინგი და გართობა. საყვარელ ადამიანთან ჰარმონიული ურთიერთობა კი დაგეხმარებათ ახალი მიზნების დასახვაში.

### თხის რქა

მიზნის მისაღწევად მოგიწევთ გარკვეულ დათმობებზე წასვლა. არ არის გამორიცხული, სოციალური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაგიუმჯობესდეთ. რომანტიკულ ურთიერთობებში მეტი თავდაჭერა და ტაქტია საჭირო. კარგი პერიოდია სადმე გასამგზავრებლად და დასასვენებლად.

### მერწყული

შესაძლოა, გაგიჩნდეთ მარტოობის სურვილი, თუმცა, ამის საშუალებას არ მოგცემენ ოჯახის წევრები და ახლობლები. საყვარელ ადამიანთან გააკონტროლეთ სიტყვები და ემოციები. პროფესიულ სფეროში კი ცვლილებებია მოსალოდნელი. ეცადეთ, შეინარჩუნოთ კარგი განწყობა და უდარდელად გაატაროთ ეს პერიოდი.

### თევზები

მხიარული განწყობითა და გონებამახვილობით მოახდინეთ თქვენი ნიჭისა და უნიკალურობის დემონსტრირება. დროულად გაერკვიეთ თქვენს გრძნობებში, რათა გული არ ატკინოთ სხვებს. ოჯახის წევრებისგან სითბოსა და სიყვარულს იგრძნობთ. ეს პერიოდი დატვირთული იქნება ბევრი კონტაქტითა და ახალი ნაცნობობით.

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 1 იანვარი, 11 სთ: 05 წთ.**

### ორშაბათი
### გეომაგნიტურია დღის პირველი ნახევარი

იყავით ფრთხილი და წინდახედული, იმოქმედეთ დაკვირვებით. მოიმატებს აგრესია და ეგოიზმი. შეამცირეთ გადაადგილებები და ახალი კონტაქტები. მოერიდეთ მატერიალური საკითხების გადაწყვეტას და შოპინგს. ატარეთ წითელი, ყვითელი, ლურჯი, ცისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – გიშერი, ფირუზი, სარდიონი, აკვამარინი ან ჯესპილიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ინტელექტუალური მუშაობა და განტვირთვა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

გილოცავთ ახალ წელს! გისურვებთ პლანეტების კეთილგანწყობას და ბედნიერი ვარსკვლავის პოვნას! ხვალინდელი ახალმთვარეობის წინ გამოიჩინეთ მეტი სიფრთხილე, რადგან, დიდია ტრავმების ალბათობა. მთვარის მძიმე ენერგიები მეტად განაპირობებს ცდუნებებს, პრობლემებს, ჯანმრთელობის გაუარესებას. ეცადეთ, შეინარჩუნოთ შინაგანი სიმშვიდე. ატარეთ მწვანე, ყვითელი, ჩალისფერი, ყავისფერი, ოქროსფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, მალაქიტი, აქატი ან ზურმუხტი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კბილები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

გილოცავთ 2014 წლის შემობრძანებას! დღეს ახალმთვარეობაა. შეინიშნება სასიკეთო კოსმიური ენერგიების ნაკლებობა, რაც მეტად განაპირობებს ავარიებს, კონფლიქტებს, ცდუნებებს, შეცდომების დაშვებასა და ჯანმრთელობის გაუარესებას. ეცადეთ, იყოთ მაქსიმალურად მშვიდი და ოპტიმისტი, რათა მთელი წელი ეს განწყობა შეინარჩუნოთ. ატარეთ მწვანე, ოქროსფერი, კრემისფერი, ლურჯი ან ყავისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, ოპალი, გიშერი ან აქატი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ხუთშაბათი

შეინარჩუნეთ ცხოვრების რეალური აღქმის უნარი. მეტად დაეყრდენით ინტუიციას. ატარეთ ყვითელი, ყავისფერი, ჩალისფერი, მწვანე, ლურჯი, ცისფერი, ვერცხლისფერი, ვარდისფერი ან წითელი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, აკვამარინი, საფირონი, ცირკონი ან ციტრონი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. სუსტდება სისხლძარღვთა სისტემა, სახსრები, მუხლები, თვალები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ კონფლიქტებს, აგრესიის გამოვლენას. იყავით დიპლომატიური, თავდაჭერილი და ტაქტიანი. ასევე, ნუ იქნებით ეჭვიანი. ატარეთ ვერცხლისფერი, ყვითელი, ნაცრისფერი, ლურჯი, ცისფერი, ვარდისფერი ან წითელი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ფირუზი ან იაგუნდი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია გართობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, ინტელექტუალური საქმიანობა. სუსტდება სისხლძარღვთა სისტემა, თვალები, ფეხის კუნთები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

### შაბათი

მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს, აკონტროლეთ ეჭვიანობა და სარკაზმი. ატარეთ ვერცხლისფერი, ლურჯი, ცისფერი, ფირუზისფერი, მწვანე ან ვარდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ამეთვისტო, აკვამარინი, გიშერი, საფირონი, ციტრონი, ცირკონი ან ძოწი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია იურისტებთან კონტაქტი, კაპიტალდაბანდება, ადგილსამყოფლის შეცვლა, ხელოვნებასთან კონტაქტი. სუსტდება თვალები, სისხლძარღვები, ტერფები, ლიმფური სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტურია დღის პირველი ნახევარი

მოიმატებს მგრძნობელობა, ინტუიცია. კარგია ცხოვრებაში კორექტივების შეტანა, მოგზაურობა, შემოქმედებითი მუშაობა, სასიყვარულო კავშირები. მოერიდეთ დაპირისპირებებს. ატარეთ მწვანე, ლურჯი, ფირუზისფერი, ვერცხლისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, გიაცინტი, ამეთვისტო, მარჯანი ან ალექსანდრიტი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. სუსტდება ნერვული და ლიმფური სისტემები, ტერფები.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ჭილვარია

გვარის ფუძეა სიტყვა **ჭილვა**, რომელიც ჭიგოზე ვაზის მისაბმელ წნელს ნიშნავს.

ეთნოგრაფიული მასალებით, სამ ძმას ბატონი მოუკლავს და ლეჩხუმში გადახვეწილან.

**ჭილვარიები** ლეჩხუმში, სოფელ ჭყვიშსა და დარიდასანაში ცხოვრობენ.

ეს გვარი მოხსენიებულია 1766 წელს, ერთ-ერთ საბუთში: „მოჯალაბე დაუსახლებიათ, მალღუდა **ჭილვარია** და უდაბნოსთვის შეუწირავთ მოსამსახურედ."

**ჭილვარიას** გვარის ფუძეს, ასევე, მეტსახელადაც მიიჩნევენ.

ვარაუდობენ, რომ **ჭილვა** ძველად ტოპონიმი უნდა ყოფილიყო. თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ **ჭილვარია ჭილველს** ნიშნავს.

საქართველოში 319 **ჭილვარია** ცხოვრობს: ქუთაისში – 82, ამბროლაურში – 72, ცაგერში – 52. არიან სხვაგანაც.

### ფუტკარაძე

უძველესი გვარია. ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებით, ამ გვარს სათავე დაუდო ვინმე **ფუტკარამ**. ჩვენი აზრით, ეს არასწორი მოსაზრებაა, რადგან, გვარის წინარე ფორმაა **მეფუტკრისძე**, რაც მიგვანიშნებს, რომ ხელობა-საქმიანობიდან გამომდინარე გვარ-სახელია და ამ გვარის წარმომადგენლები **ფუტკრის** მოვლა-მოშენებას მისდევდნენ.

გვარი **ფუტკარაძე** მოიხსენიება მეთორმეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების გვარების ნუსხაში.

**ფუტკარაძეების** ძირითადი საცხოვრისია აჭარა, თუმცა, ამ გვარის წარმომადგენლები, ასევე, ცხოვრობენ იმერეთში, სამეგრელოსა და თბილისში.

სამეგრელოში **ფუტკარაძეები** აჭარიდან გადავიდნენ. ბევრმა გვარი შეინარჩუნა, ნაწილი კი **ფუტკარაიად** ჩაეწერა.

იმერეთში **ფუტკარაძეები** ცხოვრობენ: საქარაში, ინაშაურში, სიმონეთში, ტყემლოვანში, ჩუნეთში, ჩხარში, ცხრაწყაროსა და ჯიხაიშში.

საქართველოში 7 003 **ფუტკარაძე** ცხოვრობს: შუახევში – 1 824, ხელვაჩაურში – 1 108, ბათუმში – 664. არიან სხვაგანაც.

### ქობულაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ქობული.**

**ქობულაშვილი** უძველესი გვარია. მისი ძველი ფორმა იყო **ქობულისძე**.

მთავართა გვარებში ვახუშტი წერს: „ხოლო გვარიანი მთავართა მათ ძველთანი ესენი არიან: **ქობულისძე**, დონაური, ასელმანეილი, ბალუაში, რომელიც იყო ლიპარიტის ძე".




„თავადი ქობულაშვილის წინაპარნი იყვნენ ქობულად წოდებულნი უკვე 882 წლიდან. როცა სამბათ მეფე აფხაზეთიდან წავიდა, თან გაჰყვნენ **ქობულისძენიც**. **ქობულთა** შვილთაგან დაშთნენ გურიას ადგილსა **ქობულეთსა** შინა და იყვნენ მუნ. შემდგომად, მეფემან დავით კახთმან შერთო ცოლად გურიელის ასული თინათინი, მას მოჰყვა მზითევში **ქობულოვი** და დედოფლის შუამდგომლობით მიილო მეფემან თავადობის ხარისხში და დაასახლა რუისის პირსა ადგილსა".

„ხოლო, წელსა 1752, შეიკრიბნენ მხედრობანი ლეკთანი და მოადგა ყვარელსა. მაშინ ციხესა ყვარლისასა შეაშველა მეფემან და უთავა მათ თავადი ბებურიშვილი პაპა, მდივანი სოლომონ **ქობულოვი**, თაყაიშვილი ფირუზა, რატიშვილი ბეჟან, ნამორაძე ერასტი და სხვანი, მრავალნი კეთილშობილნი და გლეხნი. განამაგრეს ციხე იგი და ლეკთა, ვინაითგან ვერა რამე ჰყვეს, უკუიქცნენ სირცხვილეულნი".

ისტორიულ წყაროებში ვკითხულობთ, რომ თამაზ **ქობულიშვილი** იყო კანცელარიის მოხელე. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მას გადაუწერია „დასტურმარი" დავით რექტორის ხელნაწერიდან. ის ერთგვარად ედავება ამ უკანასკნელს, რომ სოფლები კახეთს ეკუთვნის და არა ქართლსო.

საქართველოში 657 **ქობულაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 269, მცხეთაში – 258, გარდაბანში – 36. არიან სხვაგანაც.

### ჩალათაშვილი

კახური საგვარეულოა. გვარის ფუძეა მეტსახელი ჩალათა, დაფიქსირებულია შოშიაშვილის სახინჯარში.

საკუთარი სახელიდან ჩალა კი რამდენიმე ქართული გვარია ნაწარმოები, მაგალითად, ჩალაძე. **ჩალაძეთა** წინაპრები სიდამონიძეები ყოფილან. ქართლიდან ბატონს გამოჰქცევიან და პირველად ნაკიეთში დასახლებულან.

კახეთში, კერძოდ კი სიღნაღშია წარმოშობილი გვარი **ჩალაბაშვილი**, აქაც ფუძეა **ჩალა-ბა** და **ძე**.

რაც შეეხება ჩალათას, ხელობა-საქმიანობიდან უნდა იღებდეს სათავეს. წინაპრები, როგორც ჩანს, მშვილდისა და შუბის ბუდეების მკეთებელნი ყოფილან. სულხან-საბა ბრძანებს: „**ჩალათა**, ესე არს მშვილდისა და შუბისა და მისთანათა შთასადებელი, განა წიგნთა და უსტართა შთასადებელი, რომელსა მსოფლიონი ბუდედ უწოდებენ".

საქართველოში 739 **ჩალათაშვილი** ცხოვრობს: გურჯაანში – 417, თბილისში – 136, საგარეჯოში – 70. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

(მე-14 გვერდიდან)

## რა „მუქარა" აუსრულა სევდია უგრეხელიძეს გიგი უგულავამ და ვის არ უკეტავდა ის ღამით სახლის კარს

რმომადგენლებთან, როგორც ამას საქმის საჭიროება მოითხოვდა. შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ საადვოკატო საქმიანობის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. საადვოკატო საქმიანობა ჩემთვის შემოსავლის წყარო ვერ გახდებოდა. ბევრი გაჭირვებული მოდიოდა ჩემთან, ისეთი უცნაური საქმეებით, რა ჰონორარებზე შეიძლებოდა ლაპარაკი? შემდეგ ზვიად ძიძიგურმა შემომთავაზა კონსერვატორების კვოტით საკრებულოს სიებში მოხვედრა, ჯერ წინააღმდეგობას ვუწევდი – არ ვიცი, ეს კანალიზაცია და წყალი, თავი დამანებეთ-მეთქი. მაგრამ მერე მივხვდი, რომ ეს საჭირო იყო.

**– ახალმა რეგალიამ თქვენი ცხოვრება როგორ შეცვალა?**

– უფრო მეტად ვიქნები გარეთ, არამხოლოდ სახლის გარეთ, ამას შეჩვეულები არიან, ახლა უკვე კაბინეტის გარეთ მომიწევს ყოფნა. უნდა გაგრძელდეს ყველა ის პროექტი, რასაც ჩვენ ვაკეთებდით. სახლისთვის უფრო და უფრო ცოტა დრო მრჩება. ოთხი შვილიშვილის ბებია ვარ. ვცდილობ, ამ როლსაც არ მოვწყდე და საღამოობით ჩემს შვილიშვილთან, რომელიც ცხრა თვისაა და ჩემთან ცხოვრობს, 15 წუთი მაინც მქონდეს ურთიერთობა, რომ კარგი ენერგია მივიღო. ჩემი მეუღლე კვლავ დაუბრუნდა კონსერვატორიას, არის პროფესორი, ვოკალის პედაგოგი. მუსიკა ჩვენი ცხოვრების ნაწილია და ჩვენს სახლში ყოველთვის ისმის კლასიკური მუსიკა. უნივერსიტეტის პროფესორია ჩემი ერთი ქალიშვილი, მეორე დიპლომატია და საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს. ჩვენს ოჯახში არის აბსოლუტური დემოკრატია პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით. ჩვენ ძალიან დემოკრატიულ ბანაკში ვცხოვრობთ – ვართ ერთმანეთის ოპონენტებიც. ჩემი მეუღლე ზვიადის ხელისუფლების გარდა არც ერთ ხელისუფლებას არ ცნობდა, მაგრამ ჩემს დიპლომატ ქალიშვილს კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონდა ჩვენი ხელისუფლების მიმართ. ახლა ვიცი, რომ ჩართული ვიქნები ყოველდღიურ რუტინაში. ჩვენ საბჭოთა ადამიანები ვიყავით და მუდმივად სამუშაო რეჟიმში ყოფნას შეჩვეულები ვართ. არ მიყვარს პასიურ რეჟიმში ყოფნა, დილით ადრეც ვდგები და საოჯახო საქმესაც ვახერხებ, საღამოს პატარა შვილიშვილსაც კი ვიტოვებ, თუ სახლში ვარ. თუმცა, არ ვიცი, ამის შემდეგ თუ მექნება დრო ამისთვის, იმდენი პროექტი გვაქვს დასამთავრებელი. თუ საჭირო იქნება, რჩევებსაც ვკითხავ გიგის, მასთან კომუნიკაციას და მეგობრობას ვერავინ ამიკრძალავს. მეგობრობა ისეთი რამ არის, მასზე დრო, მანძილი და სხვა გარემოებები არ მოქმედებს. ამას წინათ პარიზში ვნახე ჩემი ბავშვობის მეგობარი, რომელთანაც 14 წლის ასაკამდე ვმეგობრობდი და მას მერე არ მინახავს. ჩვენი ღირებულებები ამდენი წლების მერეც თანმხვედრი აღმოჩნდა. მეგობრობის ყოველთვის უნდა გჯეროდეს, საიდანაც არ უნდა დაიწყოს ის, თუნდაც პოლიტიკიდან. ჩემთვის არაჩვეულებრივი მეგობარია თბილისის ყოფილი ვიცე-მერი, მამუკა ახვლედიანი. ჩემს წარმოდგენაში ის ახლაც ჩემი ვიცე-მერია.

**– ეს სამუშაო კაბინეტი მან „დაგითმოთ?"**

– არა, ეს ადრე ნიკო ხაჩირაშვილის სამუშაო კაბინეტი იყო. მე არ ვარ ცრუმორწმუნე და არ ვფიქრობ, რომ ამ კაბინეტის კურთხევა იყო საჭირო მისი აქედან გასვლის შემდეგ, რომ მისი აურა ჩემზე არ გადმოსულიყო ***(იცინის).*** ჩემთვის მთავარი სხვა რამ არის – მე ჯერ სევდია უგრეხელიძე ვარ და ყველაფერი დანარჩენი, არის მერე. მთავარი გასაკეთებელი, რაც უნდა გამეკეთებინა, გავაკეთე იქამდე, სანამ ხელისუფლების წევრი გავხდებოდი რომელიმე რანგში. ეს იყო უფლებადაცვითი საქმიანობა, ეროვნული პოლიტპატიმრების დაცვა და ადვოკატობა. მე გავაგრძელე მამის საქმე და ამ მხრივ ვარ ბედნიერი. შემდეგ ამ გზით და არჩევით, მოვხვდი პოლიტიკაში. მაგრამ, ჩემთვის ყველაზე კარგი სტატუსი იყო, საკრებულოს რიგითი წევრის პოსტი და პროექტი „თბილისელების ადვოკატი". მე მიყვარს ჩემი საქმე და ბედნიერი ვარ, რომ ამ პროექტის ფარგლებში ძალიან ბევრ თბილისელს დავეხმარეთ.

**თამუნა სამადაშვილი**

**ავტორ-შემსრულებელი გიგა კვენეტაძე უკვე წლებია, მოსკოვში ცხოვრობს და თავის კარიერას რუსულ შოუ-ბიზნესში განაგრძობს. მართალია, ამ ხნის განმავლობაში ძირითადად დაკავებული იყო როგორც კომპოზიტორი და სიმღერებს სხვა შემსრულებლებისთვის ქმნიდა, მაგრამ, 2013 წელი მის კარიერაში გარდამტეხი აღმოჩდა. როგორც თავად აღნიშნა, უკვე საკუთარი თავისთვისაც მოიცალა და სოლო ალბომზეც დაიწყო მუშაობა.**

# რისი წყალობით დაეშვა ღრუბლებიდან გიგა კვენეტაძე და რა ხდება რომანტიკოსი რეალისტის პირად ცხოვრებაში

**– გიგა, როგორია საახალწლო განწყობა?**

– საახალწლო განწყობა ძალიან კარგია. ახალი წლის მოახლოება მოსკოვში განსაკუთრებულად იგრძნობა: ყველაფერი განათებულია, ლამაზია მთელი ქალაქი და ყველასთვის დადებით განწყობას ქმნის.

**– თუ იგეგმება შენი მონაწილეობა რომელიმე საახალწლო კონცერტში?**

– საახალწლო კონცერტები აქ უკვე დაიწყო და რამდენიმე კონცერტში მივიღე კიდეც მონაწილეობა. დაგეგმილია კიდევ სამი საახალწლო კონცერტი, სადაც ვიმღერებ. უფრო მეტად კორპორაციული კონცერტებია.

**– ახალ პროექტებზე თუ მუშაობ ამ ეტაპზე?**

– დიახ, როგორც ყოველთვის, საქმე ბევრი მაქვს, რაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნო მომენტია. ამჯერად ვმუშაობ ორ სერიოზულ პროექტზე და ერთ-ერთი მონაწილე თვითონაც ვარ. ორი სხვადასხვა მომღერლის ალბომს ვაკეთებთ. იმედი მაქვს, ისეთი გამოვა, როგორი შემართებითაც ვმუშაობთ. ორივე პროექტში სერიოზული ფინანსები იდება და ვნახოთ, რა გამოვა.

**ვიგრძენი, რომ, როგორც კომპოზიტორი, რუსულ შოუ-ბიზნესში ცნობილი გავხდი. ამას ისიც მოწმობს, რომ დღეს უკვე ცნობილი მომღერლები თვითონ მირეკავენ და სიმღერებს მიკვეთენ**

**– კიდევ რით ხარ დაკავებული?**

– ნელ-ნელა დაიწყო ჩემი სოლო კარიერის მომენტები – წინსვლები ნამდვილად არის ამ მხრივ. რუსულენოვან ალბომზე უკვე დავიწყე მუშაობა. სამი სიმღერა მზად მაქვს, ერთ-ერთი რადიო „ვოსტოკზეც” ტრიალებს. ყველაფერი წინ არის. როგორ განვითარდება ჩემი სოლო კარიერის ამბავი, ამას უკვე მომავალი გვიჩვენებს.

**– ჩამოსვლას თუ გეგმავ საქართველოში?**

**ვამბობ, ყველაფერს თავისი დრო აქვს-მეთქი, მაგრამ, ამასობაში დროც გადის**



– დიდი იმედი და სურვილი მაქვს, იანვრის პირველ ნახევარში ჩამოვიდე. დავიმუხტები დადებითი ემოციებით და მერე ისევ წავალ.

**– როგორი იყო შენთვის 2013 წელი?**

– 2013 წელი ჩემთთვის რთული და გარდამტეხი იყო; ასევე, იყო სიახლეების წელიც. ვიგრძენი, რომ, როგორც კომპოზიტორი, რუსულ შოუ-ბიზნესში ცნობილი გავხდი. ამას ისიც მოწმობს, რომ დღეს უკვე ცნობილი მომღერლები თვითონ მირეკავენ და სიმღერებს მიკვეთენ.

**– ანუ, გიგა კვენეტაძე რუსულ შოუ-ბიზნესში, როგორც კომპოზიტორი, მოთხოვნადი გახდა?**

– მოთხოვნადი ნამდვილად გავხდი, თუმცა, მთლად კრუტოი არ ვარ.

**– რა იცი, შეიძლება, 2014 წელს ასე აღარც კი იფიქრო. ახლა, რაც შეეხება პირად ცხოვრებას, რა ხდება, სიახლე რამე ხომ არ არის?**

– სიმართლე გითხრა, პირად ცხოვრებაში სიახლე ნამდვილად არაფერი მაქვს. როგორც ყოველთვის, ლამაზი პეპლები დაფრინავენ, სერიოზული არაფერი. კი ვამბობ, ყველაფერს თავისი დრო აქვს-მეთქი, მაგრამ, ამასობაში დროც გადის.

**– შენი მომავალი მეუღლე მხოლოდ ქართველი გოგონა უნდა იყოს, თუ არ აქვს ამას მნიშვნელობა?**

– ეროვნებას ნამდვილად არ ვანიჭებ მნიშვნელობას, მთავარია, ისეთი ადამიანი ვიპოვო, რომელიც ჩემი ცხოვრების ღირსეული მეგზური იქნება და რთულ მომენტებშიც გვერდით დამიდგება.

**– ამ წლების განმავლობაში, ალბათ, ბევრი რამ გადააფასე შენს ცხოვრებაში.**

– რა თქმა უნდა.. რაც უფრო გემატება ასაკი, მით უფრო იცვლება ფასეულობები. გუშინ თუ რაღაცის გჯეროდა, იმის, შეიძლება, დღესაც გჯეროდეს, მაგრამ, ამ ყველაფერს უფრო სხვანაირად უყურებ. მივხვდი, რომ რეალისტი გავხდი, თუმცა, რომანტიკა მაინც ვერ დავკარგე. ანუ, ღრუბლებიდან დავეშვი და ახლა რეალისტი რომანტიკოსი ვარ. მინდა, ისიც გითხრა, რომანტიკა იმაში მიწყობს ხელს, რომ ჩემი სიმღერები მელოდიური იყოს. მე იმ რეალობას ვწერ, რა რეალობაც ჩემს ცხოვრებაში ყოველდღიურად ხდება.

**– ანუ, შენი სიმღერების მოსმენით იმასაც გავიგებთ, თუ რა ხდება შენს რეალურ სამყაროში?**

– რა თქმა უნდა, ასეა, რეალობასთან არის ყველაფერი დაკავშირებული.

**– სიმღერებში სულ რომ „ტირი?”**

– ესე იგი, „ნე ვეზიოტ ვ ლუბვი.”

**– იმედი მაქვს, მალე, მელოდიურობასთან ერთად, გიგა კვენეტაძის სიმღერები მხიარულიც გახდება, რის მიხედვითაც მსმენელი მიხვდება, რომ მომღერალი ბედნიერი და შეყვარებულია.**

– აუცილებლად. საუბრის დასასრულს, ყველას გილოცავთ შობა-ახალ წელს, ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს ყველასთვის 2014! მიყვარხართ...

**მარიკა ხიდურელი**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# 32 მილიონის ღირებულების ბრილიანტების გამტაცებელი ქართველი დღემდე „ფებეერის“ ძებნილია

### ზღაპრული გამოფენა

1972 წლის 15 დეკემბერს მოსკოვში, ცენტრალური საგამოფენო დარბაზის საექსპოზიციო ნაწილში უნიკალური ბრილიანტებისა და სხვა ძვირფასი ქვებისგან დამზადებული ნაკეთობების გამოფენა გაიხსნა. სულ 150 ნივთი იყო წარმოდგენილი და მაშინდელი შეფასებით 32 მილიონი დოლარი ღირდა, რაც დღესდღეობით, მინიმუმ ექვსჯერ მეტია... საექსპოზიციო დარბაზი, იმ დროისთვის ყველაზე თანამედროვე სასიგნალო მოწყობილობით იყო აღჭურვილი. გარდა ამისა, გამოფენის პერიმეტრს სპეციალური სამხედრო ქვედანაყოფი აკონტროლებდა და ოცდაათი, კარგად აღჭურვილი და მომზადებული ჯარისკაცი თვალმოუხუჭავად დარაჯობდა უძვირფასეს ექსპოზიციას. დახურვამდე ერთი დღით ადრე კი, როდესაც საექსპოზიციო დარბაზში გამოფენის დირექტორი – სტეპან ბერსენევი შევიდა, ადგილზე გაქვავდა. შემდეგ კი ვიტრინებს შორის სირბილი დაიწყო და თან, ყვიროდა: გაგვძარცვეს, გაგვძარცვესო. ბოლოს შუა დარბაზში უგონოდ დაეცა, რადგან ინფარქტმა დაარტყა... იქ მივიდა მაშინდელი გენერალური პროკურორი – რუდენკოც. მცირეხნიანი თათბირის შემდეგ, ამ საქმის გამოძიება უშიშროებამ აიღო ხელში და მას პოდპოლკოვნიკი – ვენიამინ კოლცოვი ჩაუდგა სათავეში. ყველასთვის ნათელი იყო, რომ მძარცველებმა სახურავიდან ჩააღწიეს დარბაზში და იმავე გზით წაიღეს ძვირფასი ექსპოზიცია. თუმცა, რატომ არ ჩაირთო სიგნალიზაცია და რატომ ვერაფერი შენიშნეს შეიარაღებულმა სამხედროებმა, გაუგებარი იყო. თანაც, არსად ჩანდა სამხედროების უფროსი, მაიორი ივან სიდოროვი, რომელსაც დაურეკავს და უთქვამს, ავად ვარ და ვერ მოვალო.

### მაიორი სიდოროვი

პოდპოლკოვნიკმა ვენიამინ კოლცოვმა დაუყოვნებლივ დაიწყო მოქმედება და პირადად დაკითხა გამოფენის ყველა შეიარაღებული მცველი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ყველა მათგანს ღამის 12 საათიდან 2 საათამდე ეძინა.

– ჩვენ სიდოროვი გვაძლევს „პაიოკს” და როგორც ეტყობა, დასაძინებელი წამალი მასში იყო შერეული, – უთხრა კოლცოვს, სიდოროვის მოადგილემ, კაპიტანმა პავლოვმა.

გამოფენის მცველების ლაბორატორიულმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ მათ მოკლევადიანი მოქმედების დასაძინებელი ნივთიერება ჰქონდათ მიღებული. „კაგებეს“ ოპერჯგუფმა გაუჩინარებული მაიორის, ივან სიდოროვის ძებნა დაიწყო. თუმცა, ის თავად გამოცხადდა პოდპოლკოვნიკ კოლცოვთან და უთხრა:

– მე მაიორი სიდოროვი ვარ და აღიარებითი ჩვენებით მოვედი.

– გისმენთ, – უთხრა კოლცოვმა, სიდოროვმა კი გააბოლა და თქვა.

– მე ვარ წუხანდელი ძარცვის თანამონაწილე, მაგრამ ამის გაკეთება მაიძულეს.

– ვინ და როგორ?

– ვინ? – არ ვიცი, ხოლო – როგორ? – ახლავე მოგიყვებით. მე მყავს რვა წლის შვილი – გალიჩკა, რომელიც მეორე კლასში სწავლობს. გუშინ დილით სამსახურის წინ ერთი კაცი დამხვდა, ფხვნილით სავსე პარკი მომცა და მითხრა, რომ ეს ფხვნილი შენს ხელქვეითებს უნდა შეურიო „პაიოკშიო.” მან ისიც დამიკონკრეტა, რომ ჩემი გალიჩკა ჰყავს მოტაცებული და თუ კი მის მითითებებს არ შევასრულებ, ჩემს გოგონას ველარ ვიხილავ. ერთი სიტყვით, იძულებული გავხდი, ასე მოვქცეულიყავი და დღეს, შუადღეზე ჩემი გოგონა მართლაც უვნებელი დამიბრუნეს.



სიდოროვმა, კოლექტივთან ისიც აღიარა, რომ ბოროტმოქმედს სწორედ მან გაუმხილა, თუ როგორ უნდა გამოერთოთ სიგნალიზაცია. ერთი სიტყვით, ჯერჯერობით, ბრალდებული სიდოროვი ერთადერთი მოწმე გახლდათ ბრილიანტების ძარცვის საქმეში და მართალია, ის არ უარყოფდა დანაშაულს, მაგრამ სასჯელის შემსუბუქებას ითხოვდა, რადგან ამბობდა, რომ ეს იყო იძულებითი მოქმედება.

### იმპერატორის ბროში

„კაგებემ“ მთელი თავისი აგენტურული ქსელი ფეხზე დააყენა, რომ ბრილიანტების გამტაცებლების კვალისთვის მიეგნოთ, თუმცა ამაოდ. გაფრთხილებულები იყვნენ აგრეთვე იუველირები და ძვირფასი ქვებით მოვაჭრეები. თითოეულ მათგანს გატაცებული ნივთების სრული ფოტოსია ჰქონდა და ვალდებულები იყვნენ, ნივთის გამოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ეცნობებინათ „კაგებესთვის“.

ძარცვიდან მეჩვიდმეტე დღეს, ლენინგრადელმა იუველირმა, ოსტაპ კუნცმა კოლცოვს მოსკოვში დაურეკა და უთხრა:

– ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ერთი საათის წინ, გატაცებული ნივთი, იმპერატორ ნიკოლოზ მეორის ეგრეთწოდებული „ბრწყინვალების ბროში“ მომიტანეს.

– მერე?

– ხვალ დილით ფულისთვის უნდა მომაკითხოს. მოვილაპარაკეთ, რომ 10 000 მანეთად შევიძენ და ამაზე შევთანხმდით.

ამ საუბრიდან ზუსტად ორსაათ-ნახევარში, პოდპოლკოვნიკი კოლცოვი და მისი ოთხი ხელქვეითი ინკოგნიტოდ ეწვია იუველირ კუნცს. პოდპოლკოვნიკმა ბროში გულდასმით დაათვალიერა და იუველირს უთხრა:

– ხვალამდე თქვენთან დავრჩებით.

მეორე დღეს, დილის 10 საათზე ოსტაპ კუნცის ბინაში „კაგებეს“ თანამშრომლებმა 39 წლის ილარიონ კუკუშკინი დააკავეს, რომელიც ფულის წასაღებად იყო მისული. მას არც წინააღმდეგობა გაუწევია ორგანოს თანამშრომლებისთვის, არც გაქცევა უცდია და გაკვირვებულმა უთხრა მათ:

– რაშია საქმე, მეგობრებო, რა ხდება?

– თქვენ ბრალი გედებათ მსხვილმასშტაბიან ძარცვაში, – უთხრა მას კოლცოვმა და ჰკითხა, – „ბრწყინვალების ბროში“ თქვენთან საიდან მოხვდა?

– საკომისიო მაღაზიაში შევიძინე, 2 400 მანეთად, – მშვიდად მიუგო „კაგებეს“ გაოცებულ პოდპოლკოვნიკს ილარიონ კუკუშკინმა.

– საკომისიოში? – გაიმეორა კოლცოვმა.

– დიახ, საკომისიოში. ერთი კვირის წინ საკომისიოში ძვირფას სამკაულებს ვათვალიერებდი. ამ დროს ჩემთან ახალგაზრდა მამაკაცი მოვიდა და ამ ბროშის ყიდვა შემომთავაზა. მე პროფესიონალი იუველირი არ ვარ, მაგრამ მივხვდი, რომ შემოთავაზებული ძალიან ძვირფასი ნივთი იყო, რომელიც, მინიმუმ, ოთხჯერ ძვირი ღირდა და ამიტომ ვიყიდე, – მიუგო კოლცოვს კუკუშკინმა:.

– ნუთუ არ დაფიქრებულხარ, რომ ეს ნივთი, შესაძლოა, უკანონო გზით ყოფილიყო მოპოვებული და ასე იაფად იმიტომ შემოგთავაზეს?

– სამწუხაროდ, არა, – თქვა კუკუშკინმა, რომელიც ლენინგრადის „კაგებეს“ სამმართველოში წაიყვანეს, იქ დაკითხეს და დარწმუნდნენ, რომ არ ტყუოდა – ძარცვაში ნამდვილად არ ჰქონდა მონაწილეობა მიღებული.

კუკუშკინს ნაძარცვი ნივთის უკანონო შეძენასა და გაყიდვაში დასდეს ბრალი და დროებითი პატიმრობის საკანში ჩასვეს.

ბრილიანტის ბროში სინამდვილეში 110 ათას მანეთად შეაფასეს ექსპერტებმა და ეს ნივთი გატაცებული კოლექციიდან ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული იყო...

### გატაცებული ძვირფასეულობა

ბრილიანტების ძარცვაში იძულებითი მონაწილეობის გამო ივან სიდოროვს, კანონით, მაქსიმუმ სამი წელი ეკუთვნოდა. თუმცა, სასამართლომ მას თხუთმეტწლიანი პატიმრობა მიუსაჯა, თანაც მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში და ისიც იმის მერე, როცა ის ხუთწლიან განსაკუთრებული რეჟიმის სასჯელს მოიხდიდა ციხეში. საბოლოოდ, განაჩენი 1973 წლის 19 აპრილს დადგა. მაიორმა ცოლ-შვილის ნახვის უფლებაც კი არ მისცა და უმაღლესი სასამართლოს შენობიდან პირდაპირ ლეფორტოვის იზოლატორში წაიყვანეს, რომელიც „კაგებეს“ განკარგულებაში იყო. იმ დღეს ძლიერად წვიმდა. საბადრაგო ფურგონი მარცხენა სანაპიროზე, კორჩაგინის ქუჩის გადაკვეთაზე მოულოდნელად მოცურდა, ამობრუნდა და უკაცრიელ, წყლით სავსე ქუჩაზე გასრიალდა... ორიოდე წუთში საბადრაგო მანქანიდან ივან სიდოროვი ამოძვრა, მიიხედ-მოიხედა და ქუჩას ჩქარი ნაბიჯებით გაუყვა. იმავე დღეს სიდოროვი ბენზინის ქუჩაზე მდებარე სამსართულიან სახლში აღმოჩნდა, სადაც ვინმე იოსებ კობახიძე ცხოვრობდა. 41 წლის კობახიძე სიდოროვის დეიდაშვილი იყო და ივანე რომ დაინახა, გაოცებულმა ჰკითხა:

– შენ რა, გამოგიშვეს?

– გამოვიქეცი. სამი წლის ნაცვლად თხუთმეტი მომისაჯეს. გაქცევაში კი ღმერთმა მიშველა. საბადრაგო მანქანა წვიმაში მოცურდა და „ახრანიკები“ დაიხოცნენ თუ გაითიშნენ, ვერ გავარკვიე. ბორკილები მოვიხსენი და გამოვიქეცი. სამი წლით კიდევ ჰო, მაგრამ თხუთმეტი წლით ციხეში ჩაჯდომას არაფრის გამო არ მოვითმენ. როგორც ეტყობა, ღმერთმა შეისმინა ჩემი თხოვნა და გაქცევა მომიწყო.

იოსებ კობახიძემ თავი გააქნია და დეიდაშვილს უთხრა:

– ეჰ, ვანია, ვანია, ძალიან ბევრი და საეჭვო დამთხვევაა. ღმერთმა კი არა, „კაგებემ“ მოგიწყო გაქცევა, რომ ბრილიანტების კვალზე დაგეყენებინა.

კობახიძეს სიტყვა არ ჰქონდა დასრულებული, რომ მის ბინაში „კაგებეს“ ოპერჯგუფი შეიჭრა და ორივე დააპატიმრეს პოდპოლკოვნიკმა ვენიამინ კოლცოვმა ღიმილით თქვა:

– ჩემმა ეჭვებმა გაამართლა, სიდოროვ! თქვენ გაიქეცით. რომ არ გაქცეულიყავით, ყველაფერს ისე მოვაწყობდით, სამ წელიწადს პირობითად მოგცემდნენ და ციხიდან გამოგიშვებდით. სასამართლო პროცესი დადგმული სპექტაკლი იყო, გაქცევა კი – გაგრძელება... ჩემმა გეგმამ გაამართლა. ახლა კი ბრილიანტები გამოაჩინეთ.

იოსებ კობახიძემ კომოდის უჯრიდან ბრილიანტებით სავსე ტყავის ჩანთა ამოიღო და კოლცოვს დაუდო წინ, თავის დეიდაშვილს კი უთხრა:

– სულელი ვარ, რომ არ გავიქეცი. შენისთანა შტერთან არ უნდა დამეჭირა საქმე და ასე არ გავებმებოდი...

ბრილიანტები მხოლოდ დეიდაშვილებმა გაიტაცეს. მათ 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა მისცეს, რომელიც ბოლომდე მოიხადეს. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში კი კობახიძე ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემართა და ბრილიანტის ნაკეთობათა მაღაზიის გაძარცვისთვის დღემდე „ფებეერის“ ძებნილია...

**ნიკა ლაშაური**

# რა ვერ გაიყო ორმა ქალმა ერთი კაცისგან და როგორ აქცია ქმარმა ყოფილი ცოლი მკვლელად

35 წლის მაკა ჩ-ძე სამართალდამცველებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს საკუთარ სახლში. ორი მცირეწლოვანი შვილის დედა, რომელიც მძიმე დანაშაულში იყო ექვმიტანილი, ოპერატიული სამსახურის წარმომადგენლებს



მშვიდად ელოდა, უფრო მეტიც, დაკავებისთანავე განაცხადა, რომ დამნაშავე იყო და საკუთარი ფეხით აპირებდა პოლიციაში გამოცხადებას მას შემდეგ, რაც შვილებს ბებიასთან გაისტუმრებდა.

გამოძიების მასალებით, მაკა ჩ-ძე მძიმე დანაშაულში – ახალგაზრდა ქალის მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი. ოპერატიული ინფორმაცია 30 წლის ნინო ვ-შვილის მკვლელობის შესახებ პოლიციის განყოფილებაში შემთხვევის ადგილიდან შევიდა. მკვლელობის ადგილზე მისულ სამართალდამცველებს ახალგაზრდა ქალი უკვე გარდაცვლილი დახვდათ – სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ქალის გარდაცვალების მიზეზი თავის მძიმე ტრავმა აღმოჩნდა, რაც მან რკინის კიბეზე დაგორების შედეგად მიიღო. ინციდენტს, რომელიც გარდაცვლილის საცხოვრებელ ბინაში მოხდა, ჰყავდა ორი თვითმხილველი – გარდაცვლილის და და ბიძაშვილი, რომლებმაც გამოძიებას პირველი ინფორმაცია მიაწოდეს.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. პირველადი მოკვლევით ცნობილი გახდა, რომ ნინო ვ-შვილს დაზიანება მიაყენა მაკა ჩ-ძემ. რა გახდა ორ ქალს შორის ფიზიკური დაპირისპირების მიზეზი, ეს გამოძიებისთვის გარდაცვლილის ოჯახის წევრების დაკითხვის შემდეგ გაირკვა. როგორც მათ განაცხადეს, ნინო ვ-შვილი მაკა ჩ-ძის ყოფილი ქმრის მეუღლე იყო. ახალგაზრდა ქალები წლების წინ ერთად მუშაობდნენ. მათი ახლობლები იმასაც ამბობდნენ, რომ მაკამ თანამშრომელს თავად გააცნო საკუთარი ქმარი, რომელმაც ნინო ვ-შვილთან ფარულად წამოიწყო რომანი, ექვსი თვის შემდეგ კი ის ცოლად მოიყვანა. ამას ყოფილ მეგობრებსა და თანამშრომლებს შორის დიდი დაპირისპირება მოჰყვა, მაგრამ, 41 წლის კახა ა-იანმა ყოფილ ცოლს განუცხადა, რომ ოჯახში დაბრუნებას აღარ აპირებდა და ცოლად ნინო ვ-შვილი შეირთო.

ამონაწერი მოწმის, მანანა ვ-შვილის ჩვენებიდან:" „მას შემდეგ, რაც კახამ ჩემი ბიძაშვილი შეირთო ცოლად, მაკა რამდენჯერმე მოგვივარდა სახლში და ნინოს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, ამისთვის პასუხი არ მოგვითხოვია, მაგრამ, ინციდენტამდე ორი კვირით ადრე ურთიერთობა უფრო დაიძაბა: მაკამ ნინოს დაურეკა და უთხრა, ჩემმა ქმარმა ოქროს სამკაულები მომპარა და, სანამ პოლიციაში წავალ და ამის შესახებ განვაცხადებ, უკან დამიბრუნეო. ამ თემაზე მეც გავესაუბრე კახას, რომელმაც მითხრა, რომ სამკაულები არ მოუპარავს და მაკა შანტაჟს უწყობდა. უფრო მეტიც, კახა თვითონ დაუკავშირდა ყოფილ ცოლს და უთხრა: მე არაფერი მომიპარავს, წადი და მიჩივლეო. იმ დღეს, როცა მკვლელობა მოხდა, მეც ნინოსთან ვიყავი სახლში. დღის თორმეტი საათი იქნებოდა, ეზოს კარი რომ გაიღო და მაკა შემოვარდა. ნინო და მისი და მეორე სართულზე იყვნენ, მე კი ეზოში დავხვდი და ვუთხარი, ეზოში ნუ იყვირებ, სახლში შედი-მეთქი. მაკა მეორე სართულზე ავიდა. ჩვენს სახლს რკინის კიბეები აქვს, ძალიან მძიმე კიბეა, ძველისძველი. სწორედ ამ კიბეზე დააგორა მაკამ ნინო, თუმცა, მანამდე მათ შორის ჩხუბი მოხდა. მაკამ ნინოს მოსთხოვა ოქროს სამკაულების დაბრუნება. ამის გამო ისინი შელაპარაკდნენ და ჩხუბი კიბის თავზე გაგრძელდა. მე ქვემოთ ვიდექი, კიბის ბაქანზე კი მაკა, ნინო და ნინოს და, ლელა იდგნენ. მოულოდნელად მაკამ ნინოს ხელი ჰკრა და ნინო კიბეზე დაგორდა. მე მის დასახმარებლად გავიქეცი, მაგრამ, სანამ კიბეს მივუახლოვდი, ის ძირს დაეცა და კეფა რკინის მოაჯირსა და საფეხურს დაარტყა. როცა ახლოს მივედი, მას გონება ჰქონდა დაკარგული. მაშინვე სასწრაფო-სამედიცინო სამსახურის ბრიგადა გამოვიძახეთ. მეზობლებმა პოლიციაში დარეკეს. ინციდენტიდან ძალიან მალე სახლში კახაც დაბრუნდა, რომელმაც მომხდარი ტრადგედია ძალიან მძიმედ გადაიტანა."

გამოძიების მასალებისა და დაკავებულის აღიარების მიხედვით, მაკა ჩ-ძე ნინო ვ-შვილის ბინაში ოქროს სამკაულების მოთხოვნის მიზნით მივიდა და ქალის მოკვლა მას განზარხული არ ჰქონია. „ნინოს მიმართ საშინელი აგრესია მქონდა, მაგრამ, მისი მოკვლა ნამდვილად არ მქონია მიზნად. როცა სახლში აღმოვაჩინე, რომ ნივთები მოპარული იყო, ჯერ კახას დავურეკე, მერე ნინოს და ამ ნივთების დაბრუნება მოვითხოვე. ორივემ, ცინიკურად, შანტაჟისტი და მატყუარა მეძახა. იმ დღეს ნინოსთან ამ თემაზე სასაუბროდ მივედი. საუბრის შემდეგ ძალიან ავღელდი. კიბის ბაქანზე ვიდექით, როცა ნინომ მითხრა: შენზე უკეთესი რომ ვიყავი, იმიტომ გააკეთა შენმა ქმარმა ჩემზე არჩევანიო. ამ სიტყვებმა ისე იმოქმედა, რომ ინსტინქტურად დავარტყი ხელი. ის, როგორც მერე აღვიდგინე, კიბის საფეხურზე მოუხერხებლად იდგა. არ მახსოვს დეტალები, როგორ დაგორდა ის კიბეზე. თითქოს თვალთ დამიბნელდა, ქალის კივილზე გამოვფხიზლდი და იქაურობას გავერიდე," – განაცხდა დაკავებულმა მაკა ჩ-ძემ.

მკვლელობის საქმის პარალელურად, მაკა ჩ-ძის ჩვენების საფუძველზე, სამართალდამცველებმა ოქროს სამკაულების ქურდობის ფაქტზე დაიწყეს მოკვლევა. როგორც სამძებრო ღონისძიებების შედეგად გახდა ცნობილი, მაკა ჩ-ძემ ნამდვილად დაკარგა სამკაულები, რომლებიც, სავარაუდოდ, მისმა ყოფილმა ქმარმა მოიპარა. კახა ა-იანი თავიდან უარყოფდა ჩადენილ ქურდობას, მაგრამ, მას შემდეგ, რაც მაკა ჩ-ძის კუთვნილი ოქროს ბეჭედი კახა ა-იანის ახლობლის ბინაში იქნა აღმოჩენილი, მამაკაცი იძულებული გახდა, ქურდობის ფაქტი ეღიარებინა. ამის შემდეგ გამოძიებამ ის ნივთებიც ამოიღო, რომელთა გაყიდვაც ყოფილ ქმარს უკვე მოესწრო. როგორც მისი აღიარებითი ჩვენებიდან გახდა ცნობილი, კახა ა-იანმა ყოფილი მეუღლის ბინაში მასთან დაშორების შემდეგ, მალულად შეაღწია თავისი გასაღებით. ვალი მქონდა დასაბრუნებელი და ეს ნივთები იმიტომ გავყიდეო, განაცხდა გამოძიებასთან ბრალდებულმა. ქურდმა ქმარმა ერთი ცოლი დამნაშავედ აქცია, მეორე კი – დანაშაულის მსხვერპლად.

## ქურდმა ქმარმა ერთი ცოლი დამნაშავედ აქცია, მეორე კი – დანაშაულის მსხვერპლად

სასამართლო პროცესზე ყოფილი ცოლ-ქმარი ერთდროულად წარდგა ბრალდებულის როლში. სასაამრთლომ გაითვალისწინა მაკა ჩ-ძის მიერ ჩადენილი ქმედების დეტალები, ის, რომ ქალს ნინო ვ-შვილის მოკვლა განზრახული არ ჰქონია და მან შემთხვევით მოკლა ადამიანი. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მაკა ჩ-ძე ორი მცირეწლოვანი ბავშვის დედა იყო და მას 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ასევე, ექვსწლიანი პატიმრობა შეეფარდა მის ყოფილ ქმარს – კახა ა-იანს, რომელსაც სასჯელის მოხდა ყოფილი მეუღლის კუთვნილი ნივთების ქურდობისა და ნაქურდალის რეალიზაციისთვის მოუწევს.

**ეკა ბარაბაძე**

# რა მოხდა ამ დღეს

### 30 დეკემბერი

1887 – ინგლისელმა ქალბატონებმა დედოფალ ვიქტორიას მიმართეს ოფიციალური პეტიციით – კვირაობით დაეკეტათ ყველა ბორდელი. პეტიციას ხელს აწერდა 900 000-ზე მეტი ქალი.

1991 – ჩინეთში დაემხო მონარქია და გამოცხადდა რესპუბლიკა. პირველი პრეზიდენტი გახდა სუნ იატსენი.

### 31 დეკემბერი

1857 – ქალაქი ოტავა გახდა კანადის დედაქალაქი.

1935 – ჩარლ დაროუმ დააპატენტა ეკონომიკური თამაში „მონოპოლია".

1999 – ბორის ელცინი გადადგა რუსეთის პრეზიდენტის პოსტიდან.

### 1 იანვარი

ძველი წელთაღრიცხვით 46 – გაიუს იულიუს კეისრის რეფორმით, ახალი წლის დაწყების აღნიშვნა რომაელებმა 1 იანვარს დაიწყეს.

1800 – დიდმა ბრიტანეთმა გააუქმა ირლანდიის ავტონომია.

1801 – იტალიელმა ასტრონომმა პალერმო პიაციმ აღმოაჩინა ყველაზე დიდი ასტეროიდი – ცერერა.

1881 – ცნობილი მოთხრობის მიხედვით, ამ დღეს ექიმმა ჯონ უოტსონმა გაიცნო კერძო დეტექტივი შერლოკ ჰოლმსი.

1925 – ნორვეგიის დედაქალაქს გადაერქვა სახელი – ქრისტიანიის ნაცვლად ეწოდა ოსლო.

### 2 იანვარი

1769 – გაიხსნა ლონდონის სამხატვრო აკადემია, რომლის პირველი რექტორი გახდა გამოჩენილი მხატვარი ჯოშუა რეინოლდსი.

1839 – ლუი დაგერმა გადაიღო მთვარის პირველი ფოტოსურათი.

1944 – მოხდა ვერტმფრენების პირველი გამოყენება ბრძოლაში.

### 3 იანვარი

1803 – ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვერმონტში, გარდაიცვალა ვინმე ჯონ ბარნსი, რომელსაც თავისმა ქვრივმა საფლავის ქვაზე ასეთი წარწერა გაუკეთა: „ჩემი ქმრის ხსოვნას – მისი სიცოცხლით სავსე, მშვენიერი, 23 წლის უნუგეშო ქვრივი, რომელსაც აქვს მოზრდილი სახლი და კარგი დიასახლისის ყველა თვისება".

1882 – ამერიკაში ჩასულმა ოსკარ უაილდმა, მებაჟის მოთხოვნას, წარმოედგინა საბუთები და ბარგი, უპასუხა: „მე არაფერი გამაჩნია, გარდა გენიისა!"

1888 – ვაშინგტონელმა სტოუნმა დააპატენტა წვენებისა და კოქტეილების დასალევი მილაკი.

1962 – რომის პაპმა ანათემას გადასცა ფიდელ კასტრო.

### 4 იანვარი

1896 – იუტა, მას შემდეგ, რაც იქ მცხოვრებმა მორმონებმა უარი თქვეს მრავალცოლიანობაზე, ოფიციალურად გახდა ამერიკის 45-ე შტატი.

1943 – ამერიკულმა ჟურნალმა „თაიმმა" წლის ადამიანად იოსებ სტალინი დაასახელა.

1961 – კოპენჰაგენში დასრულდა მსოფლიოში ყველაზე უფრო ხანგრძლივი გაფიცვა: ადგილობრივი პარიკმახერები გაფიცულები იყვნენ 1928 წლიდან!

### 5 იანვარი

1825 – ფრანგ მწერალს, ალექსანდრ დიუმას, კურიოზი შეემთხვა – დუელზე ფარიკაობისას შარვალი ჩასძვრა.

1875 – გაიხსნა პარიზის „გრანდ ოპერა"

1919 – გერმანიაში ანტონ რექსლერმა და კარლ ჰარერმა დააარსეს გერმანიის მუშათა პარტია, რომელსაც შემდეგ ნაციონალ-სოციალისტური (ნაცისტური) მუშათა პარტია ეწოდა.

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: რა არის საჭირო იმისთვის, რომ ძაღლმა ხანგრძლივად და ჯანმრთელად იცხოვროს?**

**პასუხი:** იმისათვის, რომ თქვენმა ძაღლმა ხანგრძლივად და ჯანრთელად იცხოვროს, უკვე მოზრდილ ასაკში ის ყოველ 6 თვეში ერთხელ უნდა მიიყვანოთ ვეტერინართან. ეს უზრუნველყოფს ისეთი დაავადებების დროულ დიაგნოსტირებას, რაც დამახასიათებელია მისი ასაკისთვის. ასეთი დაავადებების ჯგუფს განეკუთვნება: გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებები, გამრავლების სისტემის დაავადებები და სხვადასხვა ონკოლოგიური პროცესების განვითარება. ექიმთან მისვლამდე აუცილებლად უნდა მიაქციოს პატრონმა ყურადღება ძაღლის მდგომარეობას, რადგან, ზემოთ ჩამოთვლილი პათოლოგიები ხასიათდება მკვეთრად გამოხატული სიმპტომებით: თუ ცხოველს კიბეზე ასვლისას ან ხანგრძლივი სეირნობისას აღენიშნება ქოშინი, ხანდახან წამოახველებს და ულურჯდება ენა, ეს მიუთითებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავდებებზე. ამ დროს აუცილებელია ვეტერინართან ვიზიტი, რადგან, აღნიშნული სიმპტომებით მიმდინარეობს გულის ბევრი დაავადება, მაგალითად, გულის სარქველოვანი აპარატის ენდოკარდიოზები, სხვადასხვა კარდიომიოპათია, გულის კუნთის გადაგვარება. უმრავლესობა აღნიშნული პათოლოგიებისა განეკუთვნება შეუქცევად პროცესებს და საჭიროებს მუდმივ მედიკამენტურ მკურნალობას, რაც კორექტირებას უკეთებს გულის მუშაობას და ამცირებს დაავადების განვითარების ინტენსიურობას. კოჭლობის გამოვლინებისას, კიდურების სისუსტის დროს ან ბარბაცით სიარულისას, ადგილი აქვს საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პათოლოგიებს და საჭიროა ვეტერინართან ვიზიტი, რომელიც დასვამს დიაგნოზს, თუ რისი ბრალია აღნიშნული პრობლემა და დანიშნავს სათანადო მკურნალობას.

**კითხვა: როგორც ვიცი, ზამთრის დადგომასთან ერთად, სასურველია, რომ ძაღლს მეტად ცხიმიანი საკვები მივცეთ, მაგრამ, იმ შემთხვევაში რა უნდა ვქნათ, თუ ცხოველის ორგანიზმი ამას ვერ ეგუება?**

**პასუხი:** თუ ცხოველის ორგანიზმი დამატებით ცხიმს ვერ ეგუება, ამ შემთხვევაში, რაციონში გაუზარდეთ არა ცხიმის, არამედ, მთლიანი ულუფა. მაგალითად, თუ აჭმევდით დღეში ორჯერ და ნახევარ კილოგრამს, ზამთარში უნდა აჭამოთ 3-ჯერ და 700 გრამი. თუ ცხოველი სახლში გყავთ და გარემოსთან მისი კონტაქტი მხოლოდ სეირნობის დროს ხდება, ამ შემთხვევაში, ცხიმის გაზრდა საკვებში აუცილებელი არ არის. რაც შეეხება კვების სიხშირეს, ეს უკვე ძაღლის ჯიშზეა დამოკიდებული. თუ დიდი ჯიშის ძაღლი, მაგალითად, კავკასიური ნაგაზი, დღეში ერთხელ ან ორ დღეში ერთხელ ჭამს, ზამთარში მას უკვე დღეში



**რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი**

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
>
> **ჯეიმს დუგლასი**

ორჯერ სჭირდება გამოკვება, რადგან, საკუთარი სხეულის გასათბობად ის გაცილებით მეტ ენერგიას ხარჯავს. თუ ხორცის მიცემა გინდათ, მაშინ, აუცილებელია, 10-15 წუთი მაინც ადუღოთ, მეტი საჭირო არაა, რადგან, მერე უკვე ვიტამინები იშლება. ცხელი საკვების მიღება ძაღლისთვის სასურველი არ არის, ის დაახლოებით 20 გრადუსამდე უნდა იყოს გამთბარი.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



**რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე**

> **ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**
>
> **გოეთე**

**კითხვა: რა სიხშირით მოვრწყა საგოვანა?**

**პასუხი:** ოთახის ნორმალურ ტემპერატურაზე ამ მცენარის მიწა ტენიანი უნდა იყოს, მაგრამ, არა წყლით გაჟღენთილი. ზამთარში, ტემპერატურის დაცემისას, შედარებით იშვიათად მორწყეთ. გაზაფხულიდან ზაფხულის ბოლომდე კი ორ კვირაში ერთხელ ბალანსირებული თხევადი სასუქი მიაწოდეთ. საგოვანა უძლებს დაბალ ტემპერატურას, არარეგულარულ მორწყვასა და მშრალ ჰაერს, მაგრამ სითბო, რეგულარული მორწყვა, განოყიერება და სინათლე მცენარეს ახალ ფოთლებსა და სიჯანსაღეს შეჰმატებს. ზომიერ კლიმატში შეგიძლიათ, ზაფხულობით გარეთ გადგათ.

**კითხვა: როგორ მოვუარო კალიზიას?**

**პასუხი:** მას კაშკაშა სინათლე სჭირდება და საუკეთესოა ოთახის ნორმალური ტემპერატურა 18-24 გრადუსი იყოს. მცენარის აქტიური ზრდის პერიოდში საჭიროა ტენიანი მიწა, ხოლო ზამთარში მორწყვიდან მორწყვამდე მიწას შეშრობა აცადეთ. ნიადაგი ორ კვირაში ერთხელ გაზავებული ბალანსირებული თხევადი სასუქით გაანოყიერეთ. თუ მცენარე ძალიან გაიბადრა, თამამად გაკრიჭეთ. ეს ხელს შეუწყობს ახალი ყლორტების ამოყრას. წაჭრილი ღეროები მალე გაიდგამს ფესვებს და ნესტიან მიწაში ჩაარჭობთ.

**კითხვა: ჩემს დიფენბახიას ფოთლების წვეროები გაუყავისფრდა, ხომ ვერ ამიხსნით, რის ბრალია?**

**პასუხი:** ფოთლების წვეროების გაყავისფრება წყლის ნაკლებობის ან ჰაერის სიმშრალის ნიშანია. ქოთანი სველკენჭებიან ლანგარზე დადგით. არ დაგავიწყდეთ, რომ მისი წვენი შხამიანია. ამიტომ, ფრთხილად იყავით, განსაკუთრებით, ძველი ფოთლების მოშორებისას. ზრდის პერიოდში მისი მიწა მუდამ ტენიანი უნდა იყოს. კაშკაშა, გაბნეული შუქი დიფენბახიას ფოთლებს სიჭრელეს შეუნარჩუნებს. ზაფხულში სიცხეს მოარიდეთ.

**კითხვა: მაინტერესებს, ეუფრობიას მოვლის პირობები და პრეტეზიულია თუ არა ის?**

**პასუხი:** ეს მცენარე რთული მოსავლელი არ არის, თუმცა, რაც უფრო დიდ სივრცეს გაიმეტებთ მისთვის, ესიამოვნება და უფრო შთამბეჭდავი გახდება. მთელი წელი კარგი განათება სჭირდება. ზამთარში ყველაზე მზიან ადგილას გაიტანეთ. ჰყოფნის ოთახის ტემპერატურა, მაგრამ სიცხესაც აიტანს. ზამთრის მინიმალური ტემპერატურაა 10-11 გრადუსი. ზაფხულობით იშვიათად მორწყეთ, ზამთარში კი, მხოლოდ იმდენი წყალი დაასხით, რომ მიწა მთლიანად არ გამოშრეს. ზაფხულში თვეში ერთხელ მორწყეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. კარგი იქნება, თუ ეუფრობიას ზამთრის ბაღში, ან სამხრეთის ფანჯარაზე ამყოფებთ.

**კითხვა: როგორ მოვუაროთ აბუტილონს და ხშირად მოვრწყათ თუ არა ის?**

**პასუხი:** თბილ გარემოში მიწა ტენიანი უნდა იყოს, ხოლო ზამთარში, როცა შედარებით ცივა, მორწყვიდან მორწყვამდე შეშრობა დააცადეთ. აქტიური ზრდის პერიოდში, ნიადაგი ორ კვირაში ერთხელ თხევადი, ბალანსირებული სასუქით გაანოყიერეთ. ზამთარში დამატებითი კვება არ სჭირდება. ძალიან რომ არ გაიზარდოს, აბუტილონი გაზაფხულზე უნდა გასხლათ. თუ წვეროებს წააჭრით, ბუჩქს დაემსგავსება, თუმცა შეიძლება, გვიან აყვავდეს. ზაფხულში აქტიური ზრდის პერიოდი აქვს. ამიტომ, შემოდგომის დასაწყისში შეიძლება ხელახლა დასჭირდეს გასხვლა.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

კითხვა: **ჩემს ავტომობილს „ენ" და „ერ" რიჩაგის ჩაგდებისას პატარა ხმა აქვს, თითქოს დგაფუნებს. რამდენად სახიფათოა ეს, როგორ შეიძლება ამ გაუმართაობის გამოსწორება? საერთოდ რა სიხშირით გამოვცვალო ზეთი კოლოფში, როგორ უნდა დადგინდეს გამოსაცვლელია თუ არა ის?**

პასუხი: პოზიციებში გატანისას, თუ ხმა აქვს და იმავდროულად, ალბათ, ბიძგიც იგრძნობა ძარაზე, მაშინ, აქ უკვე ტრანსმისიის გაუმართაობასთან გვაქვს საქმე. თუმცა, კონკრეტულად რა პრობლემაა ცოტა ძნელი სათქმელია. უმჯობესია, ხელოსანს აჩვენოთ. რაც შეეხება კოლოფში ზეთის შეცვლას, ის გარკვეული გარბენის შემდეგ უნდა შეცვალოთ – დაახლოებით, ყოველ 50 000 კილომეტრზეა საჭირო. რა მდგომარეობაშია დონე ამის დადგენაც არ არის რთული, ადვილად შესამჩნევია რადგან ავტომატური კოლოფი სიჩქარეების გადართვას აგვიანებს, ანუ, სიჩქარეებს დიდი ინტერვალებით რთავს. გარდა ამისა, შესაძლებელია შუქზეც ნახოთ, თუ რა მდგომარეობაშია ზეთი.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

კითხვა: **მსურს, შევიძინო „ნისან ალტიმა". გთხოვთ, დამიხასიათოთ მისი ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები, საწვავის ხარჯი, გამძლეობა და რაც მთავარია, შეეგუება თუ არა ის ჩვენი გზების პირობებს. მაინტერესებს ისიც, რა ღირს „ნისან ალტიმას" ახალი და მეორადი მოდელები?**

პასუხი: თქვენ, ალბათ, „ნისან ალტიმას" უკვე მესამე თაობის მოდელს გულისხმობთ, რომელიც 2002 წლიდან გამოდის. ეს გახლავთ საშუალო კლასის „სედანი", რომელიც სახელდება „ჰონდა აკორდის", „ტოიოტა ქამრისა" და „პასატის" კონკურენტად. „ალტიმა" საკმაოდ კარგი ავტომობილია, რომლის წარმოება ამერიკაში მხოლოდ ამერიკის ბაზრისთვის ხდება. თუმცა, აქვე დავძენ, რომ მისი შეძენა ჩვენს პირობებშიც გამართლებულია. მისი ტექნიკური მახასიათებლებია: არსებობს „ალტიმას" 2 ტიპის ძრავა – 2.5-ლიტრიანი, ოთხცილინდრიანი და 3.5-ლიტრიანი – ექვსცილინდრიანი. გადაცემათა კოლოფი, როგორც მექანიკური, ასევე ავტომატურიცაა. ორივე ძრავა საკმაოდ მძლავრი და განსაკუთრებით ეკონომიურია. 2.5-ლიტრიანის წვა ქალაქის პირობებში 10-11 ლიტრია და 3.5-ლიტრიანი ძრავის წვა – 12-13 ლიტრი. „ნისანი" 92-ოქტანიან ბენზინზე მუშაობს, რაც ძალიან დიდი პლუსია ეკონიმიის მიზნით. ამ ოქტანობის საწვავი ყველაზე იაფია ქართულ ბაზარზე. ეს მოდელები კარგი გამძლეობით ხასიათდება, უსაფრთხოებაც მაღალ დონეზეა. ყველა კომპლექტაციაში წარმოდგენილია თანამედროვე მართვის უსაფრთხოების ელექტრონული სისტემები, როგორიცაა: „აბეესი", მოცურების საწინააღმდეგო და სხვა. სულ ახალი, 2009 წლის მოდელის ფასი მერყეობს 19-26 ათასი დოლარის ფარგლებში (კომპლექტაციის მიხედვით), ხოლო ნახმარის (2002-2008) შეძენა შეგიძლიათ, 8-17 ათასი დოლარის ფარგლებში.

კითხვა: **მყავს ავტომობილი „ფორდ მონდეო". როგორ შეიძლება, გამოსწორდეს ავტომატურ კოლოფთან დაკავშირებული პრობლემები?**

პასუხი: გააჩნია, კონკრეტულად, რა პრობლემები აქვს კოლოფს. აჩვენეთ ხელოსანს და გეტყვით. თუმცა, აქვე დავძენ, რომ „მონდეოს" გადაცემათა ავტომატური კოლოფი საკმაოდ სუსტია და ხშირად გამოდის მწყობრიდან. ძირითადად, მისი რემონტი საკმაოდ ძვირი ჯდება, რის გამოც მძღოლები, ხშირ შემთხვევაში, მექანიკურ კოლოფებს აყენებენ მასზე, ანუ საერთოდ ცვლიან.

კითხვა: **ახლახან შევიძინე მართვის ავტომატური კოლოფით აღჭურვილი ავტომობილი. თითქოს, სველ აღმართზე მას უფრო უჭირს ასვლა, ვიდრე მექანიკური კოლოფით აღჭურვილ მანქანას, მიუხედავად იმისა, რომ წინა მანქანა მსუბუქი იყო და ეს კი „ჯიპია". ეს, ზოგადად, „ავტომატიკების" პრობლემა ხომ არ არის?**

პასუხი: პირიქით. სველ აღმართზე მართვის ავტომატური კოლოფით აღჭურვილი ავტომობილი, გაცილებით იოლად და უკეთესად ადის, ვიდრე მექანიკა. ის უფრო ადვილად პოულობს მოდების წერტილს, რომელიც იდეალურია იმ კონკრეტული მონაკვეთისა და გზის საფარისთვის და ამასთანავე, ძალიან ნაზად იძვრება – ისე, რომ ავტომობილი არც ბუქსაობს და არც წვალდება. მექანიკურზე კი, ამისგან განსხვავებით, ყველაფერი ჩვენს ფეხსა და შეგრძნებებზეა დამოკიდებული. თუ გაზი, განსაკუთრებით, სველ აღმართზე ოდნავ მეტი მოგივიდათ, ავტომობილი ბუქსაობას იწყებს და ვერ იძვრება.

კითხვა: **შესაძლებელია თუ არა საწვავის ჩასხმა დაქოქილ ავტომობილში. განსაკუთრებით ეს ზამთარშია აქტუალური, როცა მანქანა ჩაქრება თუ არა, სალონში სიცივეა. აზიანებს თუ არა ეს რაიმე დეტალს?**

პასუხი: თუ მანქანა გამართულია, არ აქვს რაიმე პრობლემა, მაშინ დაქოქილ ავტომობილში საწვავის ჩასხმა შეიძლება, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მანქანას პრობლემები მანამ აქვს, სანამ ამას თქვენ შეამჩნევთ და ამიტომ, რისკის გაწევა არ ღირს. ყველაფერს თავისი წესი აქვს და კარგია თუ არა, წესს უნდა დამორჩილდეთ. გაზით გასამართ სადგურზე მძღოლს და მგზავრებსაც კი, ჩამოსვამენ ხოლმე ავტომობილიდან. ჩასხმისას ავზიდან საწვავის ორთქლი ამოედინება და მისი აალება უფრო მეტად მაღალ ტემპერატურაზეა საშიში. განსაკუთრებით საშიშია სამგზავრო მიკროავტობუსები და ტვირთამწეები, რომელთაც სავალდებულო ტესტირება არ უტარდებათ და ძალიან დიდი ალბათობაა, დაზიანებული ჰქონდეთ მაყუჩი. სწორედ იქ ხდება ცეცხლის ალის გამოსროლა და ნაპერწკალის წარმომშობი სხვა გაუმართაობები. რაც შეეხება დეტალების დაზიანებას, ამის საფრთხე ნამდვილად არ არსებობს.

> **ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
>
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
>
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
>
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
>
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
>
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

კითხვა: **რამ შეიძლება, გამოიწვიოს ახალგამოცვლილი სამუხრუჭე ხუნდების წრიპინი. მთელი დღის განმავლობაში ეს ხმა აქვს და სულ მგონია, არ დაამუხრუჭებს. უხარისხო ხუნდები დავაყენე თუ თვითონ სამუხრუჭე სისტემაში დაზიანდა რამე?**

პასუხი: თუკი ხუნდები შეცვალეთ და ის აწივლდა, ნიშნავს, რომ ნაკლებად ხარისხიანია. ხუნდები არ უნდა ხმაურობდეს; იოლად არ უნდა ცხელდებოდეს და კარგად უნდა იჭერდეს. თუ ამ სამიდან რომელიმე დარღვეულია, ეს ნიშნავს, რომ უკვე პრობლემები გაქვთ. ყველაზე მნიშვნელოვანი და ყურადსაღები, რა თქმა უნდა, მესამე მონაცემია. თუ ხუნდები არ იჭერს, ის სასწრაფოდ გამოსაცვლელია. მეორეა, რომ ხუნდები არ უნდა ხურდებოდეს. ასე რომ, თუ თქვენი ხუნდები პირველ ორ თვისებას აკმაყოფილებს, მაშინ მისი მოხმარება შეგიძლიათ. მაგრამ, რადგან წივილის ხმას გამოსცემს, სათუოა, რომ სხვა დანარჩენ ფუნქციასაც კარგად ასრულებდეს. თუმცა, არსებობს ხუნდები, რომელიც არ ხმაურობს, მაგრამ მთელ სისტემას ჭამს, ყველაფერს ცვეთს. ამიტომ, შეიძინეთ ნორმალური, ცნობილი ბრენდის ხუნდები.

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

ცნობილი გაფრინდაული; კაცის სლავური სახელი; მოთხრობაში გადაიჩეხა; მცენარის სხვაგან გადატანა / მოსკოვის მდინარე; 1

მაუგლის პითონი; იტაალი ლიტ.მიმინარ. მე-19 ს; მელვინეთ-უხუცესი; ცნობილი ურიელი; ხელოსანთა კავშირი ძველად; ცხენის სვლის სახეობა

აფთიაქების ქსელი; 8; წვიმისაგან თავდასაცავი; 3

პაუზა; კვიპროსის ქალაქი; პირველი მფრინავი; იაპონური თაიგული; ქიმიური ელემენტი; ლექსის ნაწილი

(.......) სოხაძე; „(........) ტატანო, გულწამტანო“; ღრუტუნა; შრომა / სულის გამოძახება

პირველი პირი; აზერბაიჯანის ქალაქი; ტბა სამხრ. ამერიკაში

1555 წლის ზავის ქალაქი თურქეთში; პატარძლის თავსაბურავი; (......) კაპრიო; ასეთი მინა აქვს მანქანას; ბუხარის "შეფი" ძველად; ფლანდრიელი მხატვარი; ბავშვის კანფეტი; ფრანგი კინომსახიობი ქალი; პატარა გამფინარე წყალი

ქალაქი ინგლისში; მეოთხე ნოტი

უფროსი ოფიცერი; (.......) გურგულია; ურჩხული; ელიტის მონა

ნამუსი; 2; ადამიანის შემქმნელი

ფრიდონის მეორე სახელი / იაპონური თამაში

„კრემი“ ქართულად; ქალის ერთეული; ასასვლელი

ადვილი; ადამის შვილი




მსახიობ დიტრიხს ერქვა; დავთარი; დიდი ვივიენი; (.......) პრესლი; წვერის სალესავი

ეს ყველაზე მეტად ჩვილი ბავშვისთვის არის საჭირო

კალმანის ოპერეტა; ტყის სახეობა ციმბირის რეგიონებში; სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტში; მადამ ტიუსოს სამუშაო ნედლეული; 5; მიდამო

ევკალიპტი; ლონდონის სტადიონი; ფრინველის ნაკრტენი

ქალის სახელი / რუმინეთის ფული; ბერიკაშვილი; შენეული ტექსტი; დადაიზმის მამამთავარი

სემიუელ!; რეგენერაციის უჯრედების გროვა; გამადიდებელი შუშა

6; არენდა; გამოფენა ორ წელიწადში ერთხელ; სიგნალი / ცოტნე დადიანი

უკრაინული დელიკატესი; ძალიან ძველი; მსახიობის საქმე; საბჭოელი მზვერევი; 4; სანკტ-პეტერბურგის ღირსშესანიშნაობა

კავკასიელი / ოტელოს მტერი; (.....) უკრაინკა / სხეული; 7; მუსიე (.....)-სენ-ლორანი; ....მქავანაძე / (.....) გოგი

(......) თურქი; ცომისებრი მასა; თბილისური „სიტყვა“

დოლი / აზიის ქვეყანა; განუწყვეტელი ანუ როგორი?; ცისარტყელას ქალღმერთ

ხოტბა; (.....) დასლერი / არკადი - მოკლედ; სამეწარმეო წილი; (.......) მუდამ იყოს მზე

Column clues (top to bottom, columns 1–30):

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 2 | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | 2 | | | 1 | 6 | 3 | 16 | | | | | | |
| | | | | | | | | | | 1 | 4 | 2 | | | 5 | 2 | 2 | | 2 | 2 | 2 | 3 | 4 | | 7 | 5 | 9 | | |
| | | | 4 | 1 | | | 6 | | | 6 | 3 | 3 | 1 | 2 | 2 | 6 | 2 | 2 | 3 | 4 | 5 | 2 | 2 | 24 | 16 | 11 | 4 | | |
| 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 7 | 9 | 1 | 10 | 9 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 6 | 1 | 5 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 |

Row clues (rows 1–30):

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | 5 |
| | | | | 7 |
| | | | | 7 |
| | | | 1 | 4 |
| | | | | 7 |
| | | | | 6 |
| | | | | 4 |
| | | | | 2 |
| | | | | 11 |
| | | | | 13 |
| | | | 2 | 5 |
| | | 1 | 1 | 5 |
| | | | 3 | 5 |
| | | | 1 | 5 |
| | | | 1 | 5 |
| | | 1 | 1 | 5 |
| | | 4 | 1 | 4 |
| | 2 | 2 | 3 | 5 |
| | 5 | 1 | 1 | 6 |
| | | 2 | 4 | 6 |
| | | 1 | 4 | 6 |
| | 1 | 6 | 4 | 2 |
| | | | 10 | 9 |
| | | | 9 | 9 |
| | | 6 | 2 | 2 |
| | | 3 | 2 | 1 |
| | | | 2 | 2 |
| | | | 2 | 2 |
| | | | 2 | 2 |
| 4 | 2 | 12 | 3 | 3 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | 3 | 8 | | 4 | 1 | 7 | |
| 7 | | | 6 | 1 | 3 | 5 | | 2 |
| | 6 | | | 7 | | | 3 | |
| 4 | 8 | | 1 | | | 7 | 6 | 3 |
| 3 | 7 | 2 | | 5 | 6 | | | 1 |
| 6 | | | 7 | 3 | | 2 | 5 | |
| | 3 | 4 | 5 | 6 | 1 | 9 | 2 | |
| 9 | | | 3 | | | 6 | | 5 |
| 5 | 2 | 6 | | 4 | 7 | | 1 | 8 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | 4 | | 8 | | 7 | |
| | | 3 | | 7 | | 8 | | |
| | 8 | | | | | | 9 | 2 |
| | 4 | | 2 | | | 9 | | 1 |
| 7 | | | | | 6 | | 4 | |
| | 6 | 8 | | 4 | | | | |
| 8 | | 6 | | 2 | | 1 | | |
| | 7 | | 8 | | | | | 9 |
| | | | | 5 | 3 | | 8 | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად






ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება






## გაიკვლიე გზა ბუხრამდე



## დაეხმარე ნინილას ჭიაყელების პოვნაში



# ჯიქი და მელა

## (იგავ-არაკი)

ჯიქი და მელა ერთმანეთს სილამაზეში ეცილებოდნენ.

ჯიქმა თქვა: მე ჭრელი და ლამაზი ბეწვი მაქვსო.

– მე მაინც გჯობივარ. შენ ბეწვი გაქვს ჭრელი და ლამაზი, მე კი სულიო, – უთხრა მელამ.

მშვენიერი სული მშვენიერ სხეულს ჯობიაო.

## რიცხვრებუსი

1,,, ,6,,, ,,2 ,,3



# ტრადიციულად თუ ახლებურად?!



*ძალიან ბევრ ოჯახს, ადამიანს თავისი საახალწლო ტრადიცია აქვს. მაგრამ, ზოგჯერ მეტისმეტი ტრადიციულობა მოსაწყენი ხდება. მზად ხართ, რაღაც შეცვალოთ?!*

**1. გაქვთ საახალწლო კერძის, სალათის საფირმო რეცეპტი?**

ა) რა თქმა უნდა, ეს ჩემი ტრადიციაა;

ბ) მაქვს, თუმცა ვცდილობ, რაღაც ახალიც მოვამზადო;

გ) არაფერიც არ მაქვს. სადღესასწაულო სუფრისთვის ნუგბარს ვყიდულობ.

**2. შენახული გაქვთ ბავშვობის დროინდელი ნაძვის ხის სათამაშოები? დედის, ბებიის დროინდელი?**

ა) უეჭველად. ეს ოჯახის ისტორიაა;

ბ) ერთი-ორი უნდა მქონდეს;

გ) საერთოდ არ ვრთავ ნაძვის ხეს.

**3. გიყვართ საახალწლო, კორპორატიული წვეულებები?**

ა) ძალიან. ყოველთვის დავდივარ;

ბ) არ ვიცი. ზოგჯერ ვილლები, ხოლმე;

გ) რატომაც არა?! შესანიშნავი საბაბია სამხიარულოდ.

**4. არჩევანი რომ გქონდეთ, საახალწლოდ პროდუქტების კალათას აირჩევდით, აბონემენტს სილამაზის ცენტრში თუ სადღესასწაულო წარმოდგენის, შოუს ბილეთებს?**

ა) პროდუქტების კალათას;

ბ) ბილეთებს;

გ) აბონემენტს.

**5. გიყვართ საახალწლო ღია ბარათების, ესემესების გაგზავნა?**

ა) არა;

ბ) დიახ. სიამოვნებით ვაკეთებ ამას;

გ) მხოლოდ საჩუქრების და სუვენირების.

**6. როგორი უნდა იყოს საახალწლო საჩუქარი?!**

ა) აუცილებლად საჭირო და სასარგებლო;

ბ) ისეთი, როგორზეც ოცნებობ;

გ) რომანტიკული და მხიარული.

**7. ნაძვის ხის ქვეშ, ოჯახის წევრებისთვის საჩუქრებს აწყობთ?**

ა) არა. ისე ვჩუქნით ერთმანეთს;

ბ) რა თქმა უნდა, ლამაზი ტრადიციაა;

გ) არა. რა ანაქრონიზმია.

**8. გჯეროდათ ბავშვობაში თოვლის ბაბუის არსებობის?**

ა) მგონი, რომ არა!

ბ) კი. მჯეროდა;

გ) არ მიფიქრია ამაზე.

**9. გაქვთ მხიარული, საოჯახო-საახალწლო ისტორიები?**

ა) არა. რაღაც არ მახსენდება;

ბ) რა თქმა უნდა;

გ) სასაცილო ისტორიები ბევრია, მაგრამ ვერ ვიხსენებ.

*ყოველი პასუხისთვის „ა" – 0 ქულა; პასუხისთვის „ბ" – 5 ქულა; პასუხისთვის „გ" – 10 ქულა. შეკრიბეთ და დაითვალეთ.*

*0-20 ქულა: მეტისმეტად ტრადიციული ხართ. შეიტანეთ რაღაც სიახლე, თუნდაც ახალი ტანსაცმელი ჩაიცვით და მაგიდას ახალი სუფრა გადააფარეთ; ერთხელ მაინც გადაუხვიეთ თამაშის თქვენეულ წესებს და გახალისდით. ადრენალინი გაკლიათ.*

*21-55 ქულა: ცდილობთ, ტრადიციებშიც განსაკუთრებულობა ეძიოთ – არ გეშინიათ ფანტაზიის გამოჩენის. პირიქით, ცდილობთ, ტრადიციულობა თანამედროვეობას მოარგოთ. სასწაულებისაც გჯერათ და ისიც არ გეზარებათ, ყოველწლიურად ახალი კერძები და ახალი გასართობი მოიგონოთ.*

*60 ქულაზე მეტი: არა – ტრადიციებს? პრინციპში, რატომაც არა. შესანიშნავი იქნება ახალ წელს პალმების ქვეშ, ცხელ ქვიშაზე შეხვდე. კარგია, რომ ექსპერიმენტებისთვის მზად ხართ. თუმცა სტაბილურობაზე უარს ნუ იტყვით.*

## მოქრის... მოფრინავს



ჩვენამდე რომ მოაღწიოს... დიდი გზა უნდა გამოიაროს... თუმცა, ყველა როდი ელოდება ღამის თორმეტ საათს... **იაპონიაში** ახალი წლის აღნიშვნა შუაღამისას კი არ არის მიღებული, როგორც ჩვენთან, არამედ – დილით, როცა ამომავალი მზის ქვეყანაში ჭეშმარიტად მზე ამოდის. პირველ სხივთან ერთად ახალი წელიც მოდის.

**კუბაში** ახალი წლის დადგომისას საათი თორმეტის მაგივრად 11-ჯერ რეკავს. მეთორმეტე ჩამოკვრაზე საათს აღარ „აწუხებენ" – ახალი წელია...

**ჩინეთში** დღემდე, ერთხელ და სამუდამოდ, არ არის დაფიქსირებული ახალი წლის მობრძანების თარიღი. ის აუცილებლად ახალ მთვარეზე დგება – 17 იანვრიდან 19 თებერვლამდე. ამ დღეს ქუჩებში ხალხმრავალი პროცესები ეწყობა. ადამიანებს მიაქვთ განათებული, დიდი ფარნები და ახალ წელს გზას უნათებენ. მანამდე კი მჭიდროდ გმანავენ ფანჯრებს და კარებს, ახალი წლის მოსვლამდე, რომელიმე ბოროტი სული რომ არ შეიპაროს სახლში.

**ბალიზე** ახალ წელს მარტში, თვის ბოლოს ზეიმობენ. კუნძულის მოსახლეობა სახლში ჩუმად ზის, არ ინძრევა და არც შუქს ანთებენ. მათ გულწრფელად სჯერათ, რომ ამ დროს ახალ წელთან ერთად, ბოროტი სულებიც ცდილობენ სახლში შეღწევას. სიჩუმე მათ შეცდომაში შეიყვანს. ბოროტ სულებს კუნძული უკაცრიელი ეგონებათ და შორს გადაიკარგებიან.

## თოვლის ბაბუა – „ინტერნეტში"

უკვე დიდი ხანია, თითქმის მთელი მსოფლიოს საახალწლო და საშობაო კეთილ ჯადოქრად მიჩნეულია თოვლის ბაბუა. თოვლის ბაბუისთვის საახალწლო სურვილების ბარათის სახით მიწერის ტრადიცია ინგლისიდან და ამერიკიდან მოდის. ლეგენდის მიხედვით, წმინდა ნიკოლასი (რომელიც თოვლის ბაბუის პროტოტიპია) გაჭირვებული ოჯახის ბავშვებს ოქროს მონეტებით სავსე ტომსიკებს საკვამურიდან უყრიდა. ისინი ბუხრის ქონგურზე, გასაშრობად დაკიდებულ წინდებში ვარდებოდა. დღემდე ძალიან ბევრ პატარას სჯერა, რომ თუკი ახალი წლის ღამეს წინდებს ბუხართან დაკიდებს, დილით ისინი საჩუქრებით სავსე დახვდება. თუმცა, ინტერნეტის საუკუნეში თოვლის ბაბუასთან კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებები, ანუ ელექტრონული ფოსტაც არსებობს. მისი მისამართია: www.noradsanta.org.

* ინგლისის დედოფალი ელისაბედ პირველი ყოველწლიურად ადგენს სპეციალურ სიას, სადაც წერს წინა წელს ახლობლებიდან ვინ რა საჩუქარი მიუძღვნა მას და ცდილობს, იმის მიხედვით დაასაჩუქროს.

* ინდოეთში საჩუქრებს ქალღმერთ ლაკშმისგან ელოდებიან. ინდოეთი ყველაზე მეტად არის დღესასწაულების მიმართ განწყობილი. ჯერ ერთი, რომ 100-ზე მეტი ჯურის ადამიანი ცხოვრობს და ახალ წელს ყველა მათგანი საკუთარი ტრადიციების მიხედვით აღნიშნავს, ანუ, ინდოეთში ლამის ყოველი თვე ახალი წელია.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# მკვლელი მიზანსცენა

## სტენლი ელინი

ყველაფერი ბუნებრივად გამოვიდა – ხელებგაშლილი დაეცა, თითქოს ფეხქვეშ საყრდენი გამოაცალესო. თითქმის სიცივეც კი იგრძნო და ტკივილი, რომელიც, ალბათ, უფრო რეალური იყო, ვიდრე მოგონილი. დაცემის ხმა არ გაუგონია. თვალები საკმაოდ გვიან გაახილა, ნელა და გაჭირვებით. პირველად ჰანა დაინახა – აცრემლებულ ქალს მისი ხელი ეჭირა ხელში და მაგრად უჭერდა. მისაღებ ოთახში, ნაცნობ დივანზე იწვა და გარშემო ნაცნობი სახეები დასტრიალებდნენ. ყველაფერი ძველებურად იყო, არაფერი ახალი: ეიბლ რატს პირში ახრჩოლებული სიგარა ედო, გვერდით ჯეიკ ჰოლი და ტომი მაკ-ჰოუენი ედგნენ...

– ექიმს ხომ არ გამოვუძახოთ? – იკითხა ერთხელ რატმა, – გავიგოთ, რა დაემართა.

„ნაბიჭვარი, ვითომ ჩემზე ნერვიულობს, თავისი სპექტაკლის ბედი ადარდებს. ხუთი წლის განმავლობაში პირველად გაუმართლა და, ბუნებრივიც არის, ასე რომ განიცდის"...

ჰანა სულ უფრო მაგრად უჭერდა ხელს. ცრემლები მოგორავდა მის ფერმკრთალ, მომხიბლავ სახეზე, რომელიც ერთ დროს ასე აღელვებდა. ჰო, ჰანაზე მართლაც იყო უსაზღვროდ შეყვარებული, ისე უსაზღვროდ, რომ გაბედა, მასთან ერთ ჭერქვეშ დაედო ბინა. ეს სახლიც ერთად იყიდეს – დიდი და ლამაზი სახლი, რომელიც ბოლო დროს სულ სტუმრებით იყო სავსე... რატომღაც, ჰანამ გადაწყვიტა, რომ ოჯახური სპექტაკლები ყველასთვის კარგი გასართობი იქნებოდა და კვირაობით მაილსი იძულებული იყო, მობეზრებული სიფათებისთვის ახალ სახლშიც ეცქირა.

– იქნებ, გულია? მგონი, ჯობია, ექიმი მოვიყვანოთ და ყველაფერი საფუძვლიანად გამოვიკვლიოთ, – აზრი გამოთქვა ეიბლმა. მაილსმა ფეხები მოხარა და შეეცადა, წამომჯდარიყო. ჰანამ ხელი მიაშველა.

– უკეთ ხარ?

– ჰო, ყოველ შემთხვევაში, არ მოვკვდი. თავს სუსტად ვგრძნობ, მაგრამ, შედარება არ არის... ვისკი მომიტანე...

ჰანა თვალებში ჩააშტერდა:

– ვისკი? იქნებ წყალი ჯობდეს?

– ვისკი მომიტანე და ეს ხალხიც გაყარე აქედან, – თქვა უცებ მაილსმა, – რა სულელური იდეა იყო მათი აქ თავმოყრა. რატომ უნდა ვაჭმევდე და ვასმევდე ყოველკვირა ამ ხროვას?!

ჰანას თვალები გაუფართოვდა:

– ჰო, მაგრამ, ძვირფასო, ისინი ხომ შენი მეგობრები არიან?

მაილსმა ამოიოხრა... პრინციპში, რაღა აზრი ჰქონდა ამაზე ლაპარაკს, მალე საერთოდ გაქრებოდა ამ სახლიდან და მერე ჰანას თუნდაც სულ გადაეწვა აქაურობა, საერთოდ არ ინაღვლებდა, „ლილი... ამ არსებასთან თავს თავისუფლად და ბედნიერად იგრძნობდა, ოღონდ, ჯერ ჰანას უნდა დასხლტომოდა ხელიდან, ობობას ქსელივით რომ იყო მასზე შემოხვეული და სულს უხუთავდა. მარტო ჰანა კი არა, ყველაფერი უხუთავდა სულს. აბსოლუტურად ყველაფერი მობეზრდა, ვისკიც კი თბილი იყო და უგემური... ლილი სულ სხვა იყო, მისგან სიახლის სურნელი მოდიოდა. როგორ ელოდა იმ დღეს, როცა ლილისთან ერთად სულ სხვანაირ, ლაღ ცხოვრებას დაიწყებდა... მაგრამ, წარმოდგენაც არ სურდა, როგორ შეხვდებოდა ამ ამბავს ჰანა... ფიქრობდა, რომ უნდა ეთქვა და შეემზადებინა მოსალოდნელი გარდაუვალობისთვის. თუმცა, კარგად რომ დაფიქრდა, გადაწყვიტა, რომ ჩუმად წასვლა გაცილებით ჯობდა. აი, ეიბლს კი უნდა დალაპარაკებოდა. ეიბლი სხვა საქმე იყო. ჰანა იტირებდა, რამდენიმე სკანდალს მოაწყობდა, რომელსაც თავად მაილსი ვერც დაინახავდა სულ ეს იყო. ეიბლს კი შეეძლო, ეჩივლა კონტრაქტის საფუძველზე.

– ეიბლ, უნდა დაგელაპარაკო. მე ჩვენი კონტრაქტის პირობები აღარ მაკმაყოფილებს...

ეიბლმა სიგარა კბილებით გაკვნიტა.

– ამას ველოდი, შენ ეს გახასიათებს – რამდენიმე რეჟისორს უკვე მოექეცი ასე. ჰონორარის გაზრდა გინდა... კარგი, რამდენით?

მაილსმა გაიცინა და თავი გააქნია:

– არა, შენ ვერ გამიგე. მე არაფერი არ მინდა, სრულიად არაფერი. მე მივდივარ შენი სპექტაკლიდან და ბროდვეიდანაც.

ეიბლი გაფითრდა:

– არა, შენ ამას არ გააკეთებ, არ მომექცევი ასე. ღუპავ სპექტაკლს?

– რატომ? ის ხომ კარგი სპექტაკლია? შეიყვანე მასში ვინმე სხვა... დუბლს ხომ ამზადებდი – უელკერს, მაგალითად. დარწმუნებული ვარ, ერთი სული აქვს, როდის მოვიტეხ კისერს.

– არა, მაილს, შენ ამას არ გააკეთებ. ვერ გააკეთებ. შენ კონტრაქტი გაქვს, რომელშიც წერია – სპექტაკლში თამაშობ მანამ, სანამ ის ბროდვეის რეპერტუარიდან არ მოიხსნება... მე გიჩივლებ, შენი პოპულარობისგან არაფერს დავტოვებ და ფინანსურადაც დაგაზარალებ.

– მე? ავადმყოფ ადამიანს? რომელსაც ყველას თვალწინ გული წაუვიდა? იქნებ ხვალ ვკვდები, მერე რაღას იზამ?

– არაფერი მოგივა... სამაგისო რა გეტყობა? მაგრამ, შენ ასეთი ხარ – უპასუხისმგებლო, ეგოისტი. მაფრთხილებდნენ ამის შესახებ. მაილს, ნუ გგონია, რომ საკუთარი თავისგან გაქცევას შეძლებ. დარწმუნებული ვარ, ეს სპექტაკლიც სპეციალურად მოაწყე...

– რომელი სპექტაკლი? – მხრები აიჩეჩა მაილსმა.

– ნახევარი საათის წინ რომ გაითამაშე. ვერაფერს იტყვი, ძალიან დამაჯერებლად გაიშხლართე... მაგრამ, ჰანას თუ მოატყუებ მაგ მიზანსცენებით. მე ვიცი ჭეშმარიტი მიზეზი – ლილი...

მაილსმა შიშით გაიხედა ცოლისკენ:

– რა სისულელეა!..

– ჰო?! მაშინ, კარისკენ გაიხედე, იქ, შემოსასვლელში ლილია...

მაილსი ერთი ნახტომით გაჩნდა შემოსასვლელში და მოღიმარ, ქერა ლამაზმანს წინ აეფარა:

– აქ რა გინდა, გაგიჟდი? რა ჯანდაბამ მოგიყვანა? გინდა, ყველაფერი გააფუჭო?

ქალმა თვალები მოჭუტა, ხელი პალტოს ჯიბიდან ამოიღო, იმ პალტოს ჯიბიდან, რომელიც მაილსს ერთი თვის ჰონორარი დაუჯდა და მაილსს თვალებთან ორი ბილეთი აუქნია:

– შეხედე? ორ საათში გემი გადის... აკრიფე შენი ნივთები და წამოდი – ან ახლა, ან არასდროს! მეტს აღარ დავიცდი. დარწმუნებული ვარ, ცოლს კიდევ არ დალაპარაკებიხარ...

– დღეს ვაპირებდი... ახლა ეიბლთან ვაგვარებდი საქმეს.

– ჰოდა, აღარ მოგიწევს. ქვემოთ, მანქანაში დაგელოდები მხოლოდ თხუთმეტი წუთი, მერე კი მივემგზავრები – ან მარტო, ან შენთან ერთად.

მაილსმა იგრძნო, რომ ახალ ქსელში ეხვეოდა ჰანას ქსელისგან ჯერაც თავდაუხსნელი.

– კარგი, – ამოიოხრა, – ჩადი და ჩამოვალ...

– თხუთმეტი წუთი გაქვს, იცოდე! – შეუბრალებელი ტონით გაუმეორა ქალიშვილმა...

მაილსი მაღლა ავიდა და ჩემოდანში თავისი ნივთების ჩაყრა დაიწყო. ის იყო, თავსახური დაახურა და ზედ დააწვა დასაკეტად... ამ დროს კარისკენ გაიხედა და გაშეშდა – ზღურბლზე ჰანა იდგა, მომარჯვებული პისტოლეტით...

– რას აკეთებ, იმასთან მიდიხარ? უარყოფას აზრი არა აქვს, დავინახე... მაილს, შენ მას არ სჭირდები, საერთოდ არ სჭირდები... ნუ დაუშვებ ისეთ შეცდომას, რომელსაც მერე ველარ გამოასწორებ. ხომ იცი, რომ მარტო მე მიყვარხარ...



– საკმარისია, მე მივდივარ...

– მაილს, აქედან ცოცხალი ვერ გახვალ...

– არა, ჰანა, ეს სპექტაკლი არ არის... იქ, სცენაზე უფრო ადვილია, ცხოვრება გაცილებით რთულია...

ჰანამ პისტოლეტს მეორე ხელიც შეაშველა და მზერაც სხვანაირი გაუხდა... მაილსს გული უცნაურად შეუფრთხიალდა, მაგრამ უკან დახევა არ სჩვეოდა. უკან, ანუ ჭაობში?! – ამას ყველაფერი სჯობდა.

– შენ ამას ვერ გააკეთებ, ჰანა... დამშვიდდი და ახალი ცხოვრება დაიწყე.

– უკანასკნელად გთხოვ, მაილს, არ წახვიდე...

მაილსმა გაიღიმა და ჩემოდანი აიღო... ტყვიაც სწორედ ამ დროს გავარდა...

ეს დაცემაც ძალიან ჰგავდა იმ დაცემას, ოღონდ, ახლა სრულ სიბნელეში ჩაინთქა და ტკივილიც აღარ უგრძნია...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

**გაიადვილეთ საჭმლის მონელება**

**იქონიეთ მიიღეთ ეფექტური**

# კრეზამი

**თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს**

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# მხოლოდ ქალებისთვის

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №48-52(678)

გიგამ ჯერ უმწეოდ შეხედა ქალს, მერე თავი ხელებში ჩარგო და სულმოუთქმელად დაიწყო:

– ძალიან გთხოვთ, არ შემაწყვეტინოთ, თორემ, მთლად დავიბნევი. ვიცი, რომ ძნელი მოსასმენი იქნება თქვენთვის და, შეიძლება, არც დამიჯეროთ, მაგრამ ყველაფერს ისე მოგიყვებით, როგორც მოხდა. მერე თქვენ თვითონ მოიფიქრეთ, როგორ უნდა მოვიქცეთ თქვენც და მეც... – გიგამ ღრმად ჩაისუნთქა და განაგრძო: მოკლედ, რა დასამალია და, სანამ თქვენს ყოფილ ქმარს გაიცნობდა, მე ნატას საყვარელი ვიყავი თითქმის სამი წლის განმავლობაში, ანუ, მანამ, სანამ კარგი შემოსავალი მქონდა. მის ცოლად შერთვასაც კი ვაპირებდი, მაგრამ, ჩემმა ფინანსებმა იკლო და, შესაბამისად, იკლო ნატას ჩემდამი სიყვარულმაც. ან, შეიძლება, არც არასდროს



ვუყვარდი... ერთი სიტყვით, ბოლო ხანებში მაგრად „გავიჭედე“, ნატა კი სულ ფულს მთხოვდა. სანამ მქონდა, უარს არაფერზე ვეუბნებოდი, მაგრამ, ჩემმა ბიზნესმა პრაქტიკულად დაყვინთა და ძალიან გამიჭირდა. არადა, სწორედ მაშინ მჭირდებოდა ფული, რადგან, ნატა ფეხმძიმედ იყო და... ვეხვეწებოდი, ცოტაც მაცადე და ისევ გამომისწორდება მდგომარეობა-მეთქი. გაგონებაც არ უნდოდა. ერთხელაც, მითხრა, ან ამ დღეებში ათი ათას დოლარს მომიტან, ან წავალ და აბორტს გავიკეთებო. ცა და ქვეყანა შევძარი, მაგრამ, ამხელა თანხა ვერ ვიშოვე. არც მიკითხავს, რისთვის უნდოდა და არც მაინტერესებდა. მგონი, მაშინ ნატა აღარც მიყვარდა; ერთადერთი, რაზეც გული მისკდებოდა, ის იყო, რომ მართლა არ გაეკეთებინა აბორტი. უკვე ორმოცს გადაცილებული კაცი ვიყავი და ძალიან მინდოდა შვილი.

დათქმულ დღეს მივედი და ორი ათასი მივუტანე – მეტი ვერ ვიშოვე-მეთქი. შენ ვის აშაყირებო, – ის ფული სახეში მომაყარა და სამუდამოდ ამიკრძალა მისვლაც და დარეკვაც. ჩემი ტანსაცმელი და ნივთებიც ჩანთაში ჩალაგებული დამახვედრა – სულ კარგად ბრძანდებოდე, ხვალ ექიმთან მივდივარ და შვილს დაემშვიდობეო. ამაზე მეც გავცხარდი და ვუყვირე, აბორტი რომ გაიკეთო, ჩემი ხელით გამოგჭრი ყელს-მეთქი, – და წამოვედი. მთელი ერთი თვე მემალებოდა. მისმა დაქალებმა დამირეკეს, ბავშვი მოიცილა, შენთან აღარაფერი აკავშირებს და მის დევნას შეეშვი, თორემ, პოლიციას დაგაყენებთ თავზეო. მართლაც შევეშვი. პოლიციის კი არ შემშინებია, უბრალოდ, აღარ მინდოდა იმ ქალის დანახვა, ვინც შვილი მომიკლა. კი დავემუქრე, ყელს გამოგჭრი-მეთქი, მაგრამ, ვერ შევძელი. ძლივს გადავიტანე ეს ამბავი, კინაღამ შევეწირე ნერვიულობას. ორი წლის მერე ცოლიც შევირთე, მაგრამ, შვილი არ გვეყოლა. ექიმმა მითხრა, რაღაც ისეთი დარღვევები გაქვს, აღარასოდეს გეყოლება შვილიო. მაპატიეთ, ქალბატონო ანუკა, ასე დაწვრილებით რომ გიყვებით ყველაფერს, მაგრამ, რადგან დავიწყე... მოკლედ, რომ გაიგო, უშვილო ვიყავი, ცოლიც გამექცა და დავრჩი ასე უშვილძიროდ. დეპრესიაში ჩავვარდი და სმა დავიწყე. სულ იმ ბავშვზე ვფიქრობდი და საკუთარ თავს ვერ ვპატიობდი, რომ შვილი ვერ დავიცავი. ბიზნესიც დავკარგე, სამსახური ვერ ვიშოვე და სასოწარკვეთილმა რამდენჯერმე თავის მოკვლაც გადავწყვიტე. მაგრამ, ბოლო წამს რაღაც ისეთი ხდებოდა, ხელი მეშლებოდა, რომ ეს გადაწყვეტილება სისრულეში მომეყვანა. მეგობრებმა რომ ნახეს, რა მდგომარეობაში ჩავვარდი, დაფაცურდნენ ჩემს გადასარჩენად და შარშან საკმაოდ ნორმალური სამსახური მიშოვეს. ახლა ცოტა მატერიალურადაც მოვითქვი სული, სმასაც თავი დავანებე და თითქოს ოდნავ დავწყნარდი, მაგრამ, ამ სამი თვის წინ ისეთი რამ გავიგე, არ ვიცი, უნდა გამხარებოდა თუ უნდა მწყენოდა.

– მაინც, რა გაიგეთ ასეთი? – ჰკითხა ანუკამ და მამაკაცს მოკიდებული სიგარეტი მიაწოდა. უცნობმა მექანიკურად გამოართვა, ორი ნაფაზით ბოლომდე ჩაიყვანა ღერი, მერე ღრმად ამოისუნთქა და განაგრძო:

– მე რომ ნატასგან წამოვედი, რამდენიმე დღის შემდეგ ვიღაც „კეთილისმყოფელმა“ დამირეკა და მითხრა, შენს ყოფილ სატრფოს ახალი საყვარელი ჰყავსო – და თქვენი ყოფილი მეუღლე დამისახელა. მაშინ ამისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან, ჩვენ შორის უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო. მაგრამ, ამ სამი თვის წინ ისევ დამირეკეს და მითხრეს,


ერდო ჯგუფი
როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო.....................................
მარიკა 599 24 28 31

შენი შვილი ცოცხალია, ოღონდ, სხვა მამა ჰყავსო. ეს ისეთი შოკი იყო ჩემთვის, კინაღამ ინფარქტი მივიღე. თავიდან მეგონა, ნატამ ბავშვი გააჩინა და გააშვილა-მეთქი, თუმცა, ყველაფერი დაწვრილებით რომ გავიკითხ-გამოვიკითხე და გამოვიკვლიე, მერე კი თარიღებიც შევადარე, ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა. ერთი სიტყვით, ანდრო ასათიანი, ანუ, ბავშვი, რომელიც თქვენს ყოფილ მეუღლეს თავისი ჰგონია, სინამდვილეში ჩემი შვილია. ნატა ორი თვის ფეხმძიმე იყო, გელა რომ გაიცნო. მე, უფულო, აღარ ვჭირდებოდი და, პრაქტიკულად, სახლიდან გამაგდო. ერთთვიანი შეხვედრების შემდეგ კი გელა იმით „შეაბა“, რომ, უთხრა, შენგან ორსულად ვარო. ბავშვი სინამდვილეში ცხრა თვის თავზე დაიბადა, გელა კი დაარწმუნა, შვიდთვიანი გაჩნდაო, – ეს ასეთი ქალების ცნობილი ხერხია კაცების მოსატყუებლად. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბიჭი ძალიან მგავს. თანაც, თუ ვინმეს ეჭვი შეეპარება დნმ-ის ანალიზსაც გავიკეთებ.

– მერე, მე რა შემიძლია? – ანუკას აღარ ეგონა, თუ კიდევ რამე შეძრავდა მის სულს. მღელვარებისგან ძლივსღა სუნთქავდა. ისეთი ფერი დაედო, გიგას შეეშინდა, ხელში არ ჩამაკვდესო და სწრაფად მიაწოდა ვალიდოლი.

– ენის ქვეშ ჩაიდეთ, ქალბატონო ანუკა, მე სულ თან დამაქვს, ძალიან მშველის, – და აკანკალებული ხელით ერთი აბი თვითონაც ჩაიდო პირში. გიგამ ორიოდე წუთს აცადა ანუკას გონზე მოსვლა და თხოვნით მიმართა:

– თქვენ უნდა გააგებინოთ გელას, რომ ანდრო მისი შვილი არაა, ან, ვინმეს დაარეკინოთ და ათქმევინოთ... – ასე ორ კურდღელს დავიჭერთ: თქვენ ქმარი დაგიბრუნდებათ, მე – შვილი.

– თქვენ ხომ არ გაგიჟებულხართ?! როგორ მიბედავთ, ვინ გგონივართ, ვინ გითხრათ, რომ ქმრის დაბრუნება მინდა? ახლავე გადადით მანქანიდან და სიახლოვეს არ გაეკაროთ ჩემს ოჯახს, თორემ, საშინელებას მოგწევთ, იცოდეთ! ეს თქვენი პრობლემაა და თქვენვე მოაგვარეთ – გინდა თვითონ დაურეკეთ, გინდა სხვას დაავალეთ ამის გაკეთება, მე აქ არაფერ შუაში ვარ. ახლა კი კარგად იყავით! – და ანუკამ მანქანის კარი ისე გააღო, კინაღამ მოგლიჯა, – ღმერთო, ამ ქალაქში ღირსების მქონე ერთი მამაკაცი მაინც თუ დადის? – იყვირა მოსმენილით შეძრულმა ქალმა და ლამის ხელი ჰკრა გიგას, რომელიც ვერც კი მიხვდა, რატომ გადაირია ანუკა.

გიგამ გადასვლა დააპირა, მაგრამ, შეყოვნდა, თითქოს კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა. ანუკა მიხვდა და დაასწრო:

– არაფერი მითხრათ, აღარ მაინტერესებს! გელაც და მისი ყველა პრობლემაც ჩემი ცხოვრებიდან ამოხეული ფურცელია, ის ჩემთვის აღარ არსებობს!

მამაკაცი დაელოდა, სანამ ანუკა თავის ტირადას დაასრულებდა და ბოლოს უთხრა:

– მაინც უნდა გითხრათ: გელა ძალიან ცუდად ყოფილა. ზუსტად არ ვიცი, რა სჭირს, მაგრამ, სერიოზულადაა ავად. ისიც გავიგე, რომ, მას შემდეგ, რაც გაკოტრდა, ნატა სახლიდან აგდებს, ის კი ცოცხალი თავით არ მიდისო. ნატა სატრფოებს არ იკლებს, ბავშვისთვის საერთოდ არ სცალია, გელა კი, ალბათ, ჯერჯერობით ძიძად სჭირდება და ამიტომაც აჩერებს სახლში. მაგრამ, ვიცი, ეს დიდხანს აღარ გაგრძელდება, რადგან, ვიღაც ფულიანი ბოთე უკვე გამოიჭირა. ქალბატონო ანუკა, გელას თავისი ორი შვილი ჰყავს, მე კი ჩემი მინდა...



– გაეთრიე! – იკივლა ანუკამ და გულგახეთქილი გიგა ნახევარ წამში გაქრა მოჩვენებასავით, მით უმეტეს, რომ ყველაფერი თქვა, რის თქმასაც აპირებდა.

ანუკა მთელი საათი იჯდა მანქანაში და ხმამაღლა ტიროდა. ნერვებმა უმტყუნა, მთელი სხეულით ცახცახებდა და ერთადერთ სიტყვას იმეორებდა:

– დებილი!.. დებილი!.. – ოღონდ, თვითონაც არ იცოდა, ვის ამკობდა ასე – საკუთარ თავს თუ ყოფილ ქმარს.

***

ამ ამბიდან ორი თვე გავიდა. ანუკას არავინ შეხმიანებია და ისიც შედარებით დამშვიდდა. გიგასთან შეხვედრის შესახებ თავის დაქალებსაც კი ვერაფერი უთხრა, ალბათ იმიტომ, რომ რცხვენოდა, მაგრამ, რისი, თავადაც არ იცოდა. ისევ მარისთან მოიოხა გული. გიგას ვინაობა არც გაურკვევია – აღარ უნდოდა ზედმეტი უარყოფითი ემოციები. ბუნდოვნად გაახსენდა, ერთ დროს დაქალების ნათქვამი, ნატა ვიღაც გიგას ხვდებოდა და, ფული რომ გამოელია, სახლიდან გააგდო, მაგრამ, ბავშვი მაინც გააჩინაო. იფიქრა, ალბათ, ეს ის გიგა იყოო და, შეეცადა, დაევიწყებინა ეს საცოდავი არსება, რომელიც ღმერთმა ერთ დროს კაცად გააჩინა. მარიმ უთხრა, შეიძლება, გელას შენთან დაბრუნება უნდა და ეგ ვიღაც გიგა მისი დარიგებული და გამოგზავნილიაო. მაგრამ, ანუკა გრძნობდა, რომ იმ ვიღაც გიგამ ყველაფერი სიმართლე უამბო. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, აღარავის დაურეკავს, აღარავინ მისულა და ანუკამ ბედის ეს დარტყმაც გადაიტანა.

***

ივნისის ბოლოს ლელა და ანდრო ერთი კვირით ქუთაისში გაემგზავრნენ ბებიასთან, მერე კი მეგობრებთან ერთად ზღვაზე აპირებდნენ წასვლას. ანუკამ უთხრა, სამოთხ დღეში მოვრჩები ჩემს საქმეებს და მეც ჩამოვალო – და შვილები საჩუქრებით დატვირთული გაუშვა. მეორე დღეს ისეთი დაღლილი დაბრუნდა სამსახურიდან, ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ, აბაზანაში მაინც შევიდა – იქნებ გრილმა წყალმა ცოტა გონზე მომიყვანოსო. ის იყო, შხაპმიღებული და მართლაც ცოტა გონსმოსული, სააბაზანოდან გამოვიდა, რომ კარზე ზარის ხმა გაისმა. არავის ელოდა და გაუკვირდა.

– მარი, შენ ხარ? – გასძახა დერეფნიდან, მაგრამ, პასუხის ნაცვლად, ისევ დარეკა ზარმა, ოღონდ, ამჯერად უფრო გაბმულად და ნერვიულად.

– მარი, ნუ მაიმუნობ! მაცალე, ახლავე გავაღებ! – ანუკა კარისკენ გაემართა და თან ხუმრობით შეუწყრა: რით ვერ გადაეჩვიე, პატარა ბავშვი ხომ აღარ ხარ! – თან, თავზე დაგორგლილი პირსახოცი გაისწორა და აბრეშუმის ხალათი მოიცვა. იმდენად დარწმუნებული იყო, რომ მარი იქნებოდა, „გლაზოკშიც“ კი არ გაუხედავს, კარი ისე გააღო.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



– ვაიმე! – შეჰკივლა შეშინებულმა ანუკამ და უკან დაიხია: მის წინ გამხდარი, გაყვითლებული, ჩამოძონძილი უცნობი მამაკაცი იდგა, რომელსაც თავი ჩაეღუნა და ძლივს სუნთქავდა. ანუკას შეეშინდა, მაგრამ, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ხმის კანკალით მიმართა:

– ერთი წუთით დამელოდეთ, ახლავე გამოგიტანთ რამეს! – და კარის მიხურვა დააპირა, უცებ უცნობმა თავი ასწია და ანუკას თვალებში შეხედა:

– მათხოვარი გეგონე? მე დავბრუნდი, ანუკა! ვიცი, არ მქონდა უფლება, მაგრამ, მაინც დავბრუნდი. ვკვდები და, არ მინდა, ქუჩაში ძაღლივით ამომხდეს სული, ისევ ბავშვებისთვის იქნება ცუდი. არც პატიებას ვითხოვ, არც პატრონობას. მხოლოდ იმის უფლება მომეცი, რომ ადამიანივით მოვკვდე...

– გელა?! – ჩურჩულით აღმოხდა ქალს.

ანუკა ისე შეძრა ქმარყოფილის გარეგნობამ, რომ მექანიკურად უკან დაიხია და სახლში შემოსვლის საშუალება მისცა. გელა შემოლასლასდა და კართან დადგა აწურული. ჯერ გაპრიალებულ იატაკს დახედა, მერე დასვრილ და ლამის ნაფლეთებად ქცეულ ფეხსაცმელებზე დაიხედა და გახდა დაიწყო.

ერთი დაკივლება ყველაფერს ერჩია ანუკას, მაგრამ, დასძლია თავს და ხმა არ ამოიღო. ანდროს ოთახში გავიდა, ჩუსტები, პირსახოცი, თეთრეული და სპორტული პიჟამა აბაზანაში შეიტანა, მერე ისევ ისე ატუზულ გელას ცივად მიმართა:

– ყველაფერი აბაზანაშია. შედი, იბანავე და გამოიცვალე. ეგ ძონძები კი ამაში ჩაყარე ფეხსაცმელებიანად, – და ცელოფნის დიდი პარკი გამოუტანა.

– ჯერ რამე მაჭამე, თორემ, ვერ ვიბანავებ, – ამოიჩურჩულა გელამ და გაწითლდა.

„შიმშილისგან კვდება ეს უბედური“, – გაიფიქრა ანუკამ და შეძრწუნებული გაუძღვა სამზარეულოსკენ. სასწრაფოდ მოუხარშა მაგარი ყავა და ერთი ნაჭერი ყველიანი ბუტერბროდი დაუდო თეფშზე:

– ჯერ ეს ჭამე. აბაზანიდან რომ გამოხვალ, მერე ივახშმე. ახლა მეტი რომ ჭამო, უარესად გახდები.

გელამ უხმოდ, თვალის დახამხამებაში გადასანსლა ყველი და პური და ქაფქაფა ყავა ისე ხარბად დააყოლა, პირის დაწვაც არ უგრძნია. რამდენიმე წუთის შემდეგ კი, ოდნავ მოღონიერებული და გონს მოსული, ასევე უხმოდ წამოდგა და აბაზანისკენ წაფრატუნდა. კარგახანს ისმოდა წყლის შხაპუნი. ანუკას რამდენჯერმე შეეშინდა და კარს ყური მიადო, ხომ არაფერი დაემართაო. დაახლოებით ერთი სააათის შემდეგ, დაბანილ-გასუფთავებული და შვილის ტანსაცმელში გამოწყობილი გელა ისევ სამზარეულოში იჯდა და გამალებით შეექცეოდა ვახშამს.

„საწყალი ჩემი მამამთილი... ალბათ, ამოტრიალდა საფლავში“... – გაიფიქრა ანუკამ და, რატომღაც, უფროსი ანდრო ასათიანი უფრო შეეცოდა, ვიდრე მისი ნაკაცარი შვილი.

– ანუკა... იცი? ის ბავშვი ჩემი შვილი არ არის... – წამოიწყო გელამ.

– ხმა არ ამოიღო, არაფრის გაგონება არ მინდა. ახლა დაწვები და დაიძინებ, ხვალ დილით კი ექიმთან წამომყვები, – ანუკა კაბინეტისკენ გაუძღვა ყოფილ ქმარს და ლოგინი ტახტზე გაუშალა.

– ის ბავშვი მამამისმა წაიყვანა... – ამოილუღლუღა გელამ და მაშინვე ჩაეძინა, მაგრამ, ძილში სულ შფოთავდა და კვნესოდა.

როდესაც სააბაზანო მოაწესრიგა და გელას ძონძები გადაყარა, ანუკამ შვილებს დაურეკა და უთხრა, სამსახურში რაღაც პრობლემები შეიქმნა, რომელსაც ჩემ მეტი ვერავინ მოაგვარებს და ველარ ჩამოვალ. თქვენ კი ერთ კვირას კიდევ თუ გაუხანგრძლივებთ ბებიათქვენს თქვენი ნახვის სიამოვნებას, ძალიან დამავალებთო. ლელა და ანდრო აწუწუნდნენ, მაგრამ, ბოლოს მაინც დათანხმდნენ.

„ესეც ასე... ორი კვირა მარაგში მაქვს ბავშვების ჩამოსვლამდე, მანამდე კი რამეს მოვიფიქრებ“, – ცოტათი დამშვიდდა ანუკა. მას ის აღელვებდა, რომ, არ იცოდა, რა ეთქვა შვილებისთვის, როცა ქუთაისიდან დაბრუნებულებს შვიდი წლის უნახავი, მომაკვდავი მამა დახვდებოდათ სახლში.

– მანამდე რამეს მოვიფიქრებ, – გაიმეორა ხმამაღლა, ნაცნობი ექიმის ტელეფონის ნომერი აკრიფა და დღის 12 საათზე ვიზიტზე შეუთანხმდა. მერე ტელევიზორი ჩართო, ყავა და სიგარეტი მოიმარაგა და მთელი ღამე სავარძელში მჯდარმა გაატარა. თვალიც ვერ მოხუჭა, არც ის ახსოვდა, რა გადაცემას უყურებდა. რომ გათენდა, მხოლოდ მაშინ გამოერკვა ფიქრებიდან. საფერფლე ნამწვავებით იყო სავსე, ტელევიზორი კი უმწეოდ შრიალებდა.

***

ექიმმა გელას გადარჩენის ასპროცენტიანი შანსი ვერ მისცა ანუკას, მაგრამ, მაინც დააიმედა, შეიძლება, „გამოძვრესო“ და მისი სასწრაფოდ საავადმყოფოში დაწვენა ურჩია. ანუკას გაუხარდა კიდეც, რადგან, არ იცოდა, სახლში მწოლიარესთვის როგორ მოევლო და ემკურნალა. თან, ბავშვებსაც უფრო ადვილად აუხსნიდა ყველაფერს, გელა საავადმყოფოში თუ იქნებოდა.

ლელამ და ანდრომ მძიმედ გადაიტანეს მამის დაბრუნება. ორივე ამტყუნებდა ანუკას, – იმის შემდეგ, რაც მაგან გაგვიკეთა, სახლში როგორ შემოუშვიო.

– აბა, რა მექნა, ქუჩაში გამეგდო, რომ უპატრონოდ მომკვდარიყო? ისევ თქვენი სირცხვილი არ იქნებოდა? ისევ თქვენ არ მაპატიებდით მერე ამას! – თითქოს თავს იმართლებოდა ანუკა. უფრო კი ის სწყინდა, ასეთი გულქვა შვილები როგორ მყავს, წესით, პირიქით უნდა ხდებოდეს – მე უნდა ვერჩოდე გელას და ესენი იცავდნენო. მაგრამ, მერე მიხვდა, რომ, ჯერ ერთი, ამ ასაკის ახალგაზრდები ბევრად უფრო დაუნდობლები არიან და, მეორეც, წლების განმავლობაში განცდილი ტკივილის სიბრალულში გადაზრდას ისევ წლები სჭირდებოდა.

გელას დაბრუნების ამბავი მთელმა სადაქალომ გაიგო და აბსოლუტურად ყველა ამტყუნებდა ანუკას, ელენეს გარდა.

– ყოჩაღ, შენ ნამდვილი ქრისტიანი ხარ, – ეუბნებოდა ელენე მეგობარს და, ცდილობდა, შეძლებისდაგვარად დახმარებოდა.

ბავშვებმა ერთხელაც არ ინახულეს მამა საავადმყოფოში; არც მარი მისულა და, სხვათა შორის, არც ძმაკაცებს შეუწუხებიათ თავი.

ერთ დღეს, როდესაც გელას დაავადებამ პიკს მიაღწია და ექიმებმა ხელი ჩაიქნიეს, მომაკვდავმა დედისა და შვილების ნახვა ითხოვა. შვილები მივიდნენ, ლელას კი, როდესაც დაურეკეს და გელას სურვილი გადასცეს, უთქვამს, მე ერთი შვილი მყავდა, რომელიც შვიდი წლის წინ მომიკ-

ვდაო. მერე მთელი ღამე ხმამაღალ ტირილში გაუტარებია, მეორე დღეს კი ლოგინიდან ვერ ამდგარა და გონი დაუკარგავს.

***

დიდხანს ებრძოდნენ ექიმები სიკვდილს და ბოლოს მაინც დაამარცხეს – გელას ნელ-ნელა დაეტყო გამომჯობინება. ორი თვის შემდეგ კი ანუკას მისი სახლში წაყვანის უფლებაც მისცეს, რა თქმა უნდა, მკურნალობის გაგრძელებით.

შვილების წინააღმდეგობის მიუხედავად, ანუკამ გელა სახლში წაიყვანა და თავზე გამოცდილი ექთანი დააყენა, რომელიც დღისითაც და ღამითაც გააკონტროლებდა წამლების მიღებას, ვარჯიშებს და ყველაფერს, რაც ავადმყოფის რეაბილიტაციას სჭირდებოდა.

გელას მკვდრეთით აღდგომას თითქმის წელიწადი დასჭირდა და ამ ხნის განმავლობაში ის საკმაოდ მოშინაურდა. მართალია, ანუკა გაურბოდა მასთან ლაპარაკსა და ფამილარულ ურთიერთობებს და არც შვილები შესციცინებდნენ თვალებში, მაგრამ, მაინც იმედი მიეცა, რომ ყველაფერი მოგვარდებოდა.

– ფეხზე მყარად რომ დავდგები, ერთად წავიდეთ ქუთაისში. მინდა, დედაჩემი ვნახო. ფეხებში უნდა ჩავუვარდე და პატიება ვთხოვო, – უთხრა ერთხელ შვილებს.

– ადრე უნდა გენახა, როცა შიოდა და სციოდა, – მიახალა ანდრომ.

– ადრე არ გამოვიდა... – უმწეოდ ჩაიჩურჩულა გელამ.

– არც ახლა გამოვა.

– გამოვა. ერთ-ორ კვირაში მგზავრობასაც შევძლებ და...

– გვიანაა-მეთქი. შეგიძლია, არც ახლა შეიწუხო თავი! – არ დაინდო შვილმა.

– რატომ? – მექანიკურად იკითხა გელამ.

– იმიტომ, რომ შენი დაბრუნებიდან ერთი თვის შემდეგ ბებია გარდაიცვალა! – მიახალა ლელამ და ოთახიდან გავიდა.

გელა ისე ცუდად გახდა, კინაღამ შეუბრუნდა ავადმყოფობა. მთელი კვირა გაშტერებული იწვა და ცრემლი ღვარად სდიოდა. თითქმის აღარ იყო გონზე.

– დედა, მაპატიე... – მხოლოდ ამ ორ სიტყვას იმეორებდა ჩურჩულით.

მაგრამ, მერე თანდათან ისევ გამოკეთდა და ერთი თვის შემდეგ უკვე გარეთ გასვლაც შეეძლო.

ერთ დღეს, გელამ გადაწყვიტა, რომ დადგა დრო, ანუკას სერიოზულად დალაპარაკებოდა, პატიება ეთხოვა და შერიგებაზე დაეთანხმებინა. დილიდანვე აწყობდა ტექსტს, ცვლიდა, იმეორებდა... თორმეტი საათისთვის სახლიდან გავიდა, – გარეთ უფრო დავმშვიდდები, საღამომდე არ მოვალ სახლში, საღამოს კი თაიგულს მივართმევ, ყველაფერს გულწრფელად მოვინანიებ და, ქვა ხომ არ არის, ქალია, მაპატიებს და შემირიგდება, მერე კი შვილებთანაც ნელ-ნელა მოვაგვარებ ურთიერთობასო. ის დარწმუნებული იყო, რომ ანუკას მაინც უყვარდა და ამ სიყვარულს ვერ გაექცეოდა.



საღამოს მართლაც დაბრუნდა ულამაზესი თაიგულით ხელში და გულაფანცქალებულმა მიაჭირა თითი ზარის ღილაკს. კარგა ხანს ელოდა, მაგრამ, კარი არავინ გააღო. გაუკვირდა – წესით, ამ დროს ყველა სახლში უნდა ყოფილიყო. კიდევ დარეკა რამდენჯერმე, მაგრამ, კარს უკან ჩამიჩუმიც არ ისმოდა. გულმა ცუდი უგრძნო, თუმცა, ვერ მიხვდა, რა შეიძლებოდა, მომხდარიყო. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, მეზობლის კარს მიადგა და ახლა იქ დარეკა ზარი – იქნებ აქ იყვნენო.

კარი ახალგაზრდა ქალმა გაუღო. გელა რომ დაინახა, ცოტა შეცბა, მაგრამ, არ შეიმჩნია.

– უკაცრავად, გაწუხებთ, ქალბატონო მაია, – გაახსენდა მეზობლის სახელი გელას, – თქვენთან ხომ არ არიან ჩემები? – ეს „ჩემები“ ისე შინაურულად გამოუვიდა, თვითონაც კი შეცბა – ვრეკავ და, ეტყობა, არ არიან სახლში... ვიფიქრე, მეზობელთან ხომ არ გავიდნენ-მეთქი. გასაღებიც არ წამიღია, როცა გავედი...

– აქ არ არიან, ბატონო გელა, ქუთაისში წავიდნენ, მგონი, ბებიას წლისთავზე. სამი საათის წინ გავიდა მატარებელი. თქვენთვის გადმოსაცემად კი რაღაც დამიტოვეს, – ქალი სახლში შებრუნდა და ორიოდ წუთში მოზრდილი ჩანთითა და კონვერტით დაბრუნდა უკან.

გელა ყველაფერს მიხვდა, მაგრამ, იხტიბარი აღარ გაიტეხა.

– დიდი მადლობა, ქალბატონო მაია. ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან: თუ არ შეწუხდებით, ეს თაიგული ანუკას გადაეცით, როცა დაბრუნდება. მე კარგა ხნით მივემგზავრები და... – გელამ მეზობელს ყვავილები მიაწოდა, ჩანთა და კონვერტი გამოართვა და, თავბრუდახვეულმა, მექანიკურად ჩაირბინა კიბეები. არ იცოდა, სად წასულიყო და, საერთოდ, როგორ მოქცეულიყო. ჯერ სადარბაზოდან გავიდა, მერე უკანვე შებრუნდა, კართან ანთებული ნათურის ქვეშ დადგა და კონვერტი გახსნა. იქ ფული იდო, ბევრი ფული და მოკლე ბარათი:

„მე ღმერთისა და შვილების წინაშე ვალი მოვიხადე და მომაკვდავი ქუჩაში არ გაგაგდე. მაგრამ, არის რაღაც, რისი პატიებაც შეუძლებლად მიმაჩნია. თუ შვილები გაპატიებენ, ეს მათი საქმეა, მე ხელს არ შევუშლი.

კონვერტში ორი ათასი დოლარი და ჩვენი ნიშნობის ბეჭდებია. როგორც საჭიროდ ჩათვლი, ისე მოიხმარე.

მე ვერ გაპატიე. უფალმა შეგინდოს.

მშვიდობით სამუდამოდ.“

... და, არავითარი ხელმოწერა.

***

გელას წასვლის შემდეგ მაია სამზარეულოში შევიდა და თაიგული გაფითრებულ ანუკას დაუდო მაგიდაზე. ანუკა ფიქრებიდან გამოერკვა:

– მაია, ძალიან გთხოვ, ლაპარაკის თავი არ მაქვს და ერთი დახმარებაც გამიწიე – ქუთაისში დარეკე და ჩემს შვილებს უთხარი, რომ ხვალ წლისთავზე ვერ ჩავალ. თვითონ მოიფიქრე რამე მიზეზი, – მერე ადგა და კარისკენ გაემართა.

– ანუკა, ყვავილები... – გაუბედავად შეახსენა მაიამ, მაგრამ, ანუკამ სიტყვა არ დაასრულებინა:

– გადაყარე, – თქვა ჩუმად და კარი გაიკეტა.

***

დილის ექვს საათზე ავტოსადგურის სალაროსთან ჯერჯერობით მხოლოდ ერთი მგზავრი იდგა:

– თუ შეიძლება, ერთი ბილეთი ქუთაისამდე, პირველი რეისით... – მიმართა მან მოლარეს და ფული მიაწოდა.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-52(678)

### ნაბახუსევზე...

ქეთიმ ნელა გაახილა თვალები და, ისე, რომ გვერდით არ გაუხედავს, ხელი ფრთხილად მოუსვა ზეწარს. შეცდომა გამორიცხული იყო, არც არაფერი დასიზმრებია. კაცი, რომელიც ახლა ხმადაბლა ხვრინავდა და თავიც მის ბალიშზე ედო, მისი ერთადერთი და განუმეორებელი მეუღლე – ვახო გახლდათ. ქეთიმ ისევ დახუჭა თვალები და შეეცადა, წუხანდელი ღამის ყველა დეტალი აღედგინა... სიხარული იგრძნო, რომელიც სწრაფადვე შეცვალა შიშისა და შფოთვის განცდამ... მათ ხომ, ფაქტობრივად, არც ულაპარაკიათ, არც ერთი სიტყვა არ უთქვამთ ერთმანეთისთვის... დილას კი, შეეძლო, ყველაფერი გაეფუჭებინა, თუმცა, ეს დამოკიდებული იყო იმაზე, რას იტყოდა ვახო, როცა გაიღვიძებდა... ქეთიმ სცადა, წარმოედგინა ეს პირველი გამოფხიზლება, მაგრამ, არაფერი გამოუვიდა... იმასაც მიხვდა, რომ საერთოდ არ იყო მზად საუბრისთვის. ნეტავი, არ გათენებულიყო, ინატრა და ქმარს ფრთხილად მიეხუტა. კაცი მძინარე გადაბრუნდა და ცოლს წელზე მოხვია ხელი. მოხვია კი არა, ჩაბღუჯა, როგორც თავისი საკუთრება. „ნეტავი რომელი საათია? – გაიფიქრა ქეთიმ, – ახლა ნანაც მოვიდოდა... ბავშვიც გაიღვიძებდა...“ არც ნანას კითხვებზე პასუხის გასაცემად იყო მზად. თავი ოდნავ წამოსწია, მაგრამ, კომოდზე დადგმული საათი ვერ დაინახა – ვახოს ისე მიეგდო თავისი პერანგი, რომ მთლიანად ფარავდა ციფერბლატს. ძილის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. ნელა, ისე, რომ ქმარი არ გაეღვიძებინა, საბნიდან გამოძვრა, ხალათი ჩაიცვა და სამზარეულოში გავიდა. უჯრიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და დაფიქრდა, თუმცა, აზრებს თავს ვერ უყრიდა... რა განზრახვით მივიდა ვახო? იმიტომ რომ მოენატრა? ძალიან უნდოდა, ასე ყოფილიყო, მაგრამ დაჯერება გაუჭირდა... დათვრა და გაახსენდა ცოლი? ან, იქნებ, ქალი მოუნდა და იფიქრა: აგერ არ არის ქეთი, რაღა მეძავში გადავიხადო ფულიო? – ეს იმდენად გულის ამრევი და ამაზრზენი აზრი იყო, რომ შეაყრუოლა და მაშინვე უკუაგდო. არა, ვახო აქამდე ნამდვილად არ დაეცემოდა... იქნებ, თომას ამბავი მივიდა მის ყურამდე და... მაშინ, ასეთი თბილი, ალერსიანი და მოსიყვარულე რატომ იყო? ქეთის გაეღიმა და ნებივრად გაიზმორა. თავს მხნედ და ხალისიანად გრძნობდა და რომ არა ეს ეჭვები...

შემოსასვლელის კარი გაიღო და იქვე ჩამოკიდებულ ვეება სარკეში ნანას გამოსახულება აირეკლა. ქალმა ჩანთა დადო და ცნობისმოყვარედ დააშტერდა იქვე დაუდევრად მიყრილ ვახოს ფეხსაცმელებს.

– აქეთ ვარ, შემოდი... – ხმადაბლა გამოსძახა ქეთიმ.

– ვახო დაბრუნდა? – გაოცება ვერ დამალა ნანამ, – იქ მისი ფეხსაცმელებია?

– აბა, ვისი იქნება? – გაეცინა ქეთის, – შენ ხომ არ გეგონა, რომ მართლა საყვარელი გავიჩინე?!

– არა, მაგრამ...

– მოკლედ, მოულოდნელად მომადგა... არც უჩხუბია და არც არაფერი. პირიქით, დიდი ხანია, ასეთი ალერსიანი და შეყვარებული არ მინახავს.

– ჰო?! მთვრალი იყო? – ორაზროვნად იკითხა ნანამ.

– იყო! – უხალისოდ მიუგო ქეთიმ. მიხვდა, ნანამ რაც იგულისხმა.

– ილაპარაკეთ?

– არა. ხომ გითხარი, ძალიან გვიან მოვიდა-მეთქი. სად იყო მაგის დრო.

– მდაა – ამოიოხრა ნანამ. ქეთი დაიძაბა:

... – მოიცა, მაგით, რისი თქმა გინდა?

– ღამე – ღამეა, მაგრამ, დღისით ადამიანები თავიანთ რეალურ სახეს იბრუნებენ. ეჭვი მაქვს, საუბარი აუცილებლად მოგიწევთ და ეს იოლი არ იქნება.

– შენ რას მირჩევ? – გალიზიანდა ქეთი, – რომ გაიღვიძებს, სახლში არ დავხვდე? ახლავე ჩავიცვა და სამსახურში გავიქცე?

– არა, რა თქმა უნდა. უბრალოდ, ვცდილობ, შეგამზადო. მოდი, ასე მოვიქცევი: ბავშვმა, მგონი, გაიღვიძა. სწრაფად ვაჭმევ და ეზოში ჩავიყვან სასეირნოდ. თქვენ მარტონი გაცილებით უკეთ მოილაპარაკებთ და რაღაცაზე აუცილებლად შეთანხმდებით. არ ვიცი, რამდენად გჭირდება ჩემი რჩევა, მაგრამ, შანსი გაქვს, ყველაფერი უკეთესობისკენ შეცვალო და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვა.

ქეთიმ უხმოდ დაუქნია თავი და მადლიერების ნიშნად გაუღიმა.

***

ნატო ფანჯარასთან მივიდა, გაიხედა და როცა შემობრუნდა, შეშფოთებული სახე ჰქონდა. ლელა სწორედ ამ დროს გამოვიდა კაბინეტიდან.

– დღეს ქეთის პაციენტები არ ჰყავს? – ჰკითხა ლელას ნატომ და დამნაშავესავით გაიღიმა.

– მგონი, ჰყავს, რამდენიმე ჩაწერილია, წელანაც ვიღაცამ დარეკა – კონსულტაციაზე უნდოდა მოსვლა... რა ხდება?

– ძალიან დააგვიანა. ორმოცი წუთის წინ უნდა მოსულიყო და ისევ არ ჩანს. ვიფიქრე, ლელას ხომ არ დაეთხოვა-მეთქი.

– არა. არაფერი უთქვამს და არც დაურეკავს. ნერვიულობ? მე ვიცი, რატომაც. რა გინდოდა, რატომ ვერ გაჩერდი?

– ვაიმე, მართლა ვნერვიულობ. დედას გეფიცები, თუ მართლა რაღაც მოხდება, საკუთარ თავს ვერ ვაპატიებ.

– რა უნდა მოხდეს? არ გინდა ამაზე ლაპარაკი... ვახო სულელი არ არის, თუმცა, ვადასტურებ, რომ ძალიან წინდაუხედავად მოიქეცი.

ნატო გაწითლდა:

– ძალიან ვნანობ. მართლა. მაგრამ, ახლა ამით საქმეს აღარ ეშველება. ხომ არ დავურეკო?

– ვის, ისევ ვახოს? – ირონიულად ჩაიცინა ლელამ, მაგრამ, ნატოს სასოწარკვეთილმა გამომეტყველებამ მის მიმართ სიბრალულის განცდა გაუჩინა, – ჰო, კარგი. ახლა უკვე გვიანაა სინანულიც და ნერვიულობასაც აღარ აქვს აზრი. მოვა ქეთი, ნუ გეშინია, არაფერი მოხდება. ნურც დაურეკავ. რამე რომ მომხდარიყო, უკვე გვეცოდინებოდა.

– არა, საქვეყნოდ ხომ არ გახდიდა ქმართან თავისი სკანდალის ამბავს? ვერ დავმშვიდდები, სანამ ქეთი არ მოვა. რაც არ უნდა მითხრა, სინდისის ქენჯნა მაინც შემაწუხებს.

– ეს კარგია, სხვა დროს უფრო წინდახედული იქნები. ახლა კი ქეთის პაციენტი მიიღე. თუ შუადღემდე არ მოვა, მერე დავურეკოთ.

* * *

ვახო თვალებგახელილი იწვა და ადგომას აყოვნებდა. ქეთის მსგავსად, ისიც ცდილობდა მომხდარის გაანალიზებას. უფრო სწორად, უნდოდა, სწორი გადაწყვეტილება მიეღო და არ იცოდა, ეს როგორ გაეკეთებინა. ჩხუბისა და საქმის გარჩევის სურვილი არ ჰქონდა. მაგრამ ისიც არ შეეძლო, ისე დაუჭირა თავი, თითქოს მასა და ქეთის შორის საერთოდ არაფერი მომხდარა.

– გღვიძავს? – ჩაესმა ცოლის მორიდებული ხმა და კარისკენ გაიხედა.

– მოდი აქ... – დაუძახა მშვიდად.



ქეთიმ გაუბედავად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი. ვახოზე ამან პოზიტიური გავლენა იქონია და ქალის მიმართ ბრაზი თუ წყენა მაშინვე გაუქარწყლდა, ხელი დაუქნია და გაუღიმა:

– მოდი, მოდი...

ქეთი საწოლზე ჩამოჯდა. ვახომ წელზე შამოჰხვია ხელები და თავი კალათაში ჩაუდო.

– ბავშვმა გაიღვიძა? – ჰკითხა თბილად.

– ნანას ჰყავს ეზოში. ვახო...

– ჩუმად, არაფერი თქვა... მე არაფერს გეკითხები და შენც ნურაფერს იტყვი. ყველაფერი ისე დავტოვოთ, როგორც არის.

ქეთიმ ამოიოხრა:

– არ გამოგვივა.

– ძალიან კარგადაც გამოგვივა. უბრალოდ, უნდა გავჩუმდეთ. ცოტა ხნის მერე ავდგები, წავალ გიგისთან და ჩემს ნივთებს მოვიტან, თითქოს სახლიდან საერთოდ არც წავსულვარ..

– ჰო, მაგრამ...

ვახომ ტუჩებზე თითები დააფარა ცოლს:

– არავითარი „მაგრამ”... სიტყვები საჭირო არ არის... გავიმეოროთ გუშინდელი სიგიჟე და ნუღარ გავიხსენებთ იმას, რისი გახსენებაც არც ერთს არ გვინდა...

– ვახო, დარწმუნებული ხარ, რომ ასე უკეთესია?

– რა თქმა უნდა. მოდი, დამიჯერე და ნახავ, ყველაფერი მოგვარდება.

ქეთიმ კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ, ვახომ აღარ აცალა – ხელები მაგრად შემოჰხვია და ქალიც თვალებმინაბული, თავდავიწყებით მიენდო...

* * *

გიგიმ თითქმის გათენებამდე უცადა ვახოს, რამდენჯერმე დაურეკა კიდეც, მაგრამ, მობილური გამორთული ჰქონდა და ვერ დაუკავშირდა. გამწარებული უკვე იმასღა ფიქრობდა, ნეტავი, რამე ხომ არ დაემართა, ავარია ხომ არ მოუვიდა, ან, ქეთის ისე ხომ არ ეჩხუბა, რომ პოლიციის განყოფილებაში მიაბრძანესო. ვერანაირი ინფორმაცია რომ ვერ მოიპოვა, თავი იმითღა დაიმშვიდა, ცუდ ამბავს უფრო სწრაფად გავიგებდიო და დაიძინა. ვახო დილითაც არ გამოჩნდა, მისი ტელეფონიც ძველებურად დუმდა. გიგი შეეცადა, არ აღელვებულიყო. „ეგ პირდაპირ სამსახურში წავიდოდა. ჰო, ასე იქნება. ეტყობა, ღამე ქეთისთან დარჩა და აქ აღარ გამოიარა,“ – დაიმშვიდა თავი, მერე სწრაფად ჩაიცვა, ტაქსი გამოიძახა და სამსახურში წავიდა... ოფისი თითქმის ცარიელი იყო. ჰოლში მხოლოდ თიკო იჯდა და მოწყენილობისგან სახემოღუშული, ფრჩხილებზე ლაკს ისვამდა.

– შენ რა, მარტო ხარ? ბიჭები არ მოსულან?

– ვინ ბიჭები, გიგი? – გამოაჯავრა თიკომ.

– ზუკა, ლაშა, ისა, ვახო...

– ჰმ, ვახო შენთან ერთად მოდის ხოლმე... ზუკა ჯერ არ გამოჩენილა, ლაშამ კი დარეკა, ბავშვი ავცერი, სიცხე აქვს და ვერ დავტოვებო.

გიგიმ ჩაიცინა:



– დიდი ხანია, რაც პედიატრად გადაკვალიფიცირდა? ვინ ანდობს მაგას ბავშვს?

– ნუ გაქვს შხამიანი ენა, ლაშა ძალიან კარგი და ყურადღებიანი მამაა, თანაც, ცოლსაც უფრთხილდება – გუშინ ბავშვმა არ დაიძინა და ახლა მე უნდა მივხედოო. მოკლედ, რატომ მალაპარაკებ ამდენს? რადგან მოხვედი, საქმე გააკეთე. ხომ ხედავ, არ მცალია.

– ოჰ, ოჰ, როგორი მოუცლელი ხარ! ნეტავი, ამ ქალებს როგორ არ გეზარებათ. რანაირად შეგიძლიათ დღეში რამდენჯერმე მოიშოროთ ლაკი და ხელახლა წაისვათ.

თიკომ ტუჩი აიბზუა.

– შენ რანაირად შეგიძლია, სულელური ხუმრობები აფრქვიო მუდმივად და ადამიანებს ნერვები მოუშალო?! – ენა გამოუყო გოგომ.

– ნუ უზრდელობ, გასათხოვარი დარჩები.

– ჯერ ერთი, გაუთხოვარი და არა გასათხოვარი და, მეორეც, ეგ შენი პრობლემა არ არის, ნუ ინერვიულებ, – დაამშვიდა თიკომ.

– რა ვიცი, რა ვიცი... ამ ბოლო დროს ისეთი რაღაცეები გახდა ჩემი სანერვიულო, წესით, საერთოდ რომ არ მეხებოდა.

– მაგალითად? – ორაზროვნად ჩაეკითხა თიკო და თვალები ეშმაკურად მოწკურა.

გიგიმ ჩაახველა და ხელი დაუდევრად აიქნია:

– დაკონკრეტება საჭირო არ არის, შეგიძლია, სიტყვაზე მენდო. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ დღეს მე და შენ სრული იდილია გვაქვს.

– არც იოცნებო. შედი შენს ოთახში და შეეცადე, აქეთ აღარ გამოხვიდე.

– არც ყავას დამალევინებ?

– არა და, საერთოდ, არ მინდა, დღეს შენთან რამე საერთო მქონდეს – ნერვებს უნდა გავუფრთხილდე.

– მშვენიერი გადაწყვეტილებაა. მეც ხომ არ ვიფიქრო ამაზე?

თიკომ მხრები აიჩეჩა.

– რაც გინდა, ის ქენი, რა მენაღვლება? – თავი დაღუნა და ფრჩხილებზე ლაკის წასმა განაგრძო.

– ეჰ, კიდევ, მე ვარ აუტანელი და ნერვების მომშლელი? – ამოიოხრა გიგიმ, – რა უსამართლოა ეს ქვეყანა...

– გიგი, შედი შენს ოთახში, რა!

– შევალ, მაგრამ, მანამდე ერთ რჩევას მოგცემ: თუ გინდა, გვერდით მამაკაცი გყავდეს, ოდნავ დამთმობი იყავი, თორემ, დარჩები მარტო და კიდევ უფრო გაავდები.

– იდიოტი! გინდა, მეც გეტყვი ერთ ჭეშმარიტებას?

– თუ, რჩევას მომცემ? – ჩაიხითხითა გიგიმ, – მიდი, გისმენ.

– არა, ეს რჩევა არ არის. იმას გეტყვი, რაც რეალურად გჭირს, მაგრამ, ვერ ამჩნევ; – მარტო დარჩენის პერსპექტივა შენ უფრო გაქვს – არასდროს არც ერთი გოგო არ მოინდომებს შენთან ყოფნას, თუნდაც ძალიან უყვარდე. თუმცა, ჩემთვის სრულიად წარმოუდგენელია, რანაირად შეიძლება ისეთი ეგოისტი, ცინიკოსი და უპასუხისმგებლო კაცის შეყვარება, როგორიც შენ ხარ...

გიგიმ უსიტყვოდ მოისმინა თიკოს განაჩენი, მერე შეტრიალდა და თავის ოთახში შევიდა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-52(678)

მიხომ შეურაცხმყოფელს სასტიკი მზერით გახედა. შემდეგ პირდაღებული ეცა ყელში და მარცხენა საძილე არტერია გამოაგლიჯა... მიხოს მსხვერპლი ბარაკის ხის იატაკზე გაგორდა ხროტინით და იქაურობა სისხლით მორწყა. პატიმრების ბრბო წამით შეცბა. მიხომ ამით ისარგებლა, მგელივით დაიყმუვლა და შატიკისკენ გაიჭრა, რომელიც ბრბოს უკან იდგა და აღარ ეცინებოდა. თუმცა, მიხო შატიკამდე არ მიუშვეს, წრეში მოაქციეს და ცემა დაუწყეს. მიხოც ჩხუბობდა, მაგრამ, ამდენ ხალხს რას გაუმკლავდებოდა – ის ძირს დააგდეს და წიხლებით შესდგნენ.

– ახლავე შეწყვიტეთ ჩხუბი! – იღრიალა ზონის უფროსმა, რომელიც ხელქვეითებთან ერთად ბარაკში შევარდა, რომ მიხოს ხელყოფა აღეკვეთა.

პატიმრები განზე გადგნენ და ყელგამოღადრილი პატიმრის გვერდით ნაცემი მიხო გამოჩნდა, რომელიც გონზე იყო. ადგომა უჭირდა, მაგრამ, განუწყვეტლივ იმეორებდა: „ძეკნებო, მე ქურდი ვარ!“

ზონის უფროსმა მიხო სასწრაფოდ გადაიყვანა საავადმყოფოში, მოკლული პატიმარი კი მორგში წაიღეს. შატიკი მიხვდა, რომ, თუ რამეს არ იღონებდა, მას ამ საქციელს არ აპატიებდნენ. ამიტომ, ბუნტის გზა აირჩია და, ჯერ ის ზონა ააბუნტა, სადაც თვითონ იჯდა, შემდეგ კი ახლომდებარე ზონებში სცადა არეულობის მოწყობა, სადაც ქსივები დაგზავნა. ქსივებში კი დაწერა, რომ ქურდებს ავიწროებდნენ და კოლეგებს დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებდა. შატიკის ქსივებმა მხოლოდ ზონაში გამოიწვია არეულობა, თანაც, მალევე დასრულდა, რადგან, ზურა ქართველიშვილმა ყველაფერი შეიტყო და ვასია ბრილიანტის დახმარებით ბუნტი შეაჩერა. შემდეგ სახელოვანმა ქურდებმა საკუთარი არხებით სიმართლე შეიტყვეს, შატიკს შეუთვალეს, რომ ზონა დაეწყნარებინა და სხოდკისთვის მომზადებულიყო, რომელიც მალე გაიმართებოდა ერთ-ერთ ზონაში და რომ მას იქ მიიყვანდნენ. შატიკმა ქსივა რომ წაიკითხა, მიხვდა, უახლოესი სხოდკა მისი აღსასრული იქნებოდა, ამიტომ, ბარაკიდან პატიმრები გაყარა და ბოძზე თავი ჩამოიხრჩო... შატიკის თვითმკვლელობის მიუხედავად, სხოდკა მაინც შედგა, რომელსაც გამოჯანმრთელებული მიხოც დაესწრო. სხოდკას შატიკის თანამოაზრე ორი ქურდიც ესწრებოდა, სადაც ისინი გამტყუნდნენ და სხოდკის მერე მათაც თავი ჩამოიხრჩვეს. იმ პერიოდში ზურას სროკი დაუმთავრდა, ბრილიანტს გამოემშვიდობა, თბილისში ჩამოვიდა და დიდი სხოდკა მოიწვია, რომელსაც იმ მომენტში საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა ქურდი დაესწრო. ზურას გარდა, სხოდკაზე კიდევ 34 ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის 12 პატიმრობაში მყოფი, რომლებიც ზურას ძალისხმევით ერთი დღით გამოუშვეს. ზურამ მიხოს ისტორია უამბო კოლეგებს, რომელიც მათ ისედაც იცოდნენ და თქვა:

– ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ზოგიერთმა ჩვენმა ძმამ ავტორიტეტი შეგვილახა და ჩვენი რუსი ძმები იმით გაანაწყენა, რომ კომფორტისკენ ისწრაფვიან და რუსეთში არ უნდათ ჯდომა, რომ გასაჭირი არ ნახონ. ჩვენი ცხოვრება კი მეტწილად გაჭირვებაში ყოფნაა და, ის რა ქურდია, ვინც „ძაღლებს“ იმაში უმაზავს მაყუთს, რომ ბამბუკში ჩასმულმა იცხოვროს. აი, რატომ დაესხნენ თავს მიხოს, ჩვენს ძმას და ის სრულიად შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს, თუმცა, მან ბოზს კბილებით გამოღადრა ყელი და თხუთმეტწლიანზე გაუშვეს.

იმ ცნობილ სხოდკაზე ზურამ თავის ქართველ კოლეგებს მოუწოდა, რომ მეტად მოკრძალებულები ყოფილიყვნენ და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მილიციას ფულს ნუ გადაუხდიდნენ.

– მაყუთი ობშჩიაკში შეიტანეთ, რომ ჩვენს გაჭირვებულ ძმებს ლაგერებში ცხოვრება შეუმსუბუქდეთ, – თქვა ზურამ, – აქ კი ისედაც კარგი პირობებია და მეტი კომფორტი არ გჭირდებათ.

მიუხედავად იმისა, რომ ბრილიანტმა და ზურამ დიდი კონფლიქტის ლოკალიზება მოახერხეს, პატარ-პატარა კონფლიქტები მაინც ხდებოდა და ზოგიერთი ჩვენი არაქართველი კოლეგა მაინც ხდებოდა შეტევის ობიექტი. თუმცა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ქართველი ქურდები ღირსეულად ართმევდნენ თავს შემოტევებს, უმკლავდებოდნენ გაჭირვებას და საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდნენ. ციმბირის ერთ-ერთ ზონაში საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ახალგაზრდა ქართველმა ქურდმა, სოლოლაკელმა ვახო შელეგიამ, წითელი კოლონია გააშავა.



ცხონებული ვახო გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულს დაიღუპა თბილისში. ღამით ის მანქანით მოძრაობდა ქალაქში. მას მილიციის ოპერჯგუფი დააჯდა „კუდზე“. ვახომ რუსთაველის გამზირზე, მაღაზია „დინამოსთან“ საჭე ვერ დაიმორჩილა და ჯერ ახალგაზრდა ბიჭი გაიტანა, შემდეგ კი ჭადრის ხეს დაეჯახა. ავარია იმდენად ძლიერი იყო, რომ ვახოს მანქანის ძრავა სასტუმრო „ივერიასთან“, შემთხვევის ადგილიდან ორას მეტრში იპოვეს... ბიჭი ადგილზევე დაიღუპა. ვახო კი არამიანცის საავადმყოფოში მიიყვანეს უგონოდ. მას ექიმმა გულში ადრენალინი შეუყვანა, რამდენიმე წამით გონზე მოიყვანა და, სანამ სულს დალევდა, იკითხა: „ის ბიჭი გადარჩა?“ ცხონებულმა, შემდგომში კანონიერი ქურდის, გია დოლიძის ძმა, ირაკლი (შმაგი) დოლიძე გაიტანა მანქანით და, ჯერ ქურდებმა მიიტანეს დოლიძეების სახლში სამგლოვიარო გვირგვინი, შემდეგ კი გიამ და მისმა მეგობრებმა – ვახოს ოჯახში და ასე დასრულდა ეს საშინელი ტრაგედია... მას მერე მრავალი წელი გავიდა და ქურდული ყოფაც შეიცვალა, თუმცა, დღესაც არც ისე ცოტანი ვართ ნეპმანელები და ჩვენი ძლევა იოლი არაა.

ციხეში ბოლო სროკზე ყოფნისას საკმაოდ ბევრს ვფიქრობდი ქურდული ყოფის მომავალზე და ერთმნიშვნელოვნად დავასკვენი, რომ დიდი, ახლა უკვე საერთაშორისო სხოდკის მოწვევაა საჭირო, სადაც ჩვენი სამყაროს რეფორმირება უნდა მოხდეს. მართალია, ამ იდეას საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, მაგრამ ჩვენ, ნეპმანელებმა, საკუთარ თავში უნდა მოვძებნოთ ძალები და ქურდული ცხოვრება ჭეშმარიტ ქურდულ კალაპოტს დავუბრუნოთ.

არაერთხელ მითქვამს, რომ თანამედროვე ქურდული სამყარო მაფიოზურ სტრუქტურებს ემსგავსება და რომ ის უფრო ბიზნესია, ვიდრე იდეური ძმების მყარი გაერთიანება. ფული, უფრო სწორად კი, დიდი ფული – აი, რა არის ამის ქვაკუთხედი და ასე იოლად არავინ დათმობს თავის პოზიციებს, თუმცა, ჩვენ მაინც უნდა მოვახერხოთ ეს და ჩვეულ, ნამდვილ ქურდულ რელსებზე დავბრუნდეთ.

დღესდღეობით თითქმის არ არსებობს კანონიერი ქურდი, რომელიც ათი და ოცი ლარისთვის სროკზე წავა და ისე პატიოსნად მოიქცევა, როგორც ამას ბრილიანტი, ცალხელა და სხვა ჩვენი წინამორბედები აკეთებდნენ. რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, მით უმეტეს ჩემგან, ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ახლაა საჭირო ისეთი ხასიათისა და ნებისყოფის ქურდების არსებობა, როგორიცაა ხუჭუჭა... მართალია, ხუჭუჭა ქურდი არაა და ის უშიშროების გენერალია, ამჟამად ძებნილი, მაგრამ, მისგან უძლიერესი ქურდი დადგებოდა და თანამედროვე ქურდული სამყარო ბევრად უფრო ტრადიციული იქნებოდა, ვიდრე დღესაა.

ჩვენი ქურდული ბანდა ახალი შექმნილი გვქონდა და პირველი ბაითიც ახალი „დაბომბილი“, როდესაც ხუჭუჭასთან მე და ყბედალო ვიმყოფებოდით და ზურიკო ყიფიანმა გვითხრა:

– ძმებო! ერთ რამეს ვიტყვი და სწორად გამიგეთ.

– თქვი, – ერთხმად ვუთხარით ხუჭუჭას მე და ყბედალომ და სმენად ვიქეცით.

– ქურდები რომ გავხდებით, ბევრი ქურ-

დის მორიალება მოგვიწევს და ამისთვის წინასწარ მოემზადეთ.

– რას ბოდავ, – ჰკითხა ყბედალომ.

– არ ვბოდავ. სიმართლეს ვამბობ.

– დააკონკრეტე, – დავამატე მე.

– ერთ კითხვას დაგისვამთ და თქვენივე პასუხი დაადასტურებს ჩემს სიტყვებს.

– თქვი, – კვლავ ერთხმად ვუთხარით ხუჭუჭას.

– მაშინ, მითხარით, ზურაც ქურდია და ბაკურაც?

ბაკურას პირობითად ვამბობ, რადგან, იმ ქურდის სახელის თქმა არ მინდა.

– ორივე, – ერთხმად ვუთხარით ხუჭუჭას.

– ეგ – ფორმალურად, – ჩაეცინა ხუჭუჭას და დაამატა: მშვენივრად იცით, რასაც ვგულისხმობ.

– რას გულისხმობ? – ვკითხეთ ხუჭუჭას, თუმცა, მართლა ვიცოდით, რას გულისხმობდა.

– ბაკურამ „ძაღლებს" ფული გადაუხადა, რომ ბაითის ქურდობისთვის არ გაესროკათ, არადა, რაც წაიღო, იმაზე სამჯერ მეტი მიიტანა, – დანამდვილებით თქვა ხუჭუჭამ, რადგან, ზუსტი ინფორმაცია ჰქონდა აბრალავასგან.

– შენ რა, „ძაღლების" გჯერა? – შეუტია ყბედალომ.

– „ძაღლები" აქ არაფერ შუაში არიან. თქვენ ის თქვით, რამდენად სწორია, როცა ქურდი მაყუთს იხდის იმისთვის, რაც მისი პროფესიაა და თანაც ამ ფულს მთელი თბილისის ბავშვებს აგროვებინებს.

მე და ყბედალოს ენები ჩაგვივარდა, ხუჭუჭამ კი ღიმილით გვითხრა:

– ვერ მპასუხობთ... ესე იგი, მართალი ვარ.

– შენ რა, დაამტკიცებ, რასაც ამბობ? – ვკითხეთ ხუჭუჭას.

– არც ვაპირებ ამის დამტკიცებას, მით უმეტეს, რომ თქვენც კარგად იცით ეს და მეც მანდ ვარ. ბაკურას, ალბათ, პატიოსანი ქურდები მიხედავენ. ხოლო, როცა მე გავხდები ქურდი, ვფიცავ, რომ ასეთებს არ გავაჭაჭანებ...

– მაშინ, ძმაო, მთელ ქურდულ სამყაროს გადაიკიდებ, – უთხრა ყბედალომ.

– გეშლება, – მიუგო ხუჭუჭამ, – კი არ გადავიკიდებ, არამედ, გავწმენდ. ისე, როგორც ეს ჰერაკლემ ქნა, როცა ავგიას თვალები გაუწმინდა. გაიგე?

– მერედა, ძმაო, ამდენს შეძლებ? – ვკითხე მე, რაზეც მომიგო:

– ყოველ შემთხვევაში, შევეცდები. ხოლო, თუ თქვენ ეს არ შეგიძლიათ, მაშინ, არც ქურდობას გირჩევთ.

როგორც ყოველთვის, ხუჭუჭა მაშინაც მართალი იყო. ამიტომ, მე და ყბედალოს არაფერი გვითქვამს მისთვის, გავჩუმდით და ეს დუმილი თანხმობის ნიშანი იყო. ხუჭუჭა შინაგანად პატიოსანი პიროვნებაა და მიაჩნია, რომ, რა საქმესაც ემსახურები, ის საქმე იმ კანონებით უნდა გააკეთო. ამიტომაც ვთქვი, ხუჭუჭა რომ ქურდი გამოსულიყო, ქურდული სამყაროს გენერალი იქნებოდა და არც ბრილიანტზე, არც ცალხელაზე და არც ზურაზე ნაკლები. ის ჯერ კიდევ ბავშვობაში ამუშავებდა მომავალი ცხოვრების გეგმებს და, რადგან ეს გეგმები ქურდულ ცხოვრებაში ვერ გაატარა, ისინი თავის კარიერაში განახორციელა. მე არაერთხელ მომიყოლია ჩემი და ხუჭუჭას საუბრის შესახებ, როდესაც მან საკნიდან გამოაყვანინა ჩემი თავი და მითხრა:

– კობრა, ძმაო, როგორც შენ ამბობ, ჩემგან მაგარი ქურდი გამოვიდოდა, ასევე, მეც გეტყვი, რომ შენგან არანაკლები დონის ძალოვანი დადგებოდა.

– ანუ, „ძაღლი"? – გამეცინა მე.

– რატომ „ძაღლი", უშიშროების გენერალი.

– მავერბოვკებ?

– არ გრცხვენია? – ღიმილით მითხრა ხუჭუჭამ, – მაგარი ქურდი და მაგარი გენერალი ერთი მედლის ორი მხარეა და ერთიც წყალივით სჭირდება ამ ქვეყანას და მეორეც. ხომ შეიძლებოდა, რომ მე ქურდი გამოვსულიყავი, შენ კი – გენერალი! მაშინ, შენ იჯდებოდი ახლა ჩემს ადგილზე და ზუსტად იმავეს მეტყოდი, რასაც მე შენ გეუბნები.

– კარგი, ხუჭუჭ, მოვრჩეთ ეს ბაზარი. მე ქურდი ვარ და ამას წყალი არ გაუვა, ისევე, როგორც შენ ხარ გენერალი და არც ამას გაუვა წყალი.

– ამ ყველაფერზე მაღლა კი რა დგას? – მკითხა ხუჭუჭამ. მე პასუხი მშვენივრად ვიცოდი, მაგრამ, მაინც ვკითხე:

– რა დგას?

– რა და, ჩვენი ძმაკაცობა.

ხუჭუჭა აბსოლუტურად მართალი იყო, მაგრამ, ხმამაღლა არ დავეთანხმე, უფრო სწორად კი, არაფერი ვუპასუხე. მან, რა თქმა უნდა, მშვენივრად გაიგო ჩემი განწყობა და სიცილით მითხრა:

– თავს დავდებ, რომ მეთანხმები, მაგრამ, ამ სიტყვების დადასტურებას არ გთხოვ. საქმე ისაა, რომ შენს პატიოსნებაში წამითაც არ მეპარება ეჭვი და კარგად ვიცი, რომ ბაკურასავით არასდროს მოიქცევი, რაც არ უნდა გიჭირდეს.

ბაკურა, როგორც ბავშვობაში ხუჭუჭა ვარაუდობდა, ქურდებმა თავიანთი რიგებიდან გააგდეს, ქურდის ტიტული ჩამოართვეს და ჯერ ყურებში წამოარტყეს, ბოლოს კი პანღურით გააგდეს. მან კი, იმის ნაცვლად, რომ, თავს თუ არ მოიკლავდა, პატიოსანი მშრომელი გამხდარიყო, ბოზობის გზა აირჩია, მილიციას შეეკრა და მათ აწვდიდა ინფორმაციებს თავის ყოფილ კოლეგებზე. სწორედ ბაკურამ ჩაუშვა კბილის ექიმის ცნობილი საქმის მონაწილე ორი ქურდი, რომლებმაც მისი



ბაითიდან 2 კილო ოქრო წაიღეს და ისინი დააჭერინა. ბაკურას ამბავი მალევე გაბაზრდა და, მართალია, მას მილიცია იცავდა, მაგრამ, ამ ამბიდან სულ რაღაც ოთხ თვეში, ბაკურა ყელგამოჭრილი იპოვეს გაგრის ერთ-ერთი სანატორიუმის ნომერში, სადაც მას მილიცია ინკოგნიტოდ მალავდა.

ქურდული შურისძიება ქურდული კანონების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და მისმა ყველა მიმდევარმა იცის, რომ ჩაშვების საზღაური ერთმნიშვნელოვანია და მას ეწოდება სიკვდილი... ასევე ისჯება ეს ქმედება ყველა სერიოზულ ცხოვრებისეულ სფეროში და, ქურდების გარდა, არაერთი მილიციელი თუ „კაგებეშნიკი" გაუმგზავრებიათ იმქვეყნად ღალატის გამო. თუმცა, ისეც მომხდარა, რომ მოღალატის იარლიყი ტყუილად მიუკერებიათ მავანი პატიოსანი ქურდისთვის და გამოუსწორებელი ტრაგედიაც კი დატრიალებულა ამის გამო.

მე უკვე სტაჟიანი ქურდი ვიყავი, როდესაც ერთ ქურდს, პირობითად მას ნოე ვუწოდოთ, ღალატში დასდეს ბრალი. ნოე ცნობილი დომუშნიკი (ბინის ქურდი) იყო და თავის ორ კოლეგასთან ერთად, მოსკოვში ერთი იუველირის ბაითი გაიტანა. ნოეს პაძელნიკები ორი დღის მერე დაიჭირეს და „მურში" უკრეს თავი, თავად ნოემ კი პაბეგი აიკიდა. პაძელნიკები სასტიკად აწამეს და ორივე „კაპეზეში" გარდაიცვალა, ნაქურდალი ტავარი კი გაქრა. მართალია, ნოე პაბეგში იყო, მაგრამ, ათკაციანი ქურდული სხოდკა შეიკრიბა, რომელსაც მეც ვესწრებოდი. ერთ-ერთმა ჩვენმა ძმამ ნოეს პრეტენზიები წაუყენა და პაძელნიკების ჩაშვებასა და ტავარის მითვისებაში დასდო ბრალი. ნოე, რა თქმა უნდა, ყველაფერს უარყოფდა, თუმცა, მას უმეტესობა არ უჯერებდა, მხოლოდ სამ ქურდს არ გვჯეროდა მისი უპატიოსნობის. მიუხედავად ამისა, ქურდულმა სხოდკამ დაადგინა, რომ ნო-


**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**



ეს ნაქურდალი უნდა გამოეჩინა და თავის მოკვლის შანსს მისცემდნენ. მას მწარედ გაეცინა, უცებ რევოლვერი გააძრო და შეაყენა, თან მზერით ჩამოგვიარა ყველას.

– აი, ხომ ვამბობდი, გაგვყიდა-მეთქი, – თქვა ნოეს მთავარმა ბრალმდებელმა, – ის რევოლვერით მოვიდა სხოდკაზე და გვაშინებს.

– ესე იგი, ჩემი არ გჯერათ? – იკითხა ნოემ.

– ჯერ იარაღი შეინახე და მერე ვილაპარაკოთ, – მიუგო ნოეს ბრალმდებელმა ქურდმა, – რას გვაშინებ, ყველას ვერ დაგვხოცავ.

– მშვიდობით, ძმებო! თქვენ ყველანი პატიოსნები ხართ, მაგრამ, არც მე ვარ ბოზი და მწარედ ინანებთ, როცა სიმართლე გაირკვევა. მე ქურდი ვარ და ქურდად მოვკვდები, – თქვა ნოემ და ჩვენ წინ შუბლი გაიხვრიტა...

ნოეს უდანაშაულობა გაირკვა. ჩამშვები კი ერთ-ერთი პაძელნიკი აღმოჩნდა, რომელიც „ძაღლებმა" წამებით მოკლეს. საქმე ის იყო, რომ ის „ძაღლებთან" იყო შეკრული და თავიდან მოიშორეს. ნაკოლიც „ძაღლებისა" იყო და ქურდები მხოლოდ და მხოლოდ გამოიყენეს...

მართალია, ყველაფერი გაირკვა და ნოე გამართლდა, მაგრამ, არც მისი ოპონენტი ქურდები დაუსჯია ვინმეს, რადგან, ისინიც გააბითურეს. ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ცამდე მართალი ადამიანი ტყუილუბრალოდ დაიღუპა და პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ. ქურდიც ადამიანია, შეცდომა მასაც მოსდის და სწორედ ამაზე ამბობდა ვასია ბრილიანტი: ქურდმა ათასჯერ უნდა გაზომოს და უეჭველი უნდა გაჭრასო. როდესაც ნოემ ჯერ თავი მოიკლა, შემდეგ კი უტყუარად დადასტურდა მისი სიმართლე, არც ერთი მისი ოპონენტი ქურდი არ ამაღლებულა ნოემდე და მისი სიკვდილით მხოლოდ მწუხარება გამოთქვეს. არადა, ნოე რომ ყოფილიყო ცრუ ბრალმდებელთა რიგებში, ის თავს არ იცოცხლებდა...

ნამდვილ, ჭეშმარიტად იდეურ ქურდს თავი გადადებული აქვს, სიკვდილის მას არ ეშინია და ყოველთვის მზადაა თავგანწირვისთვის. ჭეშმარიტ ქურდს ღირსების დაკარგვას სიცოცხლის დაკარგვა ურჩევნია, თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქურდი ბრმად, ტყუილად დათმობს საკუთარ სიცოცხლეს და ცხვარივით მორჩილად ავა ეშაფოტზე.

– ქურდული ცხოვრება ეშაფოტია და ჩვენს თავზე მუდმივად ალესილი ნაჯახი კიდია, – იტყოდა ხოლმე ბრილიანტი, – მაგარი მაშინ ხარ, როდესაც ამ ალესილ ნაჯახს აიცილებ, თუმცა, არა სხვის ხარჯზე. არაქურდული საქციელია, როცა პატიოსან ადამიანს ცეცხლში შეაგდებ, შენ განზე გადგები და სადისტური სიამოვნებით უყურებ, როგორ იწვის ის ცოცხლად.

დღესდღეობით ისეთი ტენდენცია ჩამოყალიბდა შავ სამყაროში, რომ, რაც უფრო მეტი ადამიანისთვის გაქვს „გაჩალიჩებული", მით უფრო მაგარი და მოუხელთებელი ხარ. ეს კი ყოვლად უზნეო, არაქურდული საქციელია. თუკი ამ საზიზღრობას ჩანასახშივე არ მოვსპობთ, მაშინ ქურდული ცხოვრება კიდევ უფრო მეტად დაშორდება თავის იდეურ საწყისს. სულ რაღაც ოცდაათიოდე წლის წინ რომ ქურდის გამო, თუნდაც შემთხვევით, პატიოსან ადამიანს რაიმე სერიოზული პრობლემა შეჰქმნოდა, იმ ქურდს ტიტულს ჩამოართმევდნენ. ერთხელ, ცნობილი დომუშნიკი, ვანკა ლისი, ერთ ბაითში მარტო შევიდა საჩალიჩოდ. მას ეგონა, რომ იქ არავინ იყო. მაგრამ, შეცდა და, ბინაში რომ შეძვრა, მას იქ მძინარე დიასახლისი დახვდა. ვანკა უკანვე გამობრუნდა. თუმცა, დიასახლისს გამოეღვიძა და შიშისგან მშობიარობა დაეწყო, რადგან შვიდი თვის ფეხმძიმე იყო. ლისი კვლავ ბაითში დაბრუნდა და იქიდანვე სასწრაფოს დაურეკა. სანამ ექიმები მოვიდნენ, ვანკა ლისიმ ქალი ამშობიარა და მათ პატარა ბიჭი დახვდათ. დედა და შვილი უვნებლად გადარჩნენ. ლისიმ კი ეს საქციელი საკუთარ თავს არ აპატია, ქურდული სხოდკის მოწვევა მოითხოვა და საკუთარი ნებით მოიხსნა ქურდის ტიტული... მას, რა თქმა უნდა, შეეძლო ეს ამბავი დაემალა ან ქურდად მაინც დარჩენილიყო, რადგან, მისთვის პრეტენზია არავის წაუყენებია, მაგრამ, ქურდულმა სინდისმა მას ამის უფლება არ მისცა და თავი დაისაჯა.

ვანკა ლისის საქციელს ასი ადამიანიდან თითოეული მათგანი სხვადასხვაგვარად განსჯის – ზოგი გაამტყუნებს და ზოგიც გაამართლებს, მაგრამ, სიმართლე ყოველთვის ერთია და ლისი სწორედ იმ ერთადერთ პოზიციაზე დადგა. შეურაცხყოფის მიყენება არავისთვის მინდა, მაგრამ, მეეჭვება, რომ ქურდების ამჟამინდელი თაობიდან ბევრმა ჩაიდინოს ასეთი რამ. სანამ ბოლო სროკზე წავიდოდი, ერთი თვით ადრე ერთ ქურდულ სხოდკას დავესწარი, რომელზეც იაშა ბრიტის საქმე ირჩეოდა. ბრიტი ახალგაზრდა თაობის ეგრეთ წოდებული „ძერსკი" წარმომადგენელი იყო და ისეთი იმიჯი ჰქონდა შექმნილი, რომ საქმეში ჩაუხედავი, გამოუცდელი ადამიანი იფიქრებდა, ესაა და, ახალი ვასია ბრილიანტი გამოჩნდა ქურდული ცის კაბადონზეო. არადა, ბრიტის ძერსკობა უფრო მისი თავზეხელაღებულობისა და ბანდიტური თავხედობის შედეგი იყო, ვიდრე ქურდული კა-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბ | ი | ს | მ | ა | რ | კ | ი | | ა | | ბ | ო | ბ | ო | ლ | ა |
| | ა | | ე | | ე | | ლ | ო | რ | დ | ი | | ი | | | ლ |
| | ნ | ა | ნ | კ | ი | ნ | ი | | ტ | | ბ | რ | ო | ლ | ი | ა |
| | ვ | | ი | | ს | | ა | რ | ა | მ | ი | | | | | ვ |
| გ | ა | ბ | უ | ნ | ი | ა | | ა | ლ | ე | ნ | | | | | ე |
| | რ | უ | | უ | | | ა | შ | ა | რ | ი | | | | | რ |
| | ი | ზ | ა | გ | ა | ნ | | მ | | მ | | | | | | დ |
| | | ი | ნ | ა | მ | ა | | ო | ხ | ი | მ | | | | | ო |
| | დ | | ა | | ი | კ | ა | რ | ო | ს | ი | | | | | ბ |
| კ | ა | ნ | ტ | ო | ნ | ა | | ი | რ | ი | ა | | დ | ი | ლ | ა |
| | ბ | | ო | | | დ | | | გ | | უ | რ | ე | მ | ი | |
| | ლ | ი | ლ | ი | პ | უ | ტ | ი | ა | | | ო | ვ | ა | ლ | ი |
| | ა | ნ | ი | ზ | ი | ლ | ა | ტ | | ა | ი | ლ | ი | დ | ი | |
| ა | | ო | | ა | ნ | ი | რ | ი | | ნ | | ა | | ნ | | პ |
| ნ | | ლ | ა | ბ | ა | | ო | | | ჯ | ა | ნ | ჯ | ა | ლ | ი |
| ა | პ | ა | რ | ე | კ | ა | | ი | რ | ე | ნ | ი | ა | ვ | | პ |
| პ | | | ა | ლ | ი | ბ | ი | | გ | ი | ო | | მ | | | ე |
| ა | რ | ი | ქ | ა | | რ | ა | მ | ო | | ა | ბ | ი | შ | ო | ტ |
| | კ | | ს | | შ | ა | ტ | ი | ლ | ი | | უ | | ი | | ი |
| კ | ო | ლ | ი | ო | | გ | ა | ლ | ი | | ი | დ | ე | ნ | ი | |
| ა | | ი | | გ | რ | ი | გ | ი | | ა | ნ | ა | დ | ი | რ | ი |
| ს | ა | ტ | ა | ნ | ა | | ა | ც | ა | ნ | ა | | ი | ო | ფ | ე |
| პ | | რ | | ა | ლ | ა | ნ | ი | | ა | ნ | უ | | ნ | | ლ |
| ი | დ | ი | ო | ტ | ი | | ი | ა | ლ | ტ | ა | | ხ | ი | დ | ი |



### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 7 | 1 | 9 | 2 | 4 | 6 | 3 | 8 |
| 8 | 6 | 2 | 7 | 1 | 3 | 5 | 9 | 4 |
| 9 | 4 | 3 | 6 | 8 | 5 | 2 | 7 | 1 |
| 3 | 1 | 7 | 2 | 4 | 8 | 9 | 5 | 6 |
| 6 | 8 | 5 | 1 | 3 | 9 | 4 | 2 | 7 |
| 2 | 9 | 4 | 5 | 7 | 6 | 1 | 8 | 3 |
| 7 | 2 | 6 | 8 | 5 | 1 | 3 | 4 | 9 |
| 1 | 3 | 8 | 4 | 9 | 2 | 7 | 6 | 5 |
| 4 | 5 | 9 | 3 | 6 | 7 | 8 | 1 | 2 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 3 | 4 | 6 | 5 | 1 | 9 | 2 | 7 |
| 5 | 9 | 2 | 4 | 7 | 3 | 8 | 6 | 1 |
| 7 | 6 | 1 | 8 | 9 | 2 | 4 | 3 | 5 |
| 2 | 7 | 6 | 3 | 8 | 5 | 1 | 9 | 4 |
| 1 | 4 | 3 | 9 | 2 | 7 | 5 | 8 | 6 |
| 9 | 8 | 5 | 1 | 6 | 4 | 3 | 7 | 2 |
| 6 | 5 | 9 | 7 | 1 | 8 | 2 | 4 | 3 |
| 4 | 2 | 7 | 5 | 3 | 9 | 6 | 1 | 8 |
| 3 | 1 | 8 | 2 | 4 | 6 | 7 | 5 | 9 |

**„თუ გამოიცნობთ" რუბრიკის პასუხები: 1. ჭადრაკი. 2. ვაშლი და კარტოფილი. 3. საახალწლო ნამცხვარში მოთავსებული მონეტა ვისაც შეხვდება, სწორედ მისთვის დადგება ბედნიერი წელი. 4. ახალაშენებულ ქალაქში აღმოიფხვრა ანტისანიტარია. 5. ფრონტის გარღვევაზე პირველად მიდიოდა საბჭოთა ფეხოსანთა დანაყოფი, შემდეგ მიჰყვებოდა სატანკო შენაერთი, სხვა ქვეყნების არმიებში კი პირიქითაა. 6. რომაელი იურისტები, რომლებიც კანონის ცოდნაზე მონოპოლიას კარგავდნენ. 7. ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობების მკურნალობაზე რომ ევარჯიშათ. 8. გინებისა და უხამსი სიტყვების მაგივრად გამოსაყენებელი სიტყვების სია. 9. მეცნიერის სიბრძნის კბილი. 10. შოკოლადი – კაკაოს ხე და ვანილი.**

ნონების წმინდად დაცვა. პრინციპში, ბრიტი იყო კიდეც ბანდიტი. მას საკუთარი ბანდა ჰყავდა, ისინი ერთმანეთს „ქაჩავდნენ“ და ხელს აფარებდნენ და, რაც მთავარია, იარაღით დადიოდნენ და უფრო ხშირად ძარცვით იყვნენ დაკავებულები, ვიდრე ქურდობით. ამან თავისი უარყოფითი შედეგი მოიტანა და ერთ-ერთ საქმეზე მათ ბინის პატრონი, სამოცდაათი წლის იუველირის ქვრივი გააუთოვეს და მოკლეს... ბრიტიმ და მისმა თანამოძმეებმა ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, დაუმალეს ქურდებს, თუმცა, იმ კრეტინებს საქმის დროს ქსივა – იაშას პასპორტი დაუვარდათ, რომელიც მოკლულის ვაჟმა იპოვა და მილიციას დაუმალა. მიცვალებული რომ დაასაფლავეს, იმ კაცმა ეს პასპორტი ცნობილ ქურდს, ჩვენს თანამემამულეს, თოკას მიუტანა. იუველირის ქვრივის სადისტური მკვლელობის ამბავი მთელმა რუსეთმა იცოდა და მილიცია გამალებით ეძებდა ბოროტმოქმედებს. ჩვენ, ქურდები, ვერც კი წარმოვიდგენდით, თუკი ბრიტი და მისი შაიკა ასეთ რამეს ჩაიდენდნენ, ამიტომ, მათზე ეჭვიც კი არავის მიუტანია. ხოლო ის ფაქტი, რომ ბრიტის პასპორტით ვინმემ ისარგებლა და კვალის ასარევად დააგდო ბაითში, პრაქტიკულად გამორიცხული იყო. იმ პერიოდში მოსკოვში ვიმყოფებოდი. თოკამ დამიძახა. ბაითში რომ განვმარტოვდით, ყველაფერი დაწვრილებით მომიყვა, პასპორტი მაგიდაზე დააგდო და მითხრა:

– აი, სადამდე მივიდნენ ეს ნაბიჭვრები. ქალი სადისტურად დაბრიდეს, თანაც, ამ სირებს ქსივა დაუვარდათ და თავი დაიწვეს. კაროჩე, სხოდკა უნდა შევკრიბოთ და ამ ბეზპრეძელშჩიკებს გადავუაროთ.

– ჩვენი მთავარი და ერთადერთი ფაქტი იაშას პასპორტია, მაგრამ, იტყვის, მომპარეს და გამიჩალიჩესო. ამიტომ, რამე ისეთი უნდა მოვიფიქროთ, რომ სააშკარაოზე გამოვიყვანოთ, – ვუთხარი თოკას.

– მართალი ხარ და უკვე მოვიფიქრე.

– რა მოიფიქრე?

– რა და იუველირის ბინიდან წაღებული ნივთები უნდა დავუდოთ წინ.

– ეგ როგორ?

– როგორ და, იაშას ერთი ნაშა ჰყავს, ლიდა, ძველი პრასტიტუტკა და ზუსტად ვიცი, რომ იმასთან ინახავს ტავარს. ლიდას ბაითი უნდა დავბომბოთ და, სხოდკაზე რომ მოვლენ, ფაქტებსაც დავუდებთ.

– იტყვის, ჩვენი ნაჩალიჩევი არ არისო.

– ვერ იტყვის. ლიდასაც მივათრევთ და პირზე დავაყენებთ. იუველირის ვაჟს უკვე ქილერი ჰყავს დაქირავებული და დედამისის მკვლელების დაბრედვას აპირებს. ჯერ ლიდას შევახვედრებთ იმ კაცს და ეს ჩათლაშკა რომ გაიგებს, მომკლავენო, სიმართლეს იტყვის. აბა, თავს ხომ არ შესწირავს?

– ვა, ქილერი ჰყავს დაქირავებული?

– ჰო, ქილერი. იმ კაცს უჩემოდ შეეძლო მათთვის მოყომარება, მაგრამ, ჩემთან იმიტომ მოვიდა, რომ საქმის კურსში ჩავეყენებინე. რაც არ უნდა იყოს, იაშა და მისი ორი ძმაკაცი ქურდები არიან და ქურდების დახოცვა არ უნდა. ასე მითხრა: მე თქვენ პატივს გცემთ და იმიტომ მოვედი, რომ თქვენი კოლეგების მიმართ სამართლიანი განაჩენი გამოიტანოთ, მერე კი მე ვიციო.

– სწორია ის კაცი. მოდი, ვიჩალიჩოთ, – ვუთხარი თოკას.



ლიდას ბაითი მე და თოკამ გავქურდეთ, საიდანაც მხოლოდ იუველირის ნივთები წამოვიღეთ და თოკას ბინაში შევინახეთ. ლიდა კი თავის სახლთან დავითრიეთ, მანქანაში ჩავისვით და მის დაკაჩავებას შევუდექით.

– ვა, თოკა, შენ ხარ?! – თქვა ლიდამ, როდესაც თოკა დაინახა.

– მე ვარ და ახლა ყურადღებით მომისმინე, შე ჩათლახო: თავგზის აბნევა არ სცადო, თორემ, „ძაღლების” საჯიჯგნად გაიხდი თავს და ვერავინ დაგეხმარება! დიდ შარში ხარ გახვეული და, სიმართლეს თუ არ იტყვი, ტრუპი გახდები, – უთხრა ძველ პროსტიტუტკას თოკამ და პაუზის მერე დაამატა: – გაიგე?

ლიდამ კარგად იცოდა, რომ თოკას ტუფტა ბაზარი არ უყვარდა და იმასაც მშვენივრად მიხვდა, რომ თოკას რანგის ქურდი მას ტყუილუბრალოდ არ დაელაპარაკებოდა, ამიტომ, შეშინებული სახითა და ხმის კანკალით მიუგო:

– გავიგე. რა მოხდა?

თოკამ ლიდას ნაქურდალი ნივთებით სავსე ჩანთა უჩვენა და უთხრა:

– იცანი, ალბათ. ერთი საათის წინ შენი ბინიდან წამოვიღეთ და გელოდებოდით.

– კი, ვიცანი. ესენი მე იაშა ბრიტიმ მომაბარა, თქვა ლიდამ.

– ძალიან კარგი, რომ არ იცრუე და, იმედია, შემდგომშიც სიმართლეს იტყვი.

– რა თქმა უნდა, ვიტყვი.

– თუ იცი, ეს ნივთები საიდან მოიტანა იაშამ?

– არ უთქვამს, მაგრამ, ვხვდები.

– აბა, საიდან?

– საიდან და, ჩემი აზრით, იუველირის მოკლული ქვრივის ბაითიდან. ამ ამბავზე მთელი მოსკოვი ლაპარაკობს.

– სწორია, იქიდან, – დაუდასტურა თოკამ.

– თქვენ საიდან იცით, რომ ის საქმე ბრიტიმ შეასრულა?

თოკამ ლიდას ბრიტის პასპორტი ანახვა და უთხრა:

– აი, ამ სირს პასპორტი დაუვარდა იქ, რომელიც მოკლულის ვაჟმა იპოვა და მილიციას დაუმალა. ამ დღეებში ბრიტისაც და მის ბოზ პაძელნიკებსაც ქილერი დაბრიდავს, რომელიც იმ კაცმა დაიქირავა, მანამდე კი სხოდკაზე მათ ქურდობა უნდა ჩამოვართვათ, შენ კი პირზე უნდა დაადგე იაშას და თქვა, რომ ეს ნივთები მან მოგაბარა. იტყვი? დაადგები იმ ბოზს პირზე?

– დავადგები, – მტკიცედ თქვა ლიდამ.

– ახლა წადი, მაგრამ, თუ მოგვატყუებ და ბრიტის წინასწარ გააფრთხილებ, იმ ბოზებთან ერთად შენც დაიბრიდები. ხოლო, თუ სწორად მოიქცევი, იუველირის შვილი მაყუთს გადაგიხდის, აქედან გაემგზავრები და ახალ ცხოვრებას დაიწყებ. მოსულა?

– მოსულა, – თქვა ლიდამ და მანქანიდან გადავიდა.

სხოდკა ორი დღის მერე შედგა და ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ვგეგმავდით. ბრიტისა და მის ორ პაძელნიკს ყველაფერი დავუმტკიცეთ, ლიდაც პირზე დაადგა მათ და, იძულებულები გახდნენ, ყველაფერში გამოტეხილიყვნენ. სამივეს ტიტული ავყარეთ და გავყარეთ. ერთი საათის შემდეგ კი ტიტულაყრილი სამი ქურდი და კიდევ ორი მათი პაძელნიკი ოსტროვსკის ქუჩაზე მანქანაში აფეთქდნენ და ცოცხლად ამოიბუგნენ. ლიდამ შეპირებული მაყუთი მიიღო და უცხოეთში გაემგზავრა, ჩვენ კი იუველირის ვაჟს თავისი ნივთები დავუბრუნეთ. მან ეს ნივთები გაყიდა და აღებული ფულიდან ქურდულ ობშჩიაკს სოლიდური გრევი გაუკეთა. ასე ტრაგიკულად, მაგრამ, სამართლიანად დასრულდა ბეზპრეძელშჩიკი ქურდების სიცოცხლე. ამ ამბავზეა ნათქვამი: ოჯახი მახინჯის გარეშე არ არსებობსო, მაგრამ, ბოლო დროს ჩვენს ოჯახში ძალიან მომრავლდნენ მახინჯები და იმხელა ძალაუფლება მოიპოვეს, რომ მათთან დატაკება დიდ სისხლისღვრას გამოიწვევს და ყველა შემთხვევაში ქურდულ საქმეს დააზარალებს, დააზარალებს იმაზე მეტად, ვიდრე ეს გასული საუკუნის მიწურულს მოხდა, ყველაფერ ამის მიზეზი კი როგორც მაშინ, ასევე მომავალში, საბჭოთა კავშირის დაშლაა.

საბჭოთა კავშირის დაშლამ არა მარტო მილიონობით პატიოსანი და მშრომელი ადამიანი დააზარალა, არამედ, პატიოსანი ქურდული სამყაროც და მასში დიდი ბზარი გააჩინა, რაზეც უკვე ვილაპარაკე. თუკი იმ დიად ქვეყანაში ყველა პატიოსანი ქურდი ღარიბი, მაგრამ, დამოუკიდებელი იყო, ახლა პირიქითაა – ქურდი გამდიდრდა და ისეთ რამეებსა და ვინმეებზე გახდა დამოკიდებული, რომ თოჯინა და მარიონეტი გახდა. მარტო ის რად ღირს, რომ ქურდმა პოლიტიკაში ჩაყო ცხვირი, დიდ, ბინძურ თამაშში ჩაება და მჭიდროდ გადაეფსკვნა ხალხის კისერზე მომჯდარ წურბელებს, რომლებიც ადამიანებს ისედაც გამშრალი სისხლის უკანასკნელ წვეთებს სწოვენ...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# მარნეულის მურაბის დღეს მედიაკონკურსმა სოფლის მეურნეობის თემაზე გამარჯვებულებიც გამოავლინა

კვირას, 22 დეკემბერს მედიაკონკურსის, „თანამედროვე სოფლის მეურნეობა და აგროინდუსტრია საქართველოში," გამარჯვებულები გამოვლინდნენ. კომპეტენტურმა ჟიურიმ მთავარ თემაზე მომზადებული საუკეთესო მედია-პროდუქცია (საგაზეთო სტატია, ინტერნეტპუბლიკაცია, ბლოგი, ტელე და რადიოსიუჟეტი და სხვა) დაასახელა.

2013 წლის გაზაფხულზე „მარგებელი ჰოლდინგმა", პიარსააგენტო „ჯეპრასთან" ერთად, მედიაკონკურსი გამოაცხადა თემაზე: „თანამედროვე სოფლის მეურნეობა და აგროინდუსტრია საქართველოში", რომლის მიზანს მედიის საშუალებით სოფლის მეურნეობის არსებული მდგომარეობის, მიმდინარე პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ, ქართველი მომხმარებლისთვის სასარგებლო და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენდა. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლო საქართველოში მომუშავე ყველა ჟურნალისტს. კონკურსის ობიექტურად ჩატარებას კი, კომპეტენტური ჟიური უზრუნველყოფდა.







***კონკურსის დროს წარმოდგენილი მასალების განხილვისას, ჟიურიმ შემდეგი სახის კრიტერიუმებით იხელმძღვანელა:***

* ჟურნალისტური ოსტატობა (ორიგინალური ტექსტი, კრეატიული გადაწყვეტა, გზავნილების გასაგებად წარმოდგენა) – მაქსიმუმ 10 ქულა;

* გამოქვეყნების სიხშირე – მაქსიმუმ 5 ქულა;

* კონკურსის ფარგლებში მომზადებული მედიამასალების რაოდენობა – მაქსიმუმ 5 ქულა;

* კონკურსის თემასთან („თანამედროვე სოფლის მეურნეობა და აგროინდუსტრია საქართველოში") შესაბამისობა – მაქსიმუმ 10 ქულა.

მედიაკონკურსის მიმართ ინტერესი ქართულ მედიაში დიდი იყო. ამას ხელი იმ გარემოებამაც შეუწყო, რომ მთელი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობა და აგროსექტორი აქტუალურობას არ კარგავდა. ჟიურის გადაწყვეტილებით, მედიაკონკუსში პირველი ადგილი ირაკლი ჭანტურიამ დაიკავა, რომელიც სტუდია „ქრეა ტვ-ს" წარმოადგენდა. მეორე ადგილი სამმა ჟურნალსიტმა: თამარ ლეფსვერიძემ („გურიანიუსი"), ნინო ნატროშვილმა („ნეტგაზეთი") და ანონა სამხარეამ („მარნეული ტვ") გაინაწილეს. მესამე ადგილი კი ოთხ ჟურნალისტს ერგო – ეკა ჟიმშელაძეს („ბიზნესი და კანონმდებლობა"), ანა ჭანკოტაძეს („ლიბერალი"), ლიკა ჟორჟოლიანს („ტაიმერი") და ლევან ბეგლარიშვილს (CBW).

დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა კაფეში „გაჩერება კონკაზე." წარმატებები ჟურნალისტებმა ტკბილეულით აღნიშნეს. მედიაკონკურსი ტრადიციული და ყოველწლიური იქნება.

„8 თვის განმავლობაში ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ, სოფლის მეურნეობაზე დაეწერათ მასალები და პარალელურად, ამ კონკურსის მონაწილენიც გამხდარიყვნენ. ჩვენი მიზანია, რომ ამ სფეროში არსებული პრობლემები თუ წარმატებები, საზოგადოებისთვის ცნობილი ყოფილიყო. ამ მხრივ ჩვენც ხელი შევუწყვეთ და ამ თემის გააქტიურებისთვის კონკურსში გამარჯვებულებს წამახალისებელი პრემიები გადავეცით," – განმარტა „ჯეპრას" უფროსმა კონსულტანტმა კახა მაღრაძემ.



# მარნეულის მურაბის ყველაზე ტკბილი დღე

## საახალწლო ფესტივალი და ნაძვის ხეების გამოფენა შარდენზე

22 და 25 დეკემბერს ძველი თბილისის კოლორიტული უბანი საახალწლო ფესტივალს მასპინძლობდა. თბილისელებისთვის „მარნეულის სასურსათო ქარხანამ“ გემრიელი მურაბის დღე მოაწყო. ძირითადი ღონისძიების – „მარნეულის მურაბის დღის“ პარალელურად, ნაძვის ხეების გამოფენაც გაიმართა. საახალწლო ფესტივალის ორგანიზატორები და მასპინძლები იყვნენ „მარნეულის სასურსათო ქარხანა“, თბილისის მერია და „მეიდან ჯგუფი“. ღონისძიება საკმაოდ საინტერესო, მასშტაბური და მხიარული გამოვიდა.



მთელი დღის განმავლობაში ტკბილეულის მოყვარულებისთვის „მარნეულის სასურსათო ქარხანამ“ სადეგუსტაციოდ მურაბისა და ჯემის ფართო ასორტიმენტი გამოიტანა. დაგემოვნების შემდეგ მსურველებს შეეძლოთ, საუკეთესო ნუგბარი სპეციალურ ფასად ეყიდათ.



ფესტივალის ფარგლებში, მარნეულის პროდუქციასთან ერთად, „მურაბის დღეს“ გამართულ დეგუსტაციასა და საახალწლო ბაზრობაში სხვადასხვა ორგანიზაცია და ბრენდი მონაწილეობდა: სუპერმარკეტების ქსელი „სმარტი“ და ამერიკული რესტორანი „ვენდისი“, ნამცხვრის სახლი „აზზატო“, იტალიური ყავის ბრენდი „ლავაცა,“ ასევე, სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლები, რომლებიც სტუმრებს თაფლით, ჩირით, ტყლაპით, გოზინაყით, კანფეტებით, ჩაითა და გლინტვეინით გაუმასპინძლდნენ.

„მურაბის დღეს“, სიონის ტაძრის სკვერში მოსულმა სტუმრებმა დიდი სიამოვნება მიიღეს ტკბილ და ზღაპრულ სამყაროში „მოგზაურობით“. სტუმრების განწყობაზე ზრუნავდნენ „მულტი-პულტის“ სამყაროს პერსონაჟები: კარლსონი, მიკი და მინი მაუსები, ვინი, შრეკი და ფიონა, პლუტო, ფიფქია, რომლებიც ართობდნენ და ახალისებდნენ პატარებს.



ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ანა ჩანგიანის ხელოვნების სახლის ბავშვების მიერ თექისგან დამზადებული ზამთრის კოლექციის ჩვენება, ხოლო, მუსიკალური ნომრები შეასრულეს უნიჭიერესმა ზურა ბალანჩივაძემ და ხელოვნების სკოლის – „აფხაზეთი №1-ის“ აღსაზრდელებმა.

ბამბის რიგის ტერიტორიაზე კი სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ნაძვის ხეების გამოფენა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა რამდენიმე ორგანიზაცია. მათ ბრენდირებული ნაძვის ხეები საკმაოდ ორიგინალურად წარმოადგინეს. გამოფენის სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გამოევლინათ საუკეთესო მასპინძელი კომპანია და ხმა მიეცათ მათთვის ყველაზე სასურველი ნაძვის ხისთვის. გამოვლინდნენ გამოფენის გამარჯვებულები, რომლებიც 25 დეკემბერს სპეციალური ღონისძიების ფარგლებში დაჯილდოვდნენ.

„ზამთრის სუსხიან დღეებში, ჩვენს ორგანიზმს ტკბილეული ყველაზე მეტად სჭირდება. გვინდოდა, რომ წინასაახალწლოდ ჩვენი მომხმარებლებისთვის სიურპრიზი გაგვეკეთებინა და მურაბის დღე მოგვეწყო. ჩვენი პროდუქციიდან საზოგადოებაში უფრო მეტად მწნილეულობა და სოუსებია ცნობილი. გვინდა, რომ ჩვენი გემრიელი, სხვადასხვა სახის ჯემი და მურაბაც უფრო მეტმა ადამიანმა გაიცნოს. ვაწარმოებთ საზამთროს, კომშის, შინდის, სამოთხის ვაშლის, კაკლისა და მანდარინის მურაბას; შინდის, ატმის, კომშისა და ვაშლის ჯემს. მუდმივად ვზრუნავთ, რომ ტკბილეულობის მოყვარულებს სიახლეები შევთავაზოთ. თუმცა, ქართულ ბაზარზე მაინც კაკლის მურაბა ლიდერობს,“ – აღნიშნავს „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ დირექტორი ირინა გაფრინდაშვილი.



**სოფო სებისკვერაძე მაყურებელმა გაიცნო ფილმებიდან – „ჭამა და სექსი" და „მამაჩემის გერლფრენდი." სულ პირველად სოფო ეკრანზე ერთ-ერთ სარეკლამო რგოლში გამოჩნდა, შემდეგ იყო ეპიზოდური როლი ნიკა ხომასურიძის ფილმში „დიდგორი" და სერიალი – „მესამე თაობა". პატარა, ქერათმიანი, სინაზით გამორჩეული გოგო, რომელიც ძალიან ჰგავს მერლინ მონროს, ქმართან გაშორებულია და ჰყავს ერთი შვილი. „ჭამა და სექსმა" მას ახალი სიყვარული აპოვნინა, ფილმის რეჟისორი გიორგი ლიფონავა. წყვილი თავს ერთად ძალიან კარგად გრძნობდა. ეს ურთიერთობა გიორგისთვისაც სერიოზული და ხანგრძლივი იყო, მაგრამ, სულ ახლახან ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. სოფო პირად ცხოვრებაზე საუბარს ერიდება, მხოლოდ ის გვითხრა, რომ გიორგის ჰყავს გოგო, რომელიც ყველაზე მეტად უყვარს – ეს მისი კინოა.**

# რა მამაკაცური თვისება არ მოსწონს სოფო სებისკვერაძეს საკუთარ თავში და რატომ დაშორდა ის გიორგი ლიფონავას

**– სოფო, ვინაიდან ახალი წელი მოდის, საუბარიც ამით დავიწყოთ, შემდეგ კი ფილმებზე და შენს პირად ცხოვრებაზე ვისაუბროთ. გაიხსენე, რომელი ახალი წელი იყო შენთვის განსაკუთრებული?**

– ახალი წელი განსაკუთრებულად მიყვარს, მაგრამ, ცოტა სევდიანიც არის ჩემთვის – მზადების დროს ვაანალიზებ ჩემს შეცდომებსა და წარმატებებს. განსაკუთრებული ახალი წელი არ მახსოვს, მაგრამ, გამოვარჩევდი 2012 წელს – ქუჩაში შევხვდით და კონცერტზე დერვიშებთან ერთად ვიმღერე „სულიკო" . არც მე და არც ჩემს შვილს, მარის, არ გვიყვარს შოპინგი, მაგრამ, საახალწლოდ გვიწევს საჩუქრებზე სიარული.

**– ბოლო ორ ფილმში უხერხულ სცენებში ხარ გადაღებული. კომფორტული რომ არ იქნებოდა იქ არავისთვის თამაში, იუნა შაფათავას გარდა, რომელიც ცხოვრებაშიც ძალიან თამამია, ვიცი. საინტერესოა, შენ რა გიქმნიდა დისკომფორტს გადაღებებზე და ხათრით მიღებული გადაწყვეტილება იყო ეს თუ პოპულარობის სურვილმა გძლია?**

– გიოსთან მხოლოდ „ჭამა და სექსში" ვითამაშე. დისკომფორტი არანაირად არ მქონია, ხათრიც არაფერ შუაშია. უბრალოდ, გავაკეთე ის, რაც საჭირო იყო ფილმისთვის. რაც შეეხება პირადად გიორგის, მასთან მუშაობა, შეიძლება ითქვას, დამავიწყდა კიდეც, რადგან, ჩვენ უკვე ერთად აღარ ვართ. საერთოდ, კომპლექსი მაქვს ცუდი სცენარისა და გამოუცდელი რეჟისორების მიმართ – ეს ძალიან აკნინებს მსახიობის შესაძლებლობებს. მერე არავინ ამბობს, სცენარი იყო სუსტი ან რეჟისორმა კარგად ვერ აუხსნა ამოცანაო და ყველაფერი მსახიობს ბრალდება, მაგრამ, ამ ბოლო დროს ბევრი საინტერესო ქართული ფილმი გაჩნდა, რაც ძალიან მიხარია. ჩემი ნიჭი შეუმჩნეველია იმ ფონზე რაც მითამაშია. მინდა, ბოლომდე დავიხარჯო ამ სფეროში, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ ამის შესაძლებლობა არ მომეცა. იმედს არ ვკარგავ – მჯერა, რომ ბევრი საინტერესო როლი მელის.



**გიოს ჰყავს „გოგო", რომელიც ყველაზე მეტად უყვარს – ეს მისი კინოა**

**– მამაკაცებს, ვინც გადამღებ ჯგუფში არიან ხოლმე, ალბათ, ყველას ძალიან მოსწონხარ. ამაზე როგორი რეაქცია გაქვს?**

– ამ შემთხვევაში ძალიან დაუკვირვებელი ვარ – ვინ რა თვალით მიყურებს, ვერ ვხვდები ხოლმე, ან, უბრალოდ, არ ვფიქრობ ამაზე, თუ არ მაგრძნობინა, არ მითხრა რამე. იმ შემთხვევაში კი, თუ თვალშისაცემი გახდა, უფრო ხშირად მგონია, რომ მომეჩვენა, ან, ვერ გავიგე კარგად.

**– გიორგისთან ყოფნა არ გენატრება?**

– ახლა ამ მოგონებებით არ ვცხოვრობ. ბევრი საერთო მეგობარი გვყავს და, ბუნებრივია, ჩვენი ურთიერთობაც გაგრძელდება, ოღონდ, სხვა ფორმით. გიოს ჰყავს „გოგო", რომელიც ყველაზე მეტად უყვარს – ეს მისი კინოა. მეც მიყვარს გიოს შემოქმედება და ის კინოებიც, რომლებსაც გადაიღებს და რომლებიც გადაუღია. მომავალში არაფერს გამოვრიცხავ. ურთიერთობები მთავრდება მაშინ, როცა ვინმე კვდება. ჩვენ ცოცხლები ვართ და ერთმანეთი გვიყვარს კიდეც, უბრალოდ, ამ ეტაპზე ასე განვითარდა მოვლენები. მომავალში, ალბათ, ვიქნებით კიდეც ერთად, ოღონდ, როგორც უკვე ვთქვი, სხვანაირად განვითარდება ჩვენი ურთიერთობა – ვიმეგობრებთ. ახლა ფილმის „ჩემი ცოლის დაქალების" გადაღებები აქვს და არ სცალია

**– ისე, კარგი წყვილი იყავით. „ფეისბუქის" სურათებიდანაც ჩანდა, რომ თავს ბედნიერად გრძნობდით.**

– არც მე და არც გიოს არასდროს გვისაუბრია ურთიერთობის დაკანონებაზე, ასეთი რამ არ მახსოვს. ერთადაც არასოდეს გვიცხოვრია. უკეთესი ის იყო როგორც ვგრძნობდით თავს და მორჩა. რთულია, გამოამზეურო ის, რაც მარტო შენ გეხება. ამიტომ, ამაზე საუბარი აღარ მინდა. ჩემთის გიო დღემდე ჭკვიან, საინტერესო და მიმზიდველ მამაკაცად რჩება!

**– საკუთარ გარეგონობაში, ხასიათში რას შეცვლიდი?**

– მინდა, ხუთი სანტიმეტრით მაღალი ვიყო და, ჩემი სურვილი რომ იყოს, უფრო ნაკლებად მგრძნობიარე ვიქნებოდი.

**– რატომ? ხელს გიშლის რამეში შენი სენტიმენტალურობა?**

– ქალს ცვლის მისი შინაგანი მდგომარეობა: თუ ხარ ბედნიერი – ანათებ, თუ არა – ჩამქრალი ხარ. სიმშვიდე უხდება ქალს ყველაზე მეტად. ჩემი ახალი იმიჯი იქნებოდა უფრო მშვიდი და გაწონასწორებული ქალის, მაგრამ, ალბათ, ვერ შევძლებ – ზედმეტად გიჟი ვარ ამისთვის.

**– ანუ, ძალიან ემოციური და გიჟი ხარ? ეგ უფრო კაცებს ახასიათებთ.**

– არ ვიცი მაქვს თუ არა მამაკაცური თვისებები, მაგრამ, შეიძლება, ითქვას, რომ დიდი ფიზიკური ძალა მაქვს, რას სულ არ მიხდება და, არ ვიცი, როგორ გამოვიყენო. კიდევ, ყურადღებიანი ვარ. დაპირისპირება კი არც ერთ სქესთან არ მეხერხება.

**– მოიცა, მოიცა... თუ ვიღაცამ რაღაც ისეთი გითხრა, რაც არ მოგეწონება, შეიძლება, მოსდო კიდეც?**

– მოვდო კი არა, შემიძლია, საერთოდ ავილო და გადავდგა, მაგრამ, მაინც არ არის საჭირო აგრესია, ყველაფერს კოსმოსი აწონასწორებს. სხვათა შორის, ვისაც დიდი ფიზიკური ძალა აქვს, ისინი მშვიდები არიან. არ ვამბობ, რომ მაიკ ტაისონი ვარ, მაგრამ, ჩემს გარეგნობას არ შეესაბამება ჩემი ძალა. ასე რომ, ბოევიკშიც ვითამაშებდი სიამოვნებით, კასკადიორების დახმარების გარეშე – ჩემი ძმა ძიუდოზე დადიოდა და რაღაც ილეთები მეც მასწავლა.

**– ესე იგი, შენ ისეთი ნაზი და წყნარი გოგო არ ხარ, მე რომ მგონიხარ? არა, არ მჯერა!**

– ზუსტად მაგას ვამბობ. უფრო სწორად, ნაზიც ვარ და ძალაც მაქვს, მაგრამ, ჩხუბები არ მიყვარს. არ არის აუცილებელი, ძალა აგრესიისთვის გამოიყენო. მარტო ვცხოვრობ და მადგება ხოლმე ჩემი ძალა. ოჯახში კაციც მე ვარ და ქალიც. ლურსმანიც დამიჭედებია და სიმძიმეებიც მითრევია, ანუ, კაცის საქმეები თავისუფლად მეხერხება, რა თქმა უნდა, კერძებსაც მშვენივრად ვამზადებ.

**ეკა პატარაია**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

## ასოციაცია „მესხეთი 2001-ის" და მისი პრეზიდენტის, ამირან მექვაბიშვილის თაოსნობით – მესხეთიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს

ასოციაცია „მესხეთი 2001-ს" ქართველი საზოგადოება საინტერესო და საქველმოქმედო პროგრამებით იცნობს. ასოციაციის პრეზიდენტია თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტისა და თბილისის ტურიზმის აკადემიის რექტორი, საქმიანი, მუდამ ენერგიული და უბერებელი, ბატონი ამირან მექვაბიშვილი, რომელმაც ცხოვრების დიდი პერიოდი მესხეთში გაატარა ხელმძღვანელ თანამდებობებზე. სწორედ მისი თაოსნობით დაარსდა ეს ასოციაცია. „მესხეთი 2001" განსაკუთრებულ დახმარებას უწევს თბილისში მესხეთიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს განათლების მიღებასა და დასაქმებაში. ამას გარდა, ამ ორგანიზაციის თაოსნობით ტარდება არაერთი ღონისძიება, რაც ემსახურება ამ კუთხის ცნობილი წარმომადგენლების მიერ გაწეული ღვაწლის სათანადო დაფასებას. 25 დეკემბერს ტურიზმის აკადემიის შენობაში გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა ცნობილი ტანმოვარჯიშის,



საქართველოს ნაკრების მწვრთნელის, ლუკა მესხის დაბადებიდან 70 წლისთავს. მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული ტანვარჯიშის განვითარებაში და აღზარდა არაერთი წარმატებული სპორტსმენი. ამავე საღამოზე გაიხსენეს მესხეთის საზოგადო მოღვაწე ოთარ ცინაძე, რომლის დაბადებიდან 85, გარდაცვალებიდან კი 45 წელი შესრულდა. ოთარ ცინაძე იყო პიროვნება, რომლის სახელთან დაკავშირებულია მესხეთის აღმშენებლობა 60-იან წლებში.

საღამოზე თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტისა და თბილისის ტურიზმის აკადემიის სტუდენტების მონაწილეობით ჩატარდა თვითშემოქმედებითი კონცერტი.

**ხვთისავარ არჩემაშვილი** *(ასოციაცია „მესხეთი 2001-ის" ვიცე-პრეზიდენტი):* ჩვენს ორგანიზაციას სამომავლოდ დაგეგმილი აქვს საინფორმაციო ცენტრის გახსნა, რომელიც კონსულტაციას გაუწევს მესხეთიდან თბილისში ჩამოსულ მოსახლეობას ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების მიღებაში.

## „პოპულარული კომპოზიტორი" – ნანა დაუშვილი

სულ ცოტა ხნის წინ თბილისში მუსიკალური დაჯილდოების – „მეგას" რიგით მეთოთხმეტე ცერემონიალი გაიმართა და, შესაბამისად, სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ. ნომინაციაში „პოპულარული კომპოზიტორი" გაიმარჯვა ნანა დაუშვილმა. ქალბატონი ნანა არაერთი პოპულარული და ყველასათვის საყვარელი სიმღერის ავტორია; გარდა ამისა, ის პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა და მისი მოსწავლეები დღეს საქართველოში ცნობილი, წარმატებული მომღერლები არიან.

**ნანა დაუშვილი**: დაჯილდოებაზე სტუმრის სტატუსით ვიყავი, ამიტომ, ჩემთვის მოულოდნელი იყო ამ ნომინაციაში გამარჯვება. ბესო ჩუბინიძემ ნომინაციაში გამარჯვებულის ვინაობის გასაჟღერებლად ჩემი მეგობარი, კომპოზიტორი ოთარ ტატიშვილი მიიწვია, რომელმაც დიდი სიხარულ-



ით გამოაცხადა ჩემი სახელი და გვარი. ეს ჩემთვის ძალიან მოულოდნელი და სასიხარულო იყო, რადგან, დამიფასდა საქმისადმი სიყვარული და შრომა. ამისთვის კი, უპირველეს ყოვლისა, მადლობას ვუხდი ჩემს ხალხს, მსმენელებსა და შემსრულებლებს; სიმღერის ტექსტების ავტორებს: ზურა გოშაძეს, ნანა ცინცაძეს, ტერეზა ჯოჯუას და ბევრ სხვას, ასევე, რადიოს, ტელევიზიებს, რომლებმაც გააჟღერეს ჩემი სიმღერები და ხელი შეუწყვეს მათ გაჰიტებას. დიდ მადლობას ვუხდი „მეგას" უცვლელ ორგანიზატორს – ბესო ჩუბინიძეს. აქვე, მინდა, შევეხო წლის საუკეთესო ტელეპროექტს – „ახალ ხმას", სადაც წარმატებით მონაწილეობდნენ ჩემი აღზრდილები. ერთ-ერთი მათგანი, თიკო მოსემღვდლიშვილი, მაოს გუნდიდან, შოუს ფინალისტია და მასზე დიდ იმედებს ამყარებენ – თიკო ნამდვილი ფავორიტია და მე მისით ვამაყობ. იმედი მაქვს, გაიმარჯვებს. ჩემი არტ-სტუდია „ნანა" მარჯანიშვილზე, ლელა მესხის აკადემიის შენობაში მდებარეობს, სადაც უამრავი ნიჭიერი მომღერალი იზრდება. მიხარია, რომ ისინი მალე აუცილებლად დაამშვენებენ ქართულ სცენას.

## ქართული ბრენდის დაჯილდოება და მანანა მანიას ჩვენება „შერატონ მეტეხი პალასში"

26 დეკემბერს, საღამოს შვიდ საათზე ქართული ბიზნესისა და ხელოვნების წარმომადგენლები „შერატონ მეტეხი პალასში" შეირკიბნენ. შეკრების მიზეზი ნამდვილად განსაკუთრებული იყო. ამ დღეს სასტუმროს ულამაზეს დარბაზში ქართული ბრენდის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა, რომელიც მხოლოდ წელიწადში ერთხელ ხდება. გარდა, ტრადიციული კომპანიების წარდგენისა, ღონისძიება საზეიმოდ დაგვირგვინდა ძალიან ნიჭიერი დიზაინერის, მანანა მანიას კოსტიუმების ჩვენებით. დიზაინერი თავისი შემოქმედებისა და განსხვავებული სამოსის წარმოსადგენად, არასდროს იყენებს მოდელებს. ის უფრო დიდ დატვირთვას აძლევს ჩვენებას, პოდიუმს და კოსტიუმებს მსახიობებს, ცნობილ ქალბატონებს არგებს. ჩვენებამ პომპეზურად ჩაიარა, თითოეული ქალბატონის გამოსვლას ძალიან დიდი ოვაციები მოჰყვა. თუმცა, გამორჩეული იყო კომპოზიტორი და ულამაზესი ქალბატონი – ნანა მესხი, რომლის გამოსვლა მართლაც შთამბეჭდავი იყო.




**მანანა მანია**: სულ ორმოცდახუთი კოსტიუმი წარმოვადგინე. ყველა ერთმანეთისგან განსხვავებული, ინდივიდუალურია და ისეთი ძვირფასი ქსოვილებისგანაა შექმნილი, როგორიცაა: აბრეშუმი, შიფონი, ხავერდი. ყველა კოსტიუმი ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც მასალით, ისე სტილით.

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

**ძველად ქართველები ახალ წელს განსაკუთრებულად ხვდებოდნენ და, შესაბამისად, განსაკუთრებულ ტრადიციებსაც იცავდნენ, რომელთა უმეტესობა დღეს უკვე დავიწყებას მიეცა. მაგრამ, ძველი ქართველი ამ ტრადიციების გარეშე არც ერთ ახალ წელს არ ხვდებოდა და, ფიქრობდა, რომ მათი დაცვით მომავალი წელი კიდევ უფრო ბედნიერი იქნებოდა. რაც მთავარია, მას არც გასული წლისთვის ავიწყდებოდა მადლობის გადახდა და ამისთვისაც განსაკუთრებულ ტრადიციას მიმართავდა. როგორი იყო ძველად ახალ წელთან დაკავშირებული რიტუალები და რა წესებს იცავდნენ ამ დროს ქართველები, ამის შესახებ უფრო დაწვრილებით კომპოზიტორი ნოდარ მამისაშვილი გვესაუბრება.**

# რა უცნაურ რიტუალს ასრულებდნენ ძველად ქართველები ბედობის დღეს, 2 იანვარს და რა ძღვენი უნდა მიეტანა მეკვლეს ახალი წლის ღამეს ოჯახში

**– ბატონო ნოდარ, სანამ უშუალოდ ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებულ ტრადიციებზე ვისაუბრებთ, მაინტერესებს, რატომ ცდილობდა ქართველი კაცი ძველი წლის მადლიერებით გაცილებას, იმის მიუხედავად, კარგი წელი იყო მისთვის თუ ცუდი? რას ემსახურებოდა ან რისთვის იყო საჭირო ეს ტრადიცია?**

– ქართველ კაცს, როგორი მწუხარებაც არ უნდა შეხვედროდა, ძველ წელს აუცილებლად მადლობას უხდიდა, იმიტომ რომ მან იმედი დაუტოვა და მომავალ წელს შეახვედრა. როდესაც ძველი წელი მიდიოდა, დიდი ზარების ენას შემოარტყამდნენ ცხვრის ტყავს. თუ ზარი პატარა იყო, მაშინ მას მთლიანად შემოახვევდნენ ტყავს და ღუღუნა, ჩუმი, სამგლოვიარო ხმით ისტუმრებდნენ ძველ წელს. ეს იყო არა მხოლოდ ძველი წლის გაცილება, არამედ ძველი ხმა ზარისა.

**– ზარს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი კაცის ცხოვრებაში, მას განსაკუთრებული ტექნოლოგიით, სიყვარულითა და სიფრთხილით ამზადებდნენ.**

– რელიგიური ლიტერატურის თანახმად, ზარის რეკვა ლურსმანზე ჩაქუჩის დარტყმას, ანუ, მაცხოვრის ჯვარცმას უნდა გვაგონებდეს. ესე იგი, ზარს მხოლოდ ტკბილხმოვანება კი არ აქვს, არამედ, შეგვახსენებს იმას, თუ როგორ იტვირთა იესო ქრისტემ ჩვენი ცოდვები და ეს აქტი სულიერებისა მუდამ უნდა გვახსოვდეს. საერთოდ, ზარის ხმოვანება ადამიანის სულიერებაზე უნდა აწყობილიყო, ისევე, როგორც საეკლესიო გალობანი და ლოცვები. სწორედ ამან მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ზარის ხმა ძველი, საეკლესიო საგალობლების საფუძველზე უნდა აწყობილიყო და ცალკეული ბგერების ერთიანობის ისეთი ჰარმონია უნდა დამყარებულიყო, რომელიც საერთოდ ახასიათებდა ძველ საეკლესიო ლიტურგიას. რაც შეეხება ზარის ფორმას, თვითონ გეომეტრიულ ფიგურებს აქვთ გარკვეული ენერგია. ყველაზე კეთილშობილი ენერგიის მატარებელია გუმბათი, ამიტომაც, ქართული ზარების ზედა ნაწილი ძირამდე გუმბათოვანია. ეს მჟღერი ნაწილი გადაძახილს აკეთებს ეკლესიის გუმბათთან და ქმნის საინტერესო ანსამბლს. ყოველივე ეს კარგად იცოდნენ ძველმა აკუსტიკოსებმა. ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ზარის ენას: ის აუცილებლად უნდა იყოს რკინისა, რადგან, ინახავს ზარს ზედმეტი გადახურებისგან, არ ცვდება დარტყმისგან და ხელს უწყობს ზარის სასიამოვნოდ აჟღერებას. ჩვენ, ასევე, გვინახავს ზარზე გამოსახული ჯვარი და წარწერა და ეს არ არის მისი გალამაზებითვის გაკეთებული. როდესაც ზარი რეკავს, ის ჯვარი და წარწერა გადმოდის ჩვენს ცნობიერებაში და ჩვენც ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ მის მისაღებად. საერთოდ, უნდა გვახსოვდეს, რომ ზარი მაშინაც რეკავს, როდესაც არ ხმოვანებს. ეს ყველაფერი იცოდნენ ძველმა ქართველებმა და ამიტომაც აცილებდნენ ახალ წელს ზარის რეკვით.



**უნდა გვახსოვდეს, რომ ზარი მაშინაც რეკს, როდესაც არ ხმოვანებს. ეს ყველაფერი იცოდნენ ძველმა ქართველებმა და ამიტომაც აცილებდნენ ახალ წელს ზარის რეკვით**

**– რა იყო პირველი, რასაც ძველი ქართველები ახალი წლის დადგომისთანავე აკეთებდნენ?**

– როგორც კი შემოვიდოდა ახალი წელი, ზარებს მაშინვე მოხსნიდნენ ტყავს, დარეკავდნენ, ზანზალაკებსაც აწკრიალებდნენ და იყო ერთი ჟრიამული, რადგან ახალი წელი მოვიდა. ქართველმა ჯოჯოხეთშიც კი ბროლის კოშკი ააგო და პატარა ზარი დაკიდა – ცოდვის გამოსყიდვის, მონანიების შანსი დაუტოვა ჯოჯოხეთში მოხვედრილ ადამიანებს. მართალია, იქ მისვლა არ არის იოლი, მაგრამ, ხომ დაუტოვა?! აი, იმ ზარის რეკვის ხმასავით, იმედი მოდიოდა ახალ წელს, თუნდაც იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც ცოდვები ჩაიდინეს და ფიქრობდნენ, რომ ახალი წელი დადგა, როგორც მონანიების წელი და ცხოვრებას თავიდან იწყებდნენ. ეს ძალიან საინტერესო რიტუალია, თუმცა, ამით არ მთავრდება ყველაფერი. დრუიდებს ჰქონდათ კალენდარი, რომლის მიხედვითაც რცხილას ერთი ზამთრის პერიოდი იწყებოდა 11 დეკემბერს და გრძელდებოდა 21 დეკემბრამდე. დრუიდების დახასიათებით, რცხილა იყო ლამაზი, ახალგაზრდა ხე, რომელიც ქვეყანაში არსებულ უსამართლობას, გასაჭირს, ყველაფერს საკუთარ თავზე იღებდა, მერე ვერ უძლებდა, ადრე ბერდებოდა და კარგავდა იმ სილამაზეს, რომელიც მას ახალგაზრდობაში ჰქონდა. ქართველები რცხილის ხისგან ჭრიდნენ მორს, რომელსაც უკეთებდნენ პირამიდისებურ ჩაღრმავებას, ზევიდან ქვევით, ისე, რომ წვრილი წვეტი შუაში ყოფილიყო, შუა ნაწილიდან კი უკვე მისი საპირისპირო პირამიდა გამოდიოდა ქვევითამდე და დგებოდა უშუალოდ საინტერესო ვარიანტი. თან, პატარა ღარს უკეთებდნენ, ქვევით კი – ფიალას და ამ რცხილის მორში გროვდებოდა ორი სხვადასხვა მუხტით დამუხტული (ცოცხალ და მკვდარ წყალს რომ ვეძახით) წყალი, რომელსაც სამკურნალო თვისებები ჰქონდა. 21 და 22 დეკემბერი კი წიფლის ხის იყო. წიფელი ერთადერთი ხეა, რომელსაც მხოლოდ ორი დღე აქვს მიცემული, პირველი დღე – მოხუცებულობისა და მეორე დღე – ფენიქსივით განახლებისა. 22 დეკემბერს ხმელი წიფლის განახლებული ყლორტი თავის ენერგიას გადასცემდა ვაშლის ხეს, რომელიც სიუხვის სიმბოლო იყო. ხოლო დრუიდების მიერ ბედობის დღეს შერჩეული იყო სოჭი, რადგან, სოჭი იყო მარადმწვანე და მე ამ მარადმწვანე სოჭის დღეს მინდოდა ჩამეთქვა ჩემი სურვილები, რათა ის მარადიულად ასრულებულიყო. სოჭს ორი სხვა თვისებაც ჰქონდა: როდესაც ქართველები ზარს ასხამდნენ, მდუღარე, ქაფქაფა ლითონს ბოლოს მოურევდნენ ხოლმე ფესვიანად ამოღებული სოჭის ნერგით – ეს იყო ინფორმაციული კოდი მარადიულობისა, რათა ზარსაც მარადიულად დაერეკა და მისი ხმა ყოველთვის გაეგონათ ქართველებს. კიდევ ერთი არაჩვეულებრივი საიდუმლო აქვს ახალ წელს: გამხმარ ფოთოლს, ან ტყავს, შემდეგ უკვე ქაღალდს, დაჭმუჭნიდნენ, ღვინოს დაცლიდნენ, ფიალას გადმოაბრუნებდნენ, ზემოდან ამ ყველაფერს ცეცხლს წაუკიდებდნენ, უკან კი სოჭის ხის წებოვანას კვარივით აანთებდნენ და, იმის შუქზე, რაც თეთრ კედელზე დარჩენილი ნახშირით გამოისახებოდა, მკითხაობდნენ. ეს იყო თამაში და ამით, ძირითადად, ახალგაზრდები ერთობოდნენ. ბავშვობაში ამ რიტუალში ბევრჯერ მიმიღია მონაწილეობა: ტყეში დავდიოდით, ახალი წლისთვის სოჭის კვარს ვაგროვებდით, ზოგი რას ხედავდა, ზოგი კიდევ – რას, რაღაცას მივამსგავსებდით ხოლმე ნახშირის ჩრდილს. მე, ყველასგან განსხვავებით, სულ ტაძარი ამომდიოდა. საოცარია, მაგრამ, ხომ გახსოვთ, წლების მერე წმიდა სამების ტაძრის ზარები ჩამოვასხი. უცნაურია, მაგრამ ფაქტია – ეს ყველაფერი ბედობის დღეს, 2 იანვარს ხდებოდა.

**– რა იყო ძველად ახალ წელთან დაკავშირებული სიმბოლოები, ატრიბუტიკა, რასაც ქართველი კაცი საახალწლო სუფრასთან დაკავშირებით აუცილებლად ითვალისწინებდა?**

– ეს შემორჩენილია ჩვენს ფოლკლორში, სასმისების დასახელებაში, ხალხურ სიმღერაში. საქართველოში ძველებურ ახალ წელს (შემოდგომის ახალ წელს ვგულისხმობ), ჰქონდა თავისი სიმბოლო და ეს სიმბოლო შესანიშნავად აისახა ხალხურ პოეზიაში: „ახალ წელიწადს წლისთავსა ვიკვლევ ვაზისა რქითამცა, შენი სახლიცა ამსილა ტყავ-კაბა-ზარბაბითამცა“. ვაზის რქა იყო ძალიან საინტერესო გეოპათოლოგიური, საეკლესიო ზონების მიმკვლევი, ანუ, სადაც ხდება ადამიანის სულიერი განწმენდა. სრულიად ბუნებრივია, რომ წმიდა ნინოს ვაზის ჯვარი ჰქონდა. ანუ, ვაზის რქას, როგორც გამკვლევს გზისას, მის სიმბოლოს, უნდა გაეკვალა გზა ახალი წლისთვის, რომ ის ვიღაცის ოჯახში მისულიყო – ეს ახალი წლის შესანიშნავი სიმბოლო იყო. გამოთქმაში ნახმარია სიტყვა: „ზარბაბითამცა“, რაც „ოქროს ძაფით ნაკერს” ნიშნავს, ანუ, ტყავ-კაბა ოქროს ძაფით ნაკერი იყოსო. მაშინ ოქროს სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ანუ, მზის და, ესე იგი, მზის მადლი არ დაეკარგოსო. ქართველები ახალი წლის ღამითაც ზრუნავდნენ ერთმანეთზე, ნაცნობებზე, მეზობლებზე. ფერსო არის მრგვალი თვალი, რომელიც ურმის თვალს ზემოდან ეკვროდა. იმ ოჯახის კართან, რომელიც წინა წელს დაიჩაგრა, რაღაც უსიამოვნებები ჰქონდა, ვიღაც გარდაეცვალა, ახალი წლის ღამეს მიაგორებდნენ ან მთლიან ურმის თვალს (გააჩნია, რამდენად შეძლებული მეზობელი ან ახლობელი იყო), ან ფერსოს, რომ მას გზა გაეკვალა ახალი წლისთვის; რომ ამ კვალს გაჰყოლოდა ახალი წლის ბედნიერება, რაც მას მოჰქონდა; რომ კმარა ამ ოჯახისთვის უბედურება. აფხაზებს ურმის თვალის მაგივრად ძაფი ჰქონდათ – ყველაზე ლამაზი ხიდან ძაფს გააბამდნენ და სახლამდე მიიტანდნენ, რომ ამ ძაფს გამოჰყოლოდა ახალი წელი.

**– რა უნდა მიეტანა მეკვლეს ახალი წლის ღამეს ოჯახში?**

# ვინ არის სანტა კლაუსი

შობა-ახალი წლის დადგომა ამერიკისა და ევროპის ქრისტიანულ ქვეყნებში სანტა კლაუსის სახელს უკავშირდება, მაგრამ ბევრმა არც კი იცის, თუ ვინ არის სინამდვილეში სანტა კლაუსი ან რატომ დამკვიდრდა ის ამ სახით.

19 დეკემბერს, ახალი სტილით, მართლმადიდებელი ეკლესია დიდი სასწაულთმოქმედი წმიდანის, მირონლუკიის ეპისკოპოსის – წმიდა ნიკოლოზის ხსენების დღეს აღნიშნავს. ის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გამორჩეული წმიდანია ქრისტიანულ სამყაროში.

განსაკუთრებული თაყვანისცემა წმიდა ნიკოლაუსისა გერმანიაში მეექვსე საუკუნიდან, რომში კი მერვე საუკუნიდან დამკვიდრდა.

როგორც ცნობილია, წმიდა ნიკოლოზი, განსაკუთრებული ქველმოქმედებითა და მოწყალებით გამოირჩევა. მისი ცხოვრება სასწაულებითაა აღსავსე. ყველასთვის ცნობილია, მაგალითად, თუ როგორ გადაარჩინა წმიდა ნიკოლოზმა ქალაქი მირონლუკია შიმშილისგან; როგორ დააცხრო ქარიშხალი ლოცვით და პალესტინაში მიმავალი გემი გარდაუვალი დაღუპვისგან იხსნა; თუ როგორ გადაარჩინა წმიდა ნიკოლოზმა სიკვდილით დასჯას სამი მხედართმთავარი, რომლებსაც ბოროტმოქმედებმა ცილი დასწამეს; დაბოლოს, საყოველთაოდ ცნობილი ერთი ეპიზოდი წმიდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან: იმხანად წმიდა ნიკოლოზი პატრაში მღვდლად მსახურობდა. მან შეიტყო, რომ ერთ გაღატაკებულ კაცს, რომელსაც სამი ქალიშვილი ჰყავდა და მათი გამზითვება, დაქორწინება არ შეეძლო, განუზრახავს ისინი საროსკიპოში გაეგზავნა და ამ გზით გამდიდრებულიყო. ქალწულები ტირილით ევედრებოდნენ უფალს გამოხსნას ამ საშინელი ხვედრისგან. ყოვლადმოწყალე ღმერთმა მათ დასახმარებლად მღვდელი ნიკოლოზი გააგზავნა. სამგზის მივიდა მათ სახლთან წმიდა ნიკოლოზი და ყოველ მისვლაზე კარის ზღურბლთან ოქროთი სავსე ქისა დატოვა. ასე შეძლო მამამ თავისი სამივე ქალიშვილის გამზითვება. ამგვარად იხსნა წმიდა ნიკოლოზმა სამი ქალწული და მათი მამა საშინელი განსაცდელისგან.

სწორედ ამ ეპიზოდმა წმიდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან, განაპირობა სანტა კლაუსის დამკვიდრება დასავლურ ტრადიციაში. ასე, თანდათანობით იქცა ის დასავლეთ ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში შობა-ახალი წლის სიმბოლოდ – სანტა კლაუსად. შობა ღამეს, წმიდა ნიკოლოზის სასწაულის მოლოდინში, საჩუქრების დასატოვებლად, საგანგებოდ გამოფენენ ხოლმე წინდებს. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში შობის ღამეს წინდებსა და ფეხსაცმელს ბუხართან ტოვებენ, რადგან სწამთ, რომ საკვამურიდან სახლში სანტა კლაუსი ან მისი თანაშემწე შემოაღწევს და წინდებსა და ფეხსაცმელში საჩუქრებს ჩააწყობს.



ბავშვების საშობაოდ დასაჩუქრების ტრადიცია გერმანიაში მეათე საუკუნიდან იწყება. იმხანად სამონასტრო სკოლებში წმიდა ნიკოლოზის ხსენების დღეს „საეპისკოპოსო“ თამაშობებს ატარებდნენ: ერთ-ერთი მოსწავლე მღვდელმთავრად იმოსებოდა და თავის თანატოლებს საჩუქრებს ურიგებდა. მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში ეს ტრადიცია გერმანიაში საბოლოოდ დამკვიდრდა. ახლა უკვე „წმიდა ნიკოლოზი“ არამარტო დადის სახლებში ზურგზე მოკიდებული საჩუქრებით სავსე ტომრით, არამედ აუცილებლად ამოწმებს, იციან თუ არა ბავშვებმა კატეხიზმო; დაზეპირებული აქვთ თუ არა ლოცვები და მხოლოდ ამ „გამოცდის“ შემდეგ ასაჩუქრებს მათ. წმიდა ნიკოლოზობის დღესასწაულისთვის ბავშვები გულმოდგინედ ლოცულობენ; საღამოს კი კართან ფეხსაცმელებს ტოვებენ და მოელიან, რომ დილით მათში საჩუქრები დახვდებათ.

თუმცა, დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით, პროტესტანტულ რეგიონებში, წმიდა ნიკოლოზის რელიგიური არსი თანდათანობით უკანა პლანზე გადავიდა. სანტა კლაუსის პერსონაჟმა სახეცვლილება განიცადა – დღეს ის უკვე მოიაზრება, როგორც ჯადოქარი სინრეკლიასი ან სანტა კლაუსი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს პერსონაჟი თოვლის პაპად, ნოელემად ან ვაინახტსმანად ყოველთვის როდი აღიქმება.

მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან სანტა კლაუსი საზოგადოებრივ ცნობიერებაში დამკვიდრდა, როგორც კომპანია „კოკა-კოლას“ სარეკლამო სახე. მას შემდეგ სანტა კლაუსის პერსონაჟი საბოლოოდ მიიჩნიეს ცნობილ თოვლის ბაბუად. დამკვიდრდა ასევე „სანტას“ ტრადიციული ფორმაც: წითელი თეთრბეწვმოყოლებული ხიფთანი, შარვალი და ქუდი. თუმცა, წინა საუკუნეებში „საშობაო პაპა“ სრულიად სხვაგვარად იყო შემოსილი და ჩიბუხსაც კი აბოლებდა.

სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, თანამედროვე ბავშვების ცნობიერებაში ამჟამინდელი სანტა კლაუსი არანაირად არ უკავშირდება წმიდა ნიკოლოზს.

**რევაზ ტომარაძე**

---

– საერთოდ, მეკვლის ტრადიციას ქართულ ყოფიერებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. „მეკულე“ არ იყო მხოლოდ ჩვეულებრივი მიმლოცველი. „მომკულება” ნიშნავდა გამშვენებას, ანუ, მას უნდა გაემშვენებინა ახალი წელი, ამიტომაც, ოჯახში მისი მისვლა არ იყო მხოლოდ მილოცვა გამშვენებით. რაც მთავარია, მეკვლეს ძღვენი უნდა მიეტანა ოჯახში, ეს ძღვენი კი იყო ტკბილეული, რომელიც იყო სიმბოლო სიტკბოებისა. ვინც უფრო შეძლებული იყო, ის მეკვლეს ვერცხლის სასმისს მიაწოდებდა ხოლმე, ვინც ნაკლებად შეძლებული – თიხისას. მაგრამ, ეს არ იყო უბრალო სასმისი, მისი ყელი იყო ვიწრო, ზოგჯერ მოგრეხილი, ისე, რომ შესმის დროს ხმაური უნდა გამოეცა, თითქოს სასმისიც მღეროდა. ამიტომაც, ეს სასმისი თავისებური, უფლის სამადლობელო საკრავი იყო და ეს მხოლოდ ქართველებს გვქონდა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ძველად საქართველოში ღვინის სმის სულ სხვა კულტურა იყო. ქართველი კაცი იმასაც აქცევდა ყურადღებას, სადამდე უნდა ყოფილიყო სასმისი შევსებული. დედამიწის ნიშანი იყო 5 რიცხვი და, მათ, კუთხეების მიხედვით, ოთხი სიმბოლო და ფერი შეესაბამებოდა: ცეცხლი, რომელიც წითელი ფერის იყო; წყალი, რომელსაც შავი ფერი ჰქონდა; ლითონი, რომელიც დასავლეთს გულისხმობდა, მაგარს, მყარს; აღმოსავლეთი იყო მწვანე ფერი, ცენტრი კი იყო მზის ნატეხივით ყვითელი, ესე იგი, სულ გამოდიოდა ხუთი ფერი, ხუთი სიმბოლო. ანუ, თასს შემოავლებდნენ ხოლმე ხუთ წრეს, რომელთაგან ოთხი წარმოადგენდა სამყაროს ოთხ კუთხეს, ხოლო მეხუთე – ცისა იყო და მეხუთე წრემდე უნდა დასხმულიყო ღვინო. რადგან ეს ოთხი წრე სამყაროს ოთხ კუთხეს წარმოდგენდა, სასმისი ოთხ წრემდე უნდა გავსებულიყო და მეხუთე უკვე ცის შვიდეულში გადასასვლელი იყო. რაც შეეხება თიხის ფიალას, ის არ კეთდებოდა ჩვეულებრივი თიხით, აუცილებლად სამკურნალო თიხა უნდა ყოფილიყო. არა მხოლოდ უძველესი თიხის ჭურჭელი, არამედ, ის კრამიტები, რომლებითაც სახლებია გადახურული, ფხვნილად რომ ვაქციოთ, ისიც კუჭის სამკურნალოდ გამოიყენება, ოღონდ, სხვადასხვა რაღაცეების შეზავების შემდეგ. ადამიანიც ხომ თიხისგან შეიქმნა, ამიტომ, ადამიანისთვის ის თიხაც მარგებელი უნდა ყოფილიყო და არა მხოლოდ ჭურჭელი, რომელშიც სასმელს ჩაასხამდნენ.

**– ხშირად, სანამ 12 საათი გახდება, ზოგიერთი გარეთ გადის და ზუსტად 12 საათზე სახლში ახალი წლის მილოცვით შედის – სურთ, რომ საკუთარი ოჯახის მეკვლეები იყვნენ. ეს თუა დასაშვები?**

– ეს დაუშვებელია. თუნდაც წაწლობა ან ნათლობა, რომ ავიღოთ, ყველაფერი იმისთვის იყო, რომ ადამიანებს შორის ნათესაური კავშირი გაზრდილიყო და, მეკვლეც, იმ ოჯახისთვის, სადაც ის მივიდოდა, უბრალო ადამიანი აღარ იყო, ის მისთვის, მინიმუმ, მთელი წლის მეგობარი ხდებოდა და, როგორ შეიძლება ადამიანი საკუთარი თავის ნათლია ყოფილიყო? იგივეა მეკვლეობაზე. რამდენჯერაც არ უნდა გახვიდეთ, შემოხვიდეთ, სიტკბო უსურვოთ საკუთარ ოჯახს, მაინც ვერ იქნებით მეკვლე. მეკვლეობის არსი იმაშია, რომ შენ გადიხარ ქრისტიანულ-ზნეობრივ კატეგორიაში – „გიყვარდეს მოყვასი შენი,“ შენი მეკვლე კი სწორედ შენი მოყვასია და მას კიდევ უფრო განსაკუთრებული პირობები აქვს შენ მიმართ.

**– ახალი წლის დღეს, მას შემდეგ, რაც ოჯახში მეკვლე მივა, მეზობლები ერთმანეთს ამ დღის დადგომას ერთმანეთთან სტუმრობით ულოცავენ, თან, აუცილებლად მიაქვთ ტკბილეული, განსაკუთრებით კი – გოზინაყი. ამ რიტუალსაც თუ აქვს თავისი ისტორია და მნიშვნელობა?**

– განურჩევლად ურთიერთობისა, რა მოხდა მეზობლებს შორის წლის განმავლობაში, ისინი ერთმანეთის სახლებში მაინც გადადიოდნენ ახალ წელს და ეს იყო მიმტევებლობის კულმინაციური წერტილი; რაც მთავარია, მათ ხშირად მიჰქონდათ ერთმანეთთან გოზინაყი, რომელიც, ისევე, როგორც ჩურჩხელა, შედგება ცხრა ელემენტისგან, ოღონდ, მას ემატება თაფლი, რომელსაც სამმაგი დანიშნულება ჰქონდა: პირველი დანიშნულება მდგომარეობს ფერში – ის არის ოქროსფერი, საკრალური, მზის ფერია; თაფლის მეორე მნიშვნელობა არის ის, რომ მას ოჯახში სიტკბოება მოაქვს. გოზინაყს თავისი მომზადების წესი ჰქონდა, თუ რამდენ ხანს უნდა ედულა და ასე შემდეგ და, რაც მთავარია, გამასპინძლების ყველაზე მოხერხებული ფორმა იყო. მას კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი თვისება ჰქონდა – მალე არ ფუჭდებოდა და, შეიძლებოდა, მთელი თვის განმავლობაში კარგი ნუგბარი ყოფილიყო.

**ნათია უტიაშვილი**

**დიდი კვლევა არ სჭირდება, რომ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მესამე სეზონი განსაკუთრებით სანახაობრივი, მასშტაბური, დინამიკური და, არ მიყვარს ეს სიტყვა, მაგრამ, გლამურული გამოვიდა. დამერწმუნეთ, ამ ყველაფრის მამოძრავებელი, ყველა გიჟური იდეის ავტორი პროექტის პირველი და მესამე სეზონის გენერალური პროდიუსერი ნოე სულაბერიძეა. ნოე ხშირად ახმოვანებს ერთი შეხედვით არარეალურ იდეებს, მაგალითად, სტუმრად მსოფლიო დონის ვარსკვლავების მოწვევა, რასაც ყველა სკეპტიკურად ხვდება, მაგრამ, ის ახერხებს, რომ იდეების დიდი ნაწილი რეალობად აქციოს. ამიტომაც, სეზონიდან სეზონამდე ყველა ის პროექტი, რომელზეც ის მუშაობს, სულ უფრო და უფრო უკეთესი ხდება.**

# რას აქცევს ყურადღებას ნოე სულაბერიძე ვარსკვლავების შერჩევისას

**ნოე სულაბერიძე:** ნამდვილად არ არსებობს ერთი კონკრეტული მიზეზი, რის ხარჯზეც პროექტის ეს სეზონი უფრო პომპეზური და მასშტაბურია. თავიდანვე რაღაც განსაკუთრებულად მივუდექით – გვინდოდა, განსხვავებული ყოფილიყო. რაც უნდა კარგი პროექტი იყოს და როგორც კარგადაც არ უნდა აკეთებდე, ერთი და იმავე სურათის ყურება ტელევიზორში სამი სეზონის განმავლობაში მაინც მოსაბეზრებელია. მაყურებელზე ავიღეთ ორიენტაცია და ყველა წვრილმანი გავთვალეთ იმაზე, თუ როგორ აღიქვამდა ამას მაყურებელი. თუკი მაყურებელს მიაჩნია, რომ გამოგვივიდა, ამაზე დიდი ბედნიერება ჩვენთვის არაფერია. ბევრმა ფაქტორმა ერთობლივად იმუშავა – ახალმა სივრცემ, ჟიურის წევრებმა, მონაწილეების ძალთა სწორმა გადანაწილებამ, წამყვანებმა.

**– პირველი და მეორე სეზონიდან გამომდინარე, სრულიად ქართული შოუ-ბიზნესი და სხვა სფეროს ცნობილი სახეები წინასწარ ემზადებიან და სულმოუთქმელად ელოდებიან შენს ზარს. ერთი სიტყვით, სურვილი დიდია. შენ თუ გიგრძნია ეს და რის მიხედვით არჩევ მონაწილეებს?**

– ვცდილობ, შოუ-ბიზნესიდან გავიდე. არ მინდა, რომ პროექტში მხოლოდ შოუ-ბიზნესში მოღვაწე ადამიანებით შემოვიფარგლო და ამ რკალიდან გავდივარ. ამ სეზონზე სწორედ ასეთი მიმართულებით წავედით და მონაწილეები დავაკომპლექტეთ შოუ-ბიზნესისგან მკვეთრად შორს მდგარი სახეებით, რამაც გაამართლა. ზოგმა მეტად, ზოგმა ნაკლებად, მაგრამ, ფაქტია, რომ ამ პროექტის მერე საზოგადოებისთვის ნაკლებად ან საერთოდ უცნობი ადამიანები სატელევიზიო სივრცეში იმკვიდრებენ თავს და ეს მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**– შოუ-ბიზნესიდან რის მიხედვით ირჩევ?**

– პოპულარობის დონის მიხედვით და კიდევ ბევრი ნიუანსია, მაგალითად, შეძლებს თუ არა ამ თვეების განმავლობაში პროექტისთვის მთელი დროის დათმობას. ეს ყველაფერი დიდ შრომასთანაც არის დაკავშირებული, ანუ, შეუძლია თუ არა ცეკვა. ამასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეები ერთმანეთს არ ჰგავდნენ – სხვადასხვანაირი ტიპაჟები უნდა იყვნენ.

**– დასაწყის ეტაპზე ერთ-ერთი ფავორიტი მონაწილე – იულია ქავთარაძე გავარდა, შემდეგ სოფო ნიჟარაძე წავიდა პროექტიდან. მიუხედავად ასეთი ძლიერი კონკურსანტების გავარდნისა, პროექტს დიდი დანაკლისი მაინც არ დაეტყო და ამის გამო არც ერთი მაყურებელი არ მოჰკლებია.**

– ახლაც მგონია, რომ სოფო ნიჟარაძის წასვლა პროექტისთვის ძალიან დიდი დანაკლისი იყო და არის. თუმცა, რას ვიზამთ, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. სოფო უკვე ჩაცმული იყო, მაკიაჟი გაკეთებული ჰქონდა, როდესაც შოუს დაწყებამდე სულ ცოტა ხნით ადრე დაურეკეს და ეს სამწუხარო ამბავი მოხდა. მაგრამ, მიხარია, რომ მაყურებელი ისეთივე აზარტით არის ჩართული, როგორც მანამდე. რაც შეეხება იულია ქავთარაძეს, შეიქმნა მათი მხარდამჭერი „ფეისბუქ-გვერდი,” სადაც უამრავი ლაიქი ჰქონდათ და მათ დაბრუნდებას ითხოვდნენ. მაგრამ, ლაიქის მიცემა, როგორც ჩანს, გაცილებით ადვილია, ვიდრე დამესიჯება. იმის მეხუთედ ადამიანს რომ დაემესიჯებინა იმ დღეს, რამდენი ლაიქიც მათ გვერდს ჰქონდა, ოთოსა და იულიას წყვილი არ გავარდებოდა შოუდან. როგორც ჩანს, პროექტი ჯერ ახალი დაწყებული იყო, მაყურებელი კი – ცოტა დაბნეული...



**– ქალაქში ჭორები დადის, პროექტის ხელმძღვანელობა ფსონს მაინც თაკო ჩორგოლაშვილზე დებს – როგორც ტელეკომპანიის სახე, მისი მოგება უნდათო.**

– ეს ჩვეულებრივი კონკურენციაა. როდესაც ვიღაცა ერთ მონაწილეს გულშემატკივრობს, მის კონკურენტზე ჭორებს ავრცელებს, სკეპტიკურად უყურებს მის მიღწევებს. ალბათ, მტკიცება არ სჭირდება, რომ ეს ყველაზე ობიექტური და სამართლიანი კონკურსის ტიპის პროექტია, რომელიც ტელესივრცეში გადის. ყველა ძალიან ვამაყობთ, რომ ობიექტურობის შეგრძნება ამ პროექტის თითოეულ მაყურებელს აქვს.

**– ახალ წელს რას უნდა ველოდოთ?**

– მინიმუმ, „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მესამე სეზონის გამარჯვებულის გამოვლენას. რაც შეეხება სხვა სიურპრიზებს, ახლა ვფიქრობთ ამაზე, ამ დღეებში მიმდინარეობს დაგეგმვა. გვინდა, განსაკუთრებული და ორიგინალური იყოს. საერთოდ, თავიდანვე ვეცადეთ, რაღაც ორიგინალური და საინტერესო გაგვეკეთებინა. პრომო, რომელიც სეზონის დასაწყისში გადავიღეთ, არის სრულიად ახალი ტიპის სატელევიზიო პრომო, ახალი სიტყვა ტელესივრცეში და, ასევე, ყველა ტურს ჰქონდა ორიგინალური გახსნა. მიუხედავად იმისა, რომ ამას არავინ გვთხოვდა, ჩვენ თვითონ გვინდა, რომ ერთფეროვნებას გავექცეთ და რაღაც ახალი გავაკეთოთ. ამიტომ, ახალი წელიც არ იქნება ჩვეულებრივი, ამის პირობას გაძლევთ.

**– ყველა მონაწილე იცეკვებს?**

– რა თქმა უნდა. უფრო სწორად, ჩვენ ყველა მონაწილეს ვპატიჟებთ და ყველას მონაწილეობის სურვილი გვაქვს. მაგრამ, თუ ვინმე ძალიან განაწყენებულია და არ მოვიდა, ეს უკვე მისი პრობლემაა.

**– არიან ასეთები?!**

– არ ვიცი...

**– ნანა ნებიერიძე წავიდა ცოტა გაბრაზებული.**

– ყველას სწყინს გავარდნა, მაგრამ, ნანაზე ახლა კომენტარის გაკეთება არ მინდა.

**– ნოე, გაზაფხულიდან დაიწყება მეოთხე სეზონი, თუ, პაუზას გააკეთებთ და შემოდგომიდან ვნახავთ ახალ „ცეკვავენ ვარსკვლავებს“?**

– ეს უკვე არხის საიდუმლოა, რომელსაც ჯერჯერობით ვერ გაგანდობთ. დიდი პაუზა სეზონებს შორის ნამდვილად არ იქნება.

**– რამდენიმე ადამიანი ვიცი, რომლებიც წინასწარ დადიან ცეკვაზე და, მიუხედავად იმისა, რომ, არ იციან, დაურეკავ თუ არა, მონაწილეობისთვის ემზადებიან.**

– საინტერესოა, ვის გულისხმობ *(იცინის).*

**– ერთი ვიცი, რომ, სავარაუდოდ, ნინი ბადურაშვილი მიიღებს მონაწილეობას.**

– კი, შესაძლოა, რომ ნინი ბადურაშვილი ვნახოთ ახალ სეზონზე. დანარჩენებზე ჯერ ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ.

**– შენ პირადად რას გეგმავ, როგორ აპირებ ახალი წლის დღეების გატარებას?**

– მგონი, სამუშაო დღეები გაგრძელდება „ნონ-სტოპ” რეჟიმში, რადგან „ცეკვავენ ვარსკვლავების“ გარდა, არხი რამდენიმე ახალ ძალიან საინტერესო პროექტზე მუშაობს, რომელიც თებერვლიდან უკვე გავა ეთერში და მაყურებლისთვის სასიამოვნო სიახლე იქნება.

**– ამასთან დაკავშირებით ხომ არ იმყოფებოდი ინგლისში?**

– არა, ჩავედი ჩვენი პროექტის ბრიტანული ვერსიის ნახევარფინალზე.

**– ძალიან წინ არ უნდა იყვნენ ჩვენგან.**

– არა. სხვათა შორის, ჩვენი პროექტის ჩანაწერები ვანახე ყველას – მსაჯებს, წამყვანებს, მონაწილეებს და, ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ქართული ვერსია მსოფლიოს „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ერთ-ერთი საუკეთესო ვერსიაა.

**სალომე გველესიანი**

**„2013 წელი კარგად დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ 2012 წელი ძალიან საშინელი მქონდა. თუმცა, კარგად დასრულდა – „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მოვიგე. მთელი წლის განმავლობაშიც დაკავებული ვიყავი და რომ შევაჯამო – ასეთი კარგი წელი აქამდე არ მქონია, აბსოლუტურად ყველა კუთხით. მოკლედ 2013 წლით ძალიან კმაყოფილი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინ ოპერაცია გავიკეთე. თუმცა, სერიოზული არაფერი იყო. უბრალოდ, ისე ძალიან მეშინია ექიმების, რომ ჩემთვის ამ კუთხით ყველაფერი კატასტროფაა. ის სურვილიც ამისრულდა, რაც შარშან, ახალ წელს ჩავიფიქრე, იმედია, წელსაც მოვასწრებ სურვილის ჩაფიქრებას და ამისრულდება,“ – ეს არის ამონარიდი რუსკა მაყაშვილის ინტერვიუდან, რომელმაც ცოტა ხნის წინ დედასთან ერთად საკუთარი სტუდია გახსნა.**

# რის მიმართ იყო წლების განმავლობაში ისტერიულად განწყობილი რუსკა მაყაშვილი და როგორ უსრულებდა მას ოცნებებს თოვლის ბაბუა

**რუსკა მაყაშვილი:** ოქტომბერში გავხსენით ჩემი სტუდია – „რუსკა მაყაშვილი არტ სქულ“ – რითაც ძალიან ვამაყობ. უკვე ბევრი ბავშვი მოვიდა და კიდევ მოდიან. ეს უფრო თამრიკოს იდეა იყო, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გვქონდა გეგმაში. საბოლოოდ, როგორც იქნა მოვიკრიბეთ ძალები და გავაკეთეთ სტუდია, რომელიც 53-ე სკოლის ბაზაზეა. ბავშვები 6 წლიდან მაქსიმუმ 18 წლამდე სწავლობის მსახიობის ოსტატობას, მეტყველებას, მხატვრულ კითხვას, სასცენო მოძრაობას, რითმიკას. მე კვირაში ერთხელ ვუტარებ სასცენო მოძრაობის გაკვეთილს, ბავშვებთან ერთად მეც ვიხსენებ ბევრ რამეს. თან, კარგად ვერთობით, ნელ-ნელა ისეთ რაღაცეებს ვსწავლობთ, რაც მათთვის ცხოვრებაშია საჭირო. რაც მთავარია, ჩვენი სკოლა ნახევრად საქველმოქმედოა: გადასახადი ძალიან მცირეა. გარდა ამისა, სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის არის ცალკე ჯგუფი, რომელთა სწავლაც ვაკის გამგეობამ დააფინანსა და ძალიან ბედნიერები არიან. მომავალში გვინდა, გავაკეთოთ საბავშვო თეატრი და ამ ბავშვებმა კარგ სპექტაკლებში მიიღონ მონაწილეობა. ჯერჯერობით ამ ყველაფრისთვის ემზადებიან.

**– ბევრი, ალბათ, შენ გამო მოდის.**

– ბევრმა თქვა: იმიტომ მოვედი, რომ შენ მენახეო. ახლა ამას აღარ ამბობენ, თამრიკოც ძალიან შეუყვარდათ, რადგან ბევრ რამესასწავლის, თეატრი შეაყვარა. ახლანდელმა თაობამ, სამწუხაროდ, თეატრი და ზოგადად, ბევრი რამ არ იცის. როდესაც ლექსს კითხულობენ, თამრიკო მათ ასწავლის, როგორ შეიძლება, დაინახო ლექსი სხვა მხრიდან. ამის მერე ისინი სხვანაირად იწყებენ ფიქრს, აზროვნებას, ისეთ კითხვებს სვამენ... მშობლებიც ძალიან კმაყოფილები არიან. თეატრში დაიწყეს სიარული, როგორც ჩემს სპექტაკლებზე, ასევე სხვა სპექტაკლებზეც, ჩართულები არიან ამ ყველაფერში. რაც მთავარია, ბევრ ბავშვს მოეხსნა კომპლექსები, ერთმანეთის უკვე აღარ რცხვენიათ და ეს ჩვენთვის ძალიან დიდი მიღწევაა. მახსოვს, პატარაობაში სპექტაკლს არ ვტოვებდით, ოპერაში დავდიოდით – ბალეტზე. ამიტომაც ვცდილობთ, ეს მათაც შევაყვაროთ.

**– რომელ ეტაპს გამოყოფდი შენი ბავშვობიდან?**

– როდესაც მე და ჩემი ბავშვობის მეგობრები ვსწავლობდით ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში – ძალიან კარგი პერიოდი იყო. იქ მივხვდი 100 პროცენტით – რა მინდოდა. კარგად ვერთობოდით, თან, ვსწავლობდით, ბევრ სპექტაკლზე დავდიოდით. ოპერაში წასვლა, ეს ჩვენთვის დიდი დღესასწაული იყო: გამოვეწყობოდით სკოლის მერე და მივდიოდით ბალეტზე, სპექტაკლებზე, არაფერს ვტოვებდით. როგორც კი თეატრალურში ჩავაბარე, მერე უკვე თეატრში დავიწყეთ სიარული. ეს იყო საუკეთესო პერიოდი. ახლა, სამწუხაროდ, თეატრალურის სტუდენტებს იშვიათად ვხედავ დარბაზში. ჩვენ კი რუსთაველის თეატრში რაც კი გადიოდა, ყველაფერზე მივდიოდით. მახსოვს, თეატრალურის მესამე კურსზე ვიყავი, როცა საკურსო სპექტაკლი ვითამაშე. ეს იყო საოცარი შეგრძნება და მერე, მეოთხე კურსზე ვიყავი, რუსთაველის თეატრში რომ მომიწია ძალიან მაგარ მსახიობებთან ერთად თამაში. ეს იყო რაღაც სასწაული. მე და ნინუცას შეგვატყობინეს, რომ რუსთაველის თეატრში აგვიყვანეს. დამირეკეს: 4 დღეში უნდა შეხვიდე დათო საყვარელიძის სპექტაკლში „სულიერი არსებები“. ცხოვრებაში ასეთი რამ არ დამმართნია, თუმცა გამიმართლა, რომ მოსამზადებლად 4 დღე მომცეს. ძალიან დამეხმარნენ მსახიობები, მახსოვს, „პაკლონზე“ მარტო გამაგდეს სცენაზე. ჩემი ჯგუფელებიც იყვნენ მოსულები, დიდი ზეიმი იყო. ამის მერე 2 თვე არ მეძინა, იმხელა შთაბეჭდილებების ქვეშ ვიყავი – კინაღამ გული გამისკდა. თეატრი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი ორგანიზმია. მაგრამ, კინოც ძალიან მიყვარს. ვოცნებობ: იქნებ ოდესმე მოვხვდე კარგ ფილმში და სერიოზული, კარგი როლი ვითამაშო. თეატრში მაქვს ეს სიამოვნება, კინოში ჯერ არ მქონია.

**– საახალწლოდ გაქვს სპექტაკლები?**

– დეკემბერში მქონდა ძალიან კარგი სპექტაკლის პრემიერა – მარიამ ალექსიძის „ჰარირა“. მან ჯანსულ კახიძის სიმღერებზე შექმნა თანამედროვე ბალეტი, სადაც 5 მსახიობი ვთამაშობთ, დანარჩენები კი პროფესიონალი მოცეკვავეები არიან. ბევრი რეპეტიციის, ვარჯიშის – მარიამმა ქანცი გაგვაძრო – შედეგად, ძალიან მაგარი სპექტაკლი დაიდო. ჩემთვის ამ ყველაფერზე ჩაჭიდება რთული იყო, რადგან ამდენ მაგარ მოცეკვავესთან ერთად მიწევდა სცენაზე ყოფნა და არ მინდოდა, მათგან ცუდად გამოვყოფილიყავი. ზოგადად, შრომისმოყვარე ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ზარმაციც ვარ, მიყვარს ძილი, მაგრამ როცა საქმეა გასაკეთებელი, ყოველთვის ბოლომდე ვაკეთებ, ვეჭიდები. ვცდილობ, ვიყო მაქსიმალურად დაკავებული. ენერგია მაქვს მოზღვავებული – თუ არ დავიღალე მთელი დღის განმავლობაში, მერე ველარ ვიძინებ. თან, საქმეში მაქსიმალისტი ვარ, როცა სცენაზე ვდგავარ, ფილმია, სერიალია... ვცდილობ, არ გახდეს სალაპარაკო: ეს რა უბედურებაა. პირიქით, ვფიქრობ იმაზე: რას ვაკეთებ, რას ვთამაშობ. რადგან, როცა მსახიობს ნაფიქრი აქვს იმაზე, რასაც აკეთებს, მერე ყველაფერი უკეთ გამოსდის. შეიძლება, ვიღაცას ეს არ სჭირდება, მაგრამ მე მჭირდება ძალიან ბევრი ფიქრი, თუნდაც სულელური სერიალის სულელურ პერსონაჟზე.

**– საქმის მიღმა, ანუ ცხოვრებაში, როგორ იღებ გადაწყვეტილებას: დიდი ფიქრის შედეგად თუ სპონტანურად?**

– არის პერიოდები, როცა რაღაცას დაუფიქრებლად ვაკეთებ, მაგრამ მერე ვნანობ. მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ისეც და ასეც, ძალიან ბევრს ვფიქრობ. მერე ამ ფიქრებს ძალიან შორს მივყავარ და სულელურ დასკვნებს ვაკეთებ. ასეთი რამ, ხშირად მემართება. მაგრამ, ფიქრი, ზოგადად, კარგია, უბრალოდ, სისულელეებზე ძალიან ბევრი ფიქრი არ არის კარგი.

**– როცა რაღაც ცუდი ხდება შენს ცხოვრებაში, ასეთ დროს როგორ იქცევი?**

– ამ ყველაფერს სახლში ვტოვებ და გარეთ რომ გავდივარ, არასდროს არაფერი მეტყობა. ამიტომაც ყველას ჰგონია, ყოველთვის კარგად ვარ, რადგან ვცდილობ, ჩემი ცუდი განწყობა თავს არავის მოვახვიო. როდესაც ცუდად ვარ, ძირითადად, ჩემს მეგობრებს ებურღებათ ტვინი. თუმცა, ხშირად ჩემი მეგობარიც ვერ ხვდება, რომ ცუდად ვარ და დეპრესიული პერიოდი მაქვს, თუ მე თვითონ არ ვეტყვი – არ დავსვამ და არ მოვუყვები. სიმართლე რომ გითხრა, ეს მოყოლებიც დიდად არ მიყვარს, მაგრამ ზოგჯერ ესეც საჭიროა. ჩემი მეგობრებიც არ არიან შეჩვეულები ჩემს ცუდად ყოფნას. შეიძლება, ვთქვა: ცუდად ვარ, დეპრესია მაქვს, მაგრამ ეს სერიოზულად ვერ აღიქვან, რადგან იციან ჩემი ხასიათი – შეიძლება, 15 წუთში ძალიან მაგარ ხასიათზე დავდგე – ცვალებადი, მძიმე ხასიათი მაქვს. ზოგჯერ თანაგრძნობაც კარგია, მაგრამ მე თვითონ ვარ „თვითგვემა“.



ზუსტად უნდა გაარტყა – 12 საათზე, ისე არ აგისრულდება. წელსაც იქნებ მოვასწრო სურვილის ჩაფიქრება

**– ახალ წელთან დაკავშირებული განსაკუთრებული ტრადიციები გაქვს?**

– სახლში, ჩვენთან, მოდიან თამრიკოსა და გიას მეგობრები, ერთად ვქეიფობთ დილამდე. ახალ წელს ყოველთვის სახლში ვხვდები, ადრე მეკვლეც ვიყავი. თუმცა, დიდი ხანია, უკვე ელიზბარია ჩვენი მეკვლე, მერე თოვლის ბაბუა მოდის. ჩემთვისაც მოჰქონდა ხოლმე დიდი ხნის განმავლობაში საჩუქრები. მჯეროდა, რომ ნამდვილად არსებობს თოვლის ბაბუა და ამაზე ისტერიკა მქონდა – 13 წლამდე ველოდებოდი, ვცდილობდი არ დამეძინა, დამენახა. თან, ყოველთვის მოჰქონდა ის, რაც მინდოდა. წერილებს არ ვწერდი, მაგრამ მაინც იგებდა და ნაძვის ხის ქვეშ ტოვებდა. ძალიან მიყვარს ახალი წელი, მაგრამ უფრო მიყვარს, როცა თოვლი მოდის. წელს ძალიან მინდა, თოვლში ვიყო, სადმე სახლის გარეთ. სურვილების ასრულებისაც მჯერა – შარშან რაც ჩავიფიქრე, ამისრულდა. ყველას დავაწერინე სურვილები. მერე დავწვით, შამპანურში ჩავყარეთ და დავლიეთ. ოღონდ ზუსტად უნდა გაარტყა – 12 საათის, ისე არ აგისრულდება. წელსაც იქნებ მოვასწრო სურვილის ჩაფიქრება.

**– დაბოლოს, მითხარი: რუსკას პირად ცხოვრებაში რა ხდება: ამჟამად მარტოა თუ შეყვარებულია?**

– მხოლოდ ერთ წინადადებას ვიტყვი: მარტო არ ვარ, შეყვარებული ვარ.

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**ბიორნე**: განსხვავება თავისუფლებასა და თავისუფლებათა შორის ისევე დიდია, როგორც ღმერთსა და ღვთაებათა შორის.

**ლაუბი**: ზნეობა არის კოდექსი, რომელსაც ერთნი იცავენ, თუმცა მას არ ცნობენ, ხოლო მეორენი ცნობენ, მაგრამ არ იცავენ.

**შილერი**: განათლებული გონება აკეთილშობილებს ზნეობრივ გრძნობებს: თავმა უნდა აღზარდოს გული.

**კოლრიჯი**: ზიზღი ცუდ გუნებაზე დამდგარი ეგოიზმია.

**მამარდაშვილი**: ქართველობა იწყება ღირსებიდან და არა პირიქით.

**ლაო ცზი**: ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ კაცმა არ იცის თავის ვნებათა საზღვარი.

**ჰელვეციუსი:** ყველაზე კარგი სახელმწიფოა ის, რომელიც ყველაზე უკეთ აჯილდოებს მამაცობას და ყველაზე ძლიერ სჯის სილაჩრეს.

**გოეთე**: ვინც უცხო ენები არ იცის, მან საკუთარი ენის შესახებაც არაფერი იცის.

**ლაბიში**: ეგოისტი არის ადამიანი, რომელიც ჩემზე არ ფიქრობს.

**შოუ**: მდუმარება ყველაზე სრულქმნილი გამოხატულებაა ზიზღისა.

**ბალზაკი**: გაჭირვება ბიძგს აძლევს გენიას.

**ბელინსკი**: რაც არ ვითარდება, ის არ ცოცხლობს, ხოლო, რაც არ ცოცხლობს, ის კვდება.

**ბილინგსი**: გამოცდილება ამრავლებს ჩვენს სიბრძნეს, მაგრამ არ ამცირებს ჩვენს სიბრიყვეს.

**ჰერდესი**: სამარცხვინოა არა დასჯა, არამედ ბოროტმოქმედება.

**როლფსი**: ჩვენში პროგრესად იმას მიიჩნევენ, თუ უკანსვლის დროს კაცი არ წაიქცევა.

**იაკობი**: სანამ ადამიანი უფრო ნელა ივიწყებს, ვიდრე სწავლობს, ის წინ მიდის.

**ლენინი**: პოლიტიკაში პატიოსნება შედეგია ძალისა, თვალთმაქცობა შედეგია უძლურებისა.

**მონტენი**: შეუძლებელია პატიოსნად და გულწრფელად ეკამათო რეგვენს.

**რობინსონი**: პესიმისტი არის კაცი, რომელსაც სიცილი ავიწყდება, ოპტიმისტი კი იცინის, რათა ზოგი რამ დაივიწყოს.

**ეპიქტატი**: ხანმოკლე, მაგრამ პატიოსანი სიცოცხლე ყოველთვის გერჩიოს ხანგრძლივ, მაგრამ სამარცხვინო ცხოვრებას.

**ეზოპე**: პატივმოყვარე კაცს, საკუთარი თავის გარდა, არავინ აქცევს ყურადღებას.

**სანტაიანა**: ოჯახი ბუნების ერთ-ერთი შედევრია.

**აინშტაინი**: ცოდნაზე მნიშვნელოვანი ფანტაზიაა.

**რადეცკი**: ადამიანური აზროვნების ყველაზე დიდი ნაკლია ნივთის სიმბოლოს მიჩნევა თვით ნივთად.

**ლაბრუიერი**: თუ გსურს, დაივიწყო ვინმე, ესე იგი მის შესახებ ფიქრობ.

**როლანი**: ჯალათის შებრალება სიმკაცრეა მისი მსხვერპლის მიმართ.

**კლემანსო**: ჩვეულებრივ, მამაკაცს უყვარს ქალები, რომლებსაც პატივს სცემს, ქალი კი პატივს სცემს მხოლოდ იმ მამაკაცს, რომელიც უყვარს. მამაკაცს კი ხშირად ისეთი ქალი უყვარს, რომელიც არ ღირს ამად, ქალი კი ხშირად ისეთ მამაკაცს სცემს პატივს, რომელიც ამას არ იმსახურებს.

# თუ გამოიცნობთ

1. ის ინდოეთში სამხედრო საქმეში სტრატეგიული და ტაქტიკური საკითხების გარკვევისა და ბრძოლის დროს მანევრების იმიტაციისთვის გამოიყენებოდა. **რა?**

2. რეინის ოლქში ყველაზე გავრცელებული კერძია „ცა და დედამიწა“. **დაასახელეთ მისი მთავარი ინგრედიენტები.**

3. თითქმის ყველა ბულგარულ ოჯახში თაობიდან თაობას გადაეცემა ძველი ვერცხლის მონეტა. ის, რისთვისაც მას გამოიყენებენ, წელიწადში ერთხელ ხდება. მანამდე კი გარკვეული დროით ღუმელში ათავსებენ. **რისთვის გამოიყენებენ მონეტას?**

4. 1666 წელს მთლიანად დაიწვა ლონდონი, მაგრამ ეს ტრაგედია მცხოვრებთა ჯანმრთელების გაუმჯობესებას წაადგა. **როგორ?**

5. ცნობილია, რომ შეტევისას საბჭოთა არმიის სატანკო შენაერთისა და ფეხოსანთა დანაყოფების მოქმედება აბსოლუტურად განსხვავდებოდა სხვა ქვეყნების შესაბამისი სამხედრო ნაწილების მოქმედებისგან. **რით?**

6. რომის სენატმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქალაქის ცენტრში ბოძებზე სპილენძის ტაბლოები გამოეკრათ, რომლებზეც გრავირებული იქნებოდა რომის კანონები. ამის წინააღმდეგ გამოვიდა მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი. **ვინ?**

7. 1992 წელს ნორვეგიაში, „ნატოს“ მანევრების დროს, დაზარალებული მხარე ნორვეგიული ღორები აღმოჩნდნენ. ისინი სამხედრო სამედიცინო პერსონალის მსხვერპლად იქცნენ. **რატომ?**

8. იტალიელმა მღვდელმა კაზალომ გამოუშვა წიგნი-ლექსიკონი, რომელშიც მოცემულია სხვადასხვა ბოსტნეულისა და ხილის, ასევე უაზრო ბგერათშესიტყვებები. ავტორი დარწმუნებულია, რომ მისი ნაშრომი საზოგადოების მორალის ამაღლებაზე დადებითად იმოქმედებს. **რა წიგნი გამოსცა მან?**

9. ის ისააკ ნიუტონს ეკუთვნოდა და მის სიბრძნეს ადასტურებდა. 1816 წელს აუქციონზე 730 ფუნტად გაიყიდა, მფლობელმა კი ის ბეჭედში ჩასვა. **რა?**

10. **რომელი** ყველასთვის საყვარელი ნუგბარი მზადდება ხის ნაყოფისა და მისი პარაზიტი მცენარის ფესვებისგან?

***პასუხები იხილეთ მე-66 გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* ამერიკის არმიის ამ ორი სერჟანტის თავები მექსიკელმა კონტრაბანდისტებმა 30-30 ათას დოლარად შეაფასეს. როკი და ბარკო ტეხასის სამხრეთ საზღვარზე პატრულირებდნენ და მიუხედავად იმისა, რომ მათი წყალობით სახელმწიფოს ხაზინაში მილიონი დოლარი შედიოდა, ხელფასის სახით ანაზღაურება არ ჰქონდათ – ისინი ნაგაზები იყვნენ.

* პირველად სიტყვა სტუდენტი ოვიდიუსმა გამოიყენა. ასე უწოდა მან თავის თავს, როცა ათენში ჩავიდა და „სწავლისკენ ისწრაფოდა“.

* სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა გადაკოცნის წესი ხრუშჩოვმა დაამკვიდრა – მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის დროს, ძმობისა და გულითადი მეგობრობის გამოსახატავად. ის კარგად აითვისეს მსოფლიოს სხვა პოლიტიკოსებმაც.

* მეოცე საუკუნეში ტექნიკის ისტორიის გერმანელმა სპეციალისტმა, ფელდგაუზმა გამოაქვეყნა წიგნი „ყველაზე დიდი ტექნიკური მოვლენები“. მასში შესულია უდიდესი მშენებლობები, გამოგონებები. სიაში პირველ ნომრად წერია სამყაროს შექმნა.

* პირველი „სიტროენი“ კონვეირიდან 1919 წელს გადმოვიდა.

* ინგლისში ახალი წლის დამდეგს, თავდაპირველად, ისმის ზარების „მოგუდული“, მწუხარე ხმა – როგორც ისინი ამბობენ, სევდა მომაკვდავ წელზე. მოგვიანებით, იგივე ზარები მხიარულად რეკენ – ახალი წლის შესახვედრად

* გაერთიანებული ევროპის ჰიმნის ერთ-ერთ ვარიანტად წარდგენილია ოდნავ სახეშეცვლილი „მარსელიოზა“. ფრანგული ვარიანტიდან ამოღებულია სხვა ქვეყნებისადმი მიმართული აგრესიული სიტყვები.

* ინდონეზიის არქიპელაგში ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია: ერთი კუნძული იძირება, მეორე – წარმოიქმნება.

* არქიმედეს საფლავზე ამოტვიფრული იყო ცილინდრი და სფერო. არსებობდა ლექსი მისი ძეგლის შესახებაც. სწორედ ამ მონაცემების გამოყენებით იპოვა ციცერონმა მისი საფლავი, რომლის არსებობაც ამ ქალაქის მცხოვრებლებმა არც კი იცოდნენ.

* პოლონეთში არსებობს მელოტთა პარტია, რომლის ლოზუნგია: „ღმერთმა ცოტა კარგი თავი შექმნა, დანარჩენი კი თმით დაფარა“.

* პეტრე პირველის დროს მხოლოდ სამ ადამიანს ჰქონდა წვერის ტარების უფლება: პეტრეს ერთ-ერთ ყველაზე ახლო მეგობარს – ტიხონ ნიკიტიჩ სტრეშნევს, მოხუც ბოიარ ჩერკასკის და პატრიარქს.

* ამ ხელოვნური ქსოვილის შექმნაზე ერთდროულად ორ ქალაქში – ნიუ-იორკსა და ლონდონში მუშაობდნენ. სხვათა შორის მას ამ ორი ქალაქის სახელებიდან ამოღებული ასოებითა და მარცვლებით შედგენილი სახელი ჰქვია – ნეილონი.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლe1-a5!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




მიხო ეზოში ზის და ჩონგურზე უკრავს. პატარა შვილი შეშას ჩეხავს, ცოლი ვედროებით წყალს ეზიდება. ჩამოიარა მიტუამ.




– მიხო, არა გრცხვენია?
– მრცხვენია, მაგრამა, რა ვქნა, ამათ არც დაკვრა იციან და არც სიმღერა...

***

ამოვიდა ყელში ქმრის ეჭვიანობა! დავუტოვე ბავშვი, პამპერსები, კოლოფი ბავშვის საჭმლით და ბოთლი, ჩამოვუწერე სია, რა უნდა გააკეთოს სახლში....
სცადოს, ღალატს მოახერხებს თუ არა...

***

– გელა ბიძია, მადლობა, საყვირი რომ მაჩუქე....
– რა მადლობა, 80 თეთრი ღირდა...
– სამაგიეროდ, ყოველდღე დედა და მამა მაძლევენ ლარს, რომ არ დავუკრა...

***

– გოგონი, თქვენ ერთ ფრანგ მსახიობს ჰგავხართ...
– რომელს?
– დარტანიანის ცხენს...

***

ავიამზიდი ექვსი თვის ზღვაში ყოფნის შემდეგ მშობლიურ პორტში ბრუნდება და ერთმა მეზღვაურმა ცოლს გამოუგზავნა რადიოგრამა:
„ექვსი თვე – უსექსოდ. შენს ინტერესებშია, პირდაპირ ტრაპთან შემხვდე“.
„ექვსი თვე – უსექსოდ. შენს ინტერესებშია, ტრაპიდან პირველი გადმოხვიდე“.

***

– იცი, მე შენს ცოლთან ვიწექი, დაფეხმძიმდა... გამოდის, ახლა ჩვენ ნათესავები ვართ?!
– არა, ბარი-ბარში ვართ...

***

შუა ატლანტის ოკეანეში გემი იძირება. კაპიტანს უკვე არაფრის გაკეთება არ შეუძლია და უცბად ერთი ეუბნება, რომ მგზავრებს შორის რაბინია, რომელსაც საოცრების მოხდენა შეუძლია. მიიყვანეს.
– რაბინო, რის გაკეთება შეიძლება?
– ინტერნეტი გაქვთ?
– კი.
– მაშინ, სასწრაფოდ გაყიდეთ ხომალდი...

***

ორი ებრაელი ქუჩაში მიდის, ხედავენ, მათხოვარი ზის. დანაძლევდნენ, ვინ უფრო ნაკლებ მოწყალებას გაიღებს. დაასწრო ერთმა, ამოიღო ერთთეთრიანი, გამოშვერილ ხელში ჩაუ-




დო და ამაყად გადახედა მეორეს.
– ეგ ორივესგან, – სწრაფად დაამატა მეორემ.

***

პილოტებმა ინფორმაცია გადმოსცეს, მაგრამ მიკროფონის გამორთვა დაავიწყდათ და მთელი ლაპარაკი თვითმფრინავის სალონში ისმის. ახლა ჩაი დავლიოთ და მერე სტიუარდესას მივხედოთ... დაჯდომამდე ორივე მოვასწრებთ... სტიუარდესა კაბინისკენ გაიქცა, მაგრამ ერთმა მგზავრმა შეაჩერა:
– არ იჩქარო, შვილო, ხომ თქვეს, ჯერ ჩაის დავლევთო...

***

ძილის წინ ვალერიანის წვეთები დავლიე და მთელი ღამე მესიზმრებოდა, რომ ვიღაც ულვ-




აშიანი კაცი მკოცნიდა... სხვა დროს კატას გარეთ გავუშვებ...

***

საჰარაში მიდის ქარავანი. მამაკაცები აქლემებზე სხედან. ქალები გვერდით მიჰყვებიან, ცხელ ქვიშაზე მირბიან. ტურისტები შემოხვდათ და ერთმა ხმამაღლა ჩაილაპარაკა:
– აქ სუსტ სქესს ნამდვილად არ სცემენ პატივს, არავინ ზრუნავს მათზე.
– პირიქით, – გააპროტესტა ერთმა ქალმა, – ღამით სულაც არ გვჭირდება დაღლილი კაცი...

***

სამსახურში მოწყობა ყველაზე ძნელი ქალისთვისაა – ყველას უნდა თვრამეტი წლის გოგონა, ოცდაათწლიანი სამუშაო გამოცდილებით, ორუმაღლესდამთავრებული და მოზრდილი შვილებით.

***

– დაეხმარა თქვენს ქმარს ის აღმგზნები აბები, წინა კვირას რომ გამოგიწერეთ?
– ექიმო, იცით, სალათაზე მოვუყარე, შუა ჭამაში მეცა და პირდაპირ მაგიდაზე....
– ესე იგი, კმაყოფილი ხართ...
– როგორ გითხრათ, პრინციპში კი... თუმცა ის რესტორანი, ჩვენს სახლთან ძალიან ახლოსაა...

## ცნობილ ადამიანთა ენამახვილური გამონათქვამები

ახალწლის წინა ღამეს მოურავმა უთხრა აკაკის: თქვენი ცხენი მოუპარავთ, მაგრამ, იმედია, ვიპოვითო.
– თუ ღმერთი გწამს, ძებნას ნუ დაუწყებთ... დაიკარგოს, – მიუგო აკაკიმ, – ეს ძველი წელიწადი, მთელი თორმეტი თვე, უბედური იყო ჩემთვის!.. ახლა, ეტყობა, ჩემს ცხენზე შემჯდარა და ისე მიდის. ნუ გამოუდგები აღარც მისი დაბრუნება მინდა და აღარც ჩემი ცხენისო.

***

აკაკის უსაყვედურეს: „შენ შენის კალმით არაფერი შეგიძენია, საოცნებო ფრენას უნდები და ადვოკატები კი ქვეყანას ჰხრავენო“
– ეგ იმის ბრალია, – მიუგო აკაკიმ, – რომ ჩემი კალამი ბატის ფრთისაა და იმათი კი – ძაღლის კბილისაო.

***

აკაკი ერთ სადილზე იყო მიწვეული. ვიღაცამ იკითხა: თეთრი ღვინო სჯობს თუ წითელიო? პოეტი თეთრ ღვინოს სვამდა, მაგრამ პასუხის საგებლად წითელიც დაისხა და რომ არ მოეწონა, თქვა:
– სადილობამდე ეს ღვინოც თეთრი ყოფილა, მაგრამ სუფრაზე რომ მოუტანიათ, სირცხვილით გაწითლებულაო.

***

ერთი ყმაწვილთაგანი დიდხანს იყო ძალაუნებური სტუმარი რუსეთის. ბოლოს, როგორც იქნა, ჩამოვიდა ჩვენში და 1891 წლის საბანკო კრებაზე ამტკიცებდა, მოგებიდან უნდა გადავდვათ დამშეულთათვის რუსეთში ასი თუმანიო. აკაკიმ მიაძახა:
– ჰაი, ბეჩავ, რა ძალიან დაგხსომებია რუსეთის პურმარილიო.

***

ბატონ პეტრე უმიკაშვილს, ყველასაგან ცნობილს, მრავალ ღირსებით შემკულს და პატივცემულს, დინჯი, აუჩქარებელი და დამჯდარი ლაპარაკი უყვარდა. ამასთან ერთი მცირეოდენი ნაკლიც სჭირდა: გაჭიანურება იცოდა ლაპარაკისა. ერთხელ იგი თბილისში ქუთათურს, სიტყვა-მოსწრებით გამოჩენილს თავად ანტონ ლორთქიფანიძეს.
– აა, ანტონ, ანტონ! როგორ მშვიდობით, როგორ შმვიდობით, როგორ კარგად? შესძახა ბატონმა პეტრემ, – ამას წინათ...
– მადლობა ღმერთს, კარგადა, ხოლო ნუ გააგრძელებ, ჩემო პეტრე, ლაპარაკს: მე სულ ორის კვირითა ვარ აქ ჩამოსული, – გააწყვეტინა სიტყვა ანტონმა.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# კარლოს „გენიალური გამოგონება“ და ქუთაისური ახალი წელი

– ჩვენს გაჭირვებულ ცხოვრებას რა ვუთხარი! – იწივლა ლელამ, – მაგრამ ახალი წელი მოდის და ხელცარიელი როგორ შევხვდეთ. ჩვენი პატარა სუფრა ჩვენც გავაწყოთ – ან მტერი შემოაბიჯებს ან მოყვარე. ცოტ-ცოტა ყველაფერი გვაქვს. ბაჟეც გავაკეთე... საცივიც... უი, ლიმონათი, ლიმონათი არ გვაქვს... უი, თონის პურიც გვინდა... ვინ იცის, ვინ მოვა... ადექი, კაცო, ადექი, რა დროს ძილია, ამაღამ 31 დეკემბერია – წლები ემშვიდობებიან ერთმანეთს.

კარლო ზლაზვნით წამოდგა. გემრიელად დაამთქნარა და პიჟამას შარვალი ამოიცვა. ამოიცვა და ინსტინქტურად ფანჯარაში გაიხედა. ახალი წელი უახლოვდებოდა „ქუთეისს“...

ხვავრიელად თოვდა, უხვად და თავგამეტებით. სიცივეც გვარიანად დასტყობოდა ამინდს. მუდამ მეოცნებეს და „ნოვატორს“ თავში უიდეალურესმა აზრმა გაუელვა.

– მომეცი, ქალო შალვარი!

– აგერაა.

– „გრელკა”?

– რა „გრელკა”?

– ქალო, წყალი გააცხელე, „გრელკაში” ჩაასხი. მე კი ამასობაში ჩავიცვამ და წავალ პურზე და ლიმონათზე.

„შეკვეთა“ შესრულდა – ცხელწყლიანი „გრელკა“ კარლომ ჯინსის შარვალში ჩაიდო, „წინა მუცელს“ ქვემოთ და წავიდა...

არადა, გენიალური აზრია. გარეთ თოვს, ყინავს. შენ გრელკა გიდევს „იქინე“ და სულ კისერზე გკიდია, რამდენით მეტი ფანტელი ჩამოვარდება ბავშვების გულის გასახარად. მოკლედ, გამოვიდა „გრელკით“ და ლექსიც მოაწვა მის მოპოეტო თავს:

„დიდება გრელკას – ყინული ვერ მკლავს“ და თან დააყოლა – „იავო, უავო, ლიმონათზე მივდივარ“...

ყველა გასტრონომი დაკეტილი იყო. პურზე ხომ ახალ წელს ისეთი ამბავია...

ამას „გრელკა” უდევს და თოვს... თოვოს, რა... თბილადაა.

მაშინ ტროლეიბუსები (ეჰ, ნეტავ, იმ დროს) მუშაობდნენ და ცვითა თავი ტროლეიბუსში – მეორე ქუჩაზე იქნება, აბა, რა ჯანდაბა მოუვათო.

როგორც ახალი წლისწინა პერიპეტიებს სჩვევია, ტროლეიბუსში ხალვათობა იყო, იჯდა ჰა-ჰა – 6-7 ადამიანი.

უკანა სკამის წინა სკამზე მიუსკუპდა მდიდრულ ქურქში „ჩაზმანულ“ ქერათმიან ქალს.

ტროლეიბუსი ნარნარად მიირწევა ნება-ნება... აშკარად საახალწლო განწყობაა. „შუბაში“ გამოკვართ-




ულმა ქალმა კაცს ამრეზით გადმოხედა და უფრო მჭიდროდ შემოიკრა სამოსი და აქ მოხდააა...

„გრელკიდან“ ყრუ, მაგრამ აშკარად მოულოდნელმა წვეთებმა კაცს გაახსენა, რომ მისი „გამოგონება“ საფრთხის წინაშეა. მტარვალმა ცხელმა წყალმა ნელ-ნელა. იწყო სვლა. კაცი უხერხულად დაიწმაწნა, რაც გვერდით მჯდომ ქალბატონს არ გამოჰპარვია.

წყალი არ ხუმრობდა და კაცს მარცხენა ბარძაყი აეწვა. ჯერ არ იმჩნევდა, მაგრამ, ჯინაზე, ტროლეიბუსიც მგზავრებს ეძებდა, ნელა მიდიოდა. ქალს ამღვრეული თვალებით გადახედა და ალალად თქვა.

– ვიწვები, მე მგონი, – მარჯვენა ხელი ქამრის ქვეშ შეაცურა კარლომ და „გრელკის“ გასწორება მოინდომა.

ქალმა სხვანაირად გაიგო.

– მაიმუნობის დროა ახლა? ახალი წელი მოდის და თქვენ კარგა 60 წლის ბრძანდებით!

ცხელმა წყალმა ბარძაყის მიდამოები ჩაათავა და კოჭთან მივიდა...

– ნამდვილად ვიწვი, ქალბატონო.

– ჩემი ეშხით ვინ არ დამწვარა?! – გაიკეკლუცა ქალმა და თმა შეისწორა, მაგრამ კარლოს ძალიან გაუჭირდა. წვეთი წვეთს მიჰყვა და... უღალატა „გრელკამ“.

– მეტი... მეტი აღარ შემიძლია, ვიწვი! – ამოიკივლა დაგუდულად კარლომ.

– შენს ცოლ-შვილს მიხედო, ჯობია! – გაკაპასდა ქალი და ხელი ამოიღე იქედან, სადაც გიდევს ამ ვითარებაში, უზრდელო კაცო, შენ!

– ვიწვი! – გაგიჟდა კარლო და ხელები ქამრის ქვეშ მიიჭირა.

– ვაი! – იკივლა ქალმა და წინა გასასვლელისკენ მოცოცხა... გიჟია ეს! „გრელკიდან“ ჭავლმა იმძლავრა.

– უი! – იკივლა კარლომაც, ქალს გამოეკიდა და შოფერთან მისვლამდე „დაუაბგონა“.

– შოფერ, გააჩერე!

ტროლეიბუსი დამუხრუჭდა, ქალი კისრისტეხით გადავარდა ვაგონიდან და კარლოც მიჰყვა. გარბის ქალი და მისდევს ორთქლავარდნილი კარლო.

ქუთაისში მაგას გამოაპარებ ვინმეს?! ხელად შეჯგუფდნენ ბიჭები.

– ვაიმე, სიმონ, უცხოპლანეტელი მევიდა, სიმონ, საფიჩხიაზე, აქანა!

კარლომ „გრელკა“ ამოიდღლიზა და ახლად დაფიფქულ თოვლში ისროლა.

– ვაიმე, სიმონ, უცხოპლანეტელმა ღვირძლი ამეითხარა, სიმონ, და გადააგდო, სიმონ! მაგენი კუჭებს და ღვირძლებს ისე ამოითხრიან, გაგიკვირდება.

გაზონში გადავარდნილმა „გრელკამ“ თოვლი ვერ იგუა და ორთქლი ავარდა:

– ა, სიმონ, იგია ეგი აქანა... გადაირევიენ ქუთეისლები. ნიუტონას კანონია, სიმონ, ორთქლი ადის აქანა... სიმ...

– ლიმონათი არსადაა, ბიჭებო? – ამოიძახა კარლომ.

– ა, ბუჯო, რა ვთქვი ახლა მე – ლიმონათი არ იციენ ამგნებმა და ახლა უნდათ, რო გეიგონ...

და მოდიოდა ახალი, ახალი (მაინც ძველი) ახალი წელი...

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# როგორ დახარჯა ახალ წელს ჩინელმა ბიჭმა შავი დღისთვის გადანახული ფული

გამარჯობა, დედა, როგორ ხარ? ძალიან მენატრებით ყველა. მე არა მიშავს, ვარ ძველებურად. ჩვენ საახალწლოდ ვემზადებით და ამაზე მოგიყვები ამ წერილში.

ქართველები კი დაგვცინიან ჩინელებს, მაგრამ, რომ იცოდე, ჩვენი კალენდრით განსაზღვრავენ, თუ რისი წელი დგება. წელს ლურჯი ხის ცხენის წელიწადი მოდის, საქართველოში, რა თქმა უნდა, კარგად არ იციან, ეს რას ნიშნავს და, უბრალოდ, „ცხენის წელს” ეძახიან. უმრავლესობა ყიდულობს ცხენის სათამაშოებს და სახლში დებს ნაძვის ხესთან ერთად. მე ჩვენი წესის მიხედვით მოვიქეცი და ლურჯი ხის ცხენი მივიტანე სახლში. ამის გამო ლამზირამ ხისთავიანი და გახევებული მიწოდა.

ქართული წესით, საახალწლო სუფრაზე იმდენი საჭმელი უნდა იდოს, რომ პერიოდულად მოსული ასამდე სტუმრის გამასპინძლება შეძლო, ამიტომ, რაღა თქმა უნდა, ბაზარში წავედი. საახალწლო სუფრის მშვენებას – გოჭს, წლის ბოლოს ისეთი ფასი აქვს, ზაფხულში იმ ფასად ღორების ფერმას იყიდი. რაღაც სასწაულით, ყველაფრის ფასი ათმაგდება. ამიტომ, პირველ წასვლაზე თითქმის ვერაფერი ვერ ვიყიდე და სახლში დაბრუნებულს ისეთი დღე მაყარა ლამზირამ, სირბილით გავბრუნდი ბაზრისკენ, შავი დღისთვის გადანახული ფულით ხელში. აქაური წესით და ჩემი ცოლის დავალებით, ვიყიდე მკვდარი ინდაური, ასეთივე მდგომარეობაში მყოფი გოჭი, ნიგოზი, თითქმის ყველანაირი ხილი, კანფეტი და, რაღა თქმა უნდა, ნაძვის ხე.

ლამზირას დაჟინებით, წელს ძალიან დიდი ნაძვის ხე გვიდგას სახლში – ეს ქართული წესია. ვითომ ტრადიციული და ნაციონალისტი ხალხია ქართველები, მაგრამ, ნებისმიერ სახლში ნახავ ასეთ რამეს: დგას პლასტმასის ნაძვის ხე, თავზე ადგას რუსული ვარსკვლავი, დაბლა ამერიკული სანტა-კლაუსი უდგას, ზედ კი, აღმოსავლური ჰოროსკოპის მიხედვით, იმ წლის ცხოველია ჩამოკიდებული და, რა თქმა უნდა, ნაძვის ხის ყველა სათამაშო ჩინურია, ძალიან იშვიათი გამონაკლისის გარდა. ქართული ტრადიციიდან მხოლოდ ნაძვის ხის მახლობლად, სუფრასთან შეკრებილი მთვრალი ხალხია, რომლებიც ბავშვებს ცეკვასა და სიმღერას უბრძანებენ ხოლმე დროდადრო. პატარებს ერთი სული აქვთ, თორმეტი საათი გახდეს, რომ ჩვენებური შუშხუნები ისროლონ. ეს ტრადიციაც, მგონია, რომ ჩვენგან აიღეს, სულ ადრე, თურმე, სანადირო თოფს ისროდნენ ხოლმე ფანჯრიდან, ოთხმოცდაათიან წლებში კი – ავტომატიდან, სნაიპერული შაშხანიდან, პისტოლეტებიდან და, როგორც ამბობენ, ხელყუმბარებსაც კი აგდებდნენ ხოლმე ქუჩაში.




ცალკე თემაა საახალწლო საჩუქრები, რომლებიც, ვითომდა, ვიღაც წვერიან კაცს მოაქვს ზღაპრული ქვეყნიდან. ამ კაცს საქართველოში „თოვლის პაპას” ეძახიან და სანტაკლაუსის ქართული ვარიანტია. ამ თოვლის პაპის მოვალეობას ოჯახის ის წევრები ითავსებენ, რომლებიც მუშაობენ და ხელფასი აქვთ. ლამზირამ დიდი წერილი დაწერა და მე მომცა – ესენი მინდა, თოვლის პაპამ რომ მაჩუქოსო. წეროს და იყოს, განაწყენდეს კი არა, შუაზე რომ გამგლიჯოს, მე მაგის ფულს ვერსად ველარ ვიშოვი, თუმცა, ალბათ, წერილიდან ცოტა იაფიანებს ამოვარჩევ რამდენიმეს.

ჯერჯერობით სულ ეს არის, დედა. წინასწარ გილოცავ ახალ წელს, ბედნიერებას გისურვებ. მიულოცე და მომიკითხე ყველა.

**გკოცნით**
**თქვენი ტობი ვონგი**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

**გია ნიკოლაძე ის ადამიანია, ვისთანაც ვერ მოიწყენ, განსაკუთრებით კი ჟურნალისტებისთვის არის ის საინტერესო. ჩვენი ინტერვიუ ყოველთვის მეგობრულ ხუმრობა-ხარხარში იწერება – როგორც არ უნდა ვეცადოთ, სერიოზული არასდროს გამოგვდის.**

# ვისგან ელოდება „შემოლაწუნებას" გია ნიკოლაძე და რა კავშირი აქვს მას მარიხუანასთან



**ატომურ ბომბს ვამზადებ და დრო მჭირდება!**

**– დიდი ხანია, აღარ ჩანს „ნიკოლშოუ", არც კონცერტებზე გამოდიხართ, არც ტელეეკრანზე... რა ხდება თქვენს ცხოვრებაში, თქვენ ზარმაცობთ თუ ვიღაცეებს ეზარებათ ყურადღების გამოჩენა?**

– არა, არ ვზარმაცობ, ატომურ ბომბს (ხელოვნების დარგში) ვამზადებ და დრო მჭირდება! თან, ხელსაყრელ მომენტს ველოდები, რომ მეცხრე ტალღას გავყვე! რაც შეეხება ტელევიზიებს, მე და ერთი ძალიან ნიჭიერი და სახელგანთქმული ხელოვანი ერთ ისეთ სატელევიზიო პროექტზე ვმუშაობთ, რომ, დარწმუნებული ვარ, მერე ყველა ტელევიზიას მოუნდება ჩვენთან თანამშრომლობა! ამასთან დაკავშირებით მეტს ვერაფერს გეტყვი.

**– სულ წინააღმდეგობებს აწყდები, პრობლემები აღარ გელევა. ყველაფერი სულ მაგ „მეცხრე ტალღის" ბრალია, რომ იცოდე!**

– ხელის შემშლელი არაფერია, უბრალოდ, ახლა სხვების შემოქმედების დროა! მე იმათ რიცხვს არ მივეკუთვნები, ვინც ნაწარმოებების სიგრძე-სიგანესა და რაოდენობაში ხედავს ნიჭიერებას! მე უფლება არ მაქვს, ბუნებას ვუღალატო და რამე წავახალტურო; მირჩევნია, ცოტა შევქმნა და ყრუანტელს გგვრიდეს! ჩემთვის მთავარი შემფასებელი და ყიური ყრუანტელია, თან, ორივე „ყ"-თი იწყება! თან, ისედაც და ასედაც, რაც გავაკეთე, ყველაფერი უფულოდ გავაკეთე. ასე რომ, შემდგომშიც ეგრე მომიწევს, ალბათ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩემთვის დაბრკოლება არ არსებობს! მაგარი ჯინიანი ვარ და დაბრკოლება მხოლოდ სტიმულს მაძლევს! თუ ვინმეს ჩემთვის წინააღმდეგობის შექმნა უნდა, მაშინ, რამე „უსაქმური" საქმე უნდა ჩამაბაროს, დიდი ხელფასი დამინიშნოს და გამაზარმაცოს, თორემ, ისე ვერავინ შემაჩერებს! ამბობენ, რომ, ვსვამ და ამიტომ ვარ ასე; მე კიდევ, ვამბობ – იმიტომ ვსვამ, რომ არსად მიღებენ. ამჯერად სულ საქველმოქმედო კონცერტებზე დავდივარ, იმათ შემოვევლოთ ჩემი თავი. ეს გასვლითი საქველმოქმედო კონცერტები ხომ საერთოდ მანგრევს – სულ ვსვამ, მაგრამ, ისე ვერ ვმღერი – კომპლექსი მაქვს, ჰოდა, აი, ესე ვარ, რა! მთხოვენ, წამოგვყევიო, ჰოდა, მეც დავყვები – აბა, რა ვქნა, ხალხს ჩემზე მაგრად უჭირს!

*თუ სახელმწიფოს მეფობა უნდა,*
*მაშინ, იყიდოს სულ ყველას რთველი!*
*ყველას ურჩიოს, ვინ რა დათესოს,*
*გლეხისთვის იყოს მეფე ქართველი!*

**– ჩემი აზრით, საინტერესო რაღაცეებს წერ. არ გიცდია, პროფილი შეგეცვალა და ჟურნალ-გაზეთებში მიგეტანა შენი ნაწერები?**

– კი, ვფიქრობ მაგაზე! თან, აღარ შემიძლია ეს სმა და სმა! არადა, ისე ვერ ვმღერი, თუ არ დავლიე, დალევა კიდევ, მანგრევს, უკვე ველარ ვუძლებ! თან, პოემაც მზად მაქვს. ასე რომ, ყველანაირად მაქეთ მიდის ჩემი საქმე, რომ ამპლუა შევიცვალო!

**– მამაშენი (მსახიობი ლალი ნიკოლაძე – ზურაბა ფილმიდან „ზოგი ჭირი მარგებელია") უკვე ათეული წლებია, თურქეთში ცხოვრობს და საქმიანობს. იქ წადი.**

– არა, რა წასვლა, პირიქით, მამაჩემის აქეთ ჩამოყვანა უფრო მინდა, ვიდრე სადმე წასვლა! მიწის ყივილი არ გამიშვებს არსად! მე ამ ბუნების კაცი ვარ, სხვაგან ვერ გავძლებ – „ვერ გავცვლი სალსა კლდეებსა"... თან, ვიცი, რომ გარდავიცვლები, მაშინ მიხვდება ახალი თაობა, რაც დავუტოვე.

**– აუჰ, შენ, მგონი, მაგარი ნაწყენი ან შეყვარებული ხარ.**

– არა, მე ვინ ვარ, რომ გავნაწყენდე! მაგას ჯობია, ფიროსმანის საფლავი ვეძებოთ, ვიდრე ხალხს, ქვეყანასა და დროს გავუნაწყენდეთ! შეცვლით კი, იმას შევცვლიდი, თუ ვინმეს რამე არასწორად ვაწყენინე, აღარ ვაწყენინებდი! სიყვარულს რაც შეეხება, მე სიკვდილის დამმარცხებელი ქრისტე უფრო მიყვარს, ვიდრე სხვადასხვა კერპები! მიყვარს ღვთისმშობელი მარიამი და, რა თქმა უნდა, დედამიწა, როგორც ვაჟით ორსული ქალწული! მოგეხსენებათ, დედამიწაში პლატინის ბირთვია, ის ბირთვი კი მამრია.

**მიშა და ვანო გვერდიგვერდ მსხდარან, ერთმანეთისთვის გადაუხედავთ და გაუცინიათ – ეს ვინაა, გიჟი მართლა თავისუფალიაო**

**– არ ჰგავხარ შენ ტიპურ ქართველ კაცებს. მართალია, ქალწულების თემა იმათთვისაც აქტუალურია, მაგრამ აი, პლატინისა და ბირთვისა რა მოგახსენო...**

– ტიპურ ქართველ მამაკაცს ვგავარ თუ არა, ალბათ, ეს კითხვა მათ უნდა დაუსვა, ვისთანაც ფიზიკური შეხლა-შემოხლა მქონია! კაცს ხელის მოხვედრით არ უნდა ეშინოდეს და უკან ამ მიზეზით არ უნდა იხევდეს, თორემ, მერე ისვრის (ორი გაგებით, რა თქმა უნდა). მგონია, რომ მათ ნამდვილ ქართველ მამაკაცად და ძმაკაცად მივაჩნივარ, ისევე, როგორც მე – ისინი!

**– ეგ – კი, მაგრამ, არაორდინარული ტიპი ხარ შენი აზროვნებით, ზოგჯერ გიჟობებისაც სჩადიხარ.**

– ჩემი გიჟური საქციელი არც ერთი არ მახსოვს, რადგან, გიჟივით მთვრალს მაქვს ჩადენილი, ჩემო კარგო. რასაც მიყვებიან, იმას გეტყვი: 2011 წელს, 6 მაისს, ბათუმში ყოფილ პრეზიდენტთან ერთად ერთ სუფრაზე მოვხვდი შემთხვევით. ფეხზე წამოვმდგარვარ, ყველა გამიჩუმებია და ასეთი რამ მითქვამს: ვიდრე ქართველებს ჰოლანდიელი რძალი გვყავს, მარიხუანის ლეგალიზაციას გაუმარჯოს-მეთქი! მიშა და ვანო გვერდიგვერდ მსხდარან, ერთმანეთისთვის გადაუხედავთ და გაუცინიათ – ეს ვინაა, გიჟი მართლა თავისუფალიაო! საერთოდ, ჩემი გიჟური საქციელი არც ერთი არ მახსოვს, რადგან, გიჟივით მთვრალს მაქვს ჩადენილი, ჩემო კარგო!

**– ახალ წელს?**

– ახალ წელს არ მახსოვს, მაგრამ, თავი ბევრჯერ მომისულელებია, ანუ, ვითომ გამოუსწორებელი ლოთი ვარ, ისე მოვქცეულვარ.

**– როდის დასერიოზულდები, გია ნიკოლაძე? რომ გკითხო, მგონი, აზრი არ აქვს – კი ხარ უკვე 50 წელს მიტანებული.**

– მე მზად ვარ და ჩემებური სტრატეგიაც და გეგმაც მაქვს, მაგრამ, ასე მგონია, ჯერ დედამიწამ კარგად უნდა „შემოგვარტყას", რომ ეგ დრო დადგეს.

**– ვაა, ხედავ შენ?! და, ეგ როდის მოხდება?**

– როდესაც ხალხს ეშმაკები ველარ მოერევიან, ანუ, როცა კასკიანი კაენები ბებია-ბაბუა-შვილიშვილ აბელებს ხელკეტებით ველარ სცემენ და ხალხი მიხვდება, საით უნდა იაროს!

**– სახლში როგორ ხართ? ანუ, მინდოდა, მეკითხა, შენ და შენი ცოლი ისევ ცალ-ცალკე ცხოვრობთ?**

– არა, რა ცალ-ცალკე, ეგ ხუთი წლის წინ იყო – ცოტა ხანს ეგრე გადავწყვიტეთ, რადგან, შემოსავალი საერთოდ არ გვქონდა. ერთად ვცხოვრობთ უკვე 25 წელია. ვგიჟდები ჩემს ნატულიკოზე! ჩვენ სიკვდილამდე ერთად ვიქნებით!

**ეკა პატარაია**




რისი წყალობით დაეშვა ღრუბლებიდან გიგა კვენეტაძე და რა ხდება რომანტიკოსი რეალისტის პირად ცხოვრებაში



რა მამაკაცური თვისება არ მოსწონს სოფო სეზისკვერაძეს საკუთარ თავში და რატომ დაშორდა ის გიორგი ლიფონავას

გვ. 70

ISSN 1987-569X

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბა

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * №53 (678) * 30 დეკემბერი – 5 იანვარი * ფასი 1,50 ლარი